იუსტაინ გორდერ

კოშკი პირენეებში

თარგმანი და დიზაინი
დათო აკრიანის

Jostein Gaarder

Slottet i Pyreneene

Translated into Georgian by David Akriani

Copyright © Aschehoug & Co (W Nygaard) AS, Oslo 2008

Copyright © Nectar Publishing, 2010

{ ყველა მშვილდი მოზიდულია }

ISBN 978-9941-0-2718-5

The publication of this book has become possible with the financial support of Norla.

საიდუმლო მრჩეველი: მაია-ოქროცურვილი.

I

აი, სტეინ, მე აქ ვარ. ნამდვილად ჯადოსნური იყო შენთან შეხვედრა. თანაც, იქ! ისე გაშტერდი, ლამის იატაკში ჩავარდი. იცი, სულაც არ გადავეყარეთ ერთმანეთს „შემთხვევით". ძალები ჩაერია ამ ამბავში, ძალები!

ოთხი საათი მოგვეცა. სალაპარაკოდ, ასე ვთქვათ. ნილს პეტტერ დიდად ნასიამოვნები არ დარჩა. ფიორდამდე ხმა არ ამოუღია.

ხეობას ავუყევით. ნახევარი საათის შემდეგ ისევ იმ ნაქცეულ არყის ხესთან აღმოვჩნდით.

მთელი ამ ხნის მანძილზე არცერთს კრინტი არ დაგვიძრავს. *იმის* შესახებ, რასაკვირველია. ბევრ რამეზე ვილაპარაკეთ, მაგრამ არა *იმაზე*. ზუსტად ისევე, როგორც უწინ. ვერ მოვახერხეთ, რომ ერთიანი ფრონტით დავხვედროდით იმას, რაც მოხდა. და ასე დავიშრიტეთ კიდეც: არა პიროვნულად შენ ან მე, არამედ როგორც ნყვილი. ღამე მშვიდობისაც კი არ გვითქვამს ერთმანეთისთვის. მახსოვს სოფაზე გატარებული ბოლო ღამე. მეორე ოთახიდან შენი სიგარეტის სუნი გამოდიოდა. ვიგრძენი, რომ კედელსა და მიხურულ კარს მიღმა შემეძლო დამენახა შენი ჩახრილი თავი. მაგიდაზე იჯექი თავჩაღუნული და ეწეოდი. მეორე დღეს მე წავედი და მას შემდეგ აღარც გვინახავს ერთმანეთი. მთელი ოცდაათი წელი. დაუჯერებელია!

მერე კი, უეცრად, იმდენი წლის შემდეგ, მძინარე მზეთუნახავებივით გამოგვაღვიძა თითქოს იმავე ზღაპრულმა მაღვიძარამ! და ჩვენც სრულებით დამოუკიდებლად მივუყვებით იმავე გზას. ისევ იმ დღეს, სტეინ, ახალ საუკუნეში და სრულებით ახალ სამყაროში. და უცებ — ოცდაათი წლის შემდეგ — ისმის: „გამარჯობა შენი!"

არ მითხრა, ეს მხოლოდ შემთხვევით მოხდაო. არ მითხრა, არავითარი ძალები არ გვმეგზურობდნენო!

ყველაზე სურეალისტური ის იყო, სასტუმროს მეპატრონე ქალი რომ გადმოდგა აივანზე. იმხანად, ის ამ სახლის პატარა ქალიშვილი იყო. მისთვისაც განვლო ამ ოცდაათმა წელმა. მგონი, ეს მისი ცხოვრების უდიდესი deja vu[1] იყო. გახსოვს, რა თქვა? „რა კარგია იმის დანახვა, რომ ისევ ერთად ხართ!". მტკივნეული სიტყვები იყო, თუმცა, იმავდროულად, ძალზე თავშესაქცევიც, თუ გავითვალისწინებთ, რომ მე და შენ თვალით არ გვენახა ერთმანეთი მას შემდეგ, რაც 70-იან წლების ერთ დილას მის სამ პატარა გოგონას მივხედეთ. ასე გადავუხადეთ მადლობა, ველოსიპედებისა და ტრანზისტორის თხოვებისთვის. ახლა ისინი მიხ-

სენებენ. ნუ დაგავიწყდება, რომ ივლისის საღამოა და აქ, ზღვაზე, საზაფხულო შვებულებების პერიოდი თავის ზენიტშია. მგონი, კალმახს წვავენ ბარბექიუზე, ნილს პეტტერ მიახლოვდება და სასმელს მაწვდის. ათი წუთი მომცა ამ ჭიქის გამოსაცლელად და მეც სწორედ ეს დრო მჭირდება. რაღაც მნიშვნელოვანი უნდა გითხრა.

შეგვიძლია თუ არა დავდოთ საზეიმო პირობა, რომ წაკითხვისთანავე წაშლით ერთმანეთისთვის გაგზავნილ ყველა იმეილს? ვგულისხმობ წაშლას უშუალოდ წაკითხვის შემდეგ და, ბუნებრივია, ყოველგვარი ამობეჭდვის გარეშე.

ამ ახალ კონტაქტს უფრო ისე ვუყურებ, როგორც ორ სულს შორის ვიბრირებად აზრის ნაკადს, ვიდრე კორესპონდენციას, რომელსაც უამისოდაც მუდამ შევინარჩუნებთ. ხოლო პრემია ის იქნება, რომ ყველაფერზე წერის უფლება მივცეთ ჩვენს თავს.

ორივე დაოჯახებული ვართ და ორივეს შვილები გვყავს. დიდად არ მეპიტნავება იმის წარმოდგენა, რომ ჩვენი წერილები თავისუფლად ისხდებიან ჩვენს კომპიუტერებში.

არ ვიცით, როდის გამოვალთ აქედან. მაგრამ ერთ დღესაც უკან ჩამოვიტოვებთ ამ მასკარადს თავისი ნიღბებიან-როლებიანად. ჩვენ შემდეგ რამდენიმე დღემოკლე ბუტაფორიღა დარჩება, რათა, საბოლოოდ, ისინიც აღიგავოს პირისაგან მიწისა.

დროიდან გავალთ. დავტოვებთ იმას, რასაც „რეალობას" ვუწოდებთ.

წლები გადიან, მაგრამ ვერა და ვერ ვიშორებ გრძნობას, რომ რაღაც, რაც გარდასულ წლებში მომხდარ ამბებს უკავშირდება, შეიძლება უეცრად ისევ ამოხტეს. დროდადრო ვგრძნობ, როგორ ფეხდაფეხ მომყვება ეს რაღაც.

არ მავიწყდება ლურჯ სინათლეთა გაელვებები ლეიკანგერში და დღემდე მაკრთობს ზურგიდან წამოწეული პოლიციის მანქანა. ერთხელ, რამდენიმე წლის წინ, ჩემს კარს პოლიციელი მოადგა. ალბათ, დაინახა როგორი აგზნებული ვიყავი. თუმცა აღმოჩნდა, რომ ვიღაცის მისამართს ეძებდა სადღაც ახლომახლო.

დარწმუნებული ვარ, ფიქრობ, რომ თავს ტყუილუბრალოდ ვიფორიაქებ. აქამდე ხომ ნებისმიერ კრიმინალურ აქტს ვადა გაუვიდოდა და სასჯელს აღარ დაექვემდებარებოდა.

აი, სირცხვილს კი ვადა არ გასდის...

ჰოდა, შემპირდი, რომ ყველა იმეილს წაშლი!

მხოლოდ მოხუცი მწყემსის ქოხის ნანგრევებში ჩამოჯდომის შემდეგღა ამიხსენი, რატომ შემხვდი. შეეცადე, აგეხსნა რას აკეთებდი ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე, და მეტეოროლოგიასთან დაკავშირებული შენი პროექტიც ამინერე. მერე ისიც მოახერხე, რომ ნაწილობრივ მაინც მოგეთხრო ის განსაკუთრებული სიზმარი, სასტუმროს აივანზე ჩვენი მოულოდნელი შეხვედრის წინა ღამეს რომ გესიზმრა. კოსმიური სიზმარი ვნახეო, თქვი, თუმცა მეტი თითქმის ველარაფერი მოასწარი, რადგან ის მოზვრები კუნტრუშით გამოენთნენ ჩვენკენ და, საბოლოოდ, ისევ ხეობაში შეგვყარეს. ამის შემდეგ სიზმარზე აღარაფერი თქმულა.

თუმცა შენი კოსმიური სიზმრები ჯერაც მიგველიან... ვცადეთ, რამდენიმე საათით ჩაგვძინებოდა, მაგრამ, ბუნებრივია, მეტისმეტად აგზნებულები ვიყავით და ამიტომაც თვალდახუჭული ვინექით და ერთად ეჩურჩულებდით ვარსკვლავებზე, გალაქტიკებზე და სხვა ამდაგვარზე, ანუ მხოლოდ დიდ, შორეულ, მაღლამყოფ საგნებზე.

ახლა ეს უცნაური ჩანს. ეს მანამდე მოხდა, სანამ რამეს ვიწრმუნებდი, მხოლოდ *მანამდე*.

ისევ მირეკავენ. ერთი საბოლოო კომენტარი, სანამ ამ წერილს გამოვგზავნი. იმ ტბას *ელდრევატნეტ* ერქვა. განა უცნაურად არ ჟღერს ცივილიზაციისგან ესოდენ დაშორებული მთის ტბისთვის? ვინ იყო ეს *ელდრე* — კლდეებსა და მნვერვალებს შორის მცხოვრები ხალხი?

ამასწინათ, როცა მანქანით ჩავუარე ნილს პეტტერთან ერთად, გზების ატლასს ჩავაცქერდი. მას შემდეგ აქ აღარ ვყოფილვარ და ახლა ტბის შეხედვაც კი ველარ გავბედე. რამდენიმე წუთის შემდეგ მომდევნო წერტილს შემოვუარეთ, — უფსკრულთან რომ მოსახვევია, იმას. და ეს ყველაზე მტკივნეული წერტილი აღმოჩნდა.

არა მგონია, მანამდე ამეღოს თავი ატლასიდან, სანამ ხეობაში ჩამოვიდოდით. ასე შევისწავლე ბევრი ადგილის სახელი, თან ხმამაღლა ვუკითხავდი ნილს პეტტერს. რაღაცით უნდა დამეკავებინა თავი. ვშიშობდი, რომ თვითკონტროლს დაეკარგავდი, ემოციებს აეყვებოდი და ყველაფერს ვუამბობდი.

შემდეგ ახალ გვირაბებამდე მივედით. დავიჟინე, ამ გვირაბებით ნავიდეთ, მერე საყდარს ჩავუაროთ და მდინარის გასწვრივ მიმავალ ძველ გზას გავუყვეთ-მეთქი. ეს იმით ავხსენი, რომ გვიანი იყო და გვეჩქარებოდა.

აჰ, ტბა ელდრეევატნეტ!

უორტლბერიელი ქალი „მოხუცი" იყო. ყოველ შემთხვევაში, ასე ვფიქრობდით მაშინ. ხანდაზმული ქალიო, ვთქვით. ხანდაზმული ქალი მხრეებზე მოსხმული ვარდისფერი თავშლით. უნდა დავრწმუნებულიყავით, რომ ორივემ ერთი და იგივე რამ ვნახეთ. ამ დროს ჯერ კიდევ სიტყვებით ვურთიერთობდით.

საქმე ისაა, რომ ის ქალი იმავე ასაკის იყო, რა ასაკისაც დღეს მე ვარ. არც მეტი არც ნაკლები.

როდესაც აივანზე გამოხვედი, თითქოს საკუთარი თავის პირისპირ დავდექი. არადა, უკანასკნელად ერთმანეთი ოცდაათი წლის წინ ვნახეთ. თუმცა აქ სხვა მომენტიც იყო. თვალნათლივ ვიგრძენი, რომ გარედან ვხედავდი საკუთარ თავს, ანუ ვხედავდი ჩემს თავს — შენი ხედვის წერტილიდან და შენი თვალებით. უეცრად თითქოს უორტლბერიელ ქალად ვიქეცი. სწორედ ასეთმა უსიამოვნო განცდამ შემიპყრო.

უკვე მესამედ მირეკავენ. ჰოდა, მეც გიგზავნი ამას და მომენტალურად ვშლი.

გულთბილი სურვილებით, სოლრუნ.

ძლივს ვიკავებ თავს, რომ *შენი სოლრუნ* არ დავწერო: ჩვენ შორის ხომ არასოდეს არავითარი ბზარი არ ყოფილა. იმ დღესაც სულ რამდენიმე პირადი ნივთი ავიღე და წავედი. აღარ დავბრუნებულვარ. თითქმის ერთი წლის შემდეგღა მოგწერე ბერგენიდან, დანარჩენი ნივთები მომიგროვე-მეთქი. თვით მაშინაც კი არ ჩამითვლია ეს ამბავი რამენაირ დაშორებად, მხოლოდ სრულებით პრაქტიკულ ნაბიჯად, რადგან ამდენი ხანი დავყავი ქვეყნის მეორე მხარეს. ნილს პეტტერს მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გადავეყარე. შენ კი ათი წლის მერეღა იპოვე ბერიტ.

მოთმინება გქონდა. არასოდეს ჩაგიქნევია ხელი ჩვენს ურთიერთობაზე. ზოგჯერ ისეთი გრძნობა მტანჯავდა, თითქოს ორქმრიან ცხოვრებას ვეწეოდი.

არასოდეს დამავიწყდება რა მოხდა მთის გზაზე. ხანდახან ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ერთი საათიც არ გადის ისე, რომ ეს არ გამახსენდეს.

მერე კი სხვა მოხდა, რაღაც სრულებით საკვირველი და გამამხნევებელი ამბავი. ახლა მას ისე ვუყურებ, როგორც საჩუქარს.

ნეტავ შეგვძლებოდა, ორივეს ერთად მიგვეღო ეს საჩუქარი! მაგრამ თავზარდაცემული ვიყავით. ჯერ შენ დაეცი სულიერად და საშუალება მომეცი მენუგეშებინე. შემდეგ უეცრად ნახვედი.

რამდენიმე დღის შემდეგ უკვე დანყებული გვქონდა დაშორიშორება. აღარ შეგვეძლო ან აღარ გვსურდა თვალებში ჩაგვეხედა ერთმანეთისთვის.

ჩვენ ორს, სტეინ!

ეს დაუჯერებელი იყო.

სოლრუნ! სოლრუნ! რა ლამაზი იყავი, როგორი მშვენიერი იმ შენს წითელ კაბაში, თეთრი მესრის ფონზე, ზურგით ფიორდისკენ!

იმწამსვე გიცანი, რასაკვირველია. ან, ეგებ, მეზმანებოდა? არა, არა, ეს შენ იყავი, შენ — თითქოსდა სრულებით სხვა ეპოქის პირმშო.

და, ნება მომეცი, ახლაევე გითხრა: რაღა თქმა უნდა, არავითარ „უორტლბერიელ ქალთან" არ გამიიგივებიხარ.

შენ მე მომწერე, ხო აზრზე ხარ! მთელი ეს კვირები ვიმედოვნებდი, რომ ასე მოიქცეოდი. იმვილის გამოყენება ჩემი იდეა იყო, თუმცა, დამშვიდობების წინ, სწორედ შენ თქვი — შეგეხმიანები, როცა შესაფერისი მომენტი მოვაო. პოდა, აი, პირველი სელა შენ გააკეთე.

ძირფესვიანად შემარყეველია იმის გაფიქრება, რომ ისევ იმ დაგუბებასთან შევხვდით. თითქოს დიდი-დიდი ხნის წინ დაითქვა ეს შესვედრა იქ და იმ დროს. მაგრამ არა, არაფერი დათქმულა წინდაწინ: ეს ყოველად უჩვეულო ბედნიერი დამთხვევა იყო.

სასადილო ოთახიდან გამოვედი ფინჯან-ლამბაქით ხელში და, თავგზააბნეულს, ყავა სანახევროდ დამექცა და მაჯა დავიფუფქე. რა მართალი ხარ, როცა ამბობ, წაქცევას აღარაფერი დაგაკლდაო! ხომ უნდა გადამერჩინა ფინჯანი იაკაკზე დასკდომისგან.

შენი ქმარი და მე მოკლედ მიეესალმეთ ერთმანეთს. რაგომღაც დაუყოვნებლივ წავიდა თავისი მანქანისკენ რაღაცის წამოსაღებად და ამასობაში ჩვენ რამდენიმე სიტყვა გაეცვალეთ. მერე კი სასტუმროს მფლობელი ქალბატონიც გამოჩნდა. შესაძლოა, შემნიშნა მისაღებში და ნამდვილად გავახსენდი იმ პერიოდიდან, როცა სასტუმრო დედამისს ეკუთვნოდა.

ახლა მე და შენ პირისპირ ვიდექით და სასტუმროს მეპატრონემაც როგორც ჩანს, მიგვეჩნია შუახნის ცოლ-ქმრად, რომლებიც საუკუნოვანი ურთიერთობის შემდეგ რომანტიკულად განმარტოვდნენ ფიორდის ამ განმტოებაში, სანამ მოიწყობდნენ თავიანთ საერთო საბინადროს და ერ-

თად განაგრძობდნენ დარჩენილ სიცოცხლეს (შევეცადე, წარმომედგინა ეს). მანამ კი – ეგებ ნოსტალგიის მძაფრი შემოტევით – ისევ დაუბრუნდებოდნენ ახალგაზრდულ ოინბაზობებს. ასე რომ, რასაკვირველია, საუზმის შემდეგ იავანზე უნდა გაესულიყავით და, მართალია, სიგარეტს აღარ ვეწეოდით (ორიეენი – ესოდენ კორექტულნი პოლიტიკური თვალსაზრისით!), აივანზე გასელა მაინც საკამოდ გონივრული ჩანდა: იქიდან თვალწინ იმლებოდა სპილენძისფერი წიფლები, მთები და ფიორდი. მაშინ ხომ – დიდი ხნის წინ – ყოველთვის ასე ვიქცეოდით.

ახლა სასტუმროს სხვანაირი მისაღები პქონდა. პქონდა ახალი კაფეც. თუმცა ხეები, ფიორდი და მთები არ შეცვლილიყო, ისევე როგორც ჰოლის აეჯი და მოხატულობა. თვით ბილიარდის მაგიდაც კი უწინდელ ადგილზე იდგა. ძველ პიანინოს კი, ამ ხნის მანძილზე, ვეჭვობ, ამწყობის ხელი მიპკარებოდა. შენ მასზე დებიუსიც დაგიკრავს, შოპენის ნოქტიურნებიც. არასოდეს დამავიწყდება პიანინოს შემოხვეული სტუმრები და მათი მსურვალე აპლოდისმენტები.

ოცდაათმა წელმა ჩაიარა, თუმცა დრო თითქმის არ განძრეულა.

ერთადერთი თვალშისაცემი ცვლილება შევნიშნე: ახალი გვირაბები! უწინ ხომ ნავით მოვედით და ნავითვე წავედით. მაშინ ეს ერთადერთი გზა იყო.

გახსოვს, როგორ ჩაგვიცხრო მიში უკანასკნელი ბორნის შემოსელამ? ამის შემდეგ სოფელი დროებით მოწყდა დანარჩენ ქვეყნიერებას, ჩვენს განკარგულებამი კი აღმოჩნდა მთელი საღამო, ღამე და მომდევნო დილა, სანამ ბორანი ფიორდიდან გაეიდა და უფრო მეტი მგზავრით დაბრუნდა ლანჩის დაწყებამდე. იმ საათებს წყალობის საათები დაეარქვით. ახლა მოსალოდნელი იყო, რომ მთელ საღამოს აიეანზე გავატარებდით და გვირაბიდან გამოსულ თითოეულ მანქანას თვალს გავაყოლებდით. ნუთუ ყველა დასავლეთისკენ იმოძრავებდა? იქნებ რომელიმე მათგანს მყინვარის მუზეუმისკენ შემოეხვია და სასტუმროში მოსულიყო ჩვენს ასაყვანად?

სხვათა შორის, დამავიწყდა, რომ ოდესღაც ჩვენ სასტუმროს მეპატრონე ქალის გოგონებს მიეხედეთ. ასე რომ, როგორც ხედავ, ყველაფერი არ მახსოვს.

დავეთანხმე შენს აზრს მიღებული და გამოგზავნილი იმეილების დაუყოვნებლივ წაშლის თაობაზე. არც დისკზე შენახვის იდეა მიჯდება ჭკუაში. ბოგჯერ მთელი რიგი იდეებისა და ასოციაციებისგან განთავისუფლებაც არ არის ხოლმე ურიგო: მეტისმეტად ბევრი სიტყვაა შენახულ-დაარ-

ქიეებული ინტერნეტში, ულეშებსა თუ კომპიუტერის ძირითად მეხსიერებაში.

ამგვარად, შენ მიერ კარგა ხნის წინ გამოგზავნილი იმეილი წაშალე და პასუხის მოსაწერად დაეჯექი. უნდა ითქვას, რომ ამ წაშლა-გაქრობამ თავისი შეღეგები მოიყოლა, რადგან, აი, ეზიავარ და ვნატრობ, რომ ზოგიერთი შენი პასაჟის გადაკითხვის შესაძლებლობა მქონდეს. იძულებული ვარ ყველაფერი საკუთარ მეხსიერებაში მოეჩხრიკო. ასე გაგრძელდება ეს ჩვენი კორესპონდენცია.

შენი თქმით, სასტუმროს აივანზე ჩვენი შეხვედრის უკან ზებუნებრივი ძალები დგანან. მე კი, მსურს, ამთავითვე გთხოვო თავი შეიკავო ასეთი მსჯელობისგან, რადგან, ჩემთავად, ახლაც ისეთივე გულწრფელი ვიქნები ყველაფერში, როგორიც წარსულში ვიყავი. ასეთ შეხვედრებში მე ვხედავ მხოლოდ შემთხვევით ხდომილებებს, რომლის უკან არავის ნება არ დგას და ვერც ვერავინ აკონტროლებს ვერანაირად. ეს შეხვედრა ნამდვილად დიდი დამთხვევა იყო, არა უმნიშვნელო ამბავი. მაგრამ არ დაგავიწყდეს ყველა სხვა დღე, როცა მსგავსი არაფერი ხდება.

იმ რისკით, რომ ოკულტურისკენ მიმართულ გზნებას აგიმღერეე, რაღაცას გაგიზიარებ. როცა სამგზავრო ავტობუსი, ბოლოს და ბოლოს, გამოსცდა გვირაბს ბერგსპოდენთან, ფიორდს ბურუსი გადაპკეროდა და ჩემ ქვემოთ არაფერი ჩანდა. მწვერვალები კი მოჩანდა, მაგრამ თვით ფიორდი და ხეობები სრულებით წაშლილიყო. შემდეგ მეორე გვირაბში შევედით და როცა იქიდანაც გამოეძვერით, უკვე ნისლის ქვემოთ ვიყავი. დავინახე ფიორდი და სამი ხეობის ფსკერი, თუმცა ახლა უკვე მთები აღარ ჩანდა.

„აქ არის ის? ისიც მოდის?", ვფიქრობდი ამ დროს.

შემდეგ მოხვედი შენ. მეორე დილით აივანზე იდექი და, თითქმის გოგონას, საზაფხულო კაბა გეცვა. სწორედ ამ დროს გამოვედი სასადილო ოთახიდან გაპიპინებული ყავის ჭიქით ხელში.

ისეთი განცდა იყო, თითქოს იმ აივანზე მე თვითონ დაგაყენე, თითქოს მე თვითონ ჩაგწერე ძველ სასტუმროში ზუსტად იმ დღეს, თითქოს იმ აივანზე თვით ჩემივე მეხსიერებიდან და ჩემი დანაკარგიდან ამოყვინთე.

თუმცა სულაც არ არის გასაკვირი, რომ ფიქრიდან არ მშორდებოდი ახლა, როცა უეცრად აღმოვჩნდი იმ ადგილას, ოდესღაც ჩვენს „ეროტიკულ დაგუბებად" რომ მოვნათლეთ. თუმცაღა, აქ მოსვლა ზუსტად ერთსა და იმავე დროს, რაღა თქმა უნდა, პირწმინდად იღბლის ამბავი იყო.

საუზმის მაგიდასთან ვიჯექი და შენზე ეფიქრობდი, თან ფორთოხლის წვენს ვწრუპავდი და კეერცხს ნაჭუჭს ეაცლიდი. მოლიანად დანთქმული ვიყავი ღამით ნანახ ხელშესახებად ცოცხალ სიზმარში. მერე კი, ყავის ფინჯნით ხელში, აივანზე გავედი... და იქ — აი, სასწაული თუ გინდა! — შენ იყავი!

შემებრალა შენი მეუღლე. სრულ თანაგრძნობას განვიცდიდი მის მიმართ, როცა — სულ ერთი საათის შემდეგ — სასტუმროში დაეტოვეთ და ყველასგან დამოუკიდებელ წყვილად ავუყვეით მთებს.

ჩვენი სიარულის თუ საუბრის დაწყების მანერა იმ პერიოდის მხიარულ ექოს პგავდა, აქ რომ ვიყავით სიჭაბუკის პირველი გაფურჩქვნისას. ხეობაც იგივე იყო და, როგორც გითხარი, შენ დღესაც ახალგაზრდად გამოიყურები.

მაგრამ მე არ მჯერა ბედისწერისა, სოლრუნ, ნამდვილად არ მჯერა.

შენ ისევ ახსენე *ურორტლბერიელი ქალი*. ეს ეხება ერთ-ერთ ყველაზე უცნაურ რამეს, რაც კი ოდესმე განმიცდია. იცი, ის ქალი არასოდეს დამვიწყებია და არც მის არსებობას უარვყოფ. თუმცა მოიცადე ცოტა ხანს. მინისკენ გზაზე რაღაცის მოწმე გავხდი.

როცა შენ და შენი მეუღლე გაემგზავრეთ, მე იქვე დავრჩი, რათა დაესწრებოდი ახალი მეტეოროლოგიური ცენტრის გახსნას, რაც მომდევნო დილას ხდებოდა. როგორც გითხარი, უნდა დამეწერა მოკლე მოხსენება ამ მოვლენის შესახებ. ასე მოხდა, რომ პარასკევ დილით ავედი სწრაფ გემზე, რომელიც მიცურავდა ბალესტრანდიდან ფლომისკენ, რამდენიმესაათიანი ლოდინის შემდეგ მირდალისკენ მიმავალ მატარებელში ჩავჯექი და, საბოლოოდ, გეზი ოსლოსაკენ ავიღე.

მირდალამდე არმისული, მატარებელი კიოსფასენად წოდებულ ეეებერთელა ჩანჩქერთან გაჩერდა. ტურისტები, პრაქტიკულად, მატარებლის ფანჯრებიდან გადმოეკიდნენ ჩანჩქერის სურათების გადასაღებად ან, სულ ცოტა, ამ ცარციევით თეთრი ნაკადის უკეთ დასანახად.

ბაქანზე რომ ვიდექით, უეცრად ჩანჩქერის მარჯვენა მხარეს *ნიმფა* გამოჩნდა და მეყსეულად გაქრა, თუმცა წამის შემდეგ ისევ გამოჩნდა ორმოც-ორმოცდაათი მეტრის მომორებით... და ეს კიდეე განმეორდა ერთხელ თუ ორჯერ.

აბა, რას ფიქრობ ამაზე? ალბათ, როდესაც ფერია ხარ, ბუნების კანონებს არ ემორჩილები.

თუმცა ნურც მეტისმეტად ვიჩქარებთ დასკვნების გაკეთებას. ხილვა იყო ეს თუ მოჩვენება? ორასამდე სხეა ადამიანმა საკუთარი თვალით დაინახა იგივე, რაც მე. მამ, ყველა ჩვენგანი შეესწრო რაღაც ზებუნებ-

რივს, ანუ რეალურ ნაიადს თუ ბუნების სულს? არა, არა. ეს ყველაფერი ამკარად ტურისტებისთვის იყო მოწყობილი და მხოლოდ ის ვერ გამიგია, რამდენს უსდიდნენ გოგონებს ამ როლის შესრულებისთვის.

მაგრამ ხომ არაფერი დამაეიწყდა? პო, დამაეიწყდა! — ყოველივეს მიუხედავად, „ფერია" ლანდშაფტის ფონზე ბუნებრივად კი არ მოძრაობდა, არამედ ელვის სისწრაფით ხტოდა ერთი აღგილიდან მეორეზე. პო, ნამდვილად. მაგრამ ეს ხრიკი იყო. წარმოდგენა არა მაქვს, რამდენი „ფერია" იყო იმ ნაშუადღეეს კიოსფოსენთან. მგონი, სულ ორი თუ სამი და ყველას ერთნაირად უსდიდნენ.

ამას იმიტომ გიყვები, რადგან მივსვდი რაღაცას, რაზეც, შესაძლოა, არასოდეს გვიფიქრია მაშინ. თუმცა ამაზე მსჯელობა არც ასლა მგონია დაგვიანებული. უორტლბერიელი ქალი შეიძლება რაღაცნაირად გამრავლდა. იქნებ როლს თამაშობდა, გვაცუცურაკებდა და, ჩვენ გარდა, სხვებიც ემსხვერპლნენ მის უორტლბერიულ ხრიკებს. თითქმის ყველგან ბინადრობენ მისნაირი ექსცენტრულ-ახირებული სოფლელები.

მაგრამ კიდევ რამე ხომ არ დამაეიწყდა? პო, რა თქმა უნდა! ის არსება თითქოს მხოლოდ არაფრიდან და არსაიდან კი არ გაჩნდა, არამედ თავისი წარმოდგენის დამთავრებისთანავე, უბრალოდ, მიწამ ჩაყლაპა. იქნებ სრულებით პირდაპირი გაგებითაც კი. შეიძლება ის პრაქტიკული ჯამბაზი იყო და რომელიღაც ძველ ჭაში ჩახტა ან ნანგრევებს უკან გაუჩინარდა. რა ვიცი? გრუნტი ნამდვილად არ გაგვისინჯავს, ისე მივქროდით ხეობაში, თითქოს თვით ეშმაკი მოგვდევდა.

ზოგჯერ ვამბობთ: მანამდე არ დავიჯერებ, სანამ არ ვნახავ! თუმცა დარწმუნებული არ ვარ, რომ თვით დანახვის შერეც კი დაჯერება გვმართებს. სანამ საბოლოოდ ვიმსჯელებთ, სულ ცოტა, თვალები მაინც უნდა მოვიფშვნიტოთ. უნდა შეეკითხოთ საკუთარ თავს: მაინც როგორ მოახერხა რაღაცამ ან ვიღაცამ, რომ ასე პირწმინდად გაეეცურებინეთ? მაშინ ასე არ მოექცეულვართ. წყობიდან გამოგვიყვანა რამდენიმე დღის წინ მომხდარმა ამ ამბავმა. თუ რომელიმე ჩვენგანი ჭკუიდან გადავიდა, მაშინ ყველას იგივე დაგვმართნია და ეგ იყო.

უკუგდებულად არ იგრძნო თავი, გთხოვ! რომ იცოდე, როგორ გამაბედნიერა შენმა დანახვამ. ახლა კი დაედივარ და თითქმის სულ ვიღიმები. და არც იმას ვამბობ, რომ ასეთი იღბლიანი დამთხვევები უმნიშვნელოა ან აზრგამოცლილი. პირიქით: ისინი შეიძლება ერთობ დიდმნიშვნელოვანიც იყოს, რადგან ჩვენს ყურადღებას იზიდავს და ზემოქმედებს ჩვენზე, და, გარდა ამისა, ფრიად არსებითი როლიც ითამაშოს მოვლენათა შემდგომ გასვლითარებაში.

ყველა შესაძლებელ ადგილთაგან ის იყო ერთადერთი, სადაც შეიძლებოდა მომსდარიყო ჩვენი შეხვედრა. ამიტომაც კიდევ ერთხელ აეისეირნეთ მწყემსის ქოხამდე. ვინ წარმოიდგენდა, რომ მსგავსი რამ განმეორდებოდა?

ოთხსაათიანი გასეირნება ხანგრძლივი არ იქნება, თუკი შემთხვევით გადაეყრები ახლობელ ადამიანს წელიწადში ერთხელ ან ორჯერ. მაგრამ თუ ბოლო შეხვედრიდან უკვე რამდენიმე ათწლეულია გასული, ოთხი საათი ძალზე ხანგრძლივ დროდ აღიქმება, რადგან, ამ შემთხვევაში, განსხვავება ერთ შეხვედრასა და საერთოდ შეუხვედრელობაში მეტისმეტად დიდია.

კარგი, სტეინ. სასიხარულოა შენი ხმის გაგონება, თუმცა იმასაც გვახსენებს, რატომ დავშორდით ერთმანეთს. ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ მაშინაც და ახლაც ძალზე განსხვავებულ ინტერპრეტირებას ვუძებნიდით ერთობლივად განცდილ მოვლენებს, მეორე მიზეზი კი ის, რომ ყოველთვის ესოდენ მფარველურ კომენტარს უკეთებდი საგანთა ჩემეულ ახსნას.

მაგრამ მაინც სასიხარულოა შენი ხმის გაგონება. მენატრები. ცოტა დრო მომეცი: გიპასუხებ, როგორც კი უკეთეს განწყობაზე ვიქნები.

მფარველობა არც მიფიქრია, ეგაა — ზუსტად ვეღარ ეისსენებ ჩემს სიტყვებს. მაინც რა გითხარი? ის ხომ არა, რომ წრეებზე დაედიეარ და გამუდმებით ვიღიმები ჩვენი მოულოდნელი შესვედრის გამო?

ასეა თუ ისე, კიდევ რაღაც მაქვს საამბობი. იმ ბორანს, რომლითაც ვიმგზავრე, იგივე სახელი ერქვა, რაც ფიორდის განშტოებას. პირველად ღუზა ჰელლაში ჩავუშვით, — იქ, სადაც ერთხელ ის ჩვენი საშინელი ძველი მანქანა დაეაყენეთ. რა უცნაური იყო გემბანზე დგომა და ბორნის მისადგომის ყურება! მერე კი მთავარი ფიორდი გადავჭერით ვანგსნესის მიმართულებით, რათა შემდეგ მოგვეხვია და ბალესტრანდამდე მივსულიყავით. იქ ფეხით ავყევ-ჩამოვყევი გზას სასტუმრო „კვიკნეს" მახლობლად, სადაც ბერგენიდან მომავალ ექსპრეს გემს დაველოდე. ცოტათი დაიგვიანა, მგონი — ნახევარი საათით, და როცა ბორტზე ავედი, აღმოვაჩინე, რომ გემს „სოლუნდირ" ერქვა!

შევკრთი. მენზე გავიფიქრე, რაღა თქმა უნდა. ბევრზე არაფერზე მიფიქრია იმ ორი დღის განმავლობაში, რაც ერთმანეთს დაევმშვიდობეთ ორთქლის ძრავიანი გემების ძველ ნავმისადგომზე. მაგრამ ამჯერად იმ ზაფხულის გახსენება დავიწყე, ერთად რომ გაეატარეთ სოლუნდის კუნ-

ძულებზე, საღაც ბებიაშენსაც ეეწეიეთ. რანღი ერქეა, არა? რანდი ᲐᲛᲝᲜᲔᲕᲝᲒ?

უბრალოდ, ოცნებებში კი არ გადაეშეი, – მსურს, აღვწერო ეს ამბავი, როგორც ცნობიერების განსაკუთრებული მდგომარეობა, რადგან ჩემს გონებაში უეცრად იხუელა ძველი განცდების, ცოცხალი სიხეებისა და მთაბეჭდილებების მთელმა კასკადმა იმ პერიოდიდან, ზღვასთან რომ დავყავით ოცდარაღაც წლისებმა. თითქოს იმ ფილმის ეპიზოდებს ესედავდი, რომლის გადაღების პროცესი აღარ მასსოედა. ეს არ იყო უხმო კადრები, რადგან მესმოდა შენი ხმა, სიცილი და ჩემდამი მომართვა. იქნებ ბრიზის და ზღვის ფრინველების ხმებიც მესმოდა და შენი ერძელი შავი თმის სურნელებაც მცემდა, ზღვის და წყალმცენარეთა სურნელება? ეს ჩვეულებრივი აბრების მდინარება არ იყო. ამ ყველაფერმა ისე ამოხეთქა, როგორც ჩახშული ნეტარების გეიზერმა, როგორც ჩეენი კუთვნილი დროის მოქცეევა-დაბრუნებამ.

თავდაპირველად, ძეელ სასტუმროში გხედები ოცდააოწლიანი ინტერვალის შემდეგ, იქიდან კი ებრუნდები გემით, რომლის სახელი იგივეა, რაც საერთო დასახელება პაწაწინა კუნძულებისა, საიდანაც დედაშენის ოჯახი წამოვიდა. შენ ხომ არაერთგზის გითქვამს, ჩემი სახელი თითქმის იმ კუნძულების ექოდ ეღერსო? ჩვეულებრივ, მე და შენ ესაუბრობდით ხოლმე *იგრე სულამე* – ყველაზე განაპირა კუნძულზე, საღაც ბებიაშენი ცხოვრობდა. მაგრამ *სოლრუნ* და *სოლუნდირ*?! განა ეს უცნაური არ იყო?

თუმცაღა, არ უნდა დაგვიყოლიოს ცღუნებამ, რომ საიდუმლო დასკვნები გავაკეთოთ ურთიერთობათა ამ შემთხვეეითი ქსელიდან. გემს სახელი, უბრალოდ, რეგიონის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ცენტრის მიხედეით მიეინჭა. ეს იყო და ეს. ᲰᲝᲓᲐ, მეც დავეშეიდდი. თუმცა გემბანზე ვიდექი და დიდხანს ვიღიმებოდი.

შენ რაღას ფიქრობ?

ახლა მე იქ ვარ. ანუ სოლუნდში. კოლგროვის ძველ სახლში ვზივარ და რიფებს და კუნძულებს გადავყურებ. ერთადერთი რამ მინგრევს ამ სანახაობას: მამაკაცის ფეხები. ნილს პეტტერ კიბეზე დგას და ფანჯრის ჩარჩოებს ღებავს.

იმ ოთხშაბათს, როცა მე და შენ მწყემსის ქოხიდან ჩამოვედით, ჩემმა მეუღლემ მნიშვნელოვნად მიიჩნია იქაურობის დატოვება შეძლებისდაგვარად სწრაფად. სხვა რომ არაფერი, შინ ექვსი საათის ახალ ამბებს მაინც უნდა მივუსწროთო, — ასე თქვა.

უკვე სამი საათი ხდებოდა, როცა ბოიადალს ჩავუარეთ და გვირაბში შევედით მყინვარის ახლოს. გვირაბიდან გამოსულებმა შევნიშნეთ, რომ ნისლი ზემოთ იწევდა და მზეც უკეთ და უკეთ იკვეთებოდა. ეს ნისლი აღმოჩნდა ერთადერთი რამ, რაზეც ხმა ამოიღო ნილს პეტტერმა, სანამ ფორდეს გავცდებოდით. ნისლი ზემოთ იწევსო, თქვა მაშინ, ტბას რომ შემოვუარეთ სკეის მახლობლად. საუბრის წამონყება ვცადე, მაგრამ სხვა ვერაფერი დავაცდენინე. მოგვიანებით, აზრად მომივიდა, რომ ეს მოკლე კომენტარი შეიძლებოდა ყოფილიყო უფრო მეტი, ვიდრე უბრალო მეტეოროლოგიური შენიშვნა, ანუ იმდენივე ინფორმაცია მის საკუთარ განწყობაზე, რამდენიც ნისლზე.

ფორდედან სამხრეთისკენ სვლისას იგი მომიბრუნდა და მითხრა: ერთი დღისთვის მეტისმეტად გრძელი მოგზაურობა გამოგვდის და იქნებ ერთი ღამე იმ ქოხში გავატაროთო. ეს ნაგებობა დედაჩემის ოჯახს ეკუთვნოდა და ამჟამად „საზაფხულო ქოხს" ვუნოდებთ. თავდაპირველად, პირდაპირ შინ მისვლას ვაპირებდით, უპირატესად — მომდევნო დღისთვის განსახორციელებელი მისი გეგმების გამო. მაგრამ ეს ბოლო შემოთავაზება წარმოადგენდა შერიგებისკენ მიმართულ მცდელობას იმისთვისაც, რომ ასე დაიბოღმა, როცა შენთან ერთად ხანგრძლივი გასეირნება დავიყინე (ოცდაათწლიანი პაუზის შემდეგ, სტეინ!), და იმისთვისაც, ამდენ ხანს ხმისამოუღებლად რომ იჯდა მანქანაში. ასეც მოვიქეცით. ფიორდი გადავჭერით და გეზი სოლუნდის კუნძულებისკენ ავიღეთ. მშვენიერი დრო გავატარეთ ზღვისპირას იმ დღეს, როცა შენ მეტეოროლოგიური ცენტრის გახსნას ელოდი. ბუნებრივია, სხვადასხვანაირ აზრებს გიგზავნიდი. ვგულისხმობ მოგონებებს და სახეებს, ერთად გატარებულ დროს... ასე ჩაიარა მომდევნო რამდენიმე დღემ. ინტენსიური მოგონებები იყო და ზოგი მათგანი აშკარად მოგწვდა, როგორც „კადრები ფილმისა", რომლის გადაღების პროცესი შენ აღარ გახსოვს...

შინ, ბერგენში, ხუთშაბათს დავბრუნდით გვიან ღამით. პარასკევს ადრიანად წავედი იმის სანახავად, თუ როგორ იღებდა ღუზას *სოლუნდირ*. დილის რვა საათზე გადის ბერგენიდან. შენგანვე ვიცოდი, რომ სწორედ იმ დილას ტოვებდი ბალესტრანდს, და რაკი ადრიანად ავდექი, მეც დოკებისკენ გავისეირნე, რათა კეთილი მგზავრობა მესურვებინა შენთვის, კიდევ ერთხელ დაგმშვიდობებოდი. შეგიძლია, აბსურდული მინოდო, მაგრამ ასეთი სურვილი გამიჩნდა. საამური იყო იმის გაფიქრება, რომ *სოლუნდირით* მგზავრობდი. წარმოვიდგინე, რომ მიხსენებდი მეც და ჩვენს საზაფხულო გიჟამჟობასაც.

არა, გემს ჩემი სახელი არ ჰქვია. შენი თქმის არ იყოს, ეს სახელი მოდის სონეფიორდთან მდებარე კუნძულებიდან, სადაც მე თითქმის მთელი წარსული გავატარე და სადაც ახლა ვზივარ და ზღვას გადავყურებ. საბედნიეროდ, მამაკაცის ფეხები აღარ ჩანს, თორემ აქამდე ხედსაც მიფანტავდა და აზრებსაც...

სოლუნდირ, უბრალოდ, *სოლუნდის* მრავლობითი ფორმაა და სოლუნდის ჯგუფის ასეულობით კუნძულს მოიცავს. *სოლ* ნიშნავს „ნაოჭს", *უნდ* კი — „აღსავსეს". *სოლუნდის* კუნძულები ნაოჭებითაა სავსე. ეს უბრალო გეოლოგიური აღწერა არ არის. „დაღარული, ქარით დატალღული ზღვის ზემოთ...", როგორც ჩვენს ეროვნულ ჰიმნშია.

დარწმუნებული ვარ, გახსოვს როგორ ვთამაშობდით დამალობანას იმ განსაცვიფრებლად რელიეფურ კლდოვან ფორმაციებში, თვალისმომჭრელად ფერადოვან კონგლომერატზე. და არც ის გექნება დავიწყებული, საათობით რომ ვაგროვებდით ქვებს იმ გამოქანდაკებულ მიდამოში: შენ — მარმარილოს, მე — წითელი ქვის განსაკუთრებულ სახეობას. ორივე ისევ აქ ღაღანებს, შენიც და ჩემიც. დღესდღეობით ყვავილნარის შემოსაღობად ვიყენებ.

მართალი ხარ: ბებიაჩემს რანდი ერქვა. და ცოტათი გულდასანყვეტია, რომ მეკითხები ამას. თქვენ ხომ მშვენივრად ეწყობოდით ერთმანეთს. მახსოვს, როგორ დაახასიათე ერთხელ ჩემი ბებიკო, როგორც უთბილესი და უსაყვარლესი ადამიანი ყველა იმათგან, ვინც კი ამქვეყნად შეგხვედრია. რა კარგი ვინმეა ეს სტეინიო, — სულ ამას ღიღინებდა თავის პატარა ბაღნარში. რაღაც სრულებით განსაკუთრებული ხდებოდა *ამ სტეინთან* დაკავშირებით. ბებიკოს არასოდეს შეხვედროდა ასეთი საოცარი ჭაბუკი.

როგორც იცი, დედაჩემიც აქ გაიზარდა, ქვეყნის დასავლეთ მხარის ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ ნაწილში. მისი ქალიშვილობის გვარი იყო ჰიონვოგ. ესეც გემახსოვრება. და როცა სოლრუნ დამარქვეს, ეს სახელი ალალბედზე კი არ მოუვიდათ აზრად, არამედ, ნაწილობრივ, ჩემი ოჯახის წიაღიდან იღებს სათავეს.

ამჟამად ყველა კვლავ აქ ვართ, ოთხივე. რამდენიმე დღეში კი ისევ ჩაგვითრევს სკოლა და რუტინული ცხოვრება. ინგრიდ სტუდენტია! ჰაერი ფიორდის შესართავთან უჩვეულოდ მშვიდია. გუშინ ბაღში ვისხედით და ბარბექიუც მივირთვით.

ქვეყანა დამთხვევებით შეკონწიწებული მოზაიკა არ არის, სტეინ. ყველაფერი გადაბმულია ერთმანეთთან.

ჩინებულია, რომ მიპასუხე. როგორც ეხედაე, შენი ხასიათის ვამოკეთებას დიდი დრო არ დასჭირდა. შენ ახლა *იქ* ხარ, ხო აბრმე ხარ! და რაკი ერთმანეთს ეწერთ, ესე იგი, ცოტათი მეც მანდ ვარ. პირველი მე ეამბობ, რომ, მათ მორის არსებული დიდი მანძილის მიუხედავად, ადამიანები შეიძლება მთლად გვერდიგვერდ იყვნენ. გონების თვალით ეხედაე, როგორ ჩარბიხარ ყველა საფეხურს სკანსენიდან და რომელიღაც ესპანური ფილმი მიდგება თვალწინ. სხვა რომ არაფერი, ახლა იმას მაინც ეაცნობიერებ, რომ შენი მოსალმება მომწედა.

ერთ მომენტში, მუნდალსდალზე რომ ავდიოდით, შენ თქვი, ყოველგვარ ზებუნებრივ მოვლენას უარვყოფო. გამოაცხადე, რომ არ გწამს ტელეპატია, მესამე თვალი თუ ნათელხილვა. იგივეს აცხადებდი თვით მაშინაც კი, როცა ამ მოვლენათა დამადასტურებელი თვალსაჩინო მაგალითები დაგისახელე. როგორც ჩანს, შენც ის შემთხვევა ხარ, როცა არც საკუთარ ანტენებს იყენებს კაცი, არც თვალსაფრებს ისხნის თვალებიდან და, ეგებ, ვერც იმას ცნობს, რომ ზოგჯერ ისეთ რამეებს „ილებს", რაც თავისივე შთაგონება გგონია.

მაგრამ შენ მარტო არა ხარ, სტეინ. მრავალი ფსიქიკური სიბრმავეა ჩვენს საუკუნეში, მრავალი სულიერი სილატაკე.

საკმაოდ გულუბრყვილო ვარ და არ შემიძლია უბრალო დამთხვევების ყუთში ჩავტენო ის ფაქტიც, რომ ორივენი ერთი სასტუმროს აივანზე აღმოვჩნდით ოცდაათწლიანი მარადისობის შემდეგ. მჯერა, რომ ასეთი რამეები რაღაცნაირად კონტროლდება. ნუ მკითხავ, როგორ ან რატომ, იმიტომ, რომ არ ვიცი და ვერაფერს გეტყვი. მაგრამ არცოდნა ერთია, თვალების დახუჭვა — მეორე. ოიდიპოს მეფე ვერ ხედავს ბედისწერის ძაფებს, მას რომ მართავენ, და როცა ყველაფერს ნათელი ეფინება, იმდენად თავმოჭრილია და განადგურებული, რომ საკუთარი ხელით იშრეტს თვალისჩინს. თუმცა, რასაკვირველია, თავისი ბედისწერის მიმართ ის იმთავითვე ბრმა იყო.

ეს საუბარი ცოტათი პინგ-პონგს დაემსგავსა და იქნებ მთელ ნაშუადღევს გვეგზავნა წერილები ერთმანეთისთვის? ასე ხომ, ზაფხულის ამ დღეს, ცოტას მეც გაეიხარებდი სოლუნდთან ურთიერთობით. რას იტყვი?

რატომაც არა, ჩვენ ხომ ვსაუბრობთ. დღეს არ ვმუშაობ, ამ სახლში კი მოქმედებს დაუნერელი წესი: ასეთ დღეებში თითოეული თავისი სურვილისამებრ იქცევა. ეგაა, მკაცრად ვიცავთ ერთად ჭამის პრინციპს.

საუზმე არ იგულისხმება: გაღვიძების შემდეგ ყველა თავ-თავისთვის საუზმობს. აი, ერთობლივ ლანჩს კი ახლახან მოვრჩით და სადილამდე, ანუ გვიან საღამომდე, სხვა საქმე აღარაფერი მაქვს. თუ ქარი არ ამოვარდა, დღესაც ბარბექიუს ამინდი გვექნება.

შენ? რა მელის ამ ნაშუადღევს შენგან?

ეპა, რომ ვერაფერს შემოგთავაზებ შენი გარემოს შესატყვისს. ოსლოს უნივერსიტეტის მოსაწყენ ოფისში ვმივარ და აქვე დაერჩები საღამოს შეიდ საათამდე, როცა ბერიგს უნდა შეეხვდე ქალაქში. ბერუმში მივდივართ. იქ მისი მოხუცი, თუმცა გონებრივად ფხიზელი და ძალზე გონებამახვილი მამიკო უნდა მოვინახულოთ. მაგრამ ეს საღამოს მოხდება, მანამდე კი რამდენიმე საათი ჩვენს განკარგულებაშია.

არ დაგავიწყდეს, რომ ხუთი წელინადი დავყავი ოსლოს უნივერსიტეტში. ის წლები, სტეინ... ჩემთვის საკმაოდ ეგზოტიკურია იმ წლებზე ოცნება.

თუმცა, თუ უკან დავბრუნდებით, არა მგონია, ოდესმე დიდად ესწრაფოდი უნივერსიტეტის პროფესორობას. შენ ხომ საშუალო სკოლის მასწავლებლობა გსურდა?

მაგრამ აღმოვაჩინე, რომ შენი წასვლის შემდეგ საგარლად ბევრი დრო დამრჩა შესაფასები. ეს ჯერ დოქტორის ხარისხამდე მივიდა, შემდეგ სამეცნიერო-კვლევით თანამშრომლობამდე ადამიანების მთელ ჯგუფთან მაგრამ, მე მგონი, ცოტა ხანს უნდა შევიცადოთ, სანამ *მამინდელმე* ვილაპარაკებთ. ის უფრო მაინტერესებს, ვინ ხარ ამჟამად.

მე თვითონ გავხდი საშუალო სკოლის მასწავლებელი. ჩვენ ამაზე ვილაპარაკეთ და, მართალი გითხრა, ეს ამბავი არასოდეს მინანია. პრივილეგიად მიმაჩნია ცხოვრების სახსრის შოვნა იმით, რომ დღეში რამდენიმე საათი გავატარო ჩემზე მონდობილ ბავშვებთან, თანაც — ვასწავლო ისეთი რამეები, რაც მე თვითონ მაინტერესებს. აქ ლაპარაკია არა იმ უბრალო კლიშეზე, რომ მოსწავლეებთან ურთიერთობის პერიოდში შენ თვითონ სწავლობ. უმეტეს კლასებში ყოველთვის მოიძებნებოდა მავანი ქერაკულულებიანი ბიჭი, რომელიც მახსენებდა შენს თავს და ჩვენ ორივეს ძველ დროში. ერთ წელს კი ისეთი ბიჭიც გამოერია, ნამდვილად რომ გგავდა და თითქმის შენი ხმაც ჰქონდა.

მაგრამ ახლა შენი ჯერია. მგონი, მოგწერე იმის თაობაზე, რომ დამთხვევად არ მიმაჩნია, ისევ ერთ აივანზე რომ აღმოვჩნდით.

ჰო, ეგრე იყო. თვით სიტყვები „შემთხვევითი შეხვედრა“ ან „ბედნიერი შემთხვევითობა“ მიუთითებს ისეთ რამეზე, რაც, პირწმინდად სტატისტიკური თვალსაზრისით, ნაკლებად შესაძლებელია. ერთხელ გამოვითვალე: იმის შანსი, რომ გაგორებული კამათელი თორმეტჯერ დაჯდეს ექვსიანზე – თორმეტჯერ ზედიზედ – არის ერთი ორ მილიარდზე. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამქვეყნად ასეთი რამ არაფის ღირსებია, არ ნიშნავს იმ უბრალო მიზეზით, რომ დედამიწაზე რამდენიმე მილიარდი ადამიანია და კამათელსაც თითქმის ყველგან აგორებენ. მაგრამ ასეთ გამონაკლის შემთხვევაში ჩვენ ასტრონომიული მასშტაბების შანსზე ელაპარაკობთ და როცა ის ხორციელდება, ადამიანებს ზოგჯერ ისტერიული სიცილი უტყდებათ, რაკი, სტატისტიკურად, ათასობით წელი უნდა გაატარო კამათლის გორებაში, რომ თორმეტჯერ ზედიზედ დასვა ერთი და იგივე ციფრი. თუმცაღა, რასაკვირველია, ეს შეიძლებოდა მომსდარიყო სავსებით სპონტანურად, სულ რამდენიმე წამში.

განა საამური არ არის ამის გაფიქრება?

უდავოდ, განსაცვიფრებელი დამთხვევა იყო შენთან შეხვედრა იმ აივანზე. პირდაპირ შოკი. არც იმაზე ვიყოყმანებდი, რომ ამ წამისთვის *ილბლის მოალერსება* დამერქმია. მაგრამ არაფერია ამაში „ზებუნებრივი“.

სავსებით დარწმუნებული ხარ?

ჰო, თითქმის სავსებით. სწორედ ისევე, როგორც დარწმუნებული ვარ, რომ არ არსებობს არავითარი ბედი, წარმმართველი ხელი ან გონებრივი ძალა, რომელსაც შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს, მაგალითად, კამათლებით თამაშის შედეგზე. შეიძლება ვიღაცამ ითაღლითოს, ვიღაცის ხელები მარჯვედ მოძრაობდნენ, ვიღაცას მეხსიერებამ უღალატოს ან ყალბი ინფორმაცია გავრცელდეს, მაგრამ ფიზიკურ ხდომილებებზე ვერანაირ *უშუალო* ზემოქმედებას ვერ მოახდენს ბედი, განგება ან ის ფსევდომოელენა, *ფსიქოკინეზისად* რომ მოიხსენიებენ მაეანნი.

ოდესმე თუ გაგიგონია, რომ ვინმე რულეტის თამაშით გამდიდრებულიყოს იმის წყალობით, რომ აბრის ძალით გაეკონტროლებინოს ან ზუსტად ეწინასწარმეტყველოს, სად შეჩერდება მეორავი ბურთი? ასე ხომ სულ რამდენიმე წამში გახდებოდი მილიონერი. მაგრამ არავინ დაჯილდოებულა ასეთი უნარით, არავინ! ამიტომაც არასოდეს გამოუკრავთ

არცერთ კაზინოს მესასელელთან რაიმე განაცხადი, აზრის ამომცნობები და მედიუმები არ დაიშვებიანო. მსგავსი აკრძალვები საჭირო არ არის.

უფრო განზოგადებულად განვისილოთ იღბალზე დამყარებული თამაშების და ჩვენი ცხოვრების სხვა განზომილება. ამქვეყნად ყველაზე გასაოცარ იღბლიან შემთხვევებს, როგორც წესი, იმახსოვრებს და სათუთად ინახავს ის კულტურა, რომელმიც ჩვენ ვცხოვრობთ. და თვით გამოუცდელი დამკვირვებელიც კი აღვილად მონათლავს უჩვეულო მოელენებზე მოყოლილი ანეკდოტების მთელ გროვას ისეთ „ძალებად", თითქმის ყველგან რომ არსებობენ და ზემოქმედებენ ყველა ჩვენგანის ცხოვრებაზე.

ჩემი აზრით, ამ მექანიზმის გაგებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თვით ლატარიის მომგებთა ნუსხა, რომელსაც დღემდე არ იეიწყებენ, რაღაცით დარვინის ბუნებრივ გადარჩევას გვაგონებს. ერთადერთი სხვაობა ისაა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ჩვენ *ხელოვნურ* გადარჩევაზე ვსაუბრობთ. სამწუხაროდ, ამან იოლად შეიძლება შექმნას ხელოვნური ცნებები.

მეტ-ნაკლებად შეგნებულად, ჩვენ ერთმანეთთან ვაკავშირებთ დაუკავშირებელ გარემოებებს. ეს, ჩემი რწმენით, ადამიანის დამახასიათებელი თვისებაა. ცხოველებისგან განსხვავებით, ჩვენ ხშირად ვეძებთ მილმურ მიზეზებს, მაგალითად — ბედს, განგებას ან რომელიმე მაკონტროლებელ პრინციპს თვით მამინაც კი, როცა მსგავსი არაფერი არსებობს.

ასე რომ, ჩვენი იმდღევანდელი შესყედრა სრული შემთხვევითობაა. ამის მოხდენის შანსი მინიმალური იყო: იქ ხომ არცერთი ჩვენგანი არ მოხვედრილა მთელი ამ ოცდაათი წლის განმაელობაში. მაგრამ შანსის მინიმალურობა, თავისთავად, არანაირად არ ნიშნავს, რომ მოხდა რაღაც სხვა და არა ბედნიერი დამთხვევა.

რომ მოგვესერხებინა და ერთ სქელ ტომში მოგვეყარა თავი მსოფლიოში მომხდარი მნიშვნელოვანი დამთხვევების ყველაზე გამაოგნებელი შემთხვევებისთვის, ანუ ყველა „მომგებიანი ბილეთისთვის", მაშინ ადგილი უნდა დაგვეტოვა კიდევ რამდენიმე ტრილიონი ტომისთვის, რომლებშიც *წამგებიან ბილეთებს* წარმოვადგენდით. მაგრამ დედამიწაზე არ ხარობს ამდენი წიგნის დასაბეჭდად საჭირო რაოდენობის ხე. საერთოდ, ჩვენს პლანეტაზე ვერც ამდენი წიგნი დაეტევა და ვერც ამდენი ხე.

მოვიყვან წამგებიანი ბილეთის ერთ მაგალითს და გკითხავ: ნუთუ ოდესმე წაგიკითხავს კეთილსინდისიერი ბომის ინტერვიუ ვინმე ისეთთან, ვისაც ლატარია *არ წაუგია*?

დიდად არ შეცვლილხარ მთელი ამ ხნის მანძილზე. და ეს ცუდი არ არის, სტეინ. არის რაღაც ბიჭურ-ცინცხალი მაგ შენს სიჯიუტეში.

მაგრამ, შესაძლოა, ბრმა ხარ. შესაძლოა, ორივე ხარ: გონებაშეზღუდულიც და ახლომხედველიც.

თუ გახსოვს მაგრიტის სურათი, რომელზეც გამოსახულია მინის ზემოთ მოტივტივე ვეებერთელა კლდე ნვერზე დასკუპებული პატარა ციხე-კოშკით? არ შეიძლება ეს სურათი არ გახსოვდეს.

არადა, რაღაც მსგავსს რომ შესწრებოდი დღეს, ნამდვილად თავის მართლებას მოჰყვებოდი. შეიძლებოდა გეთქვა, ეს რომელიღაც მორიგი ოინია, კლდე შიგნიდან გამოუფუღრავთ და ჰელიუმით აუვსიათო. ან კიდევ: ამ ყველაფერს უხილავი შკივებისა და მავთულების ეშმაკურად მოწყობილი ბადე ამოძრავებსო.

მე გაცილებით მარტივი სული ვარ: ალბათ, ხელებს ავნევდი იმ ლოდისკენ და გალობად ამოვთქვამდი *ალელუიას* თუ *ამინ-ს.*

შენს პირველ იმეილში მწერდი: „ზოგჯერ ვამბობთ: მანამდე არ დავიჯერებ, სანამ არ ვნახავ! თუმცა დარწმუნებული არ ვარ, რომ თვით დანახვის მერეც კი დაჯერება გვმართებს...“

უნდა გითხრა, რომ ეს გამოთქმა ცოტა არ იყოს მადარდიანებს. ჩემი ყურებისთვის ეს რამდენადმე არაემპირიულად ჟღერს: არ ვენდოთ საკუთარ შეგრძნებებს. სიმართლე გითხრა, ეს ცოტათი ჩამორჩენილად ჟღერს...

თუ შეგრძნებები გადმოსცემდნენ რაიმე ისეთს, რაც არ შეესატყვისებოდა არისტოტელეს მოძღვრებას, მაშინ სწორედაც შეგრძნებები ტყუოდნენ. თუ დაკვირვება პლანეტების ორბიტებზე არ შეესაბამებოდა სამყაროს გეოცენტრულ ხედვას, ადამიანები იგონებდნენ „ეპიციკლად“ წოდებულ რაღაც თაღლითობას, რათა აეხსნათ ის, რასაც თვალი ხედავდა. კლერიკალები და ინკვიზიტორებიც მიმართავდნენ თვითცენზურას, ვინძლო თვალი აერიდებინათ გალილეის ტელესკოპისთვის.

თუმცა შენ იცი ეს ყველაფერი.

გიფიქრია თუ არა იმაზე, რომ ჩვენ ორივემ საკუთარი თვალით ვნახეთ ხავსისა და ბალახების ზემოთ აცურებული დიდი კლდოვანი მასა? სასნაული ამ წუთისოფლის მიღმა! და, ნება მომეცი, დავამატო, რომ შენ და მე ზუსტად ერთი და იგივე რამ ვნახეთ და რომ ამაში აზრთა არავითარი სხვადასხვაობა არ გვქონია.

ვითომ?

ჰო, სრულიად არაორაზროვნად.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს შეხვედრას იმ აივანზე: ხომ არ გვეცადა და გვერდზე გადაგვედო ბედისნერის ყველა ეს ძაფი?

რას გულისხმობ?

იქნებ „დამთხვევა" ისეთივე ბანალური რამ იყო, როგორიც, გარკვეულწილად, ტელეპატია. თუმცა ეს შენთვის ბევრს არაფერს ნიშნავს, თუ უკვე ისე ხარ მომართული, რომ არც აზრის გადაცემის „გნამს".

ის ნამდვილად გჯერა, რომ გრავიტაცია არსებობს. მაგრამ თუ ახსნიდი, რას წარმოადგენს ის?

იქნებ, სხვა რომ არაფერი, უნდა მომცე შესაძლებლობა — ერთხელ მაინც ჩახედო ჩემს გალილეის ტელესკოპს?

გრავიტაციას ვერ აეხსნი: ის, უბრალოდ, არსებობს. და, რაღა თქმა უნდა, შენს ტელესკოპშიც ჩავიხედები. თორმეტამდე ტელესკოპიც რომ გქონდეს, თორმეტიანში ჩავიხედები. ჰოდა, ჯერ პირველი მომეცი.

რაც შეგვეხება მე და ნილს პეტტერს, ძალიან სპონტანური მოგზაურობა გამოგვივიდა. სწორედ მე ვუკარნახე: ერთი დღე ფიერლანდში გავატაროთ, ნიგნის ქალაქიც მოვინახულოთ და მყინვარის მუზეუმიც-მეთქი. ნამდვილად ბერგენის აღმოსავლეთ ნაწილიდან ებრუნდებოდით, მაგრამ ვიფიქრე, რომ ამდენი ნლის შემდეგ შევძლებდით და ცოტას გადავუხვევდით. თუმცა, რასაკვირველია, ეს ჩემთვის არცთუ უმტკივნეულოდ ჩაივლიდა. ეს იდეა ხომ უეცარი შთაგონებასავით ამოხტა ჩემში.

შენ გაცილებით მეტი დაგიგეგმავს წინდანინ. ასე რომ, ამ შემთხვევაში, შენ იყავი გადამცემი, მე კი — მიმღები. ასე უცნაურად არ გამოვიდოდა, ძველ სასტუმროში ჩვენი პირველი ყოფნისას შენ რომ „გამოგეგზავნა" აზრი: კიდევ ვაპირებ აქ მოსვლასო. საქმე, უბრალოდ, ისაა, რომ წარმოდგენა არ გაქვს, როცა რაიმეს გადასცემ ან ილებ. არც ფიქრის დროს შეიგრძნობ რამეს თავის ქალის შიგნით. თუნდაც რაიმე ერთობ დრამატულზე, ძალუმზე ან ნაღვლიანზე ფიქრობდე, მაინც არაფერი შხრიალებს, არ იხლიჩება და არ გინივის თავში. ეს იმიტომ, რომ აზრებს, როგორც წესი, არაფერი აქვთ საერთო სხეულთან და ფიზიკურ პროცესებთან.

ჩემთვის, ყველაზე მარტივი ახსნა იმისა, თუ როგორ აღმოვჩნდით ერთდროულად ჩვენი ცხოვრების უსაყვარლეს და უმწარეს ნერტილში,

არის ტელეპატია. შენი ახსნა (ან თავის გამართლება) უფრო რთულია და, ჩემი ყნოსვისთვის, გლუვი სტატისტიკის სურნელი დაჰკრავს.

სუფთა შესაძლებლობების თვალსაზრისით, ჩვენი შეხვედრა ძველ აივანზე ისეთი იყო (უხეშად თუ შევადარებთ), თითქოს ფიორდის ორ მოპირდაპირე ნაპირზე ვიდექით, თითო-თითო ტყვია გავისროლეთ, გასროლილი ტყვიები ერთმანეთს შეასკდნენ და ერთ სხეულად ჩაყვინთეს წყალში. ეს *შეიძლებოდა* ყოფილიყო *ზებუნებრივი.* ყველა შემთხვევაში, სასწაულებრივი სიზუსტე მაინც დაერქმეოდა. ასე და ამგვარად, ვგონებ, გაცილებით იოლია ფიქრი ორ სულზე, რომლებიც ოდესღაც ძალიან ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, შემდეგ კი შეძლეს დისტანციურად დაკავშირებოდნენ ერთმანეთს ორივესთვის ღრმად ემოციურ მომენტში. შენ სიგნალი გამომიგზავნე — ისევ იქ მივდივარო, მე ეს სიგნალი მივიღე და მოვედი!

ტელეპატია, ფაქტობივად! ეს კარგად ახსნილი ფენომენი, რომლითაც მე გონივრულად განვმარტავ იმას, რასაც შენ „უჩვეულო და ბედნიერ დამთხვევად" ნათლავ, მრავალ ადამიანს გამოუკვლევია მსოფლიოს არაერთ უნივერსიტეტში. პირველდამწყებთა შორის იყვნენ ცოლ-ქმარი რაინები რუკის უნივერსიტეტში, ჩრდილოეთ კაროლინას შტატში, XX საუკუნის 30-იან წლებში. თუ მოისურვებ, სიამოვნებით გამოგიგზავნი ამ კვლევის ანგარიშებს. მთელი ბიბლიოგრაფია მაქვს.

განა ისიც სიმართლე არ არის, რაც კვანტურმა მექანიკამ გვიჩვენა: რომ სამყაროში ყველაფერი ურთიერთკავშირშია, თვით უმცირესი ნაწილაკებიც კი?

ამასწინათ, ზოგიერთი ჩემი კოლეგის დახმარებით, გვარიანად შევისწავლე კვანტური მექანიკა. გასულ წელს ჩემს სკოლაში ინტერდისციპლინარულ სემინარს ვატარებდით ხოლმე საღამოობით. თვით კლუბს, უბრალოდ, In Vino Veritas[2] ჰქვია, რაც, შესაძლოა, რაღაცნაირად ამხელს მის მშვიდ და აუჩქარებელ ხასიათს. თუმცა, ფიზიკოსებთან და ბუნებისმეტყველებთან გატარებული რამდენიმე საღამოს შემდეგ, ისეთი განცდა არ გამჩენია, რომ, პლატონის ეპოქასთან შედარებით, თანამედროვე ფიზიკამ სამყარო უფრო მეტად განძარცვა საიდუმლოსგან. შემისნორე, სტეინ, თუ ფიქრობ, რომ ვცდები.

თუ ორ ნაწილაკს — ვთქვათ, ორ ფოტონს — საერთო ბირთვი ან სანყისი წერტილი ჰქონდათ, შემდეგ გაიხლიჩნენ და დიდი სიჩქარით დაშორდნენ ერთმანეთს, ორივე მაინც ერთი მთლიანის ნაწილად დარჩება. თუნდაც სხვადასხვა მიმართულებით გაიტყოცნონ და სინათლის ნლებით დაშორდნენ ერთმანეთს, მაინც ერთმანეთზე გადაბმული რჩებიან

და თითოეული მათგანი ინფორმირებულია მეორის შესახებ. ამას აშკარად არაფერი ესაქმება ჩვეულებრივ კომუნიკაციასთან, არამედ ლაპარაკია ორი ნაწილაკის *ურთიერთდამოკიდებულებაზე*, ანუ იმაზე, რასაც *არალოკალურობას* უწოდებენ. კვანტურ დონეზე, სამყარო არსებითად არალოკალურია. ეს უცნაურია, შესაძლოა — გრავიტაციასავით მიუწვდომელიც, და აინშტაინმაც უკუაგდო ეს ფენომენი, რაკი ჩვენი გონებისათვის მავნედ მიიჩნია. თუმცა, აინშტაინის შემდეგ, ეს მოვლენა ექსპერიმენტულადაც დადასტურდა.

ამჯერად ვლაპარაკობთ არა ტელეპატიაზე, არამედ *ტელეფიზიკაზე*. თუმცაღა, ჩემს თვალთახედვაში, სულიერი კონტაქტი დიდ მანძილებზე უფრო ნიშნეულია კაცობრიობისთვის, ვიდრე კვანტური მექანიკა, — თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ *სულები* ვართ. ახედე ვარსკვლავებს და გალაქტიკებს, სადღაც მიმქროლავ კომეტებს და ასტეროიდებს... და კარგად გადაიხარხარე! მათ შეუძლიათ იყვნენ დიდი ციური სხეულები, მაგრამ მხოლოდ *ჩვენ* ვართ ცოცხალი სულები ამ სამყაროში. რა იციან კომეტებმა და ასტეროიდებმა? რა შეუძლიათ აღიქვან? რა თვითშეგნება აქვთ?

მე რომ ცრუმორწმუნე ვიყო, ვიტყოდი, ფოტონებს ცნობიერება აქვთ და ერთმანეთს აზრებს უგზავნიან-მეთქი. არა, ბატონო, მე ეს არ მწამს. მე ის მჯერა, რომ მხოლოდ ჩვენ — ადამიანები — ვართ უნიკალურები. სამყაროს თეატრში *ჩვენ* ვართ *სულები*!

სტეინ! ამწუთას, როცა ამ ფრაზას კითხულობ, შენს ტვინში მილიარდობით ნეიტრინო მიჰქრის. ისინი მოდიან მზიდან, ირმის ნახტომის სხვა ვარსკვლავებიდან, სამყაროს სხვა გალაქტიკებიდან. თავისებურად, ისინიც სამყაროს არალოკალობის გამოხატულებანი არიან.

მეორე პარადოქსი ის გახლავს, რომ, კვანტურ მექანიკაში, ნაწილაკები ზოგჯერ ტალღისებურად მოძრაობენ, ზოგჯერ კი — როგორც ნაწილაკები. ექსპერიმენტებმა აჩვენეს, რომ ელექტრონს — მატერიის პანაწკინტელა ნაწილაკს — შესწევს უნარი ერთდროულად გაიაროს ორ სხვადასხვა ღიობსა თუ ნახვრეტში. ეს თითქმის ისეთივე განსაცვიფრებელი წარმოსადგენია, როგორც ტენისის ბურთი, რომელიც ერთდროულად გადის ჩოგბურთის მოედნის მესრის ორ სხვადასხვა ნახვრეტში.

მე არ გთხოვ, ამიხსნა ან დეტალურად განმარტო, როგორც ხდება, რომ რაღაც ერთდროულად ტალღაც იყოს და ნაწილაკიც, ან ზოგჯერ ტალღა და ზოგჯერ — ნაწილაკი. მხოლოდ იმას გთხოვ, რეალურად გააცნობიერო სამყარო. თუკი ფიზიკის კანონები იდუმალია, — ყოველ შემთხვევაში, ჩვენი თვალთახედვით, — მაშინ ასეც უნდა იყოს. შესაძლოა,

გული გვწყდებოდეს იმ ფაქტზე, რომ ყველაფერს ვერ ვხსნით ამქვეყნად (პოეტებმა ეს ამბავი გონივრულ დღიურ სავარჯიშოდ აქციეს). ამაში ვგულისხმობ თავის ელეგიურ გაქნევას იმის გაფიქრებაზე, თუ რაოდენ ცოტა ვიცით ღრმად იდუმალი სამყაროს შესახებ, რომელშიც ვიმყოფებით. მაგრამ, ჯერჯერობით, ამ ფაქტის მიღებით უნდა დავკმაყოფილდეთ.

ის ამბავი, რომ შენ შეგიძლია გამომიგზავნო აზრი, რომელსაც მე მეტ-ნაკლებად გაცნობიერებულად მივიღებ, შესაძლოა, არცთუ ისე გასაგებია იმ პოზიციიდან, რისი აგება-ჩამოყალიბებაც ამჟამად მათემატიკურად ან ფიზიკურად ძალგვიძს. მაგრამ, ეგებ, ამის გაცნობიერება ისევე აღარ არის რთული, როგორც კვანტური ფიზიკის საფუძვლების?

რას ფიქრობ?

ინგლისელმა მათემატიკოსმა და ასტროფიზიკოსმა, ჯეიმზ ჯინსმა, ერთხელ თქვა: სამყარო უფრო და უფრო ემსგავსება დიად აზრს, ვიდრე დიად მანქანასო.

ამწუთას მივიღე ამინდის ბიუროს უკანასკნელი ცნობა, რომელიც უფრო შემაშფოთებელია, ვიდრე ეელოდით, და ერთი-ორი აგზნებული ჟურნალისტიც სწორედ ამას გვიყვება. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ *დროულად* გააკეთონ კომენტარი. ჩვენს დრომი არსებობს გარკვეული მედია-ისტერია ასეთ საკითხებთან დაკავშირებით. ასე რომ, გარკვეული ხნით უნდა გამოვეთიშო ჩვენს საუბარს. თუმცა ეს მთელ ნაშუადღევს არ გასტანს. მანამდე კი, ნება მომეცი გითხრა, რომ პატიეს ვცემ შენს რწმენას. მეტიც: არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რომელი „იმმები" გვყოფს ჩვენ სადღეისოდ, – ძალზე მაღალი აზრის ვარ შენზე, როგორც პიროვნებაზე. ამიტომაც უნდა მაპატიო, რომ, ჩემთავად, არ მწამს ექსტრასენსორული მოვლენები.

კეთილი. ბევრი შრე არის თქვენში, ახალგაზრდავ! ოდესღაც გიცნობდით და ამჯერად რამდენიმე სიტყვას მოგწერთ უორტლბერიელი ქალის სესახებ. ამასთან დაკავშირებით შენ ერთხელ იტირე, ბავშვივით იქვითინე, და მეც დაგარწიე, რომ დამემშვიდებინე.

რა მოხდა ოცდაათი წლის შემდეგ, როცა ისევ იქ მოვხვდით? ვგრძნობ, როგორ ებრძვი შენ ამას. მაშინ ისე ვიყავი, რომ შემეძლო კედლის და კარის მიღმა დამენახე საწოლ ოთახში მჯდომი, მოკიდებული სიგარეტით ხელში. ჰოდა, ახლა კეთილი ინებე და მომისმინე.

მწერ: არ მჯერა რაგინდარა უცნობი ძალების, ჩვენს ცხოვრებაზე რომ ზემოქმედებენო. არადა, იქ, მაღლა, როდესაც კვლავ იმ არყის ხეებთან აღმოვჩნდით, მთლად ვერხვის ფოთოლივით ათრთოლდი. სხეული კი არასოდეს ტყუის.

უფრო ახლოს რომ მივედით, ხელი ხელში ჩამჭიდე. ხშირად გვისეირნია ასე ხელჩაკიდებულებს დიდი ხნის წინ, მაგრამ ამჟამად ეს უჩვეულო იყო. მივხვდი: ეს ალბათ იმიტომ მოხდა, რომ იმ ადგილს ვუახლოვდებოდით და შენც დასაყრდენი დაგჭირდა. იმიტომ, რომ შიშმა აგიტანა! ასეა თუ ისე, იმ არყის ხეებიან ფერდობზე რაღაც არაამქვეყნიურმა დაგაფრთხო და ბევრი აღარაფერი დაგიტოვა უნინდელი შემართებიდან.

შენ ძალუმი ხელი ამჯერად ცახცახებდა, სტეინ!

ამ მომენტის დაძაბულობა მეც გადმომედო. მაგრამ მე შენზე უფრო მშვიდად ვიყავი, უფრო მეტად დავრჩი საკუთარ თავთან. და ეს, შესაძლოა, იმიტომ, რომ გარკვეული რწმენა ჩამომიყალიბდა სიკვდილისშემდგომ ცხოვრებასთან დაკავშირებით. *პარანორმალური*, როგორც ასეთი, ჩემთვის *ნორმალურია*. მე მომზადებული ვიყავი იმ შესაძლებლობისთვის, რომ ის ქალი ისევ განსხეულდებოდა. თუმცა ტერმინი „განსხეულება" სრულებით დამაბნეველია, რაკი ის *ფიზიკური რეალობა* არ იყო. შესაძლოა, ფირზეც კი ვერ აღბეჭდილიყო. ამას, ჩვეულებრივ, *მოჩვენებას* ვეძახით. ისტორიაც და პარაფსიქოლოგიაც სავსეა ნაამბობებით მსგავს მოვლენებზე, სავსეა ამბებით მავანისა, რომელიც მეორე ადამიანის სულს გამოეცხადა, მათ შორის ფიზიკურად არსებული ასობით მილის მიუხედავად. ლიტერატურაც სავსეა მონათხრობებით იმ ადამიანებისა, რომელთაც უნახავთ ან მიუღიათ შეტყობინება იმათგან, ვინც ცოტაოდენი ხნის წინ კი არ მოკვდა, არამედ *აღდგა*. ყველაზე ცნობილი მაგალითი, რაღა თქმა უნდა, ქრისტეს შემთხვევაა.

მაგრამ ჩვენ ვცხოვრობთ ღრმად მატერიალისტურ კულტურაში, რომელსაც თითქმის არავითარი კონტაქტი არ აქვს სულიერებასთან, — რომ აღარაფერი ვთქვათ მიღმურ სამყაროზე. მაგრამ გავხედოთ შექსპირს, ისლანდიურ საგებს, ბიბლიას და ჰომეროსს. ან მოვუსმინოთ, რას გვიამბობენ შორეული ქვეყნების კულტურები თავიანთ შამანებზე თუ წინაპრებზე.

მაგრამ იცი, რა? მჯერა, რომ უორტლბერიელი ქალი, შესაძლოა, იმისთვის გამოჩნდა, რომ სხვა ყველაფერზე მეტად ვენუგეშებინეთ ამ დროში. უამრავჯერ მიფიქრია ამაზე მას შემდეგ, რაც შენ ამ არსებას „ჩანახატი" უწოდე. ის ჩვენ ბრალმდებელი ან სიძულვილიანი მზერით არ გვიყურებდა, — რბილად გვიმზერდა და იღიმებოდა. უკვე გადასულიყო

იმ მხარეს, სადაც სიძულვილი აღარ არსებობს. თუ იქ არაფერია, მაშინ, რა თქმა უნდა, არც სიძულვილი იქნება.

თუმცა, იმ დროს ეს ამბავი ორივესთვის სრულებით თავგზისამბნევი იყო, — არა მხოლოდ შენთვის, არამედ ჩემთვისაც. ამ ამბავმა ადგილზე გაგვაქვავა. თუმცა მაშინ ჩვენმა გაქვავებამ მთელ კვირას გასტანა. ახლა კი, უორტლბერიელი ქალი ისევ რომ გამოჩენილიყო, მე მკლავებგაშლილი შევეგებებოდი.

მაგრამ არ გამოჩნდა...

სიკვდილი არ არსებობს, სტეინ. არც მკვდრები არსებობენ.

II

აი, დავბრუნდი. ისევ კომპიუტერთან ზიხარ?

არ ვზივარ, გარშემო ვუვლი, სტეინ. რაო, რა თქვა ამინდის ბიურომ?

ძალიან საგანგაშო ამბებია, რაც იმასაც გვიჩვენებს, რომ, ამ მომენტამდე, ამინდის ცვლილების მთავრობათაშორისი ჯგუფის გაეროსეული ბიულეტენები ერთობ კონსერვატიული ყოფილა. მეტისმეტად არასაკმარის ანგარიშს უწევდნენ ეგრეთ წოდებულ უკუმექანიზმებს. მოკლედ, ეს იმას ნიშნავს, რომ რაც უფრო ცხელა, მით უფრო მეტად დაცხება. როცა ანტარქტიკის თოვლი და ყინული ლღვება, ნაკლები მზის შუქი ირეკლება და დედამიწაც, მთლიანობაში, უფრო ხურდება. ეს, თავის მხრივ, ალღობს მარადმზრალ ყინულს, რის შედეგადაც წარმოიქმნება მეტი სათბურის გაზები, მაგალითად – მეთანი. არსებობს რამდენიმე ასეთი თვითგამაძლიერებელი მექანიზმი და, შესაძლოა, ჩვენ ეუახლოვდებით ფატალურ წერტილს, რომლის შემდეგაც გლობალური კატასტროფა გარდაუვალი იქნება. დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ჩვენი უმრავლესობა ფიქრობდა, მთელი არქტიკული ყინულის დადნობას მაფხულის თვეებში ნახევარი საუკუნე მაინც დასჭირდებაო. ახლა კი ვხედავთ, რომ ეს პროცესი გაცილებით უფრო სწრაფად მიმდინარეობს და ჩვენც ორიოდე ათწლეულამდე ჩამოვედით. ჩრდილოეთის ყინულის გაქრობა დააჩქარებს აზიის, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის მყინვართა ლღობას, რის შედეგადაც სასიცოცხლო მნიშვნელობის წყლის რესურსები შემცირდება და მდინარეებიც დამრება წლის გარკვეულ პერიოდში. ეს უშუალო მემოქმედებას მოახდენს მარცვლეულის ყანებზე და მილიონობით ადამიანის მოსამა-

რაგებელ სასმელ წყალზე. თუმცა მხოლოდ ადამიანები არ დაბარალდებიან. პროგნოზის მიხედვით, სამიმროება ემუქრება ღელამიწის ფლორა-ფაუნის 50%-ს.

რას ეუმერებით საკუთარ პლანეტას? აი, მეკითხეა. ჩვენ ეს ერთადერთი პლანეტა გვაქვს და იმათაც უნდა ვუწილადოთ, ვინც ხვალ და ზეგ დაიბადება.

მაგრამ ჩვენ ვსაუბრობდით. გავაგრძელო თუ არა?

ჰო, განაგრძე. ახლა სასტუმრო ოთახში გავალ, რაღაც ქაღალდები და ჟურნალები მაქვს მოსანესრიგებელი. მაგრამ იმწამსვე მოვირბენ, როგორც კი კომპიუტერი დაუსტვენს.

მაგრიგის ის სურათი, ბუნებრივია, ცოცხლად მახსოვს. მამინ ეს დამატყვევებელი პოსტერი ჩვენს საძინებელში გავაკარით, ახლა კი ისევ ვიპოვე ინტერნეტში. მისი სახელია „ციხე-კომკი პირენეებში“ და ზედ გამოსახულია პაერში მოლიელიე ქვეყანა. ყოველ მემთხვევამი, მე და მენ ასეთი ინტერპრეტაცია მივეცით. ჩვენ აგნოსტიკოსები ვიყავით. არ შეგვეძლო უბრალოდ მიგვეღო ძველი იდეა, რომ ყველაფერს უნდა პქონდეს მიზეზი და, ამიტომაც, უნდა არსებობდეს ღმერთი, რომელმაც შექმნა სამყარო. რასაკვირველია, შეგვეძლო ტვემსჯელა, არსებობდა თუ არა რამე იმის გადაღმა, რასაც სამყაროს ეუწოდებთ. მაგრამ არცერთ ჩვენგანს არ სწამდა აღმატებული ძალების რაიმე „გამოცხადება“. მეორე მხრივ, გამუდმებით ვეგბაფრავდა ყოფიერება — ჩვენი საკუთარიც და მთელი დანარჩენი ქვეყნისაც.

სოლრუნ, დაახლოებით ასევე განვიცდი ცხოერებას დღესაც. არასოდეს შევწყვეტ გაოცებას იმით, რომ სამყარო არსებობს. რაც უნდა მომხდარიყო იქ, ზემოთ, არყის ხეების ტევრში, მაინც გაცილებით ნაკლები საიდუმლოა ამასთან შედარებით, არსებითად — მე თუ მკითხავ — უმნიშვნელოც კი. ცირკის მსახიობები და ვარიეტეები ვერასოდეს დამატყვევებენ ისე, როგორც სტეპები, ტროპიკული ტყე ან ცაში ჩაკარგული ურიცხვი გალაქტიკა და მათი ერთმანეთისგან დამმორებელი მილიარდობით სინათლის წელიწადი.

მენი არ იყოს, ქვეყნიერების გამოცანებზე მეტად მე უფრო მაინტერესებს თვით ქვეყნიერება, როგორც გამოცანა. ბუნებრივი უფრო მაინტრიგებს, ვიდრე ზებუნებრივი. ჩვენი განუჭვერეტელი ტვინი უფრო მაოცებს, ვიდრე „ექსტრასენსორულთან“ დაკავშირებული ყველა ანეკდოტი.

არა მგონია, უფრო მეტად შეიძლებოდეს კვანტური ფიზიკის პარადოქსების ახსნა ფიზიკით, ვიდრე სულიერი ფენომენების განჭვრეტა მაღალორგანიზებულ ძუძუმწოვრებს შორის ამრის გადაცემის პროცესში. მაგრამ ის, რომ ასეთი ძუძუმწოვრები არსებობენ და რომ ერთი მათგანი მეც ვარ, დიდად მხიბლავს და მაკვირვებს. ნებისმიერ შემთხვევაში, დიდხანს მოგიწევს ძებნა, სანამ კიდევ იპოვი ვინმეს, ვისაც ჩემზე უფრო მეტად აკვირვებდეს საკუთარი არსებობა. ეს გვარიანი განაცხადია, მაგრამ ებედავ და ვაკეთებ. ამდენად, არც შენი ბრალდება მჩხვლეტს ჩემი ახლომსედველობის თაობაზე.

მაგრამ შენ რა დაგმართნია? რა გგას გაპყოლიხარ?

საიქიო ცხოვრების არსებობამი ეჭვი არ მეპარებაო, ამბობ; სიკეთილი არ არსებობსო, ამტკიცებ. დღემდე თუ შეინარჩუნე შენი ძველი უნარი — გიხაროდეს სიცოცხლის ყოველი წამი, რომელსაც გადიხარ აქ და ახლა? ან, ეგებ, ამის ადგილი საიქიოსკენ აღებულმა გეზმა დაიკავა? უწინდებურად თუ განიცდი „უსამღერო სევდას“ იმის გამო, რომ სიცოცხლე „ასეთი ხანმოკლეა, ასეთი ხანმოკლე“? ეს შენი სიტყვებია. ისევ გიწყლიანდება თუ არა თვალები ისეთი სიტყვების გახსენებაზე, როგორიცაა „სიბერე“ ან „სიცოცხლის ხანგრძლივობა“? ისევ ქვითინი შეგარყევს ხოლმე დაისის შემხედვარეს? იყო დრო, როცა, წინასწარ გაუფრთხილებლად, უცებ წამოიძახებდი ხოლმე თვალებგაფართოებული და ძალაგამოცლილი: „ერთხელაც ჩვენ აღარ ვიქნებით, სტეინ!“ ან: „ერთხელაც აღარ ვიარსებებთ!“

ოცი წლის ასაკში ყველა არ შესწევს უნარი თვალი გაუსწოროს საკუთარ არყოფნას, ყოველ შემთხვევაში — ისე მაინც, როგორც შენ შეგეძლო. მაგრამ ჩვენ ამის გვერდით ვცხოვრობდით და თითქმის ყოველდღიურად ვეხებოდით ამას. განა სწორედ ამიტომ არ ვაკითხავდით ხოლმე ყველაზე ველურ და უკაცრიელ ადგილებს? გარკვეული ხნის შემდეგ მე აღარ მჭირდებოდა იმის კითხვა, რა გაგირებს-მეთქი. ვიცოდი, რა ხდებოდა, და შენც იცოდი, რომ მე ვიცოდი. ჰოდა, კითხვების დასმის სანაცვლოდ, ტყეში ან მთებში გასეირნებას გთავაზობდი. ბევრი ასეთი მანუგეშებელი მგზავრობა გვქონია ტყეებში და უდაბურებში. გიყვარდა სახლიდან გადაკარგვა. თუმცაღა, შენი სიყვარული იმისადმი, რასაც ზოგჯერ *ბუნებად* მოიხსენიებდი, გარკვეულწილად, უიღბლო რომანს ჰგავდა, რაღაან გამუდმებით გახსოვდა, რომ ერთხელაც გული გაგიტყდებოდა შენთვის ესოდენ ძვირფას საგანმე და, საბოლოოდ, შენი თავის ამარა დარჩებოდი.

აი, ასე ხდებოდა უწინ. სიცილიდან ცრემლებზე გადადიოდი. ეგზალტირებული სიამოვნების თხელი ფენის ქვეშ ყოველთვის სევდას მალავდი. მეც ასე ვიყავი. მაგრამ, ვფიქრობ, შენი ნაღველი ჭარბობდა ჩემსას. თუმცა, მეორე მხრივ, შენ მე ენთუზიაზმით და აღტაცებითაც აღმემატებოდი.

რაც შეეხება უორტლბერიელ ქალს, მის დაეიწყებას არ ვცდილობ. მართლაც, მთლიანად გამომიყვანა წყობიდან იმ მომენტში. მსგავსება სრულებით გამაოგნებელი იყო. მაინც როგორ მოახერხა და როგორ გამოგვყვა?

ჩემი ხელის კანკალი თვით სიცოცხლის კანკალს ნიშნავდა. ზურგსუკან იყო ოცდაათი ჩაველილი წელი და ახლა, როცა ორივენი ისევ იქ მიეაბიჯებდით, უეცრად საოცარი სიცხადით დამკრა, რანაირი ყოფილა ნამდვილად ახალგაზრდად ყოფნა და, იმავდროულად, რანაირები ვიყავით ჩვენ. მერე კი იქ, არყის ხეებიან ფერდობზე, რაღაც მოხდა, რაღაც წყვეული, რამაც ერთმანეთს მოგვწყვიტა და დაგვაშორა.

როცა ხელი ჩაგჭიდე, შენი ხელი ამკარად რაღაცით უკავშირდებოდა არყის ტყეს, რომელშიც მალე ისევ შევაბიჯებდით. გამახსენდა, როგორ წაგვითაქვებდა ხოლმე შიგნიდან იმ წლებში. მახსოვს, როგორი დაზაფრულები ვიყავით, და არ უარვყოფ, რომ კიდევ ერთხელ დამიარა შიშის ერუანტელმა თუ ტალღამ. თუმცა ეს არ იყო რომელიღაც მოჩვენების კიდევ ერთხელ ნახვით მოგვრილი ზაფრა. ეს უკანასკნელი შეიძლება იმის შიშიც იყოს, რომ შენივე შემლილობამ არ მთაგნთქას. შენივემ ან სხვისამ. შიში გადამდებია. შეშლილობაც.

ამის შემდეგ შენ იგივე არ იყავი, რაც მანამდე. მომდევნო კვირებში ზოგჯერ ისევ მომხდარა, რომ შემშინებია ერთ ოთახში დარჩენა შენთან ერთად. სუნთქვას ვიკრავდი და იმის იმედიღა მქონდა, რომ შენს ძველ თაეს დაუბრუნდებოდი. მაგრამ სანამ ეს მოსდა, შენ რამდენიმე პირადი ნივთი მოაგროვე და წახვედი. რამდენი წელი მენატრებოდი მას შემდეგ! ყოველ წამს შეიძლება კარგე დარეკოს-მეთქი, ვფიქრობდი. ღამღამობით იმასაც ვფიქრობდი, რომ სწორედ მაშინ შეიძლება შემოსულიყავი, როცა მეძინებოდა. წასვლის წინ შენი გასაღები არ დაგიტოვებია! ეიწექი ორი ადამიანისოვის განკუთვნილ ფართო საწოლში და ვნატრობდი. თუმცა ვღელავდი კიდეც: ვაითუ, მანამდე დაბრუნდეს, სანამ ისევ იმ ძველ სოლრუნად იქცევა, მე რომ ვიცნობდი-მეთქი. რამდენიმე წლის შემდეგღა დავადე კარს საკეტიანი კლიტე.

უორტლბერიელი ქალი ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ გამოუცნობ მოვლენად რჩება. მაგრამ იმხანად ჩვენ ძალიან ახალგაზრდები ვიყავით.

გარდა ამისა, მას შემდეგ ოცდაათზე მეტმა წელიწადმა განელო და ახლა აღარ ვიცი რა ვიფიქრო.

ჰო, სტეინ.

რა „ჰო"?

ის ისევ აქ დგას! კონცენტრირებას ვერ ვახერხებ, ანუ ვერ ვბრუნდები ოცდაათი წლის წინანდელ დროში, სანამ ის კიბეზე დგას და ნამდაუწუმ აწობს ფუნჯს მწვანე საღებავიან ქილაში. ნუთუ ნამდვილად *აუცილებელია* ორივე ქურთუკის ერთად ჩაცმა? ნუთუ ერთი დღით მაინც არ დააცლის, რომ ძველი ქურთუკი ბოლომდე გაშრეს?

კეთილი, მაშინ რაღაც სხვა მოიმოქმედე. მე კიდევ ორიოდე საათს დავრჩები აქ.

ერთი ჭიქა ვაშლის წვენი დავიდგი გვერდით, წვენში ოთხი ნატეხი ყინულია. მადლობა ღმერთს: კიბე და ფეხები აღარ ჩანს. ალბათ, არ დაბრუნდება და მესამე ქურთუკს არ მოიტანს, ჰო?

აგნოსტიკოსები. ჩვენ ცოცხალი თოჯინები ვიყავით! გახსოვს? ერთავად სიცოცხლის ჯადოსნური განცდით დავიარებოდით და ეს განცდა, ჩვენივე შეგრძნებით, მხოლოდ *ჩვენ* გვქონდა. აუტსაიდერები ვიყავით: წუთისოფლისგან მოშორებით ავიგეთ ჯადოსნური საბინადრო, რომელმაც შეგვაძლებინა ალმაცერად გვეცქირა ყველაფრისთვის. თითქოს საკუთარი რელიგია გვეპოვნოს. ასეც ვთქვით: ჩვენი რელიგია ვიპოვეთო.

თუმცაღა, მხოლოდ ერთმანეთში არ ვიყავით ჩახვეულები. ერთხანს გარკვეულ მისიონერულ საქმიანობასაც ვეწეოდით. ხომ არ დაგვინყებია ის შაბათები, ქალაქში რომ ჩავქანდებოდით ხოლმე გატენილი ჩანთით, რომლიდანაც ამოღებულ პანია ფურცლებს ჩვენს ნაცნობ-მეგობრებს ვურიგებდით? ამ მოკლე მესიჯებს წინა საღამოს ვბეჭდავდით ძველ საბეჭდ მანქანაზე. მნიშვნელოვანი ინფორმაცია ამ ქალაქის ყველა ბინადარს: სამყარო ახლა ხორციელდება! ეს შეტყობინება რამდენიმე ათას ეგზემპლარად დავბეჭდეთ, ფრთხილად დავჭერით, დავკეცეთ და სახელმწიფო თეატრისკენ მიმავალ ტრამვაიში ავედით. სტუდენტერლუნდენის ბაღებში ან მეტროს გამოსასვლელთან ვიდექით და ვარიგებდით აზრის ამ პანია მარგალიტებს, რითაც ვცდილობდით ადამიანთა ერთი ნაწილის გამოღვიძებას იმისგან, რასაც სულიერ ლეთარ-

გიად მივიჩნევდით. შემართულები ვიყავით. მრავალ მეგობრულ ღიმილსაც ვიღებდით და მოულოდნელად ბევრ გაღიზიანებულ შეძახილსაც. ზოგიერთს აშკარად მყუდროებას ურღვევდა იმის შეხსენება, რომ *არსებობს.*

მეტიც: 70-იანების დასაწყისში, პოლიტიკურად არაკორექტული იყო უსაგნო სპეკულაციებში გადაშვება ადამიანური არსებობის შესახებ. მრავალი მემარცხენეს აზრით, კონტრრევოლუციური იყო იმის აღნიშვნა, რომ სამყარო გამოცანაა. მნიშვნელოვანი იყო არა ქვეყნიერების გაგება, არამედ შეცვლა.

პატარა მიმართვების გავრცელების იდეა სულელური საშობაო ხუმრობებიდან ვისესხეთ. რამდენადაც მახსოვს, ჩვენი ორიგინალური იდეა მდგომარეობდა იმაში, რომ ერთგვარი ფიქტიური საშობაო მხიარულება მოგვეწყო სტუდენტურ წვეულებაზე. გახსოვს? იმაზეც ვოცნებობდით, რომ ალტერნატიული პროცესია ჩაგვეტარებინა, მაგალითად, 2 მაისს. საბოლოოდ, დიდად არ გავცილებივართ ლოზუნგების წერას. ამაში ნამდვილად გვქონდა გარკვეული პრეცედენტები. პარიზში ამბოხებული სტუდენტები სორბონას კედლებზე წერდნენ: ძალაუფლება წარმოსახვას! სიკვდილი კონტრრევოლუციურია! ჩვენ ასეთი სლოგანების მთელი პროცესია წარმოვიდგინეთ. შენ საოცრად გონებამახვილი იყავი, სტეინ.

ხშირად დავდიოდით გალერეებში და კონცერტებზე, — არა იმდენად ხელოვნებისა თუ მუსიკისთვის, არამედ ყველა იმ ცოცხალი თოჯინას სანახავად. ამ ყველაფერს *ჯადოსნურ თეატრს* ვუწოდებდით და ეს ხდებოდა მას შემდეგ, რაც ჰერმან ჰესსეს „ტრამალის მგელი" წავიკითხეთ. ზოგჯერ კაფეში ვისხედით და დაკვირვებით ვსწავლობდით ზოგიერთ ინდივიდს. თითოეული მათგანი პატარა, თვითკმარ სამყაროს ჰგავდა. ჩვენ მათ *სულებსაც* ვეძახდით, არა? ეჭვი არ მეპარება, რომ ასე იყო. *მექანიკურ* თოჯინებს კი არ ვუთვალთვალებდით, არამედ *ცოცხლებს.* ასე ვამბობდით. ის თუ გახსოვს, კაფეს ერთ-ერთ კუთხეში შეყუჟულნი მთელ ისტორიებს რომ ვთხზავდით ამ სულებზე? მათგან ზოგიერთი შეიძლებოდა სახლამდეც გაგვყოლოდა და იქ დაგვეხვევნ-დაგვესრულებინა მომდევნო დღეებში. ასე ავაგეთ ფიქტიური ურთიერთობების მთელი პანთეონი. ჩვენი რელიგიის მნიშვნელოვან ელემენტს შეადგენდა ადამიანური ბუნების თითქმის აულაგმავი გაღმერთება.

შემდეგ ჩვენი საძინებლის კედელზე მაგრიტის პოსტერი ჩამოვკიდეთ. რამდენადაც მახსოვს, ჰენი ონსტადის კულტურის ცენტრში შევიძინეთ, ჰოვიკოდენზე.

რაც შეეხება საძინებელს, ხანდახან შუადღისას ვწვებოდით და საწოლის ტუმბოზე შამპანურს და ორ ჭიქას ვიწყობდით. შეგვეძლო საათობით ვმსხდარიყავით და ხმამაღლა გვეკითხა ერთმანეთისთვის წიგნები. ვკითხულობდით სტეინ მეჰრენს და ოლაფ ბულს, — თავს ამის უფლებას ვაძლევდით, თუმცა მეინსტრიმის პოეტები იმხანად საკმაოდ ტაბუდადებული იყვნენ. ამავე დროს, ვკითხულოდით იან ერიკ ვოლდსაც, — ყველაფერს, რასაც ის წერდა. აღარაფერს ვიტყვი ისეთ წიგნებზე, როგორიც იყო „დანაშაული და სასჯელი" ან „ჯადოსნური მთა". მთელი რომანი შეიძლებოდა ჩატეულიყო ერთ ასეთ საწოლ-შამპანურის სეანსში. „ოქროს ძალა" — ჩვენი მაშინდელი შამპანური — იაფიც იყო და ტკბილიც, თუმცა, იმავდროულად, ძლიერიც და სწორედ ამას აღნიშნავდა მისი სახელი.

საოცარ ამბად გვეჩვენებოდა ჩვენი სხეულები — სისხლი და ხორცი ჩვენი. რა მშვენიერი იყო კაცად და ქალად ყოფნა, როგორ შევხაროდით ამას! თუმცა ეს სხეულებრივი ბედნიერება ჩვენს მოკვდავობასაც გვახსენებდა. შემოდგომა გაზაფხულიდან იწყებაო, ვამბობდით. ჯერ ოცდახუთ წელს არ გავცდენოდით, მაგრამ — მგონი, უკვე ვბერდებითო — ვეუბნებოდით ერთმანეთს.

სიცოცხლე სასწაული იყო და ეჭვიც არ გვეპარებოდა, რომ ეს სასწაული გამუდმებით უნდა გვეზეიმა. გვეზეიმა სპონტანურ-ღამეული გასეირნებით ოსლოს მიმდებარე ტყეებში ან არანაკლებ სპონტანური ავტომოგზაურობით. „წამო, სკონში ნავიდეთ", მეტყოდი შენ. ხუთი ნუთის შემდეგ უკვე მანქანაში ვისხედით და გზაზე მივქროდით. მანამდე არცერთი ჩვენგანი არ იყო იქ ნამყოფი და წარმოდგენა არ გვქონდა, სად გავათევდით ღამეს.

ხომ გახსოვს, შვედეთში რომ ჩავედით, დები ლუნდგრენების ჩაის ოთახში ღია ცის ქვეშ? მთელი ღამე არ გვიძინია, სულ ვიცინოდით და ვიცინოდით. ბოლოს ბალახზე გაშხლართულებს ჩაგვეძინა. როდისროდის ძროხამ გაგვაღვიძა. ის რომ არა, რამდენიმე წამის შემდეგ ჭიანჭველები გაგვაღვიძებდნენ. მთვარეულებივით წამოვხტით. ვცდილობდით, შემოცოცებული უცხო არსებები ჩამოგვებერტყა, მაგრამ ისინი მხოლოდ სამოსზე კი არ გვესხდნენ, არამედ მის შიგნითაც. მთლად გაგაცოფა იმან, რაც მე *შვედ ჭიანჭველებად* მოიხსენიე. საერთოდ, პირად შეურაცხყოფად მიიჩნიე მათი შემოსევა.

ერთ-ერთი ასეთი ცელქობა იყო განზრახვა — თხილამურებით გადაგვევლო იუსტედალსბრეენის მყინვარი. ეს შენ სპორტულ წარმატებად მონათლე. ეს ხდებოდა მაისის ერთ დღეს, ოცდაათი წლის წინ. „ახლა

იუსტედალსბრეენს გადავიელით თხილამურებით!", გამომიცხადე ერთ ნაშუადღევს და ამან ბრძანებასავით გაიჟღერა, რადგან ჩვენ ერთგვარად შეთანხმებული ვიყავით, რომ ერთ-ერთი ჩვენგანის ნებისმიერი ახირება მეორეს უყოყმანოდ უნდა მიეღო. ჩანთების ჩალაგებამ სულ რამდენიმე წუთს გასტანა და უკვე გარეთ ვიყავით. ღამეს სადმე მთებში გავატარებდით ან სულაც მანქანაში დავიძინებდით. ველურები და დაუთმობლები! როცა ფიორდამდე მივედით, აზრად მოგვივიდა პირდაპირ მყინვარზე ასვლა მხარზე გადაკიდებული თხილამურებით. გაგონილი გვქონდა, რომ ზემოთ იდგა ქვის ქოხი, რომელშიც ღამეს გავათევდით იმ შემთხვევაში, თუ მოახლოებული ღამის გამო თხილამურებით სრიალი უკვე დაგვიანებული იქნებოდა. არცერთ ჩვენგანს არ გაევლო სამყინვარო წვრთნა და, ამდენად, ჩვენი განზრახვა სრულებით უპასუხისმგებლო ჩანდა. მაგრამ ეს მოგზაურობა არასოდეს შემდგარა, რადგან ცხოვრებაში პირველად შეგვაჩერა რაღაცამ. შენ იცი, რას ვგულისხმობ. მთელ კვირას სასტუმროში დავრჩით, ბოლოს კი, კუდამოძუებულები, შინ დავბრუნდით. ეს ყველაფერი იაფი არ დაგვჯდომია, რადგან იქ არ აღმოჩნდა არავითარი შელავათი სტუდენტებისთვის. მაგრამ ჩვენ უფრო მეტი გვიტრიალებდა თავში, ვიდრე ფულის უკმარობა, და ჩეკების წიგნაკიც თან გვქონდა.

ვწერ ამას და, მსურს, ხაზი გავუსვა, რომ დღესაც ცხოვრების ზუსტად იგივე მოჯადოებული ხედვა მაქვს. „დღემდე თუ შეინარჩუნე შენი ძველი უნარი — გიხაროდეს სიცოცხლის ყოველი წამი, რომელსაც გადიხარ აქ და ახლა?", მეკითხები შენ და ჩემი პასუხია „ჰო".

სხვა მხრივ, ბევრი რამ შეიცვალა, რადგან იმ ყველაფერს კიდევ დაემატა რაღაც. რეალურად, ეს სრულებით ახალი განზომილებაა. შენ მეკითხები: „უწინდებურად თუ განიცდი უსაზღვრო სევდას იმის გამო, რომ სიცოცხლე ასეთი ხანმოკლეა, ასეთი ხანმოკლე? ისევ გიწყლიანდება თუ არა თვალები ისეთი სიტყვების გახსენებაზე, როგორიცაა *სიბერე* ან *სიცოცხლის ხანგრძლივობა*?" აი, ამაზე კი ჩემი განთავისუფლებული „არა"-თი გიპასუხებ. არა, დღესდღეობით მე აღარ ეტირი. იმასთან მიმართებით, რაც წინ მელის, ამჟამად მე... მშვიდად ვარ.

ჯერჯერობით ისევ დიდ სიხარულს მანიჭებს ჩემი ფიზიკური არსება, თუნდაც არა იმდენად ინტენსიურს, როგორსაც წარსულში. ახლა ისე ვცხოვრობ ჩემს სხეულში, როგორც ნიჟარაში, ანუ რაღაც გარეგნულუმნიშვნელოში. ეს არ არის ისეთი რამ, რაც კიდევ დიდი ხნის განმავლობაში დამტვირთავს. ახლა მე მჯერა, რომ ის, რასაც *მე*-ს ვუწოდებ, არ არის დასაზღვრული ჩემი მოკვდავი სხეულით. უკვე აღარ მაქვს იმის

შეგრძნება, რომ ჩემი სხეულია *მე*. ის ისევე აღარ არის „მე" ან „ჩემი", როგორც გარდერობში დაკიდებული ძველი ტანსაცმელი. არც ეს უკანასკნელი დამჭირდება. არც სარეცხის მანქანა. არც ავტომობილი. არც პლასტიკური ბარათი.

ხალისით გაგიზიარებ კიდევ რაღაცას. ხალისით და კიდევ უფრო მეტითაც. ამ დღეებში ხშირად ვკითხულობ ბიბლიას (და არა მხოლოდ პარაფსიქოლოგიას). ჩემთვის, ერთი არ გამორიცხავს მეორეს. სამაგიეროდ, ეგებ შენ უარყოფ ორივეს?

ჰოდა, აი, მეც გეკითხები: რა გწამს შენ დღესდღეობით? მახსოვს შენი უწინდელი შეხედულებები, მაგრამ იქნებ შენთანაც რამე სიახლეა?

მადლობა შენი ბოლო იმეილისთვის. ამჯერად ნაკლებ თავდაჯერებული ჩანხარ, ვიდრე სხვა წერილებში. ხელები კი გამოწვდილი გაქვს, მაგრამ ეს ცარიელი ხელებია, სტეინ. დიდად მწადია, რაღაც საკვირველი ჩაგიდო მაგ ხელისგულებში. ო, როგორ მინდა, რომ ერთხელაც წინ დაგიდო ცოცხალი, მოციმციმე მტკიცებულება იმისა, რომ სიკვდილი არ არსებობს. შენ მხოლოდ მოიცადე. მე ამას ნამდვილად ვიზამ! მანამდე კი, მადლობელი ვარ: სხვა რომ არაფერი, გწადია, გახსნა ეს არხი, ოცდაათზე მეტი წლის წინ რომ ჩაგვეკეტა ორივეს.

საშინელი წასაკითხია, როცა მწერ, ხანდახან მაშინებდიო. მაშინ ეს ერთხელაც არ გითქვამს. მეგონა, უბრალოდ ჩუმდებოდი ჩემი ახალი იდეებით თავგაბეზრებული.

მაგრამ, ყოველივეს მიუხედავად, ერთმანეთს უნდა ვუმადლოდეთ კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას იმასთან, რანიც ვიყავით და რაც გვქონდა მანამდე, სანამ ის მოხდა, რაც მოხდა, და სანამ, როგორც შენ ფიქრობ, მე ჭკუიდან გადავედი. არა, ჭკუიდან არასოდეს გადავსულვარ, მაგრამ საკმაოდ დრამატული რამ მოხდა: უეცრად ცხოვრების ერთი ფილოსოფია მეორეთი შემეცვალა. ეს ნახტომი განსაკუთრებით დრამატული იმიტომ იყო, რომ ჯგუფი, რომელიც დავტოვე, სულ *ორ ადამიანს* ითვლიდა.

მაგრამ დანარჩენი თუ გახსოვს? ჩვენი თავგადასავლები ნამდვილად გახსოვს! ვფიქრობ, ისიც გახსოვს რა გინდა.

რასაკვირველია, მახსოვს. რაც შეეხება ერთად გატარებულ ხუთ წელიწადს, მათ ხშირად ვუბრუნდები, როგორც ჩემი ცხოვრების ბირთვს და გულისგულს.

გადავწყვიტეთ ტრონდჰეიმამდე გაგვესეირნა. და გაეისეირნეთ კიდეც! მიოსას ტბაში შეცურეა ვანვიზრახეთ. და ასეც მოვიქეცით. კუნსტერნეს

პუსის გალერეის კაფეში ყისსედით და უიებ მოგვინდა ველოსიპედებით ჩავსულიყავით სტოკპოლმში. შინ წავედით, რამდენიმესაათიანი ძილი გამოვაცხეცთ, მერე კი ველოსიპედებს მოვახტი და სტოკპოლმისაკენ გაექანდით.

ჩვენს მოქმედებათაგან ყველაზე გიჟური კი პარდანგერეიდას პლატოზე ჩადენილი გმირობა იყო. აზრად მოგვეიფიდა, რამდენიმე კეირა ქვის ხანის ადამიანებიეთ გვეცხოერა. მაგარებლით გავეემგზავრეთ მთებისკენ და თავშესაფარი გავიკეთეთ მაღლა, პლატოზე, კლდოვანი გამონაშვერის ქვეშ მოქცეულ გამოქვაბულის მსგავს ადგილას, პაუგასტოლიდან რამდენიმე კილომეტრით სამხრეთ-დასავლეთით. თან გვქონდა თბილი სამოსი და შალის საბნები, აგრეთვე სენდვიჩებით სავსე ორი დიდი პაკეტი, ბინის მოწყობის პირველ საათებში რომ გამოგვადგებოდა. გარდა ამისა, წავიღეთ სხვადასხვანაირი ორცხობილები და ბისკვიტები გაუთვალისწინებელი შემთხვევისთვის. თან გვქონდა ერთი ქვაბი, ერთი კოჭი სათევზაო ლესკა, სანადირო დანა და ორი კოლოფი ასანთი. აი, ყველაფერი. თუმცა (ერთადერთი ანაქრონიზმი!) შენ წამოღებული გქონდა კოლოფი კონტრაცეფციული აბებით. ეს კოლოფი კალენდრის როლსაც ასრულებდა, რაკი სხვა არაფერი მოგვეპოვებოდა დღეების დასათვლელად. პირველი ოცდაოთხი საათი, ძირითადად, კენკროვანების – კეწერას, მაყელის, მიწამაყვალას ჭამაში გავატარეთ და ღვიის ცხელი ჩაითაც მოვიმაგრეთ თავი. მეორე დღეს რომელიღაც ფრინველის ძვლები ვიპოვეთ და ანკესი ავაწყვეთ. ჭიაყელებიც ამოვთხარეთ, კალმახი დავიჭირეთ და ასპიდის ფირფიტაზე შეეწვით. ვიმედოვნებდით, რომ კურდღელს ან მწყერსაც მოვიხელთებდით, მაგრამ პირველი ძალიან სწრაფად დარბოდა, მეორე კი ზუსტად მაშინ აგვიფრინდებოდა თვალწინ, როცა ის იყო ხელი უნდა გვეტაცა. უფრო და უფრო გვეზრდებოდა ხორცის სურვილი. როცა ჩრდილოეთის ირმების ჯოგი შევნიშნეთ, ლოდები მივწიმოვწიეთ, ორმო ამოვთხარეთ და ზედ ჯუჯა არყის ხეები, ლიქენი და ხავსი გადავაფარეთ. ჩრდილოეთის ირემი თვალითაც აღარ გვინახავს, მაგრამ ბოლოს ორმოში ბატკანი ჩავარდა. თვალისდაუხამხამებლად დავკალით, გავატყავეთ და რამდენიმე დღეს ვიმყოფინეთ. ძვლებისგან დავამზადეთ კაუჭები ანკესისთვის და სამზარეულოს ნივთები. შემდეგ მე გავაკეთე მძიეი, მაგარ მცენარეულ ლერწზე ავასხი და ყელზე ჩამოგკიდე. ამიერიდან გვქონდა ბატკნის ტყავიც – დიდი სიკეთე, რადგან დღეები უფრო და უფრო მოკლდებოდა. ერთ დილასაც მიწაზე თრთვილი დაგვხვდა. ჩვენც სწორედ იმ დღეს ავიკრიფეთ ვუდა-ნაბადი, თანაც – გამარჯვების განცდით. შენს კოლოფში სულ ოთხი აბიღა იდო, ესე იგი, მთელი ჩვიდმეტი დღე გვიცხოერია ველურებიეთ

და გვარიანადაც დაემალულვართ, რადგან მთელი ამ ხნის მანძილზე ძეხორციელი არ გვინახავს. ჩვენ ერთმანეთს ვაჩვენეთ, რომ შეგვეძლო გვეარსება ქვის ხანის ადამიანებივით. თუმცაღა, დიდებული იყო შინ დაბრუნება შხაპთან, ორმაგ საწოლთან და მუშხუნა შამპანურთან. დღენახევარი არ ავმდგარვართ საწოლიდან. გახეებულები ვიყავით, დღეღამის რიტმი დარღვეული გექონდა, თითქოსდა დროში ვიმოგზაურეთ მრავალი ათასი წლის მიღმა.

უცნაურია ფიქრით დაბრუნება წარსულში. ვინ იცის, იქნებ ჩემი ცხოვრების ბირთვი და გულისგული ნამდვილად შემოიფარგლებოდა იმ ჩვიდმეტი დღით, როცა მთელ ქვეყნიერებას გავემიჯნეთ და მხოლოდ მე და შენ დავრჩით მთიან ცისქვეშეთში. მაგრამ დღეს, დღეს რას ფიქრობ? *რა გწამს* შენ ამჟამად?

შეიძლება ეს კითხვა რამდენადმე ბუნდოვანია. ამიტომ, მოდი, ცოტა წავითამაშოთ: შენ შენს სავარძელში ჩამჯდარი, ჭკუის გადასვლამდე მოწყენილი უნივერსიტეტის პროფესორი ხარ, მე — სტუდენტი, რომელიც კარზე გიკაკუნებს. შემოდითო, მიმიხობ, ვილაცის გამოჩენით გახალისებული, მე კი გეუბნები: „საოცრად მომხიბლავია ის ყველაფერი, რასაც თქვენ გვასწავლით, ბატონო პროფესორო! მაგრამ რას ფიქრობთ *თქვენ თვითონ* იმ საგნებზე, რომლებზეც პასუხი არ გაქვთ?" შენ ნაამები ხარ შენი რჩეული მდედრი სტუდენტისგან დასმული ამ პირდაპირი და ღრმად პიროვნული შეკითხვით და იწყებ მინილექციას. ჰოდა, დაიწყე, სტეინ! გელოდები! (ოღონდ დიდხანს არ გაგიგრძელდეს. როგორც ვატყობ, ისევ ბარბექიუს საღამო მოდის და სალათა მაინც ხომ უნდა გავაკეთო).

ხუმრობ თუ როგორ არის შენი საქმე? როგორ გავუძლო ასეთ ცდუნებას?

დაემორჩილე და ეგ იქნება!

კეთილი. ამ შემთხვევაში, უბრალოდ, იქიდან გავაგრძელებ, სადაც შევწყვიტე, რადგან, ჩემი რწმენით, ჩვენ სწორედ ისეთი ქვის ხანის ადამიანებიდან მოვდივართ, – იმათგან, ვინც კონტრაცეპტივებით არ იჭყიპეტბოდა. მათთან ერთად, ჩვენ ვეკუთვნით Homo sapiens-საც, რომელიც პირდაპირ მოდის Homo erectus-ისგან. ამ უკანასკნელს, თავის მხრივ, დასაბამი მისცა Homo habilis-მა, მას კი – Australopithecus africanus-მა.

ჩვენ პრიმატები ვართ, სოლრუნ, გახსოვს? თუ რამდენიმე მილიონი წლით უკან დაებრუნდებით, იმავე საწყისებს მიეადგებით, რომლებიდანაც წამოვიდნენ შიმპანზეები და გორილები. თუმცა შენ იცი ეს ყველაფერი. უკეე ვისაუბრეთ ამაზე. ეს შედიოდა იმ ნერვში, სიცოცხლის ინტენსიური განცდის მიღმა რომ გვიფეთქავდა, იმ განცდის, რომ ჩვენც ბუნების ნაწილი ვართ. თუმცა ჩვენ ძუძუმწოერებიც ვართ, როგორც პარდანგერვიდას კურდღლები და ირმები. ხერხემლიანთა ეს კლასი ორასიოდე მილიონი წლის წინ განვითარდა მოგიერთი ძუძუმწოერისებრი ქვეწარმავლისგან, ანუ ეგრეთ წოდებული ტერაპსიდებისგან.

მაგრამ რაგომ ვიყუროთ უკან? ეს დინების აღმა ცურვას პგავს. ხომ არ აჯობებდა, დაგვეკენებინა ჩვენი თავი მეორე ბოლოში და დასაწყისიდანვე გადავშეებულიყავით კისრისმოსაგეხ მოგზაურობაში? ახლა მოკლე მიმოხილვას შემოგთავაზებ.

უკანასკნელი გამოთვლებით, იდუმალებით აღსავსე სამყარო დაახლოებით 13,7 მილიარდი წლისაა. იმხანად მოხდა რაღაც, რასაც *დიდი აფეთქება* ეწოდა. როგორ? რაგომ? ამას ნუ მკითხავ, ნურც მე და ნურც ნურავის: ეს არავინ იცის. მაგრამ ფაქტია, რომ თვალის ერთ დახამხამებამი გამოთავისუფლდა გაუგონარი ენერგია, რომელიც პროტონებად, ნეიტრონებად, ელექტრონებად და სხვა ეგრეთ წოდებულ ელემენტარულ ნაწილაკებად გაერცელდა. როცა სამყარო „გაგრილდა", გამოჩნდა სინათლის ელემენტები, გარკეეული დროის შემდეგ კი – ვარსკვლავები და პლანეტები, გალაქტიკები და გალაქტიკების გროვები. ჩვენი მზის სისტემა და დედამიწა 4,6 მილიარდი წლისაა, ანუ სამყაროს მესამედამდე ასაკის, და ჩვენც ნელ-ნელა მივედით იმ დონემდე, რომ ჩვენი პლანეტის ქმნადობა-მაგიანეში ჩავიხედეთ.

სიცოცხლის უპრიმიტიულესი ფორმები დედამიწაზე სამი თუ ოთხი მილიარდი წლის წინ წარმოიშვა. და სულერთია, აქეე აღმოცენდნენ ისინი, ანუ ადგილობრივ ნიადაგზე, თუ სიცოცხლის პირეველაგურებმა (მათ შეგეიძლია პრებიოლოგიური მასალებიც ვუწოდოთ) მოიგანეს შორიდან კომეტების თუ ასტეროიდების მეშეეობით. ერთი რამ ცხადია: იმხანად დედამიწის აგმოსფეროში არ არსებობდა ჟანგბადი და, ამდენად, არც ოზონის ფენა იცავდა ჩვენს პლანეტას. ჟანგბადიცა და ოზონიც მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო სიცოცხლის მაკრომოლეკულების წარმოსაქმნელად. აქ საინტერესო პარადოქსამდე მივდიეართ. სიცოცხლის გაზრდაგაფურჩქვნისათვის აუცილებელი პირობები – ჟანგბადით მდიდარი აგმოსფერო და ოზონის დამცავი ფენა – არ უნდა არსებობდეს თვით სიცოცხლის თავდაპირეველი ჩასახვისას. ამდენად, პირეველი ცოცხალი უჯ-

რეღები, როგორც ჩანს, ზღვაში აღმოცენდა, შესაძლოა – დიდ სიღრმეებშიც. გამოთავისუფლებული ქანგბადი და ოზონი ფოტოსინთეზის ანუ თვით სიცოცხლის შედეგია და წარმოადგენს აუცილებელ ბაჩისს უფრო რთული ორგანიზმების წარმოსაქმნელად. მაგრამ ახალი სიცოცხლე განმეორებით ვერ განვითარდება. გამაოგნებელი შესაძლებლობა იმამი მდგომარეობს, რომ ამ პლანეტის მთელი სიცოცხლე ზუსტად ერთი და იმავე ასაკისაა.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც დედამიწის უადრეს ერაში – მას ჩვენ პრეკამბრიულ პერიოდს ვუწოდებთ – განვითარდა ფოტოსინთეზის უნარის მქონე ორგანიზმები, მეიქმნა შესაფერისი პირობები უფრო რთული ორგანიზმებისთვის: მცენარეებისა და ცხოველებისთვის. კამბრიულ პერიოდში (543-იდან 510 მილიონამდე წლის წინ) გაჩნდნენ პირველი მოლუსკები და ართროპოდები, ორდოვიციულ ხანაში კი (510-440 მილიონი წლის წინ) – პირველი ხერხემლიანები. მინაგანი ჩონჩხის ჩამოყალიბებამ სიცოცხლეს სრულებით ახალი შესაძლებლობები გადაუშალა, ნახევარი მილიარდი წლის შემდეგ კი ცხოველების სწორედ ამ პაწია განშტოების შთამომავლები გაიჭრნენ კოსმოსში და დაიწყეს მისი გამოკვლევა.

სილურიულ პერიოდში (440-დან 409 მილიონამდე წლის წინ) გაჩნდა პირველი მიწიერი მცენარეულობა და, აგრეთვე, ხმელეთის პირველი ფაუნა, რომლის უადრესი წარმომადგენლებია მორიელები. ისინი *არაჩნიდას კლასის* ართროპოდები იყვნენ და პირველები ამოვიდნენ ხმელეთზე. თუმცაღა, უკვე დევონურ პერიოდში (409-354 მლნ წწ) ხმელეთზე დაცოცავდნენ ამფიბიები, განსაკუთრებით – ლაბირინთოდონტები, ერთ-ერთი ეგრეთ წოდებული *წილფარფლიანი* თევზის შთამომავლები. ხოლო კარბონულ პერიოდში (354-290 მლნ წწ) ძალზე სწრაფად განვითარდნენ ხმელეთის ხერხემლიანები: ამფიბიები, შემდეგ კი, თანდათანობით, ქვეწარმავალთა მრავალფეროვანი ოჯახი. ეს განვითარება გაგრძელდა პერმულ პერიოდშიც (290-245 მლნ წწ), რომლისთვისაც განსაკუთრებით სახასიათოა უფრო მშრალ კლიმატთან ადაპტირებულ ქვეწარმავალთა გამოჩენა. სწორედ ამ პერიოდში განვითარდნენ პირველი ტერაპსიდებიც – ქვეწარმავალთა ქვეკლასი, რომლიდანაც მოდის ყველა ძუძუმწოვარა.

ტრიასულმა პერიოდმა (245-206 მლნ წწ) იხილა პირველი ძუძუმწოვრები და პირველი დინოზავრები. ეს უკანასკნელნი მეუფებდნენ ხმელეთზე ტრიასული ერის დასასრულიდან მოყოლებული მთელ იურულ პერიოდში (206-144 მლნ წწ). შემდეგ, ცარცული პერიოდის დასასრულს (144-65 მლნ წწ), გლობალურმა კატასტროფამ ანუ, როგორც ჩანს, მეტეორის ჩამოვარდნამ იუკატანში (მექსიკის ყურე) გადაამენა უკანასკნელი დინო-

ზავრები. თუმცა ეს მაინც არ იყო დინოზავრების სრული ამოწყვეტა. ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ის მწყერი, რომლის დაჭერასაც მე და შენ ელამობდით პარდანგერეიდას პლატოზე, პირდაპირ შთამომავლად ერგება დინოზავრების გამორჩეულ ოჯახს, — იმას, რომლიდანაც იშვა ყველა სხვა ფრინველიც. პალეონტოლოგები ხშირად ხუმრობენ: ჩიტები დინოზავრები არიანო.

მაგრამ შენ, მე და სხვა პრიმატები ვუკავშირდებით ბიგა თაგვის მსგავს მწერიჭამიებს, რომლებიც გამოჩნდნენ 65 მილიონი წლის წინ, როგორც კი ხორცისმჭამელი დინოზავრები გადაშენდნენ. ნუთუ არ გახსოვს ჩვენი სუმრობები ამ თემაზე? ჩვენ ბიგა თაგვები ვართო, რომ ვამბობდით?!

მესამეულ პერიოდში (65-1.8 მლნ წწ) სწრაფად განვითარდა ჩვენი — პრიმატების — ძუძუმწოვრული ქვეკლასი. და მაშინ — მეოთხეული პერიოდის ზღურბლზე (1.8 მლნ წწ), ანუ ჩვენს გეოლოგიურ პერიოდში — ჩნდება ჩემ მიერ უკვე ნახსენები ჩვენი დიდი პაპის პაპის პაპაც, Australopithecus ანუ „თითქმის ადამიანი“.

აი, რა მწამს! მწამს ის ცოდნა, რომელსაც კოსმოლოგია და ასტროფიზიკა იძლევა, ის, რასაც ბიოლოგია და პალეონტოლოგია გვეუბნება დედამიწაზე სიცოცხლის განვითარების შესახებ. სრულად და აბსოლუტურად მჯერა საბუნებისმეტყველო ფილოსოფიის. ის გამუდმებით იცვლება: კვლევა-ძიება ორ ნაბიჯს წინ დგამს, ერთს — გვერდით, ან ერთს წინ, ორს — გვერდით. მაგრამ მე მჯერა ბუნების ძალებისა და საბოლოო ანალიზის, ანუ ფიზიკისა და მათემატიკის კანონების.

მწამს ის, რაც *არსებობს*. მწამს ფაქტები. ჯერ ყველაფერი არ ვიცით და ყველაფერი არ გვესმის. ჩვენს ცოდნაში უამრავი ღრიჭოა. მაგრამ ჩვენ ვიცით და გვესმის გაცილებით მეტი, ვიდრე ჩვენს წინაპრებს ესმოდათ.

ნუთუ არ ფიქრობ, რომ უდავოდ შთამბეჭდავია ის ნაბიჯები, რომლებიც თუნდაც გასულ საუკუნეში გადაედგით? შეგვიძლია დავიწყოთ აინშტაინის ფარდობითობის თეორიით, რომელიც გამოქვეყნდა 1905 წელს. განტოლების $E = mc^2$ უკან სამყაროს ბუნების თითქმის დაუჯერებლად ღრმა გაგება დგას. ენერგია შეიძლება იქცეს მასად, მასა — ენერგიად. 1920 წელს ჰაბლმა აღმოაჩინა კოსმოსურ-წითელი წანაცვლება, რითაც განსაზღვრა, რომ გალაქტიკები ერთმანეთს შორდებიან მათ შორის არსებული მანძილის პირდაპირპროპორციული სისწრაფით. აი, საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი გარღვევა, რადგან ამან მოგვიტანა ცოდნა, რომ სამყარო ფართოვდება და რომ იგი *დიდი აფეთქებით* დაიწყო. მას შემ-

დეგ ეს თეორია არაერთგზის დადასტურდა, თუნდაც კოსმოსის ფონური გამოსხივების აღმოჩენით, რამაც გვიჩვენა, რომ 13,7 მილიარდი წლის წინ მომხდარი გაუეონარი აფეთქების შემდეგ სამყარო ისევ მხურვალეა. 1990 წელს პაბლად წოდებული დიდი კოსმოსური ტელესკოპი გაეიდა დედამიწის ორბიტაზე და, აუცილებელი შეკეთება-მოწესრიგების შემდეგ, მოგვცა ჩვენგან მილიარდობით სინათლის წლით დამორებული კუნჭულების უაღრესად მნიმვნელოვანი სურათები, ანუ ჩაგვახედა მილიარდობით წლის წინანდელ ისტორიაში. რადგან სამყაროს სიღრმეებში ჩახედვა იგივეა, რაც უკან გახედვა დროში. სადღეისოდ, ბევრი ვეღარაფერი გვაბრკოლებს, რომ სამყაროს დასაწყისს გავხედოთ, თუმცა უმორესი, რაც თვალმა დაინახა, არის 300 000 წელი *დიდი აფეთქების შემდეგ*. ამ საუკუნეში თავბრუდამხვევი სისწრაფით განვითარდა ბიოქიმია და სიცოცხლის რაობის ჩვენეული გაგებაც. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი იყო Ღნმ მოლეკულის დახვეული სპირალი, რომელიც აღწერეს კრიკმა და უოტსონმა 1953 წელს. გარდა ამისა, მეოცე საუკუნის მიწურულს დაიხაზა ადამიანის გენომის — მასში შემავალი სამ მილიარდამდე ბაზისური წყვილის — გენეტიკური რუკა. მომდევნო მიჯნა სამყაროს ჩვენეულ გაგებაში იქნება ბირთვული კელვეის ევროპულ ცენტრში 2008 წლისთვის დაგეგმილი ჯერარნახული ფიზიკური ექსპერიმენტი. ამ დროისთვის უკვე ექსპლუატაციაში შევა უახლესი მოდელის ნაწილაკების ამჩქარებელი, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს რომელი ელემენტარული ნაწილაკებისგან შედგებოდა სამყარო დიდი აფეთქებიდან 0, 000 000 000 001 წამის შემდეგ. იქნებ იმ დღეს მაინც მევწყვიტოთ ჩიეილი ადამიანის არასრულყოფილ შემეცნებაზე, როცა მევიტყობთ სამყაროს ისტორიას მისი დაბადების პირველივე წამში!

არაერთხელ თქმულა, რომ მსჯელობა ისეთ დიდ საკითხებზე, როგორიცაა სამყაროს დასაბამი ან ცხოვრების საზრისი, ისეთივე უაზრობაა, როგორც მსჯელობა მთვარის ბნელ გვერდზე, რადგან მთვარე ყოველთვის ერთი და იმავე მხრიდან გვიყურებს. მაგრამ, დღესდღეობით, ეს იდეა მიამიტურიცაა და უსაფუძვლოც, რაკი — მთვარეზე განხორციელებული ექსპედიციების შემდეგ — ნებისმიერ წიგნის მაღაზიაში მოიპოვება მისი ბნელი გვერდის ამსახველი დეტალური ფოტოსურათები.

ო, რა შთამბეჭდავია!

შთამბეჭდავი კი არა, სარკასტულ განწყობაზე დავდექი.

პატარა ბიჭს მაგონებ, დასმულ შეკითხვას რომ ვერ პასუხობს და სრულებით სხვა რამეს მიედ-მოედება. მე გკითხე, *რანაირი რწმენით*

უყურებ ქვეყნიერების სასწაულს, და არა ის, თუ რა ცოდნა დააგროვეთ შენ და დანარჩენმა კაცობრიობამ.

იმედია, არ ფიქრობ, რომ სწორედ *მაგის* შეტყობა სურდა ჩვენს საყვარელ სტუდენტ გოგონას? რაღაც მეეჭვება, საბუნებისმეტყველო ცნობარის როლში გამოეყვანე.

არავითარი სურვილი არ მაქვს, შორს დავიჭირო თავი ასტრონომიის, პალეონტოლოგიისა თუ მეცნიერების ისტორიის შენეული ინტერპრეტაციისგან. მივესალმები შენს ურთიერთობას მათთან! მაგრამ შენ *ფაქტების მამაოჩვენოს* დუდღუნებ ანუ, არსებითად, არაფერს მპასუხობ. არავითარი თეორია არ გაქვს იმის თაობაზე, თუ როგორ ან რატომ მოხდა ყველაფერი. უბრალოდ, აირეკლავ სამყაროს, როგორსაც ისედაც კარგად ვხედავთ ყველანი, და ერთ სიტყვასაც არ ამბობ ყველაზე იდუმალ რამეზე (და, შესაძლოა, ყველაზე არსებითზეც): რომ ჩვენ *მოციმციმე სულებიც* ვართ. თითოეული ჩვენგანი *სულია* ამ სამყაროში. განა სწორედ ეს არ გვაინტერესებდა „თოჯინებში" ამ ოცდაათზე მეტი წლის წინ?

წარმოიდგინე ბავშვი, რომელიც დედასთან მიდის და ეკითხება: ვინ ვარ მე? ან: რა არის ადამიანი? დედა კი დანას იღებს და ბავშვს ურჭობს, ვინძლო უკეთ უპასუხოს ამ შეკითხვებს.

რამდენჯერმე გადავიკითხე ერთი შენეული ფრაზა: „უკანასკნელი გამოთვლებით, იდუმალებით აღსავსე სამყარო დაახლოებით 13,7 მილიარდი ნლისაა. მაშინ მოხდა რაღაც, რასაც *დიდი აფეთქება* ეწოდა. როგორ? რატომ? ამას ნუ მკითხავ, ნურც მე და ნურც ნურავის: ეს არავინ იცის..."

ჩვენც ამ მოციმციმე ზღვარზე ვიდექით იმხანად, სტეინ. სადინარი მივეცით ალტყინებულ აგნოსტიციზმს იმ ყველაფერთან დაკავშირებით, რაც „იდუმალებით" იყო აღსავსე. შესაძლოა, სწორედ ამ მგზნებარებამ მოგვცა საიმისო ენერგია, რომ ჩვიდმეტი დღე გამოქვაბულში გაგვეტარებინა. საოცრებით თაებრუდასხმულები ვიყავით და ყველაფრის გამოძიება გვინდოდა. სხვა რომ არაფერი, იმის გარკვევა ხომ მაინც ძალგვიძდა, როგორი იყო ცხოვრება ქვის ხანის ადამიანებივით.

თუმცა მანძილი, დღესდღეობით რომ გვაშორებს ერთმანეთისგან, არც ისე დიდი უნდა იყოს. სხვაობა, შესაძლოა, მხოლოდ იმაშია, რომ ის, რასაც შენ „დიდ აფეთქებას" უწოდებ, ჩემთვის შესაქმის მომენტია, ან — როგორც ამბობს „დაბადებათა" მესამე ტაეპი: „ღმერთმა თქვა: იქმენინ ნათელი! და იქმნა ნათელი".

ჰო, რასაც შენ „ენერგიის გამოთავისუფლებად" ნათლავ, ჩემთვის შესაქმის აქტია. და უნდა გითხრა, რომ, ჩემი თვალთახედვით, თითქმის

არგაგონილად საზარელი რამ იქნება 0, 000 000 000 001 წამით მიახლოება ღვთის შემოქმედ ხელთან ისე, რომ ოდნავ, სულ უოდნავესად მაინც არ იგრძნო მისი ღვთაებრივი მუნყოფნა! პირადად ჩემთვის, ეს მგრძნობიაობის სისუსტეზე მეტყველებს.

ახლა კიდევ ერთ შანსს გაძლევ. მითხარი, რა *გნამს?* ვგულისხმობ საგნებს, რომლებიც *არ ვიცით.*

შლი თუ არ შლი?

რას?

ხომ გახსოვს, რომ, სანამ უპასუხებ, ჩემი იმეილები უნდა წაშალო?

ჰო...

მგონი, შეგწევს უნარი დაიხსომო, რაც ასე კარგად დავწერე. მაგალითად, ის ფრაზა, ახლა რომ დამიბრუნე, ბრჭყალებშიც ჩასვი და, რამდენადაც მახსოვს, სიტყვა-სიტყვით გაქვს ციტირებული.

ძალიან საყვარელი ხარ. ყოველთვის საოცარი მეხსიერება მქონდა. ნამდვილად არ მაკლია გარკვეული უნარები...

ჰოო...

მაგრამ იუნასმა და ნილს პეტერმა უკვე აანთეს ბარბექიუ, მე კი უნდა წავიდე და სალათა გავაკეთო. ამწუთასღა შევნიშნე, რომ იუნას მამაზე მაღალია. ვხედავ, რომ დანარჩენ საღამოს ვეღარ მოვიცლი. ხვალ რას აპირებ?

სრულებით თავისუფალი ვარ. ახლა კი გაიხარე ოჯახურ იდილიაში!

მე კი ვიმედოვნებ, რომ შენც კარგ დროს გაატარებ შენს ჭკუამახვილ სიმამრთან.

III

დილა მშვიდობის! არის მანდ ვინმე?

ნახევარი საათის წინ შემხმიანებიხარ... ამჟამად აქ ვარ, ჩემს მონიტორთან.

გარეთ სრულებით დაუჯერებელი ამბავია: ქარის ნასახი არ არის და უკვე სასიამოვნო სითბოა! მზეში გავედი ჩემი ლეპტოპითურთ და ახლა მაგიდას ვუზივარ პატარა ბაღში, სადაც ბებიაჩემი ყვავილებს უვლიდა და ხშირად ღიღინებდა: „რა კარგი ვინმეა ეს სტეინ..."

ამას ქვეყნის დასავლეთიდან ჩამოსვლა გვიშვრება. არასოდეს ვაცდენთ ზაფხულის თბილ საღამოს. მზის და გარემოს პატივსაცემად ყვითელი საზაფხულო კაბა ჩავიცვი ზედ მიკრული ბლების აპლიკაციით. მაგიდაზეც, ლეპტოპის გვერდით, პატარა ბლებიანი თასი დავიდგი...

შენ რას შვრები?

მგონი, გითხარი, რომ ნორდბერგში ვართ, ანუ არც ისე შორს იქიდან, სადაც მე და შენ ეცხოვრობდით. ერთი-ორჯერ, სეირნობისას, იმ სახლსაც ჩავუარეთ კონგლეევაიენის ბოლოში. თუმცა შენ უეჭველად დაგავიწყდებოდა აქაური ქუჩების სახელები, რაკი ოცდაათ წელზე მეტია ფეხი არ დაგიდგამს ამ რეგიონში.

შემინულ აივანზე ვზიეარ და სამხრეთისკენ მიმართულ ბაღს გადავყურებ. თითქმის გარეთ ვარ, რადგან გაღებული მაქვს ორი დიდი ფანჯარა, რომელშიც ხანდახან გზააბნეული ბაზი შემოიბზუილებს, თუმცა რამდენიმე წამში უკანვე მიფრინავს. ბერიტ აივანზეც აპირებდა ყვავილების დაწყობას, მაგრამ რაღაცნაირად დავარწმუნე, ბაღშიც საკმარისი ყვავილები გვაქვს-მეთქი. სამაგიეროდ, მოთმინებით ეიტან ზამთარში ყვავილებით გადავსებულ აივანს, საიდანაც ვერც ბაზი შემოფრინდება და ვერც კრაზანა. ამწუთას ჩვეულებრივ ცოლქმრულ დათმობაზე გელაპარაკები. იმას მაინც იზამ მსგავს მომენტებში, რომ გაგებით შეხვდე და არ შეეწინააღმდეგო ამგვარ ოჯახურ-ნივთიერ გადაადგილებებს.

ბერიტ ახლახან დაბრუნდა შვებულებიდან. შეიძლება უკვე გითხარი, რომ თეალის სპეციალისტია და ულლეეოლის საავადმყოფოში მუშაობს. ინე და ნორუნ უწინდებურად აქეთ-იქით დაეხეტებიან, ზაფხულიეთ თავქარიანები. ასე რომ, მინ მარგო ვარ.

კარგად მახსოვს კონგლევაიენ და ჩვენი იქაური სეირნობები. ჯერ ბერგის სადგურამდე მივიდოდით, მერე, ხანდახან, უნივერსიტეტამდეც. ეს ბევრჯერ მომხდარა, სტეინ. გარდა ამისა, კრინგსასაც შევურბენდი ხოლმე ყოველ ჯერზე, როცა ოსლოში ვხვდებოდი. ნუ დაივიწყებ, რომ იქ ხუთი წელინადი დავყავი, ხუთი მნიშვნელოვანი წელი. ის ჩემი სახლი გახდა და დღემდე მჩვევია ჩვენი მარშრუტის გავლა სონსვანის ტბაზე. ეს ხომ შეზღუდული ტერიტორია არ არის?

არა, რასაკვირველია. სასიამოვნო მოსასმენია, რომ ამასობაში აქ ყოფილხარ.

არადა, არასოდეს შემხვედრიხარ. ტბის შემოგარენს ვგულისხმობ.

პო, ეგრეა.

რა არის ეგრე?

იღბალი. ის ხომ ყოველთვის არ მოქმედებს.

იქნებ დიდი შეხვედრა სწორედ იმ ძველ აივანს ელოდა...

ხუმრობ. მაგრამ შენ ის მითხარი, ტბას საათის ისრის მიმართულებით უელი თუ საპირისპიროდ?

საპირისპიროდ, სტეინ. როგორც მაშინ გვჩვეოდა.

მეც შენსავით კონსერვატიული ვარ. ვინ იცის, იქნებ ორმოცდაათი თუ ასი მეტრის მანძილზე მოგყვებოდი უკან! ამჟამად ნაბიჯს აეუჩქარე და, ეგებ, მომდევნო ჯერზე წამოგეწიო კიდეც.

ამწუთას მე უფრო იმის წარმოდგენა მსურს, როგორ უზიხარ შენს კომპიუტერს შემინულ აივანზე ნორდბერგში. ჩავინიშნე ბაზი, ახლახან რომ შემოგიფრინა. მაგრამ მეტი დეტალები მჭირდება, რათა მთლიანად დავივიწყო, რომ, სინამდვილეში, ჩვენ ერთმანეთისგან 600 კილომეტ-რით დაშორებული ორი ბორანი ვართ. კიდევ რამეს ხომ არ ალმინერდი შენი გარემოცვიდან?

თეთრი მაისური და ხაკისფერი შორტები მაცვია. ფეხშიშველა ვარ. ჩემ წინ, პაწია მაგიდაზე, რომელიც, არსებითად, ტუმბოა, მხოლოდ ეს ლეპტოპი ეტევა. თუმცა ფანჯრის რაფაზე ღვას ფინჯანი ორშაგი ესპრესოთი და ჭიქა მინერალური წყლით. ვზივარ ბარის სკამზე, რომელიც აღარ მახსოვს საიდან მოვიდა. გარეთ თითქმის 25°-ია, ტუიას მესრით შემორაგულ ბაღში კი აქედანვე ეხედავ უმწიფარ საცრისფერ ნაყოფებიან მსხლის ხეს და თითქმის დამწიფებულ იისფერ-ლურჯ ქლიავებიან ორ სხვა ხეს (მგონი, ამ ჯიშს *ჰერმან* ჰქვია). ბველი მზის საათის ირგელივ ყვითელი ვერბენას ხშირი რგოები გამოჩრილა. თითქმის მთელი ზაფხული ყვავის. ხრემიან ბილიკს კი თეთრი და წითელი ხიჯების მგვენები მიჰყვება. ვეიან ყვავიან, მერე კი ზამთრისპირამდე ღაღანებენ რაღაცაზე მიმნიშნებელი პაგარა სვეტებივით.

რას იტყვი, საკმარისი კომპენსაცია გამომივიდა ორი ბორანისა და 600 კილომეტრისთვის?

ჩინებული! ახლა უკვე გხედავ. მაგრამ უწინ ხომ შორტებს არასოდეს იცვამდი? როგორც წესი, ველვეტის შარვალს ატარებდი, ხან ყავისფერს, ხან ჩალისფერს, ხანაც — კაშკაშა ნითელს. ასე რომ, რაღაც შეცვლილა.

ახლა კი შეგიძლია მელაპარაკო, სტეინ. აქ ვზივარ.

გელაპარაკო?

შენ მოგეცა მეორე შანსი, რომ გეთქვა, რაში მდგომარეობს შენი *რწმენა* შენთვისვე აუხსნელ საგნებთან მიმართებით.

აპ, მართლა. მთლიანობაში, მგონი, იგივე შეეითხვა დამისვი მაშინაც, თუმცა მუსტად არ მახსოვს რა გიპასუხე. მერე კი, იმ ოთხშაბათს, როცა ორივემ დავტოვეთ წიგნის ქალაქი, მე დიდხანს დაედიოდი ბაღში და ისევ იმაზე ვფიქრობდი, თუ რაგომ დავშორდით. რაგომ და, მხოლოდ რწმენასთან დაკავშირებული ამ საკითხების გამო. როცა უორგლბერიელი ქალი გამახსენე, ვცადე გამეხსენებინა ყველა საუბარი, რაც კი ოდესმე გექონია ამნაირ საგნებზე. მერე კი უეცარი სიჩუმე ჩამოწვა და ყველაფერი დაიშალა.

ცოტა არ იყოს მაკრთობს ამ ყველაფერთან მიბრუნება. მართალი ხარ, როცა იხსენებ, როგორ ვიჯექი მეორე ოთახში წინა საღამოს და, სრულებით სასოწარკვეთილი, როგორ ვეწეოდი სიგარეგს სიგარეტზე.

სიტყვას ეეღარ ვეუბნებოდით ერთმანეთს. ერთ ოთახშიც კი აღარ დაგვე-დგომებოდა. გათენების წინ, როცა მცირე ხნით მიეწექი, ოცსიგარეტიან კოლო-ში ერთიღა იყო დარჩენილი. ეს კარგად მახსოვს, რადგან ერთი საათის შემდეგ, როცა ავდექი, ეს უკანასკნელიც ავანთე საწოლის კიდეზე ჩამომდარმა. ნახევრამდე რომ მიეედი, სიგარეტი საფერფლეში ჩავჭყლი-ტე და სასტუმრო ოთასმი გამოვედი. იქ შენ იჯექი დივანის კიდეზე და შენც სიგარეტი გეჭირა.

„სტეინ–", წარმოთქვი მხოლოდ ეს. თუმცა თვა-ღები კიდევ რაღაცას ამბობდნენ და მეც თავი დავაქნიე.

ვიცოდი, რომ იმ დღეს მგოვებდი. შენც იცოდი, რომ მე ეს ვიცოდი. არც მიცდია შემეჩერებინე.

ახლა, ოცდაათზე მეტი წლის შემდეგ, მენ ისევ იმას მეკითხები, რა გწამსო? შეიძლება, ამან გული აგიცრუოს, მაგრამ ვეჭვობ, საერთოდ რა-მეში გამაჩნდეს რამენაირი პიროვნული რწმენა. ამდენად, უფრო გამიად-ვილდება განვსაზღვრო ის, თუ რა *არ მწამს.*

მგონი, უფრო და უფრო რთულად მეტყველებ. კეთილი. მაშ, ის მით-ხარი, რა *არ გწამს?*

ერთი სიტყვით გამოეთქვამ მაგას: არ მწამს არანაირი *გამოცხადება.* მწამს მხოლოდ ის, რომ ირგვლივ ამდენი საოცრებაა და კიდევ უამრავი რამ, რაც არ ვიცით. თითქმის უსასრულოდ ბევრი რამეა ისეთი, რაც შე-გიძლია ირწმუნო, და ისეთიც, რაც მეიძლება გვეჭვებოდეს.

სიტყვას „რწმენა" ჩვენ ბევრი განსხვავებული კონტექსტით ვიყენებთ. მაგალითად, შეგვიძლია გვწამდეს, რომ „მანჩესტერ იუნაიტიდ" მოუგებს „ლივერპულს", ან ის, რომ ხვალ კარგი ამინდი იქნება. ამაში ვგულისხ-მობთ, რომ ერთი რამ უფრო მოსალოდნელია, ვიდრე მეორე. შესაძლოა, „მანჩესტერის" გამარჯვება კვირადღის მაგჩში უფრო მოსალოდნელია და, შესაძლოა, *არსებობს* ნიშნები, რომ ხვალ კარგი ამინდი იქნება. მაგ-რამ ახლა ამაზე არ ვლაპარაკობთ.

არსებობს რწმენის საკითხების სხვა კატეგორია, რომელსაც ასევე შეგვიძლია თავი დავანებოთ მოცემულ მომენტში. უწინარესად, ვგულის-ხმობ საკითხს, რომელსაც მენ უკვე შეეხე: თავისთავად მოხდა თუ შესაქ-მის ღვთაებრივი აქტის შედეგია ის, რასაც ჩვენ „დიდ აფეთქებას" ვუწო-ებთ? ამ კითხვას ვერავინ უპასუხებს გადაჭრით. ეს ტიპურად *რწმენის საკითხია* და მეც დიდ პატივს მივაგებ იმ შესაძლებლობას, რომ დიდი აფეთქება შეიძლება ღმერთის ერთ-ერთი სასწაული იყოს. თუმცა, პირა-

დად ჩემთვის, ტერმინი „ღმერთი“ ერთობ გადაგვირთულია ადამიანური წარმოდგენებით და ამიტომაც აქტიურად ვერ გამოვიყენებ. ჩემი აზრით, ამავე კატეგორიას ეკუთვნის შენთვის მნიშვნელოვანი სხვა საკითხიც: არსებობს თუ არა ჩვენში რაღაც, – სული თუ გონი, – რომელიც განაგრძობს არსებობას სიკვდილის შემდეგ. პირადად მე არ მგონია, რომ არის ჩემში რაღაც, იმის შემდეგაც რომ იარსებებს, რასაც ამჟამად წარმოვადგენ. არა იმიტომ, რომ, ჩემი აზრით, ასეთი რწმენა – თუნდაც ბუნდოვანი სფეროს კუთვნილება – შეუთავსებელია მეცნიერებასთან. სულაც არ ვაპირებ, გავაუქმო რწმენა სიკვდილის შემდგომ ცხოვრებაში (ძით უფრო არ მსურს შენი განძარცვა მისგან) რაიმე *მეცნიერულ საფუძველზე*...

ჩინებულია. მაგრამ?

მაგრამ მე არ მწამს, რომ რაიმე „ზებუნებრივი“ ძალები მუდმივად იჭრებიან ჩვენს ცხოვრებაში და „ეკეცხადებიან“. თუ ეს ასეა, მაშინ გაცილებით მეტი სიცხადე მჭირდება ამ ყველაფერთან დაკავშირებით. ჩემი უკურეაქცია არ გამოუწვევია სადღაციდან ჩამოვარდნილ შენეულ რწმენას საიქიო ცხოვრებაში, არამედ იმას, რომ ეს ყველაფერი შენ პირდაპირ გადააბი იდეას – *უორგლბერიელი ქალიც* საიქიოს გამოელინება იყოო. და როგორც აღნიშნე, ის იყო ისეთი რამ, რაც ჩვენ *ერთად ვიხილეთ*. და თუმცა მისი სახება იმწამსვე დავაკავშირე იმასთან, რაც მთის ტბასთან ვნახეთ, ვერ დავიჯერე, რომ უორგლბერიელი ქალი სწორედ იქ გარდაიცვალა და ახლა საიქიოდან დაბრუნდა ჩვენს მოსანახულებლად.

მესმის. განაგრძე, სტეინ. მსურს, ბოლომდე გაგიგო. მერე კი, როცა ჩემი ჯერი დადგება, ჩემს თვალსაზრისს დაგიპირისპირებ. პირდაპირ ამოაწყვე ყველაფერი, ფიქრი არ გქონდეს, აუვალ.

ჰოდა, ეგრე. მე არ მჯერა, რომ ოდესმე კაცობრიობის ისტორიაში რომელიმე ადამიანს ან რასას ღმერთები თუ ანგელოზები, სულები თუ წინაპრები, ფერიები თუ აჩრდილები გამოცხადებოდნენ, ან რამენაირად გამოეელინოთ თავი. ამის მიზეზი უბრალოზე უბრალოა: ასეთი რამეები საერთოდ არ არსებობს.

ამ წუთისთვის ხუთი ბალი მაქვს შეჭმული. კურკებს წინ ვიწყობ მაგიდაზე და ამიტომაც იოლი დასათვლელია.

ამბობენ, ეიდეს სურსათის მაღაზია უნდა დაიკეტოსო. არადა, ეს მათი საოჯახო ბიზნესია 1883 წლიდან. არის მაღაზიები ნორასა და იტროგრენდში. კუნძულს სულ ორასიოდე მუდმივი ბინადარი ჰყავს. მაგრამ, მე მგონი, გულდასაწყვეტი იქნება, თუ აქ მაღაზია აღარ გვექნება. რასაკვირველია, შეგიძლია მანქანით ან ველოსიპედით მიაკითხო ნორას და იქაურ მაღაზიას, მაგრამ როდესაც კოლგროვის მსგავსი პატარა თემი საკუთარ მაღაზიას კარგავს, მაშინ მთელი აქაური სტრუქტურაც რღვევას იწყებს, განსაკუთრებით — ზამთრობით, ანუ ზაფხულის სეზონური სტუმრების არყოფნის პერიოდში.

ჩვენი მოგზაურობები თუ გახსოვს — ველოსიპედებით — იმ ზაფხულს? ვიცი, გემახსოვრება. ყოველ საღამოს მივდიოდით სონდრე ჰიოონევოგზე ზღვისა და დაისის საყურებლად, უკანა გზაზე კი ყოველ შემხვედრ ტბაში უნდა გვებანავა.

თუმცა განაგრძე, სტეინ. არც ისე მყიფე ვარ, როგორც შენ გგონია. ამბობდი, ზებუნებრივი ძალებისა არ მჯერაო...

რაკი მეკითხები, ჩემი გალილეის ტელესკოპიც აქ მაქვს. მეეცადე წარმოიდგინო, რომ „ზებუნებრივ" მოელენებთან დაკავშირებული ყველა იდეა პირწმინდად ადამიანური წარმომავლობისაა და მხოლოდ მასში აქვს ფესვი გადგმული. ჰოდა, სწორედ იქ, ადამიანში, პოულობენ მსგავსი რამეები ფრიად ნაყოფიერ ნიადაგს. ეფიქრობ, საამისოდ არსებობს სამი არსებითი ფაქტორი: ჩვენი მოჭარბებული წარმოსახვა, ჩვენი თანდაყოლილი საჭიროება – ვეძიოთ დაფარული მნიშვნელობები თვით მაშინაც, როცა ასეთები არ არსებობს, და ჩვენი ბუნებითი სწრაფვა სრულებით ახალი არსებობისკენ, ანუ სიკვდილის შემდგომი ცხოვრებისკენ.

ადამიანური ცხოვრების ეს კოქტეილი უჩვეულოდ პროდუქტიული აღმოჩნდა. უკლებლივ ყველა ეპოქაში, ყველა საზოგადოებასა და კულტურამი, ადამიანებმა დასტა-დასტად ჩამოიყალიბეს წარმოდგენები ისეთ ზებუნებრივ არსებებზე, როგორებიცაა ბუნების სულები, ღმერთები, გოლიათები, ანგელოზები თუ დემონები.

სავსებით დარწმუნებული ხარ შენს თავში, ჰო?

დასაწყისისთვის აიღე ჩვენი წარმოსახვის მოუსვენარ-გაუნელებელი თუხთუხი. ყველას რაღაც ესიზმრება და, ამდენად, არაეინაა ბოლომდე დაშღვეული პალუცინაციებისგან. ზოგ სიტუაციაში იგივე შეიძლება დაგვემართოს ღვიძილის დროსაც. ვეგონია, ეხედავთ და ვგრძნობთ. არადა,

ამას, რეალურად და რეალობამი, არაეითარი საფუძველი არ გააჩნია. ვის არ უკითხავს საკუთარი თავისთვის: უკავშირდება თუ არა ესა თუ ის ხსოვნა რაიმე რეალურად განცდილს? ან, ეგებ, ეს სხვამ უთხრა ან, უბრალოდ, იფიქრა ამაზე, დაესიზმრა ან წარმოიდგინა?

მე შემხვედრია ადამიანები, რომლებიც ამტკიცებდნენ, ფერიები ეკინახავსო. არადა, ჩვენს თავებში ისე გამუდმებით ფუთფუთებენ გრძნობადი მთაბეჭდილებები, რომ რაღა გასაკვირია, დროდადრო ნაპირებიდანაც გადმოდიოდნენ, ანუ ხდებოდეს ის მცირე გადახრები, რასაც, ჩვეულებრივ, ილუზიებად თუ ქიმერებად მოვიხსენიებთ.

ნახტომი გრძნობადი დომხალის ამ ბუნებრივი შემოტევებიდან იმისკენ, რასაც ჩვენ „რელიგიურ ჭეშმარიტებებს" ვუწოდებთ, ხდება მაშინ, როდესაც უფლებას ვაძლევთ ჩვენს საკუთარ ან სხვათა წარმოსახვას – მიიღოს ჩვენი ან სხვების ცნობიერებისგან დამოუკიდებლად არსებული, ობიექტური სტატუსი. ვგულისხმობ ყველაფერს, დაწყებული ბუნების სულებიდან თუ ძველ რელიგიებში დაბუდებულ მისტიკურ ფიგურათა მრავალრიცხოვანი გუნდიდან, დამთავრებული დიდ უნივერსალურ რელიგიებში მოცემული ყველაზე ამაღლებული და ინტელექტუალიზებული კონცეფციებით, მაგალითად – ყოელისშემძლე ღმერთით, რომელიც ეცსადება მიწაზე ანუ ირმის ნახტომის ამ პლანეტაზე მობინადრე ადამიანებს.

თუმცა აქ უნდა აღვნიშნო ერთი მნიმენელოვანი გამორჩეულობა. რამდენიმე ეთიკური იდეალის გარდა, ყველა რელიგია მეიცავს ადამიანური გამოცდილების სიუხვის რქას, რომელიც, თავისთავად, ერთობ ღირებულიც მეიძლება იყოს. როგორც უკვე ეთქვი, მე ეჭვქვეშ არ ვაყენებ საკუთრივ ადამიანთა *რელიგიურობას*, არამედ იქ ვჩერდები, სადაც ეუსმენ ან ვკითხულობ იმ ადამიანებზე, რომლებიც ახორციელებენ პირად კონტაქტს მაეან ყოელისშემძლე ღმერთთან, – იმასთან, ვინც დაელაპარაკა ან გაენდო მათ საგანგებო სიტყვით, რომელსაც ყველა უნდა დაემორჩილოს. ამ დედამიწაზე ბინადრობს მილიონობით ადამიანი, რომლებსაც სჯერათ, რომ ღმერთი მათ სრულებით ინდივიდუალურად მიმართავს და ეუბნება, ასე და ასე მოიქეცითო. ათეულ მილიონობით ადამიანს სჯერა, რომ ყოელისშემძლე ღმერთი დეტალურად აკონტროლებს ყველაფერს, რაც ამქვეყნად ხდება, ცუნამი იქნება ეს, ატომური ომი თუ კოღოს ნაკბენი.

ან ლეპტოპის ბატარეის დაცლა აქ, ფიორდის ყურეში. ვეცდები პრობლემა მოვაგვარო. შენ განაგრძე. ამწუთას არ მაქვს ბატარეა, რომ ხანგ-

რძლივი საუბარი გაგიბა. არც შინ შესვლას ვაპირებ ასეთ საუცხოო ამ-ინდში.

უბრალოდ, განვაგრძო?

ჰო, სტეინ. მერე ჩემი ჯერი იქნება და, ვიმედოვნებ, ამისთვის შენ ფსიქოლოგიურად მომზადებული ხარ. იქნებ მომიწიოს იმის ამოჩხრეკა, რაც მაშინ ერთად განვიცადეთ. არ ვიცი, რამდენად გახსოვს ის ყველა-ფერი. მაგრამ განაგრძე, განაგრძე.

ვერ ვიტყვი, რომ დიდად ეელოდები, რის გამოჩსრეკასაც შენ აპირებ. მაგრამ რაკი თანმიმდევრულად ვმლით, რასაც ვწერთ, ვიღებ შენს პი-რობებს და, ამდენად, წერასაც განვაგრძობ.

ჩვენ თვალი შეეაელეთ იმას, რისთვისაც შეიძლებოდა *რელიგიური გადაწყვეტა* გვეწოდებინა. მაგრამ ადამიანის ბუნება არ იცვლება და, იცი, არც „პარანორმალურ" თუ „ექსტრასენსორულ" მოვლენათა პარა-ფსიქოლოგიური მენიუ მირწმუნია ოდესმე. ამწუთას მხედველობაში მაქვს არა მხოლოდ სპირიტუალისტური სეანსები და ყველა ჯურის სუ-ლიერი ჯამბაზობა ეიქტორიანულ სალონებში. რეალობის ამგვარი გაო-რება ცოტა არ იყოს მოდიდან გადავიდა. ამჯერად მხედველობაში მაქვს ტელეპატიისა და ნათელმხილველობის, ფსიქოკინეზისისა და აჩრდილთა თანამედროვე კონცეფციები. ბოლო ხუთი წლის მანძილზე ძალუმ აღორ-ძინებას განიცდის ანგელოზებისა და „მფარველების" ოდინდელი იდეებიც. არადა, არსებითად, ესეც დაიყვანება ერთგვარ გამოცხადებისეულ რწმე-ნაზე, რომელიც უკავშირდება გარკვეულ ტრანსცენდენტულ ან ექსტრა-სენსორულ ძალებთან კონტაქტში შესვლის შესაძლებლობის კონცეფცი-ებს. არც ისე დიდი ხანია, რაც სამოგადოება შეუუცხუნდა: ნორვეგიის მო-სახლეობის 38%-ს თურმე სწამს, რომ ადამიანებს ანგელოზებთან უშუა-ლო კონტაქტის უნარი შესწევთ.

ფსევდო-ფენომენთა ამ ნუსხაში ერთაე ნებისმიერი სახის წინასწარ-მეტყველებასაც, რადგან ესეც ეყრდნობა წინდაწინ დადგენილ ბედისწე-რას, რომელიც შეიძლება გამომეღავნდეს თუ გაცხადდეს გარკვეული ტექნიკის მოხმობით, განსაკუთრებით — კარგად ანაზღაურებულ მკითხავ-მარჩიელთა მეშვეობით. აქ ლაპარაკია მთელ ინდუსტრიაზე, რომლის საქონელბრუნვა, ალბათ, არ ჩამოუვარდება სექს-ინდუსტრიას. პორნო-გრაფია და ოკულტიზმი, როგორც ჩანს, თანაბრად გაყიდვადი საქონე-

ლია, თუმცა პირველს საქმე აქვს რაღაც სრულებით ბუნებრიეთან, მეორეს კი – ზებუნებრიეთან.

ერთადერთი, რაც, ჩემი თვალთახედვით, ხელეწიფება ამ ეგრეთ წოდებულ პარაფსიქოლოგიას, არის არარსებული ლანდშაფტის მოხაჩვა. ფანტასტიკურ ან წარმოსახვეით ლანდშაფტს ვგულისხმობ. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მთელი პარაფსიქოლოგიური ლიტერატურა არაფრად ღირებული ნაგავია. როგორც უამრავ ადამიანში არსებულ ერთგვარ შეხედულებათა აღწერა, ასეთი ლიტერატურა საინტერესო საკითხავია რელიგიის, ფოლკლორისა და სხვა კულტურული დისციპლინების ისტორიასთან ერთად. ზღაპრებს ჩვენ არ მივიჩნევთ ღირებულებას მოკლებულ მასალად და სამდეილად ეაფასებთ, რომ სნორრიმ მანამდე მოუყარა თავი სკანდინავიურ და გერმანულ მითოლოგიას, სანამ ეს ყველაფერი დავიწყებას მიეცემოდა.

კიდეე მაქეს სათქმელი, მაგრამ, გზადაგზა, კომენტარებისთვისაც მზად ეარ. ჰოდა, სანამ შენი ლეპტოპის ბატარეა ბოლომდე დაჯდებოდეს, ამ საორიენტაციო ამრებს გიგზავნი.

პასუხი არ მომდის, როგორც ჩანს, უკვე ცუდად გაქეს ბატარეის საქმე. მამინ, სანამ რამეს მიეიღებდე შენგან, ჩემს წერილმან ანალიზს გავაგრძელებ.

ზებუნებრიე თუ ექსტრასენსორულ მოელენებთან დაკავშირებული ყოველგვარი იდეის უკუგდებით მე, ჩემღა უნებურად, ეიკაეებ სკეპტიკურ პოზიციას დამკვიდრებულ რელიგიებში არსებული ყველა ამდაგვარი წარმოდგენის მიმართ. ჩემთვის, ეს ერთი და იმავე მონეტის ორი მხარეა და არა მგონია, აუცილებელი იყოს ფორმალურ განსხვავებათა წარმოჩენა, ერთი მხრივ, გამოცხადებამე დაყრდნობილ რელიგიებსა და, მეორე მხრივ, „ზებუნებრიეი ფენომენების“ უფრო თავაშვებულ და არადოგმატურ პრაქტიკას შორის. პარაფსიქოლოგიურ ანუ „ზებუნებრიე“ ხდომილებებთან დაკავშირებული ანეკდოტების მმარდი ფლორასგან განსხვავებით, დიდ მსოფლიო რელიგიებში შესაბამისი ამბები დოგმებად „შედედა“ და განაგრძობს ნაყოფიერ თანაარსებობას კარგად ორგანიზებულ და სტრუქტურირებულ რწმენასთან ღვთაებრიე ძალთა პერიოდულ შემოჭრაში.

როგორ უნდა დადგინდეს განსხვავება რწმენასა და ცრურწმენას შორის? ერთი ადამიანის რწმენა მეორისთვის ცრურწმენაა, და პირიქით. სამართლიანობის სასწორს ორი პინა აქეს.

ზუსტად ვერ ეხედავ განსხვავებას რელიგიურ ექსტაზში ჩაეარდნილი ადამიანის რომელიღაც უცნობ ენაზე ამეტყველებასა და სპირიტუალისტის მიერ სულებთან კონტაქტში შესვლას შორის. ამათგან პირველიც ხომ „მედიუმია“? ვერ ეხედავ რაიმე სხვაობას რელიგიურ წინასწარმეტყველებებსა და ნეკრომანტიულ ხელოვნებათა მთელ ამ მარადჭაბუკურ არსენალს შორის. „სასწაულებად“ ვნათლავთ მოელენებს თუ ფსიქოკინეზისად, „ამაღლებად“ თუ ლევიტაციად — ეს ჩემთვის სულერთია, რადგან თითოეულ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ბუნების ყველა კანონის გაუქმებასთან.

თვით ის მეხედულება, რომ, იშვიათ შემთხვევებში, ადამიანს „ზებუნებრივი“ ეცხადება, აერთიანებს ცრურწმენას, პარაფსიქოლოგიასა და მსოფლიო რელიგიებს და, იმავდროულად, განასხვავებს იმისგან, რასაც ჩვენ სამყაროს მეცნიერულ თუ საბუნებისმეტყველო ხედვას ვუწოდებთ. მენ იყენებ სიტყვას „ხილვა“, თუმცა ეს თითქმის იმავეს გულისხმობს, რასაც „გამოცხადება“.

მენ მიერ აღნიშნული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტივაცია პარაფსიქოლოგიური კელევისთვის ის იყო, რომ ეს უკანასკნელი ცდილობდა მეცნიერული საფუძველი მოეძებნა რწმენისთვის სიკვდილისმემდგომ ცხოვრებაში. მან მაშინ აიღო ქანი, როცა დარვინიზმმა და თავისუფალმა აზროვნებამ საფრთხე შეუქმნა ტრადიციულ რელიგიებს. მენ ცოლ-ქმარი რაინები ახსენე და მეც მოვიძიე მათთან დაკავშირებული მასალები. ამ წყვილისთვისაც ისევე, როგორც ექსპერიმენტული პარაფსიქოლოგიის სხვა პიონერებისთვის, ამოსავალი იმპულსი იყო სულის უკვდავების დადასტურება. თუკი მოახერხებდნენ და იპოვიდნენ თუნდაც ტელეპატიის, როგორც მოვლენის, ნამდვილობის წყალგაუვალ მტკიცებულებას, მაშინ უფრო ადვილად დაიცავდნენ რწმენას, რომ ადამიანებს აქვთ მარადიული, „თავისუფალი“ სული, რომელიც მხოლოდ დროებით სახლობს მათ ტვინში და სულაც არ არის მოუწყვეტლად მიბმული ამ უკანასკნელზე. მაგრამ ასეთი მტკიცებულება დღემდე არ მოძებნილა.

აპა, ისევ ეგზავნი. მაგრამ იღებ კი?

ვიღებ, ვიღებ! ხელსანყოების კარადაში ძველი დამაგრძელებელი ვიპოვე და ახლა სახლიდან ვიღებ დენს. ამ გრძელ წითელ სადენს მიერთებული ლეპტოპი კუნძულის ელექტროსისტემის ნაწილს წააგავს. ასე რომ, ამ მომენტში, ის ფიზიკურად მიერთებულია სახლთან და მის გარემოსთან, ოღონდაც — *მათგან მოუწყვეტელი არ არის.* ახლახან მოვიტანეთ რუტერი[7], რომელიც მთლიანად ფარავს ამ პაწია ბაღს. ახლა ყოვ-

ელგვარი სადენის თუ დამაგრძელებლის გარეშე შემიძლია ვიჯდე აქ და მთელ ქვეყნიერებას ვეკონტაქტო.

ჰოდა, შეეცადე წარმოიდგინო, რომ ადამიანების გარდა სხვამაც შექმნა ასეთი უსადენო ქსელები...

ახლა ტელეპატიაზე ხომ არ ფიქრობ? და კიდევ, შესაძლოა, კონტაქტზე გარდაცვლილთა სულებთან?

მე ბევრ რამეზე ვფიქრობ. მაგრამ მირჩევნია, ჯერ შენი სათქმელი დაამთავრო, რათა შესაძლებლობა მომეცეს, გაგიგო. ჯერ შენ გამოთქვამ შენს შეხედულებებს, მე კი, დროდადრო, ნაგიბიძგებ და შეგიჩიჩხინებ. შემდეგ ჩემი თვალსაზრისების გადმოწყობის ჯერი დადგება.

კეთილი. ოღონდ ძალიან არ გაგვიგრძელდეს, რადგან მეც მსურს, გაგიგო.

მომიწევს კიდევ ერთხელ და, თანაც, დეტალურად გადმოვცე ჩვენი თობლივი გამოცდილება, რადგან ვერანაირად ვერ განვაცალკევებ იმ ამბავს ჩემი სადღეისო რელიგიური მეობისგან. შესაძლოა, რაღაცები დაგავიწყდა, — ზოგიერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი, — მაგრამ მე, როგორც გითხარი, მშვენიერი მეხსიერება მაქვს.

ამაზე, თუ აუცილებელია, ხომ მოგვიანებითაც შეეგიძლია ეისაუბროთ? პო, თუკი აუცილებელია, რომ მაინცდამაინც ამაზე ილაპარაკო. თუ აუცილებელია, რომ *ეილაპარაკოთ.* ბოლოს და ბოლოს, ერთხელ ხომ შეეპირდით ერთმანეთს, რომ ამ ამბავს აღარასოდეს ამოეჩხრეკდით.

ვნახოთ. ვნახოთ, სადამდე მივალთ.

როცა დამაგრძელებელი ვიპოვე და ბაღში გამოვშალე, ინგრიდმა თვალები დააჭყიტა. მეგონა, დღეს ისვენებდიო, — გააპროტესტა. ჰგონია, მასწავლებელთა საბჭოს მასალებზე ვმუშაობ ან ფრანგულის გაკვეთილებს ვამზადებ მომდევნო სასწავლო წლისთვის. სხვათა შორის, მიმდინარე წელს რამდენიმე იტალიურ კლასსაც უნდა ვასწავლო. თავისთავად, არც ერთი იქნებოდა გასაკვირი და არც მეორე: სწავლა ხომ სულ ერთ კვირაში იწყება. გარდა ამისა, ცოტა ხნის წინ ნილს პეტტერ და იუნას დაბრუნდნენ თევზაობიდან. ნილს პეტტერმა თითქმის შეშფოთებით შეხედა დამაგრძელებელს, მერე მოვიდა, კისერზე ხელი გადამისვა, მეო-

რე ხელით კი რამდენიმე ბალი აიღო. განზრახ აარიდა თვალი ლეპტოპის მონიტორს, რომელზე გამოსახული ტექსტი ისედაც ძნელი გასარჩევია ამ კაშკაშა მზეში. მგონი, იცის, რომ ვიღაცასთან იმეილებს ვცვლი და, ეჭვი მაქვს, რომ ჩემი ადრესატის ვინაობასაც ხვდება. ვერ ვბედავ, ვთქვა, რას ვნერ ან ვის ვწერ, და თითქოს ისიც ვერ ბედავს შეკითხვის დასმას.

რა არის ახალი ნორდბერგში? თუ მალე არაფერს შევიტყობ მაგ შემინული აივნიდან, უკვე ვიღელვებ, რომ სადღაც გაუჩინარდი.

თითქმის სხვა არაფერი მიქნია, მხოლოდ ვზივარ და ვწერ, პასუხებს ველოდები და ვკითხულობ. მენც დაუყოვნებლივ პასუხობ ჩემს იმეილებს. თუმცა, მართალი ვითხრა, წელან ბუფეტთან მივედი და პაწია ჭიქამი „კალვადოს" დავისხი. ესპრესო ცოტა არ იყოს მოსაწყენი აღმოჩნდა.

ნუღარ მიხვალ მაგ ბუფეტთან, სტეინ! განაგრძე წერა. პარაფსიქოლოგიაზე და ზებუნებრივზე ლაპარაკობდი...

პო, მანდ გავჩერდით.

ცნობილმა ამერიკელმა ჯადოქარმა, ჯეიმს რანდიმ, მილიონი დოლარი მესთავაზა პირველივე ადამიანს, რომელიც „ყველას წინაშე თვალსაზრისით წარმოაჩენდა ნებისმიერი პარანორმალური, ზებუნებრივი ან ოკულტური ძალის აქტივობას". ამას ეწოდა *მილიონდოლარიანი პარანორმალური გამოწვევა* და ჩატარდა 1964 წელს, როდესაც რანდიმ თავისი ჯიბიდან ამოღებული ათასი დოლარი მესთავაზა პირველივე სუბიექტს, რომელიც მოახდენდა რაიმე ზებუნებრივის დემონსტრირებას. ამ პრიზში ნელ-ნელა სხვებიც ჩაერთვნენ და მალე საპრიზო თანხა მილიონ დოლარამდე ავიდა. მაგრამ დღემდე ვერავინ გაიარა ეს ტესტი.

რა თქმა უნდა, მენ შეიძლება შეიცხადო და თქვა, რომ ნათელმხილველები ან ზებუნებრივი უნარებით დაჯილდოებული ადამიანები ფულს არ ხარბდებიან. ეგაა, არავის უცდია იოლი ფულის შოვნა რანდის პრიზის წყალობით, არავის მიუღია მონაწილეობა *მილიონდოლარიან პარანორმალურ გამოწვევაში*, არავის – თვით ათასობით ფულის მოყვარული შარლატანიდან, გაზეთების სვეტებს რომ აესებენ თავიანთი განაცხადებით და იაფფასიან გასართობ არხებზეც რომ იწონებენ თავს. რატომ? პასუხი მარტივია: ისინი არც ნათელმხილველები არიან და არც „ზებუნებრივი" უნარებით ცხებულნი.

მათი უმრავლესობა, ვინც მონაწილეობა მიიღო რანდის *გამოწვევაში* (ასეთები ბევრნი აღმოჩნდნენ), არ იყო არცერთი პროფესიონალი „ზებუნებრივის“ ბიზნესიდან. ასეთები შავი ჭირივით უფრთხოდნენ რანდის: ის ხომ, საბოლოო ჯამში, სასწორზე აგდებდა მთელ მათ ინდუსტრიას.

რასაკვირველია, ამ წამოწყებაში რანდიმ ვერასოდეს მიაღწია წარმატებას, რადგან ქვეყნიერებას *სურს* ტყუვდებოდეს!

რამდენიმე წლის წინ, ამერიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი „ნათელმხილველი“, სილვია ბრაუნ, პირისპირ შეხვდა რანდის ტელეშოუში *ლარრი კინგ ლაივ*. და როდესაც რანდიმ გამოიწვია სილვია – მოახდინე შენი უნარების დემონსტრირება გაკონტროლებულ პირობებშიო, ქალმა საგელვეიზიო ეთერში პირობა დადო, ტესტირებას გაივლიო. მას შემდეგ რამდენიმე წელმა ჩაიარა, მაგრამ სილვია ჯერაც არ შეხვედრია რანდის. ერთხელ იმით მოიბოდიშა, არ ვიცოდი, როგორ შევხმიანებოდიო. დიდებულია! დიდებულია განაცხადო, ნათელმხილველურ ძალებს ვულობო და, ამავე დროს, ტელეფონის ნომერი ვერ მოძებნო საგელეფონო ცნობარში!

იმათი უმრავლესობა, ვინც მონაწილეობა მიიღო *მილიონდოლარიან პარანორმალურ გამოწვევაში*, გულუბრყვილო, გარეგნულად კეთილსინდისიერი ან სულით აკადმყოფი აღმოჩნდა. რანდის გამუდმებით უნდა დაეშუსტებინა თავისი *გამოწვევის* წესები, რათა საფრთხეში არ ჩაეგდო ან ზიანი არ მიეყენებინა მავანი მონაწილისთვის. თუ, მაგალითად, ვინმე შესთავაზებდა, ათსართულიანი შენობის სახურავიდან გადმოვხტები და არაფერი დამიშავდებაო, რანდი ამის უფლებას ნამდვილად ვერ მისცემდა.

თუმცა მთელი ეს *მილიონდოლარიანი პარანორმალური გამოწვევა* მაინც ზედაპირული რამ იყო. თუ შენ ნათელმხილველი იყავი და პარანორმალური უნარები გქონდა, მაშინ ბევრი სხვა შესაძლებლობაც მოგეცემოდა გასამდიდრებლად. ზემოთ უკვე ვახსენე რულეტი, თუმცა არსებობს კიდევ არაერთი სალონური თამაში, რომლებიც დიდძალ მოგებას გპირდება, თუ ზებუნებრივ ძალებს ფლობ. არადა, ჯერაც არ მსმენია პოკერის კლუბი, რომელსაც გამოეძებინოს მავანი მოთამაშე, აქაოდა ნათელმხილველი ხარო. ისინი მხოლოდ ტყუილს და თაღლითობას აკონტროლებენ.

ზებუნებრივი ძალები და მისტიფიკაცია. აი, ორი, უდავოდ თვით კაცობრიობასავით ძველი საწოლის მეგობარი.

ჯეიმზ რანდის მილიონი დოლარი კი ისევ ხელუხლებელი რჩება.

მრავალი ადამიანისთვის „ზებუნებრივის“ უკანასკნელი ბასტიონი აღმოჩნდა მნიშვნელობით აღსავსე *იღბლიანი შემთხვევების* ანუ „არა მი-

ზეზმედეგობრივ დამთხვევათა“ გამოცდილება, რომელსაც კარლ გუსტავ იუნგმა *სინქრონულობა* უწოდა. ამაზე უკვე ვილაპარაკეთ ოცდაათწლიანი უნახაობის შემდეგ ჩვენს მოულოდნელ შეხვედრაზე საუბრისას. ამ გამოცდილებამი ჩვენ მარგონი არ ვართ. შეიძლება ფიქრობდე ვიღაცაზე, ვინც რამდენიმე ათეული წელია აღარ გაგხსენებია, მერე ქუჩის კუთხეში გაუხვიო და – სწორედ იმ პიროვნებას გადააწყდე. ასეთ მოულოდნელ შეხვედრებში ბევრი ადამიანი ხედავს ზებუნებრივი განზომილების არსებობის საბოლოო დადასტურებას. მართლაც: ასეთი იღბლიანი გადაკვეთის მომენტში სუბიექტს თავბრუ ესხმის, ძალა ეცლება და ამამი არაფერია გასაკვირი.

მაგრამ, როგორც ჩვენს ერთ-ერთ პირველ იმეილში შევეხეთ, ის, რასაც კარლ გუსტავ იუნგ *სინქრონულობას* უწოდებს, ჩემს თვალში წმინდა წყლის დამთხვევაა.

არაფერში გეპარება ეჭვი! მაგრამ განა მეცნიერული მეთოდებით უნდა შემონმდეს ყველაფერი, რაც *არის* ან რაც *ხდება*? არ გამიკვირდება, თუ ამქვეყნიურმა მეცნიერებამ მხოლოდ იმის დემონსტრირება შეძლო, რაც *ამქვეყნიური* იყო.

ნუთუ არ შეგიძლია უფლება მისცე თითოეულ ადამიანს — სწამდეს, რისი რწმენაც სურს? რას იტყვი გამოთქმაზე: „იცხოვრე და სხვასაც დააცადე ცხოვრება“.

რასაკვირველია, ადამიანებს უფლება აქვთ სწამდეთ, რისი რწმენაც სურთ. მაგრამ როდესაც ვიღაც აცხადებს, უზენაესმა არსებამ თავის ჭეშმარიტებებს მაზიარაო, ეს ჩვენ მიზეზს გვაძლევს, რომ ასეთებს ცოტა ალმაცერად ვუყუროთ. თავად მოგეხსენება, როგორ დაეჩვიენ ცალკეული პირები ან ადამიანთა ჯგუფები თავიანთი მისიისა თუ მოწოდების მიწერას ღმერთისთვის, სულერთია – აგრესიულია ეს მისია თუ კეთილმოწყალე. სხვები, უბრალოდ, ჩივიან – ხმები ჩაგვესმისო – და ფსიქიატრს აკითხავენ.

კაცობრიობის ისტორიას მუდამ თან სდევდა ცალკეული პირების თუ მთელი ხალხების განაცხადები „საოცრებებზე“ თუ „სასწაულებზე“. და არათუ მხოლოდ პოზიციისა და პრივილეგიის მოსაპოვებლად, არამედ ტირანული და არაადამიანური მოქმედებების პროვოცირებისთვისაც. ჩვენ ვიცით, რომ რელიგიას ძალუძს მთაადგონოს ადამიანებს გულმოწყალე, არაეგოისტური და ფილანტროპული საქმეები. თუმცა ისტორიაც და ყოველდღიური პერიოდიკაც გვიჩვენებს, თუ რაოდენ ბოროტად შეიძლე-

ბა იქნას გამოყენებული რელიგიური მცნებები. ღმერთების, პატრიარქებისა და წინაპრების სახელით ჩადენილ სისასტიკეებს უხსოვარი დროიდან დაუღარაეს კაცობრიობის ისტორია.

იესომ მოასერხა, შეეჩერებინა კაცები, რომ არ ჩაექოლათ ქალი, რომელსაც სიძეის აქტზე შეასწრეს. მაგრამ ჩაქოლვა გრძელდება. ზოგიერთ ქვეყანაში კი მოძალადე თავისუფლად დაიარება მამინ, როდესაც დამნაშავე ქალს ჩაქოლვის განაჩენი შეიძლება გამოუტანონ.

ამასწინათ ასლო აღმოსაელეთში მამაკაცი სიკვდილით დასაჯეს იმის გამო, რომ, სხვა მოქმედებებთან ერთად, მან თითქოსდა გრძნეულებას მიმართა ორი ადამიანის ერთმანეთისგან დასამორებლად. იმავე ქვეყანაში თავის მოკვეთა მიესაჯა ქალს, რომელმაც ასეეე მიმართა გრძნეულებას მავანი მამაკაცის მამაკაცური დაუძლურებისთვის. რასაკვირველია, სამინელებაა კაცისთვის მისი მამაკაცური უნარის წართმეეა, მაგრამ აქ უპრიანია დამტკიცდეს, რომ „ჯადოქრობა“ და „გრძნეულება“ არარეალური ფენომენებია. ბოროტება არსებობს, მაგრამ, ჩემი თვალთახედვით, ხამი უნდა გაესვას იმას, რომ ადამიანთა მიერ ჩადენილი დანაშაული თეით მათგანვე მოდის და არა დემონების ან ბოროტისმზრახველი სულებისგან.

თუ უფრო ფართოდ შეეხედავთ, დავინახავთ, რომ კაცობრიობას ჯერ კიდევ აქტიურად სწამს ჯადოქრობის, წინაპრებთან ან გარდაცვლილებთან კონტაქტის და ეერეთ წოდებულ პარანორმალურ მოელენათა მთელი სპექტრის. აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ზოგიერთ რეგიონში იმდენად გავრცელებულია რწმენა ჯადოქრობამი, შაე მაგიასა თუ წინაპართა ზეგაელენამი ცოცხალი ინდივიდების ქცეეამე, რომ ეს მრწამსი შეუდაეებლად წარმართაეს მილიონობით ადამიანის ცხოერებას. თუმცა ცრურწმენა ერცლად მოსდებია ინდუსტრირებულ ქვეყნებსაც. ეეროპისა და ამერიკის მოსახლეობათა მნიშვნელოვან ნაწილს დღემდე სწამს აჩრდილების, ბოროტი სულებით შეპყრობის, გარდაცვლილებთან კონტაქტის; სწამს უფრო „ციეილიზებული“ მოელენებისაც, როგორიცაა ნათელხილვა, ტელეპატია და მომავლის გამოცნობა.

ზემოთ ვთქვი, რელიგიურ მცნებებს ბოროტადაც იყენებენ-მეთქი. თუმცა წამებაცა და სისასტიკეებიც შეიძლება სათაეეს იღებდეს საკუთრივ რელიგიურ პარადიგმებში. იმ გულმოდგინებას, რომლითაც უსწორდებიან ზოგიერთ მტერს, ერეტიკოსს თუ მთელ ხალხებს, წინ უსწრებს ღეთაებრივი პრეცედენტები. ფუნდამენტალისტებისთვის, რომლებიც დედამიწის ყველა კუთხეში მოიპოვებიან, ყველაფერი, რაც დაწერილია ძველ – წმინდა თუ გამოელენილ – დამწერლობაში, ნორმად არის ქცეუ-

ლი. ამიტომაც გვჭირდება გამუდმებული რელიგიური კრიტიკა. თანამედროვე ქვეყნების უმრავლესობაში ეს ადამიანის სიცოცხლეს უკვე საფრთხეს აღარ უქმნის, მაგრამ მაინც ბევრი გამონაკლისი ხდება, რაც ამ კრიტიკას კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის.

— ... ...

მანდ ზიხარ, სოლრუნ?

კი, სტეინ, აქ ვარ. და, სანამ გიპასუხებ, ჯერ სული უნდა მოვითქვა. დამიცადე ერთ წამს.

დაგიცდი.

ვეთანხმები შენს ბოლო პუნქტს და ხალისით ვუერთდები დოგმატიზმისა და ფუნდამენტალიზმის შენეულ მხილებას. მიუხედავად იმისა, რომ მრავალ სასიხარულოს და განსაცვიფრებელს ვპოულობ ახალ აღთქმაში, მაინც არ მჯერა, რომ ბიბლიის ყველა მარცვალი თვით მამაღმერთის ნაკარნახებია. პირადად ჩემთვის, ერთ-ერთი ცენტრალური მომენტია რწმენა აღმდგარ ქრისტეში.

ცოტა ხნის წინ ნილს პეტტერ ისევ კიბეზე ავიდა, ფანჯრის რაფაზე კი *მესამე* ქურთუკი გადაკიდა! ამწუთას ჟოლოს კრეფს. ვგონებ, მხოლოდ იმისთვის უთვალთვალებს ბაღს, რომ აქ მე ვზივარ და ვწერ. ერთხელ მკითხა კიდეც, რას წერო, და მეც სიმართლე ვუთხარი: ამწამს იმეილს ვუგზავნი სტეინს-მეთქი.

კიდევ რამის თქმა ხომ არ გინდოდა? ან, ეგებ, ამჯერად რელიგიური კრიტიკით დააბოლოვე? მგონი, საკმაოდ ბევრი ილაპარაკე. იქნებ კმარა?

კიდევ ერთი — და უკანასკნელი — დამრჩა.

ჰოდა, რაღას უცდი?! სხვა რომ არაფერი, აქ ცენზურა მაინც არა გვაქვს.

გამოცხადებაზე დაფუძნებული ყველა რელიგია ეყრდნობა იდეას, რომ ამქვეყნიური ცხოვრება მხოლოდ გარდამავალი საფეხურია ზეციური ცხოვრებისაკენ. ამდენად, პირობები *აქ* და *ახლა* ადამიანისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, ეიდრე იქნებოდა მაშინ, თუ მას პერსპექტივაში არ დაელოდებოდა უფრო დიადი და უფრო ჭეშმარიტი სამყარო.

როგორც კლიმატოლოგს, მე არასოდეს მღლის ადამიანებისთვის იმის შეხსენება, რომ ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ეს პლანეტა გვაქვს თავშესაფრად. თუმცა უამრავი ადამიანი ცხოვრობს იმ შეხედულებით, რომ, დიდი ანგარიშით, ეს პლანეტა და ცხოვრებისათვის საჭირო ფიზიკური რესურსები არცთუ დიდად გასაფრთხილებელია, რადგან განკითხვის დღე და სულის ხსნა მორწმუნეთათვის შორს აღარ არის. ამიტომ ჩვენი მიწიერი არსებობა იოლად განიხილება, როგორც მუალედური ფაზა. არსებობენ მორწმუნეთა ისეთი ჯგუფებიც კი, რომლებიც ელოდებიან, როდის განადგურდება ბიოსფერო, რაც მათთვის უკანასკნელი დღეებისა და მეორედ მოსვლის უგყუარი ნიშანი იქნება. ეს ხომ, თურმე ნუ იგყვით, ბიბლიამია ნათქვამი!

CNN-ისთვის ჩაგარებული რეფერენდუმის მიხედვით, ამერიკელთა 59%-ს სჯერა, რომ გამოცხადებისეული წინასწარმეტყველებები აღსრულდება და განკითხვის დღეც ამ ყოველად ფანტასტიკური აპოკალიფსის შესაგყვისად ჩაიელის. მაგრამ ყველაფერი აქ არ მთავრდება. უამრავ მქადაგებელს და პასტორს თავისი „საპაგიო" წელილი შეაქვს საერთაშორისო კონფლიქტების გაღვივებაში, რითაც მათ უნდა *დაჩქარონ* იესოს დაბრუნება. ასეთ საშინელსამსჯაროსეულ ქრისტიანებს მეუძლიათ საკმაოდ დიდი გაელენა იქონიონ თეთრ სახლზე, რადგან, თხუნელებივით, მუდამ ამერიკული საპრეზიდენტო არჩევნების დროს ამოძვრებიან ხოლმე საიდანღაც.

მოგეხსენება, მე არაფრად ვაგდებ განკითხვის დღის ამნაირ წინასწარმეტყველებებს და, მჯერა, რომ შენც ასე ხარ. მაგრამ მე მზაფრავს ის, რასაც ჩვენ თვითრეალიზებად წინასწარმეტყველებებს ვუწოდებთ. შესაძლოა, არავითარი ახალი ცა და მიწა არ გამოჩნდეს. შესაძლოა, არ განხორციელდეს არავითარი განკითხვა და, შესაბამისად, მორწმუნეთა არავითარი ხსნა-გადარჩენა. შესაძლოა, ეს დედამიწაა ერთადერთი რამ, რაც ჩვენ გვაქვს, ჩვენი ერთადერთი თავშესაფარი, ერთადერთი დამაკავშირებელი რგოლი და, შესაბამისად, არაფერია ისე მნიშვნელოვანი, როგორც ჩვენი — ამ პლანეტისა და ყველა მისეული მკვიდრის გამკითხავთა — პასუხისმგებლობა.

რასაკვირველია, სტეინ. უნდა გავუფრთხილდეთ პლანეტას. მაგრამ არა მგონია, ისეთი სულელი იყო, რომ გარემოს დეგრადირებისთვის ბრალი *მორწმუნეებს* დასდო. ჩემი აზრით, ჩვენი — მორწმუნეთა — უმრავლესობა უფრო დიდ პატივს მიაგებს ბუნებას, ვიდრე ისინი, ვისაც არაფერი სწამს. ნუთუ ვერ ხედავ, როგორი ტლანქი მატერიალიზმის

გამოვლინებაა ეს ყოვლად დაუდევარი ჭარბი მოხმარება მსოფლიოს მრავალ რეგიონში? მე თუ მკითხავ, ეს დიამეტრალურად უპირისპირდება სულიერ ორიენტაციას. ამჟამად ყველაფერი ისხვლება და იცვლება, ვინძლო რამენაირად შემცირდეს სათბურის გაზები. ერთადერთი, რაზე მსჯელობასაც ვერავინ ბედავს, ისაა, თუ რა პოტენციალს ვფლობთ იმისთვის, რომ შევამციროთ ჩვენი გაუგონარი მასშტაბის მოხმარება, ისტორიის ყველაზე საბედისწერო კოქტეილი: ჩახტი-და-გააქანეზე და ერთჯერადი მოხმარების საქონელზე ორიენტირებული ყოფიერება. ჩვენ ვცხოვრობთ ისტორიულ დროში, რომელსაც ჩვენმა შთამომავლებმა შეიძლება, საბოლოოდ, მომხმარებლური ფაშიზმის ეპოქა უწოდონ. და მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი დროის მომხმარებლური იდეოლოგია შეიძლებოდა მნიშვნელოვანწილად შენაცვლებოდა რელიგიას.

პო, ალბათ მართალი ხარ და მეც სიამოვნებით ვაღიარებ ამას. არსებითად, არაეითარი საბუთი არ მომეპოვება, რათა ვამტკიცო, რომ მათ, ეისაც საიქიო ცხოვრება სწამს, ნაკლებად სურს პასუხი აგოს ამ პლანეტისთვის, ვიდრე იმათ, ვინც ამ რწმენას არ იზიარებს. მაგრამ მე გაფრთხილებას ვიძლეევ იმ შეხედულების საწინააღმდეგოდ, რომ „ცა და მიწა ჩაიელის“ და რომ მორწმუნეს ახალი ქვეყანა და იქაური ხსნა ელოდება.

ახლა კი რაღაც უნდა შევცვალო. მგონი, ჩემებს ყელში ამოუვიდათ ჩემი დღევანდელი განცალკევება, რომელიც — უნდა ვაღიარო — თითქმის დემონსტრატიული იყო. ალბათ, ეს ამბავი განსაკუთრებით გამოკვეთა სახლიდან ბაღის მაგიდამდე გამოყვანილმა დამაგრძელებელმა. ეს ჩვენი ბოლო დღეა ამ აგარაკზე, მე და შენ კი ექვს საათზე მეტია ერთად ვართ. ჩემი მხრივ, მხოლოდ იმ მომენტებში ვნყვეტდი ამ პროცესს, როცა ყვავილების კვლები უნდა მომერწყა დიდი სარწყავით. თუმცა ლეპტოპიდან მოსული ნკრიალისთანავე სარწყავს იქვე ვაგდებდი და ისევ ამ ჩემს პანია ტერმინალთან მოვრბოდი. ჩავლისას ნილს პეტტერ აღარ მიყურებს, მხოლოდ ირიბად თუ გამომხედავს ხოლმე.

დამაგრძელებელი ისევ ავახვიე და ხელსაწყოების კარადაში დავაბრუნე. აკუმულატორი უკვე მთლიანად დაიტვირთა. სამაგიეროდ ბლის თასი დაცარიელდა.

დღევანდელი სიტუაციის კომპენსირება მომინევს. წელან გამოვაცხადე: სადილად მხოლოდ ვირთევზას გაკეთების პასუხისმგებლობას ვიღებ-მეთქი. ბიჭები სამი ვირთევზათი დაბრუნდნენ ამ დილით. ზედაც არ შემიხედავს (თევზს ვგულისხმობ), სამაგიეროდ მხოლოდ მე ვიცი

ბურგუნდიული ღვინის ბოთლის ამბავი. დღეს ეს ჩემი პატარა კოზირი იქნება. ან, ეგებ, კოზირის ნაცვლად *მონანიება* უნდა მეთქვა? ბოთლი კომოდის უჯრაში, თეთრეულის ქვეშ მაქვს დამალული, საგანგებოდ ამ ბოლო საღამოს მომზადებული ვირთევზასთვის.

ყოველთვის ბოლო დღეს უნდებათ თევზაობა, მე კი ქალაქში ნაღება არ მეპიტნავება, თუნდაც იმ კოპნია პარკებით. ბერგენლებს დიდად არ გვეხატება გულზე პარკებში ჩაწყობილი თევზი. ბაზარში წასელას და ცოცხალი ვირთევზას ყიდვას ვამჯობინებთ.

ამწუთას რაღაც მომაფიქრდა. იმით ხომ ვერ დაამთავრებდი შენს აზრებს, რომ ცოტა რამ მოგეთხრო იმასთან დაკავშირებით, რა მოხდა ახალი მეტეოროლოგიური გამოფენის გახსნაზე?

თევზისთვის წყალს შემოვდგამ, რამდენიმე აქაურ კარტოფილს გავფცქვნი, სალათას გავაკეთებ და სუფრას გავანყობ. მერე მოვალ და ნავიკითხავ, რასაც მომწერ. ჩემთავად, დღეს მეტს აღარ მოგწერ.

კარგი?

მენ წახეედი, მე კი კარგა ხანს ბოლთას ვცემდი მდელოზე ფიორდის გვერდით. მერე ჩემს ოთახში აეედი, მხაპი მივიღე და სასტუმროს პოლში ჩაეედი. იქ რამდენიმე სხვა სტუმარს მივესალმე, სანამ დაიწყებოდა მინისემინარი მყინვართა დნობის, კლიმატისა და პოლარული კვლევის შესახებ „კაფე მიკელში". ერთი ჭიქა თეთრი ღვინისა და თაემესაქცევი მესაჯლის შემდეგ (ეს უკანასკნელი მეეხო სასტუმროს, სოფელს და სამყინეარო ტურიზმს), სადილს შეეექეცით. პატივად მიეიღე, „მთავარ მაგიდასთან" რომ დამსვეს.

სადილის შემდეგ ერთი ჭიქა კალვადოს მომინდა. მთელი ეს ხანი სულ მენზე ეფიქრობდი, უფრო სწორედ – ჩვენზე და ჩვენს მოგზაურობაზე ნორმანდიაში. მაგრამ „კალვადოს" აღარ ჰქონდათ. თითქოს დამესიზმრა, თითქოს არასოდეს ჰქონიათ ვაშლის ბრენდი აქაურ ღვინის სარდაფებში. მეხსიერება ხომ არ მღალატობდა? მაგრამ თუ „კალვადოსის" შემთხვევა, ჩემი მხრივ, მეხსიერების ტოტალურმა ჩავარდნამ გამოიწვია, მამინ როგორღა მივნდობოდი სხვა დანარჩენს, რაც, ჩემივე აზრით, იმ დღეებიდან მახსოვდა? გაბედულად უკუვაგდე შემოთავაზებული ბრენდი, მხოლოდ ნახევარი ლიტრი ლუდი და ჭიქა არაყი შევუკეეთე.

სასტუმროს ჰოლში ისეთი გნიასი იდგა, რომ ჩემს ოთახში აეედი და ჩავიკეტე. თითქმის მამინვე ჩამეძინა. ახლა მხოლოდ ლუდი და არაყი კი არ მქონდა, – განმეორებით მეგსვდი, მწყემსის ქოხში ვიყავი და კიდევ ერთხელ გავიარე არყის ხის ტევრი.

მეორე დღეს ადრიანად გამაღვიძა თოლიების ჭყივილმა და, როგორც კი სასადილო ოთახის კარი გააღეს, ქვემოთ ჩავედი საუზმისთვის. იმავე დილას დავლიე ჩემი ყავა აივანზე. მაგრამ შენ აქ აღარ იყავი. ეიჯექი მარგო და, დილის მზის სხივებში გამოხვეული, ნიავით ამრიალებული სპილენძისფერი რცხილების ფოთლებს ვაყურადებდი. ორთქლზე მომუშავე ძველი გემების მისადგომის ზემოთ თოლიები ჭყიოდნენ და ფრთებს აფართქუნებდნენ. ეიღაც მწვანესამოსიანი ყიპი ნიჩბებიანი ნავიდან თევზაობდა ფიორდზე.

ჩემ მიგნით რაღაც უჯანყდებოდა ამ დილის მეტისმეტად იდილიურ ატმოსფეროს.

რამდენიმე საათის შემდეგ მყინვართა მუზეუმში გავემგზავრეთ. გვიჩვენეს ფიორდის საეარაუდო დონე რამდენიმე ათეული წლის შემდეგ იმ შემთხვევაში, თუ კლიმატის ცვლილებას ანგარიშს არ გაუწევდით. დაინტერესდი, იღებდნენ თუ არა მხედველობაში იმ ნალექს, გამუდმებით რომ ჩამოდიოდა მყინვარიდან, რის გამოც დელტა იზრდებოდა და უფრო და უფრო ღრმად იჭრებოდა ფიორდის განტოტებაში. დღეს კარტოფილი მოპყავთ იქ, სადაც ათასი წლის წინ ვიკინგების გემებმა ჩაუშვეს ღუზა!

მეტეოროლოგიურ გამოფენამდე მისულები, პატარა ჯგუფებად დაეყავით. თავდაპირველად აღმოვჩნდით პატარა ოთახში, სადაც დიდი ღრიალ-გრუხუნის თანხლებით დაესწარით დედამიწის მექმნას 4,6 მილიარდი წლის წინ. მომდევნო სექციაში ვნახეთ, დაახლოებით როგორ გამოიყურებოდა სიცოცხლე დედამიწაზე 40 მილიონი წლის წინ, მერე კი, როგორი კვალი დატოვა ბოლო გამყინვარებამ მის ზედაპირზე. მემდეგ გადავინაცვლეთ პატარა ოთახში, სადაც გვიჩვენეს, როგორ მოქმედებს სათბურის ეფექტი და რა არასახარბიელო იქნებოდა ჩვენი პლანეტის ატმოსფერო ამ ეფექტის სრული არარსებობის შემთხვევაში. მემდეგ ისიც აგვიხსნეს, რაოდენ არღვევს ადამიანის მიერ შექმნილი იგივე ეფექტი ნახმირბადის პირეანდელ ბალანსს. მომდევნო განყოფილებაში ვნახეთ, რანაირი იქნება დედამიწა 2040 და 2100 წლებში, თუკი არ მივიღებთ საგანგებო ზომებს სათბურის გაზების გამოყოფის შესამცირებლად. არცთუ მეტისმეტად მხიარული სურათი გადაგვემალა თვალწინ. თუმცა შემდეგ, საბედნიეროდ, ისიც დაგვანახეს, რა სახე შეიძლება მიიღოს დედამიწამ იმავე 2040 და 2100 წლებში, თუკი გაავერთიანებთ პლანეტის მოსახლეობას და მივიღებთ რადიკალურ ზომებს როგორც სათბურის გაზების გამოყოფის, ისე ტროპიკული ტყეების კატასტროფული გაჩეხვის საწინააღმდეგოდ. ჯერ კიდევ რჩება ამ პლანეტას უკან დასახვევი გზა. სულ ბოლო

ოთახში უჩვენებდნენ დედამიწის მრავალფეროვან სანახებს, განსაკუთრებით – ჩვენი პლანეტის უმდიდრეს ბიოლოგიურ სპექტრს.

კომენტარებს დეივიდ ატენბოროუ აკეთებდა. უნიკალური ფლორა-ფაუნის სურათების ჩვენების შემდეგ, მან ასე დაამთავრა: „...მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს დრო ცელილებებისთვის, რათა გადავარჩინოთ სიცოცხლე ამ პლანეტაზე. ესაა ჩვენი ერთადერთი ბინა და თავშესაფარი...“

გამოფენის ფორმალური გახსნის შემდეგ ავტობუსებში შეგვაბრძანეს და მიგვიყვანეს სუპელებრეენის მყინვარამდე, სადაც გაიმართა მიღება ღია ცის ქვეშ თავისი გლინტვეინით, მარწყვითა და მცირედი ნუშლით. ეს ყველაფერი სასტუმროს პერსონალმა მანამდე მოამზადა, სანამ ჩვენ მყინვართა მუზეუმში ვიყავით. მალე სასტუმროს მეპატრონემ (ფრიად სასიამოვნო გარეგნობის ქალმა, რომელსაც ამჟარად ეტყობოდა, რომ ბოლო ოცდაოთხი საათის განმავლობაში თვალი არ მოეხუჭა), ისევე დამინახა. მე მგონი, უკვე დიდი ხანია იცოდა, რომ იქ ეიმყოფებოდი ახალი მეტეოროლოგიური გამოფენის მიზეზით და რომ ორიოდე საათის შემდეგ, სასტუმროში გამართული ლანჩის დროს, მოკლე სიტყვის წარმოთქმას ვაპირებდი.

თბილი, მეგობრული ღიმილით მომაშურა და, რასაკვირველია, შენზეც მკითხა:

– თქვენი მეუღლე სად არის?

გულს ვერ დავწყვეტდი ამ ქალს, სოლრუნ, გულს ვერ დავწყვეტდი! ჰოდა, უბრალოდ ვუთხარი: მოულოდნელად მოუწია ბერგენში გამგზავრებამ ოჯახური მიზეზით-მეთქი.

– ბავშვების გამო? – ჩამეკითხა.

– არა, – ვიცრუე მე, – მოხუცი დეიდის.

იგი ორიოდე წამით შეყოყმანდა. იქნებ იმიტომ, რომ ვერ გადავწყვიტა, რამდენად პერსონალურად შეეძლო მოემართა.

– ბავშვები თუ გყავთ? – მკითხა ბოლოს.

რა უნდა მეთქვა? უკვე გვარიანად შეეტოპე ტყუილში და ახლა თავიდან ვერ დავიწყებდი: როგორ შევხვდით მას შემდეგ, რაც მთელი ოცდათი წლის განმავლობაში თვალიც არ მოგვეკრა ერთმანეთისთვის. შეეცადე, მეძლებისამებრ ორაზროვანი პასუხი გამეცა:

– ორი, – თავი დავუქნიე. ეს ხომ არც ისე მორს იყო სიმართლისგან: შენც ორი შვილი გყავს და მეც.

მაგრამ სასტუმროს მეპატრონე ამაზე არ გაჩერებულა. სურდა, მეტი შეეტყო ჩვენს ბავშვებზე. ჰოდა, არ ვიცი, რატომ, მაგრამ ამის შემდეგ ბერგენზე გავიჭედე. სიტყვაც არ მითქვამს ჩემს გოგონებზე, არამედ მეძ-

ლებისდაგვარად მოკლედ მოვუყევი ცხრამეტი წლის ინგრიდზე და თექვსმეტი წლის იუსასზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს ინფორმაცია თვითონ მეც სულ რამდენიმე საათის წინ მივიღე. პრინციპში, ერთადერთი ტყუილი უნდა მეთქვა. ოღონდ, ერთი გამონათქვამისა არ იყოს, ტყუილის მთქმელს კარგი მეხსიერება უნდა ჰქონდეს. რომ აღარ გავაგრძელო, თავი შენს მეუღლედ გავასაღე.

როგორც ჩანს, სწრაფად გადაიანგარიშა, რაკიღა მკითხა:

— მართლაა? ესე იგი, ბავშვები გვიან იყოლიეთ?

„აჰ, ესე იგი, გინდოდა მეღიარებინა, რომ ბაია *ამ სასტუმროში* ჩავსახეთ, როცა ახალგაზრდები ვიყავი, არა?", გამიელვა მე.

რეალურად კი, მყინვარზე მიეუთითე:

— მამინ ის გაცილებით დიდი იყო.

მან თავი დამიკრა და გაიცინა. არ ვიცი, რა აცინებდა.

— რა კარგია ორივეს დანასვა კიდევ ერთხელ!

ჩემს თავში ფიქრი ფიქრს მისდევდა. ეს ფიქრები, შესაძლოა, ორი დასრულებული ცხოვრების ცალ-ცალკე მიმდინარეობაზე კონცენტრირდნენ. პარალელურად, გამახსენდა ბორანის ნავმისადგომი რეესნესში, პოლიციის მანქანები ლეიკანგერში და არყის ხის ტევრი მუნდალსდალში.

ისევ მყინვარის მიმართულებით გავაქნიე თავი:

— თუმცა ამაზე მეტად ჰიმალაების მყინვარები მაღელვებს. იქ რამდენიმე ათასი მყინვარია, რომლებიც ასევე პაგარავდება. არადა, ასობით მილიონ ადამიანს ამარაგებენ სასმელი წყლით.

ჭიქა ისევ შევავსებინე და შევბრუნდი, ვინძლო შემდგომი კითხვები ამეცილებინა თავიდან. რამდენიმე ნაბიჯზე ჩავუყევი ფირუმისფერ ნაკადს. მივაბიჯებდი და ვფიქრობდი წიგნზე, იმ საღამოს რომ ამოიტანე ჩვენს ოთახში, მერე კი ხელი სტაცე და ისევ შინ გააქანე, ოსლოში. *ორტლბერიელ ქალთან* შეხვედრის შემდეგ, სწორედ ეს წიგნი იქცა მახვილად, რომელმაც ერთმანეთს დაგვაშორა. მას რომ არ გადაპყროდი, იქნებ დღემდე ერთად ვყოფილიყავით.

რას ფიქრობ ამაზე?

უთუოდ გავუმკლავდებოდით *ორტლბერიელ ქალს*. მაგრამ სულ რამდენიმე დღის შემდეგ შენ ის გაცილებით ფართო კონტექსტში გადაიტანე.

უამრავი აზრი მერევა თავში, სტეინ, მაგრამ ამჯერად უნდა შევწყვიტო საუბარი. ლეპტოპს ვთიშავ. ბერგენიდან დაგიკავშირდები რამდენიმე დღეში.

IV

მაგიდას ვუზივარ ფანჯარასთან, სკანსენზე, და ბერგენს გადავყურებ. საუცხოო ამინდია, თითქმის უკვე საშემოდგომო. წელს პირველად შევნიშნე ყვითელი ფოთლები ხეებზე. დღეებიც დამოკლდა.

ვზივარ იმ ოთახში, რომელიც — როცა გოგონა ვიყავი — ჩემი საძინებელი იყო. შემდეგ, სამი წლის ასაკიდან, ინგრიდისა გახდა. მაგრამ ამ ორიოდე თვის წინ ცალკე ბინაში გადასახლდა რამდენიმე სხვა გოგონასთან ერთად და ოთახი ისევ დავიბრუნე. დაუყოვნებლივ შევუდექი საქმეს: ძველი ხალიჩა ავიღე, იატაკი გავაპრიალე, კედლები კრემისფრად შევღებე. აქაურობა ისევ ჩემს პატარა ბუნაგად ვაქციე და ახლა „ბიბლიოთეკას" ვუწოდებ. თუმცა ნილს პეტტერ ისე უყურებს, როგორც *სოლრუნის ოთახს*, რაც, მისი მხრიდან, დიდსულოვანი ჟესტია.

ინგრიდ ძალიან საყვარელია. მეგობართან ერთად შემოიარა დარჩენილი ნივთების წასაღებად და, უეცრად, ექსტატიურად გადამეხვია: დიდი მადლობა, შენი ოთახი რომ მათხოვეო. მადლობას მიხდიდა იმ ოთახისთვის, რომელშიც სამი წლის ასაკიდან ცხოვრობდა! თუმცა იმთავითვე იცოდა, რომ უნინ ეს ჩემი ოთახი იყო, ბავშვობაშიც და ქალიშვილობაშიც.

ამ ბინაში ჩემი ცხოვრების ხუთი წელი მაქვს გატარებული.

მაშინ — ჩვენი დაშორების დღეს — ტირილ-ტირილით ავედი ნაშუადღევის ექსპრესში. ან, როგორ ფიქრობ, რას ვშვრებოდი მაშინ, ჰაუგასტოლს რომ მივაღწიეთ? სანამ ფინსემდე მივიდოდით, გვერდით გამცილებელი მომიჯდა და დამშვიდება დამიწყო. ხმა არ ამომიღია და არც იმას უკითხავს რამე, უბრალოდ — მამშვიდებდა. რაღაც მომენტში გავიდა, თავისი მწვანე დროშა დაუქნია მირდალს და დაბრუნდა. როცა აღმოაჩინა, რომ ისევ ვტიროდი, ფინჯანი ჩაი მომიტანა, — ისეთი კი არა, ქაღალდის ჭიქით რომ იყიდება გორგოლაჭებიანი დახლიდან, არამედ ნამდვილ ფინჯანში დასხმული. ამის შემდეგ, როგორც იქნა, თავი ავწიე და გავიღიმე. რაღაცნაირად მადლობაც გადავუხადე. აი, ქვის ხანაზე კი ვერაფერი ვუამბე.

შინ მივდიოდი, შინ — დედიკოსთან და მამიკოსთან. აი, ერთადერთი რამ, რაშიც ნამდვილად არ მეპარებოდა ეჭვი. ნინასნარ არ დამირეკავს იმის სათქმელად, მოვდივარ-მეთქი. სხვა ვერაფერზე ვფიქრობდი, შინ მისვლის გარდა. ისეთი უნდა მივეღეთ, როგორიც ვიყავი, მორჩა და გათავდა.

ისევ ჩემს ძველ ოთახში დავსახლდი. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ნილს პეტტერს შევხვდი, დედაჩემი და მამაჩემი უკვე აფართოებდნენ ბებიაჩემის ძველ სახლს იტრე სულაზე — ფიორდის შესართავთან მდებარე კუნძულზე. მამაჩემს, მისივე გამოთქმით, უკვე დაწყებული ჰქონდა „გაუჩინარება". ამის გამო, ერთხელაც, შეღავათიან ფასად გაყიდა თავისი სააგენტო. ამან მყუდროდ დაბინავების საშუალება მისცა. „ცუდი არ არის ბერგენში ცხოვრება, სოლრუნ, — მითხრა ფიქრებში ჩაძირულმა, — თუმცა არა მგონია, ქალაქი კეთილსაიმედო იყოს *სიკვდილისთვისაც*."

ოც წელინადზე მეტ ხანს იცხოვრეს კოლგროვში, ანუ მამაჩემის სიტყვებში სიმართლე იყო. სამი წლის წინ გარდაიცვალა უეცრად. თავის სავარძელში მჯდარა ბრენდიანი ჭიქით ხელში. ეს ჭიქა ოჯახის ძველი საგვარეულო ნივთი იყო. მამას სიკვდილის მომდევნო წამს ისიც იატაკს დასკდომია და ნამსხვრევებად ქცეულა. დედა, როგორც უკვე გითხარი, გასულ ზამთარს გარდაიცვალა. მე გვერდით ვეჯექი და მისი ხელი მეჭირა. სხვა არც არავინ ჰყავდა.

ოსლოში რომ წავედი სწავლის გასაგრძელებლად, ზუსტად იმ ასაკის ვიყავი, რამდენისაც ინგრიდია ახლა. მეუცნაურება, როცა მახსენდება, რა ახალგაზრდები ვიყავით! დედაქალაქში ჩასვლიდან ხომ სულ ორიოდე კვირა იყო გასული, როცა შენ შეგხვდი. ეს მოხდა შატო ნეფის შენობაში ჩატარებული ლექციის შემდეგ. შენ მომიახლოვდი და სანთებელა მთხოვე სიგარეტისთვის. შეიძლება ეს მხოლოდ საბაბი იყო, მაგრამ ამის შემდეგ აღარც დავშორებივართ ერთმანეთს. ოქტომბერში იმ პანაწინა ბინაში გადავედით. ზოგჯერ ნაცნობი სტუდენტები თითქოს შურითაც გვიყურებდნენ. ყველასგან განცალკევებულები ვიყავით, განცალკევებულები და ასეთი ბედნიერები!

რასაკვირველია, მატარებელში ეტიროდი. მთელი გზა ვიტირე ბერგენამდე. საერთოდ აღარაფერი მესმოდა. ვიცოდი, რომ უეცრად ჩვენი იდეები სრულებით დაუპირისპირდა ერთმანეთს, მაგრამ არ მესმოდა, რატომ უნდა ყოფილიყო შეუძლებელი ასე თანაცხოვრება. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ არ ვიყავით ამქვეყნად ერთადერთი წყვილი განსხვავებული მრწამსებით. ეგებ ფიქრობ, რომ მორწმუნე და არამორწმუნე ვერაფრით შეთავსდებიან ერთ ჭერქვეშ?

როგორ გძულდა ის ნიგნები, სტეინ! განსაკუთრებით — ერთი მათგანი. როგორ გეზიზღებოდა და მეც როგორ გეზიზღებოდი მისი კითხვისთვის. ან იქნებ, უბრალოდ, ეჭვიანობდი? მთელი ხუთი წლის განმავლობაში შენ ჩემი ყურადღება არ მოგკლებია. სხვა არც არაფერზე ვფიქრო-

ბდი, მხოლოდ შენზე და ჩვენზე. უორტლბერიელ ქალთან შეხვედრისა და სასტუმროში ნათხოვარი წიგნის წაკითხვის შემდეგ, ჩემს ცნობიერებაში თანდათან განვითარდა უფრო აქტიური რწმენა საიქიო ცხოვრებაში. ნუთუ არ შეგეძლო, უბრალოდ, დაგეტოვებინა ჩემთვის ამ რწმენის უფლება?

სანამ უფრო მეტს ვიტყოდე ჩემი მრწამსის შესახებ, მსურს, დაგაბრუნო ცხოვრების იმ მოხიბლულ განცდაში, რომლითაც იმხანად შეპყრობილი ვიყავით ორივე, მაგრამ რომელსაც ვერცერთი ჩვენგანი ვერ უკავშირებდა *იმედის* ერთ ნაპერწკალსაც კი. სტეინ, გეკითხები: რას წარმოადგენს ქვეყნიერება? რა არის ადამიანი? რა არის ეს კოსმიური ზღაპარი, რომელშიც ცნობიერების ჯადოსნური მარგალიტებივით დავლივლივებთ? ცნობიერების, სულის თუ გონის. იმედის ერთ სხივს მაინც თუ ხედავ სადმე ასეთი სულებისთვის, როგორებიც ჩვენ ვართ?

კიდევ ერთხელ გამარჯობა!

ბუნებრივია, მტკივნეული იყო ბერგენისკენ მიმავალი სოლრუნის ამბის წაკითხვა.

მეც ისეთი განცდა მაქვს, რომ ცრემლს უნდა მაღერევინებდეს თვით უმცირესი ნივთი, რომელსაც შენ შეხებიხარ. შესაძლოა, საკმაოდ პრობაული პასუხები გავეცი შენ მიერ დასმულ დიდ კითხვებს. ალბათ შეამჩნევ, რომ წლების განმავლობაში, მთელი ამ კელვეა-ძიებისა და სწავლა-განათლების შემდეგ, მე საგანთა ერთგვარად ვიწრო თვალთახედვა ჩამომიყალიბდა. ადამიანმა უნდა იმსჯელოს ფაქტებიდან გამომდინარე. მეიძლება წამოაყენო ჰიპოთეზები და თეორიები, მაგრამ თვით ასეთებიც უნდა ეფუძნებოდეს რაღაც ისეთს, რაც, ჩვენი აზრით, უკვე ვიცით.

იქნებ თვით სიტყვა „რწმენა" მაცბუნებს. ჩემს ლექსიკონში ის არ მოიპოვება. უფრო მიადვილდება ლაპარაკი *ინტუიციაზე*. როგორც ჩანს, რწმენაზე უფრო მეტად ინტუიცია მერთვება, განსაკუთრებით ახლა, როდესაც ცნობიერებაზე ესაუბრობთ.

მაშინ მაგაზე მომწერე, სტეინ. მგონი, ინტუიციაც არ არის ურიგო სიტყვა. მაგალითად (სანამ ისევ შევასკდებოდეთ ერთმანეთს!), შეგეძლო მოგეწერა, რა დაგესიზმრა იმ ღამით. ხომ თქვი, კოსმიური სიზმარი იყო?

პო, ეგრეა, და ჯერაც ცოცხლად ციმციმებს ჩემში, თითქოს რეალურად გადაეიტანე ის, რაც სიზმარში მოხდა. პო, ნამდვილად ვიყავი იმ ხომალდში...

ჰოდა, მოეუსმინოთ მაგ ამბავს.

მაგრამ მთელი მანამდელი დღე – შენთან მეხვედრის წინა დღე – იმდენად ღრმად ჩამებეჭდა მეხსიერებაში, ეეღარც კი ვაცალკევებ იმღამინდელი სიზმრისგან. თუმცა იმ დღის განმავლობაში სხვა არაფერი მიკეთებია, მატარებლებში და აეტობუსებში ჯდომისა და ლანდშაფტების კალეიდოსკოპური ცელის გარდა. პოდა, მე მგონი, სწორედ იქიღან უნდა დაეიწყო.

მგონი, შეგიძლია დაიწყო იქიდან, საიდანაც ისურვებ, ოღონდაც სიზმარი არ გამოტოვო! თანაც, მთელი ეს დრო შენს განკარგულებაშია, რადგან, მიზეზთა გამო, ხვალ საღამომდე ვერ დაგეკონტაქტები. სხვა რომ არაფერი, არ შემიძლია ერთავად ვიჯდე და კლავიატურაზე ვაკაკუნო იმ დროს, როცა ნილს პეტტერიც შინაა. მე თვითონაც არ მეპიტნავება კლავიატურაზე კაკუნის სმენა. მეც ზიზღს მგვრის სხვების სატელეფონო საუბრების ძალაუნებური მოსმენა ავტობუსებსა თუ მატარებლებში ან, თუნდაც, ტყის ბილიკებზე. ეს, უბრალოდ, დამთრგუნველია და შემაცბუნებელი. ხვალ კი ჩვენი სასწავლო ნლის დაგეგმვის დღე გვაქვს. ძალიან ველოდები. კარგია ახალი სასნავლო ნლის დაწყება.

ძალიანაც კარგი. მეც მაწყობს ეგ. გარკეული დრო დამჭირდება. არც კი ვიცი, როდის მეგეხმიანები.

როცა მოგიხერხდეს, სტეინ. მე აქ ვარ.

ამწუთას ნილს პეტტერის ჩახველება მესმის. ჰოდა, ახლავე ვთიშავ ამ ლეპტოპს. ალბათ, ჭიქა ღვინოს შევთავაზებ და ამას „ღამის ჩაჩს“ დავარქმევ. ოჯახური ჟარგონი გვაქვს ასეთი.

პირველად აანთო ბუხარი ამ წელს.

ესეც ამ მნუხრის სიმყუდროვე!

V

იყო სამშაბათი, 2007 წლის 17 იელისი. ქარიშხლის გვარიანმა გრიალმა გამაღვიძა გამთენიისას. მოქუფრული დღე თენდებოდა. ოსლოს თაეზე ტყეიისფერი ღრუბლები ეკიდა. მატარებელს უნდა გაეყოლოდი ეოლამდე, იქიდან კი – ლერდალამდე და ფიერლანდამდე. ეს მოგზაურობა თითქმის ცხრა საათს გაგრძელდებოდა. არასოდეს მეხატებოდა გულზე მანქანის ტარება მარტოდმარტოს. ეამჯობინებ საზოგადოებრივ ტრანსპორტში თავისუფლად ჯდომას, კითხვას ან, უბრალოდ, მოდუნებას.

იმ დილით ბერიტმა ლისაკერის საღგურამდე მიმიყვანა. მამამისის სახლამდე, ყველა შემოხვევაში, სუფთა სამოსით უნდა მიეღწია, მე კი, ბერგენის მატარებლის მოსელამდე, რამდენიმე წუთი ბაქანზე დავყავი. მიგადამიგ, ბაქანზეც გაისმოდა ჭექა-ქუხილი. ზაფხულის ერთი პირქუში დილა იდგა. მატარებელი არ ჩანდა, შავ-ნაცრისფერი ღრუბლები კი თითქმის ღამედ აქცევდნენ დღეს. და, მიუხედავად იმისა, რომ წლის ამ პერიოდში დღე ძალიან გრძელია, ყოველ ჯერზე კარგად ეხედაეღი მოქუფრული ცის გამსერაე ელეას. მერე საღგურში შემოეიდა ბერგენის მატარებელი. აეედი და ჩემი საეარძელი მოვძებნე (როგორც ყოველთვის, ახლაც ვიზრუნე ბილეთის შეკვეთისას, რომ ფანჯარასთან მოეხვეედრილიყავი). ეს იყო N5 ვაგონის N30 ადგილი.

მალე დრამმენში შეეედით და, მდინარე დრამმენსელვას გაყოლებით, გმა განვაგრძეთ ჩრდილოეთისკენ, ვიკერსუნდის და პონეფოსის შიქართულებით. ღრუბლები ისევ დაბლა ჩამოწოლილიყვნენ, ხეთა კენწეროები ნისლს დაეფარა, მაგრამ ორი-სამი მეტრით უფრო დაბლა ხილეადობა ნორმალური იყო. ნაპირებიდან გადმოსული მდინარე ტირიფიორდის კიდეზე მდგარ ხეებს წელამდე შემოსდგომოდა, ზოგიერთი ნავმისადგომი კი საერთოდ ვამქრალიყო წყალქვეშ. ამ ზაფხულს რამდენჯერმე მოხდა მსგავსი ამბავი. ბევრი ფერმერი მას „კატასტროფულ ზაფხულად" მონათლავდა, რადგან წყალდიდობამ ქვეყნის მრავალი რეგიონი მოიცვა, განსაკუთრებით – დრამმენსელვას გაყოლებაზე, რის გამოც ამ მიდამოებში მოსაელის დიდი ნაწილი განადგურდა.

არ ვიცი, ამინდმა განაპირობა ეს თუ არა, მაგრამ პირველივე წამიდან ღრმა კონცენტრაციამ მომიცვა. უეცრად თავი ჩვეულებრივზე უფრო ფხიზლად ვიგრძენი, უწინდელზე ცოტათი უფრო გონიერადაც. უჩვეულო ინტენსიეობა დამეუფლა ამ ყვითელ ვაგონში, ისარივით რომ მიარღვეევდა ნისლებჩაფენილ ლანდშაფტს. „რას წარმოდგენს ცნობიერება? – ეკითხე საკუთარ თავს, – რა არის მეხსიერება და რეფლექსია? რას ნიშნავს

„გახსოვდეს“ ან „გავიწყდებოდეს“? რას ნიშნავს, აი, ასე ჯდომა და ფიქრი იმაზე, მაინც რა არის *ფიქრი*? და, უწინარეს ყოელისა, არის თუ არა ცნობიერება *კოსმიური დამოხეევა*? არის თუ არა წმინდა წყლის *შემთხვეევითობა* ის, რომ სამყარო ამჟამად აცნობიერებს თავის თავს და თავის განვითარებას? ან, ეგებ, ეს სამყაროს ბუნების ძირეული ნიშან-თვისებაა?

პირველად არ ვუფიქრდებოდი ამ ფუნდამენტურ და, არსებითად, თავისთავად განპირობებულ საკითხს. დროდადრო, იგივე კითხვა დამისვამს ბიოლოგებისა და ასტროფიზიკოსებისთვისაც. მათი თავდაპირველი რეაქცია, როგორც წესი, იყო გარკვეული არმიღება ან გაჩუმება, თვით ამ შეკითხვის უსაფუძვლობიდან გამომდინარე. თითქმის დაბნეულები ჩანდნენ, *ჩემ ნაცელად* დაბნეულები. თვით ამდაგვარი კითხვების დასმაც კი – მეცნიერის მხრიდან – ბევრისთვის მიუტევებელი მიამიტობაა. და თუკი გავუმეორებდი შეკითხვას და თან ხაზგასმით დავაყოლებდი, თქვენგან მხოლოდ ინტუიციურ პასუხს ველოდები-მეთქი, მამინ მთლიანობამი დადებითი ხასიათის პასუხს ვიღებდი: ჰო, ცნობიერება სხვა არაფერია, თუ არა კოსმიური შემთხვევითობაო.

სამყაროს არ გააჩნია თანდაყოლილი განმრახვა, მიზანი ან არსი: ეს, ზოგადად, თავისთავად ცხადი დაშვება. ის, რომ სიცოცხლე აქ ჩაისახა და რომ ბიოსფერომ შემდგომში განავითარა ისეთი რამ, რასაც შენ „ცნობიერების ჯადოსნურ მარგალიტებს “ უწოდებ, განაპირობა მხოლოდ წმინდა წყლის შემთხვევითობამ. ან როგორც ფრანგმა ბიოლოგმა და ნობელის პრემიის ლაურეატმა, ჟაკ მონოდმა გამოთქვა: „სამყაროში სიცოცხლე არ ფუთფუთებდა, არც ბიოსფეროში – კაცობრიობა. ჩვენი ნომერი ისე მარტივად და შემთხვევით ამოვიდა, როგორც რომელიმე მორიგი ნომერი – მონტე კარლოს კაზინოს სათამაშო მაგიდაზე“.

სიცოცხლეს, როგორც მნიშვნელოვან თუ უარსებითეს კოსმიურ ფენომენს, იგი უარყოფს ამ სიტყვებით: „ეფიქრობ, ბიოსფერო არ შეიცავს ობიექტებისა თუ მოვლენების პროგნოზირებად კლასს, არამედ ქმნის საგანგებო შემთხვევას, ისეთს, რომელიც – თუნდაც უთუოდ შეთავსებადი პირველ პრინციპებთან – მაინც არ გამომდინარეობს მათგან. ამიტომაც, მთლიანობაში, ეს შემთხვევა არაპროგნოზირებადია“.

სასარგებლო ხაზგასმაა და, რასაკვირველია, მონოდის მტკიცების მიღებაც შეიძლება ნომინალურ ფასად. თუმცაღა, ძნელი იქნება დასახელდეს რაიმე მაგალითი, რომელიც გადაამოწმებდა ამ მტკიცებას. მოცემულ კონტექსტში, „არაპროგნოზირებადი“ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ საქმე გვაქვს იმდენად სინგულარულ და, ამიტომაც, იმდენად პერიფერი-

ულ მოელენებთან, რომ ისინი თვით ფიზიკურ კანონთა მოქმედების მღვარმე იმყოფებიან.

მაგრამ მე ამ წერტილში არ ვდგაეარ. თვით მაშინაც კი, როცა ერთად ეცხოერობდით, ინტუიცია მკარნახობდა: სამყაროს ბუნებისთვის უდავოდ *სახასიათოა*, რომ სიცოცხლე და ცნობიერება სწორედ აქ ჩაისახა. ამდენად, ყოველივეს შემდეგ, ჩემში შესაძლოა ბინადრობს სექტანტი: თუ არა როგორც მსოფლიო მოქალაქე, მაშინ, სულ ცოტა, როგორც მათემატიკისა და ბუნების მეცნიერებათა ფაკულტეტის მკელეეარი. რადგან ჩემი ცხოვრების გზებზე შეხვედრილი ასტრონომების, ფიზიკოსებისა და ბიოლოგების უმრავლესობა საპირისპიროს ამტკიცებს: ვერც სიცოცხლეს და ვერც ცნობიერებას ვერ მიადევნებ თვალს უკან – პირველდაწყებით, უსიცოცხლო მდგომარეობამდე, რომელსაც „უმნიმვნელოვანეს" თუ „აუცილებელ" შედეგად მოჰყვა ეს სიცოცხლე და ცნობიერება.

თვით თანამედროვე მეცნიერების შემეცნებითი პარადიგმა თითქოს მიიჩნევს, რომ ატომები და სუბატომური ნაწილაკები, ანუ ეარსკვლავები და გალაქტიკები, ბნელი მატერია და შავი ხვრელები სამყაროს რეალობის უფრო მნიშვნელოვანი გამოხატულებაა, ვიდრე სიცოცხლე და ცნობიერება, რომლებიც, ასეთი რედუქციონისტული მეცნიერების თვალთახედვით, სხვა არაფერია, თუ არა ბუნების პირწმინდად შემთხვევითი, ალალბედზე მობილი და, ამდენად, „უმნიშვნელო" ასპექტები. ეარსკვლავები და პლანეტები დიდი აფეთქების გარდაუვალი შედეგია, მაგრამ ამ ყველაფერთან ერთად კიდევ სიცოცხლისა და ცნობიერების არსებობა უნდა უმადლოდეს მხოლოდ და მხოლოდ სრულ შემთხვევითობას, საშარელ კატასტროფას, კოსმოსურ ანომალიას.

სწორედ ეს სტრიქონები მიგრიალებდა თავში, როცა მატარებელი პონეფოსში შეეიდა. ვაგონის ბოლოს, კარზემოთ მოთავსებულ პატარა ეკრანზე გამოჩნდა სიტყვები: *პონეფოს, 96 მეტრი ზღვის დონიდან.* ორი მგზავრი სასწრაფოდ გასხლტა გარეთ სიგარეტის გასაბოლებლად.

არ წეიმდა, მაგრამ ტყვეისფერი ცა მძიმედ დასწოლოდა მთელ ლანდშაფტს და ნებისმიერ წამს შეიძლებოდა ჩამოქცეულიყო. შემდეგ გაისმა სტვენა და მატარებელიც დაიძრა. ერთ მხარეს ყვითელი და მწვანე მინდვრები მოჩანდა, მეორე მხარეს – ტყიანი მთა-გორები. ღრუბლების მქისე ფთილები ნაძვის ხეების ზემოთ მიიზლაშნებოდნენ.

ვცადე, გამეხსენებინა, როგორ დაიწყო ყველაფერი. *ვცადე, გამეხსენებინა სამყაროს ისტორია.*

პროტონები და ნეიტრონები შეიქმნა ფუნდამენტური ნაწილაკებისგან დიდი აფეთქებიდან სულ რამდენიმე მიკროწამში, ოდნავ მოგვიანებით კი

გაჩნდა წყალბადის და ჰელიუმის ბირთვები. მხოლოდ ასეულ ათასობით წლის შემდეგ ჩამოყალიბდა დასრულებული ატომები თავიანთი ელექტრონული ჩონჩხებით, თუმცა ესეც, უპირატესად, მხოლოდ წყალბადის და ჰელიუმის ატომები იყო. ნამდვილად საკვირაველია, რომ სწორედ ამ მძიმე ატომებმა „გამოაცხვეს" თუ „ააგეს" ვარსკვლავთა პირველი თაობა და, იქიდან მოყოლებული, გავრცელდნენ და გაანოყიერეს სამყარო. დიახ, „გაანოყიერეს". ამ სიტყვის შერჩევისას მე დაუფარავად ტენდენციური ვიყავი. რასაკვირველია, წყალბადის და ჰელიუმის დამძიმებული ატომებით დავიწყეთ მიახლოება სიცოცხლისა და ჩვენი არსების წყაროსთან, რადგან ჩვენც ისევე ვართ შექმნილი ამ ატომებისგან, როგორც პლანეტა, რომელზეც ვცხოვრობთ.

არაფერია პროვინციული „ჩვენი" ატომების მასამი ან შეერთების მათეულ უნარში. ატომები, რომლებისგანაც შექმხილი ვართ ჩვენ, მთელ სამყარომია გაფანტული. ამიტომაც ისინი არაორაზროვნად წარმოადგენენ თვით სამყაროს ბუნებას. ნაწილაკების ფიზიკას, რომელმაც ბოლო ხანებში სამუალება მოგვცა წარმოგვედგინა სამყაროს პირველი წუთები, ასევე სრულად შეუძლია აგვიხსნას სახელდობრ რატომ არიან ეს ატომები გარდაუვალი ნაწილი იმ დასრულებული ქიმიური სტრუქტურებისა, რომლებსაც ჩვენ მოლეკულებს ვუწოდებთ.

მათზე უფრო რთული აგებულებისაა (თუმცა, კოსმიური მასშტაბებით, გაცილებით უფრო იშვიათია) ის, რისგანაც შედგება მთელი სიცოცხლე და რასაც ჩვენ მაკრომოლეკულებს ეუწოდებთ. ჩვენი პლანეტის ყველა ცოცხალი არსების საფუძველი ისეთი მაკრომოლეკულებია, როგორიცაა პროტეინები და თვითმწარმოებელი ნუკლეინური მჟავები, ᲓᲜᲐ და რნმ, რომლებიც აკონტროლებენ პროტეინის ფორმირებას და მოიპოვებიან ყველა ორგანიზმის გენეტიკურ მასალაში. დედამიწის მთელი სიცოცხლისათვის საერთოა ის, რომ იგი აგებულია ნახშირბადული სტრუქტურებისგან და რომ მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ენერგია (მზის სინათლე) და მდინარი (არადაგუბებული) წყალი.

აღარ წარმოადგენს დიდ საიდუმლოს, თუ როგორ შეიძლებოდა შექმნილიყო დედამიწაზე სიცოცხლის მაკრომოლეკულები ოთხი მილიარდი წლის წინ. ბევრი პატარა გამოცანა ჯერ კიდევ ამოსახსნელია, მაგრამ ბიოქიმიამ – თეორიულადაც და პრაქტიკული ექსპერიმენტითაც – უჩვენა, როგორ შეიძლებოდა შექმნილიყო სიცოცხლის თავდაპირველი „აგურები" ახალგაზრდა დედამიწის უქანგბადო ატმოსფეროში. მხოლოდ მცენარეთა ფოტოსინთეზის შემდეგ შეიქმნა ამ პლანეტაზე ქანგბადით მდი-

დარი აგმოსფერო ისეეე, როგორც ოზონის ფენა, რომელსაც უნდა დაეცვა სიცოცხლე კოსმიური რადიაციისგან.

მეცნიერება, რამდენადაც მას ძალუძს ახსნას როგორ წარმოიშვა სიცოცხლე დედამიწაზე (მაგალითად, მაკრომოლეკულების „პირველადი სუპიდან"), იმავედროულად აცნობიერებს, რომ ასეთ პირველად სუპში სიცოცხლე *ალბათ* აღმოცენდებოდა. ყველაფერი, რაც ბუნებაში ხდება, ხდება რაღაც მიზეზით. რაგომ არ შეიძლება, რომ სწორედ ასე შექმნილიყო სიცოცხლე?

დღეს ჩვენ ვიცით, რომ სიცოცხლის შემადგენელი არაერთი „აგური" შეიძლება დამზადდეს სინთეტურად მარტივი ქიმიური ელემენტებისგან. მკაცრი საბღვარი ეგრეთ წოდებულ ორგანულ და არაორგანულ ქიმიას შორის დღესდღეობით, უბრალოდ, აღარ არსებობს. სიცოცხლის შემადგენელი მოლეკულები ღია კოსმოსშიც აღმოჩნდა. ხოლო სულ ახლახან ეარსკვლავეთშორის ნისლეულში დაფიქსირდა ალკოჰოლმეავას და ჭიანჭველმეავას არსებობა. ასევე მცირე ხნის წინ კოსმოსში გამოელინდა გლიცინი და ამინომეავა. ეს მოლეკულები იპოვეს კომეტების კუდებშიც და ირმის ნახტომიდან მილიარდობით სინათლის წლით დაშორებულ გალაქტიკებშიც. თუმცა ასტროქიმია ჯერ კიდევ თავის ყრმობის ხანაში იმყოფება.

სიცოცხლე – ან სიცოცხლის მოლეკულები ჩვენს პლანეტაზე – შეიძლებოდა მაინცდამაინც აქვე არ ჩასახულიყო. ორიეე შეიძლებოდა მოეტანა გარე კოსმოსიდან, ვთქვათ, კომეტას ან ასტეროიდს. დიდად მოსალოდნელია, რომ წყლის უმეტესობაც დედამიწაზე კომეტას ჩამოეტანა. ასეთი წყალი უცილობლად „სუფთა" არ იქნებოდა, მით უმეტეს – სტერილური.

ვიჯექი რეალობაში და სამყაროს ისტორიას ვაჯამებდი. საუცხოო ამბები მოხდა და ისიც საუცხოო იყო, როგორ შემეძლო ასე ემჯდარიყავი, როგორც ამ არაჩვეულებრივი ისტორიის ხსოვნა. საბედნიეროდ, მგზავრობის მიმართულებით ვიყურებოდი (როგორც წესი, ამასაც ვითხოვ ხოლმე ბილეთის შეკვეთისას) და ერთხანს კროდერენის ტბას გადავყურებდი ჩემგან მარცხნივ. ტბის თავზე ალბინოსი ცეპელინებივით ეკიდა ღრუბლის ქულები, ამ თეთრი ხომალდების ზემოთ ჩამოწოლილი მუქნაცრისფერი ცა ტბაში ირეკლებოდა და ისე ამძიმებდა კროდერენს, როგორიც შემოდგომაშეა ხოლმე. წვიმა ჯერჯერობით შეწყვეტილიყო.

საბოლოოდ კი, მთელ სამყაროში ეს დედამიწაა ერთადერთი ადგილი, სადაც ვიცით, რომ სიცოცხლე არსებობს. პირველად სულ რამდენიმე წლის წინ დამტკიცდა, რომ არსებობს პლანეტები ჩვენი მზის სისტემის

გარეთაც. ამის აღმოჩენა ასე იმიტომ დაგეიანდა, რომ უწინდელი ტექნოლოგია არ კმაროდა ესოდენ დაშორებული ობიექტების შესამჩნევად. სულ რამდენიმე წლის მანძილზე მოინიშნა ორასამდე პლანეტა და, ამჟამინდელი შეფასებით, ჩვენი მზის მსგავსი ვარსკვლავების მეოთხედს მაინც ირმის ნახტომის გალაქტიკაში თავ-თავისი თანამგზავრები უნდა გააჩნდეს.

დღეს თუ ჰკითხავდით, თქვენი აზრით, არსებობს თუ არა სიცოცხლე სამყაროს სხვა პლანეტებზეცო, ასტრონომთა უმრავლესობა გიპასუხებდათ: „ჰო, არსებობს. სამყარო იმდენად უკიდეგანოა, რომ ის, რაც ჩვენს ახლო წარსულში მოხდა, უბრალოდ, უნდა განმეორებულიყო სხვა ადგილებშიც". ყოველ მემთხვევაში, რაღაც ამდაგვარს იტყოდნენ. გასაკვირი და გასარკვევი ის რჩება, რომ ამ ასტრონომთა უმრავლესობა დაუფიქრებლად მოაწერდა ხელს ჟაკ მონოდის ცნობილ დოგმას, რომ სამყაროში სიცოცხლე „არ ფუთფუთებდა". თუ მართლაც ასე იყო, მაშინ რას წარმოადგენდა სამყაროს ურთიერთობა სიცოცხლესთან — მისიავე უმნიშვნელოვანეს პროდუქტთან?

თუკი რამდენიმე ათწლეულის წინ ჩვენ სხვა პლანეტებზე არსებული სიცოცხლის ფანტასტიკურ იდეებს ვეთამაშებოდით, ამჟამად ასტრობიოლოგები მთელი მონდომებით ეძებენ წყალს დედამიწის გარეთ. როგორც ბიოქიმიური ვარაუდი, უფრო და უფრო ცხადი სდება, რომ იქ, სადაც მოედინება წყალი, შესაძლოა ვიპოვოთ სიცოცხლეც. პრინციპში, უფრო გასაკვირი ის იქნებოდა, თუ ერთ დღესაც აღმოვაჩენდით პაგარა ნაყოფიერ პლანეტას თავისი მმეენიერი ტბებით და მოწანწკარე წყლებით, სიცოცხლეს კი ვერსად ვიპოვიდით.

ასე რომ, პირველადი მასალები უნივერსალურია და შეიძლება გამომდინარეობდეს პირდაპირ „პირველი პრინციპებიდან". გაცილებით იშვიათია რთული მოლეკულები და მაკრომოლეკულები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი *ნაკლებად უნივერსალურნი* არიან.

ასე მიედინებოდა ჩემი აზრები, — სრულებით ლინეარულად, მაგრამ ამკარად ლოგიკურად. შესაძლოა, მთელ პლანეტაზე მე ვიყავი ერთადერთი ადამიანი, ვინც იმ დილით განიხილავდა საკუთარ ცნობიერებას თუ შემეცნების დონეს. ვინ იცის, იქნებ — ამ აზრით — მთელ სამყაროშიც ერთადერთი ვიყავი იმწუთას. ასეთ შემთხვევაში, რაღა დამრჩენოდა, თუ არა ის, რომ ემჯდარიყავი ჩემს ყვითელ ეაგონში ამხელა პრივილეგიით გახარებული!

ნესბიენში შევდიოდით, როცა წვიმამ დაუშვა. კარზემოთ, ცისფერ ეკრანზე, თეთრი ასოებით დაიწერა: „ნესბიენ, 168 მეტრი ზღვის დონიდან.

ბაქანი — მარცხენა მხარეს". ამას ხალისიანი შეტყობინებაც მოპყვა: „ეეპატიეებით კაფეში. ჩინებული მენიუ. მსუბუქი ხემსი, სადილი, საკონდიტრო ნაწარმი."

ნესბიენსა და გოლს მორის მატარებელი შუა ტყეში მიქროდა. ეიჯექი და მდინარეს ჩაეცქეროდი ჩემგან მარჯვნივ. შიგადამიგ ფერმაც გაიელვებდა. ამჯერად ნისლის ფთილები პირდაპირ ხეობის ფსკერზე იწვნენ. ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს ჰაეროვანი ცეპელინები არიან და ახლა ძირს ემეებიანო.

არის კოსმოლოგიამი ისეთი რამ, რასაც *კოსმოლოგიური პრინციპი* ჰქვია. ის ამბობს: თაეის ნებისმიერ წერტილში სამყარო ერთსა და იმავე მახასიათებლებს აელენს. იმ პირობით, რომ მასშტაბი საკმარისად დიდია, სამყარო იზოტროპულია, ანუ ჰომოგენური და ერთგვაროეანი.

რატომ არ უნდა ესადაგებოდეს ეს პრინციპი ჩვენ მიერ დასმულ კითხეასაც: შეიძლება თუ არა, რომ სიცოცხლეც ისეეე გავრცელებული ეიპოეოთ სამყაროში, როგორც ეპოულობთ პლანეტებს, ვარსკელაეებსა და გალაქტიკებს? ან, ეეებ, ის, რასაც ჩვენ „სიცოცხლეს" ეუწოდებთ, მარტოოდენ ჩვენს პლანეტამე გაჩნდა?

სამყაროში რამდენიმე ასეულ მილიარდამდე გალაქტიკაა, რომელთაგან თითოეულში ას მილიარდამდე ვარსკელავია. ეს იმას ნიშნავს, რომ სამყაროს — მსუბუქად თუ ვიტყვით — საკმარისზე მეტი ქიმიური ქარხანა აქვს, რის გამოც მთელი ამ ხნის მანძილზე მისცემია უთვალავი სათამამო კოჭის დადების შესაძლებლობა მონტე კარლოს კაზინოს სათამამო მაგიდამე! ეს კი, ნაწილობრივ, ანგრევს იმის საეუძველს, რომ ნებისმიერი პოტენციური იღბალი „წმინდა წყლის შემთხვეევითობად" მოენათლოთ.

აშკარად არამემთხვეევითია ის, რომ მსხვილი მოთამამე მოგჯერ დიდ თანხას იგებს. არსებითად, ასეთი რამ დროდადრო მისთვის ტიპურიც კია. როცა გადავაწყდებით ხოლმე ადამიანებს, რომლებიც ტრაბახობენ, ერთავად ვიგებთ ლატარიამი ან დოღმიო, მოგჯერ ეკითხულობთ: „მთლიანობამი, მაინც რა ფსონს ჩადიან ეს იღბლიანი გამარჯეებულნი?" ამ კითხვას ყოველთვის სიხარულით არ ხედებიან ხოლმე.

არ გეგონოს, რომ ცნობიერება დამავიწყდა. თუ ჩვენს საკუთარ ბიოსფეროს შეეხედავთ, ვერ უარვყოფთ, რომ იქ უხვად ფუთუთებდა მიწიერი ორგანიზმების ნერვული სისტემები და გრძნობადი მექანიზმები. მაგალითად, მხედველობა ჩვენს პლანეტაზე რამდენიმე ათეულჯერ მაინც განეითარდა ყოველგვარი გენეტიკური კავშირების გარეშე ერთმანეთთან. ამდენად, შეგეიძლია ეიფიქროთ, რომ სხეა პლანეტების დიდ ორგანიზმებ-

საც განუვითარდებოდათ ერთგვარი მხედველობის ერძნობა. მიზეზი ცხადია: ნებისმიერ ბიოსფეროში უნდა არსებობდეს ევოლუციური უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობა, იქნება ეს არაკეთილსაიმედო ტერიტორია, მგრები თუ ნადავლი. იქ, სადაც გამრავლება სქესობრივი გზით ხდება, შესაფერისი წყვილის შერჩევაც უნდა შეგეძლოს. უცხო პლანეტებზე უპირატესობის მიმნიჭებელი იქნება სხვა შეგრძნებებიც, მაგალითად, სმენა, ექოლოკაცია, ტკივილის, გემოს, სუნის შეგრძნების უნარი, ისევე როგორც ზოგიერთი სხვა ეგზოტიკური გრძნობა, რომელსაც დედამიწაზე არ ვიცნობთ.

ყოველი მაღალგანვითარებული ორგანიზმი მოითხოვს ქმედით საკონტროლო ცენტრს ანუ „ტვინს", რომელმაც უნდა მოახდინოს გრძნობადი აღქმების კოორდინირება.

ვთქვათ კიდევ ერთხელ: ჩვენსავე პლანეტაზე გვაქვს მაგალითები, რომლებიც აჩვენებენ, თუ როგორ განუვითარდა ცხოველთა სხვადასხვა ტიპს მეტ-ნაკლებად რთული და ჩახლართული ნერვული სისტემა ერთმანეთისგან სრულებით დამოუკიდებლად. საინტერესო ფაქტია, რომ ნეიროლოგმა მკვლევრებმა იმ მიზნით შეისწავლეს რვაფეხას ნერვული აპარატი, რათა უკეთ გაეგოთ თვით ადამიანის ანალოგიური სისტემა.

ამრიგად, ჩვენი თეორია, რომლის მისედვითაც *სიცოცხლე* სრულიადსამყაროული მოვლენაა, ამასვე განავრცობს *ნერვულ სისტემაზეც* და *ტვინზეც*.

„ბოლ, 207 მეტრი ზღვის დონიდან." ავაგროვე ჩემი ნივთები: ქაკეტი და პატარა ზურგჩანთა. *„შემდეგი გაჩერება – ბოლ. ბაქანი – მარჯვენა მხარეს."*

რამდენიმე წუთში უკვე გარეთ ვიდექი წერილი ქინეღლის ქვეშ. როგორც კი ადგილობრივ ავტობუსში ჩავჯექი, ჩემი GPS[4] ჩაერთე და სწრაფად შეეედი სატელიტურ კონტაქტში. დრო: 11 1თ 19 წთ; ადგილმდებარეობა: ჩრდილოეთის 60 გრადუსი, 42 მინუტი, 6 სეკუნდი / აღმოსავლეთის 08 გრადუსი, 56 მინუტი, 31 სეკუნდი (ცდომილება: ±20 ფუტი); მზის ამოსვლა 04.21 სთ, ჩასვლა 22.38 სთ (თუმცა ამჟამად მოღრუბლული ამინდი იყო და ქინეღლავდა); მთვარის ამოსვლა: 08.11, ჩასვლა 23.23 (ისე კი, მოკრიალებული ზაფხულის დღეც რომ ყოფილიყო, საეჭვოა, ცაში აცურებული მთვარე დამენახა. ნადირობა-თევზაობისთვის ხომ პროგნოზად საშუალო დღე გამომიწერეს. ოჰ!..)

ავტობუსების საგურბე კაფეში დავჯექი ფინჯანი ყავის, ყველის და წითელ-ნარინჯისფერი კრუასანის თანხლებით. თუმცა შინაგანად ისევ კოსმიურ ფიქრებში ვიყავი და არა ავტობუსების საგურბე. ერთადერ-

თხელ მიეეცი თავს უფლება, სულ რამდენიმეწამიან საუცხოო მზერით კონტაქტში შევსულიყავი ქალთან — ჩემზე გაცილებით უფრო ახალგაზრდასთან. და იმ მომენტში ტუტუცურად ვისურვე, ნეტავ ათიოდე წლით უფრო ახალგაზრდა ვეგონო, ვიდრე რეალურად ვარ-მეთქი.

გოლის ცენტრში გამავალ ერთადერთ პროსპექტზე ახლა კოკისპირული წვიმა უშხაპუნებდა. ამან, რამდენადაც ეს წარმოსადგენია, მინაგანად მეტად მანუგეშა. ცოტა ხანს გამოვეთიშე ჩემს მენტალურ ძიებას და ჩავიწერე რამდენიმე ამოსავალი სიტყვა იმ მოხსენებისთვის, ორიოდე დღის შემდეგ რომ უნდა გამეკეთებინა ოფიციალურ ლანჩზე.

რაღა თქმა უნდა, წარმოდგენა არ მქონდა, რომ მანამდე *შენ* შეგხვდებოდი. თუმცა იმასაც უთქმელად დამიჯერებ, რომ იქ, გოლში, სრულიად ბუნებრივად დავუბრუნდი იმ დროს, როცა წითელი ფოლკსვაგენით ვიმოგზაურეთ ამ მიდამოებში, დასავლეთის მყინვარისაკენ მიმავალ გზაზე.

გვარიანი ლანჩის შესვენება გამომიეიდა, რაკი გოლიდან ავტობუსი მხოლოდ 13.30-ზე გადიოდა. როგორც იქნა, გავედით და მალე ნისლმიც ჩავყვინთეთ ჰემსედალისკენ ამავალ გზაზე. ავტობუსს ეკრანიც აღმოაჩნდა. „გარემოს ტემპერატურა: 14 გრადუსი." შემდეგ ნისლმა ცოტათი აიწია.

როგორც ჩვენივე პლანეტა ადასტურებს, ტვინისა და ნერვული სისტემის ქონა ჯერ კიდევ ძალიან შორსაა იმისგან, რასაც ჩვენ „ცნობიერებას" ვუწოდებთ. მით უფრო, თუკი ამ უკანასკნელში ვგულისხმობთ რაღაც იმდენად მნიშვნელოვანს, როგორიცაა *ფიქრი საკუთარ აღგილზე ყოფიერებაში,* — არა რაიმე გარემოში, არამედ სამყარომი, რომ აღარაფერი ვთქვათ *რეალობაზე.* მერე კი, როცა ხერხემლიანები წელში გაიმართნენ და წინა კიდურები გაითავისუფლეს (მაგალითად, ხელსაწყო-იარაღების დასამზადებლად), ამით გადამწყვეტი უპირატესობაც შეიძინეს, რადგან ამიერიდან უკვე შეეძლოთ ესწავლათ სასარგებლო ხერხები და ეს „გადამრჩენელი ტექნიკა" გაენაწილებინათ თავიანთი ჯგუფის სხვა წევრებისთვის (თუნდაც მთამომავლებისთვის). სიცოცხლე იმასთან ერთად, რასაც *ცნობიერებას* ვუწოდებთ, აღმოჩნდა ადამიანის მოდგმისთვის გადანახული ვაკანტური ნიშა. და ეს უკანასკნელი ჩვენ რომ არ დაგვეკავებინა პირველებს, ადრე თუ გვიან სხვა სახეობის ხერხემლიანთა წარმომადგენლები მივიდოდნენ იქამდე, რომ ჩასძიებოდნენ მაინც როგორ გაჩნდა სამყარო და, მასთან ერთად, სიცოცხლე და ცნობიერება.

მესაძლოა, ბევრს არაფერს ნიმნავს, მაგრამ მაინც მხედველობიდან ნუ გავუშვებთ იმ ფაქტს, რომ ჯერჯერობით ყველა ციურ სხეულზე, სა-

დაც დანამდეილებით გეეგულება სიცოცხლე, ხელი ეწყობა ცნობიერების ჩასახვა-განვითარებასაც, რომლის პოტენციური პორიზონტი თითქმის *დიდ აფეთქებამდე* ივრცობა.

სამყაროს განვითარება არანაკლებად ელინდება კიდევ უფრო დიფერენცირებულ ან ინტეგრირებულ ფიზიკურ პროცესებშიც. დღემდე ჯერ არსად მეგვხვედრია ადამიანის ტვინივით რთული და კომპლექსური სისტემა. სწორედ ამ ორგანომი დაბინადრებული ცნობიერებაა ის, რაც გამუდმებით უჭერეტს სამყაროს და, მთელი დანარჩენი კოსმოსის სანაცვლოდ, კითხულობს: ვინ ვართ? საიდან მოვედით?

სემანტიკური თვალსაზრისით, ეს მოკლე ფრაზები იმდენად მარტივია და ფუნდამენტური, გასაკვირი არ იქნებოდა, თუ აღმოჩნდებოდა, რომ მათ სამყაროს სხვა კუნჭულებიდანაც სტყორცნიდნენ კოსმოსის სიცარიელემი, ჩვენი გალაქტიკური ეზოდან მრავალი სინათლის წლის დაშორებით. შესაძლოა, ენა განსხვავდებოდა თავისი სტრუქტურით და, ფონეტიკური თვალსაზრისით, მისი ბგერები შეიძლება საერთოდ არ აღგვექვა *ენად*. მაგრამ საკვლევით შესაძლებელია, რომ ამ არამიწიერ ცივილიზაციასაც ჩვენსავით ეაზროვნა და უთუოდ ჰქონოდა ჩვენისგან არცთუ დიდად განსხვავებული მეცნიერული წარსული. ალბათ, იქაურობის ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლებიც ხელისცეცებით უნდა მიპყოლოდნენ გრძელ და მიმოკლაკნილ ბილიკს მიმავალს მათი სამყაროს ბუნების, ამ სამყაროს წარმომობისა და ელემენტების პერიოდული სისტემის უფრო მრავალისმომცველი გაგებისკენ.

ის ფაქტი, რომ SETI – არამიწიერი გონების ძებნის პროექტი – უბარმაზარ თანხებს ხარჯავს სამყაროში პოტენციურად არსებული სიცოცხლის და, უწინარესად, *გონიერი სიცოცხლის* ნიშნების მიყურადებაში, ნამდვილად ვერ დაიყვანება რაღაც იმდენად შეუძლებლის ძიებაზე, როგორიც იქნებოდა მეორე კოსმიური შემთხვევითობის ძებნა ჩვენი მზიდან სულ რამდენიმე სინათლის წლის დაშორებით. ამ ძიებით ჩვენ ეცდილობთ დავადასტუროთ, რომ თვით ჩვენი მოდგმა წარმოადგენს რასმე ფუნდამენტურად დამახასიათებელს თუ მნიშვნელოვანს სამყაროსათვის, როგორც მთლიანობისთვის.

მაგრამ *არსებობს* არგუმენტები იმ მოსაზრების სასარგებლოდაც, რომ მხოლოდ აქ, დედამიწაზე, ბინადრობენ უნივერსალური ცნობიერებით დაჯილდოებული არსებები. თუნდაც ციურ სხეულებზე არსებობდნენ სიცოცხლის პრიმიტიული ფორმები, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თითქმის ოთხი მილიარდი წელი დასჭირდა ადამიანს, როგორც ასეთს, მზის სინათლეზე გამოსასელელად. ოთხი მილიარდი წელი კი ევარიანი ასაკია

ნებისმიერი პლანეტისთვის. სულ რაღაც ერთ მილიარდ წელიწადში ჩვენს პლანეტაზე აღარ იარსებებს სიცოცხლისთვის აუცილებელი პირობები, დედამიწა დაკარგავს თავის ატმოსფეროს და წყალიც აორთქლდება.

ყოველივეს შემდეგ, შესაძლოა, ჩვენ მართლაც მარტონი ვართ... თუმცა, მოცემულ მომენტში, მაინც ვერ ვიტყვით სრული თავდაჯერებით, რომ სამყარო არ არის უმრავალფეროვანესი სახე-ფორმით წარმოდგენილი სულების ტვიზერი.

ამწამს გამახსენდა, რომ ბავშვობაში ხშირად მიფიქრია მუსტად ეს: „იქნებ იქ, კოსმოსში, უამრავი სიცოცხლე დაცოცავს?" ამაღელვებელი აზრი იყო. მერე კი მუსტად საპირისპირო აზრი მომდიოდა: „იქნებ სიცოცხლე მხოლოდ აქ არის, დედამიწაზე, *სხვაგან არსად* მთელ სამყაროში?" ესეც არანაკლებ მაფორიაქებდა. ორივე შესაძლებლობა ხაზს უსვამდა თვით ჩემი არსებობის უნიკალურ სასწაულს.

ავტობუსი ისევ ჰემსედალში მიქროდა. ამას, რაღა თქმა უნდა, გაცილებით ადრე მიეხედი, ვიდრე დანიშნულების ადგილს გავეცდებოდი. ეცადე, მოემზადებულიყავი. იქნებ სამყაროსთან დაკავშირებული ყველა ის განაზრება ამ მომზადების ნაწილი იყო? შენ გახსოვს საბორნე მისადგომი რევსნესში. იმდენად დიდ რამეზე უნდა გველაპარაკა, რომ ჩვენს პლანეტაზე მომხდარი წერილმანი შემთხვევა სრულებით გაფერმკთალდა უფრო მაღალი წესრიგისა და თითქმის უსასრულოდ უფრო ერცელი კონტექსტის ფონზე.

ღრუბლები ისევ დაბლა იყვნენ. მაგრამ რანაირად გაარჩევ ერთმანეთისგან ნისლის ზღვას და ღრუბლების ფენას? ეს უკანასკნელი ხომ მიწიდან სულ რაღაც სამიოდე მეტრის სიმაღლეზე ეკიდა.

საგზაო ნიშანმა გვამცნო, რომ ჰემსედალისკენ მიმავალი სამთო გზა ღია იყო. აბა, რა იქნებოდა ამ მუა ზაფხულში.

კარგა ხანს გზა მარჯვენა მხრიდან მიუყვებოდა მდინარეს, რომელიც უჩვეულო ძალით მოთქრიალებდა. ეს იმიტომ, რომ ბოლოდროინდელმა წვიმამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია, და იმ მიზეზითაც, რომ მთებში თოელი დაგვიანებით დნებოდა. ჩაეუარეთ კაშხალს. მისი რეზერვუარი სავსე იყო და წყალი კიდეებიდან გადმოდიოდა. აი, რატომ ადიდებულიყო მდინარე ჰემსილ ქვემოთ, ხეობაში, და რატომ უერთდებოდა იმ წყალს, ტირიფიორდის ნავმისადგომები რომ ჩაყლაპა.

ამ ლამის ხელშესახები ბურუსის მძიმე წვეთები ხეობის გარდიგარდმო ირწეოდნენ. იმ დღის ამინდი მეტეოროლოგიურ ხუმრობას ჰგავდა.

შემდეგ ბურუსი ისევ შესქელდა. ჩანდა მხოლოდ ხეობის ფსკერი, ორიეე მთიანი ფერდობი კი ნისლს დაეგბორა.

ეუყურებდი ამ ყველაფერს და, პარალელურად, ამას ეფიქრობდი: რაოდენ გონმიუწვდომელია, რომ აქ შემიძლია ვიჯდე და თავში სავსებით გამოკეეთილი აზრები მიგრიალებდეს სამყაროს ისტორიასა და გეოგრაფიაზე-მეთქი. იმასაც კი ვმარცვლავდი გონების კრიალოსანზე, თუ როგორ და რაგომ შეიძლებოდა გამოჩეკილ-განვითარებულიყვნენ *ჩემნაირი* გიპები.

„სამყაროში სიცოცხლე არ ფუთფუთებდა, არც ბიოსფეროში – კაცობრიობა. ჩვენი ნომერი ისე მარგივად და შემთხვევით ამოვიდა, როგორც რომელიმე მორიგი ნომერი – მონტე კარლოს კაზინოს სათამაშო მაგიდაზე“.

არსებობს ცდუნება, რომ ეაკ მონოდის ეს რედუქციონისტული სიმღერა უკეღმა დავუკრათ, აბა, რამდენად მუსიკალურად ან არამუსიკალურად გაიეღერებს: „სამყაროში სიცოცხლე ფუთფუთებდა, სიცოცხლე, რომელიც აგარებდა თავისი თავის გამცნობიერებელ სამყაროს“.

არა მგონია, ძალიან ცუდად ეღერდეს. ყოველ შემთხვევაში, ეს არ ეწინააღმდეგებოდა ჩემი ინტუიციის ნებისმიერ წიაღსვლას, მნიშვნელოვანს თუ უმნიშვნელოს. ეს სამყარო თავის თავს აცნობიერებს ან მას *აქეს* საკუთარი თავის ცნობიერება. ასეთ აშკარა და, ამასთანავე, გამაოგნებელ ფაქტს მთლიანად ეზოგერული მოძრაობების ინტერპრეტაციის ამარა ვერ დაეგოვებთ.

„თუმცა არსებობს უფრო მაღალი რამ, – ვფიქრობდი ჩემთვის, როცა წყალგამყოფს ვუახლოვდებოდით, – ნამდვილად უმაღლესი რამ, რაც მეიძლება დადასტურდეს შეცნიერულად. შესაძლოა, ცნობიერება არ *უნდა* განვითარებულიყო, არ *უნდა* განვითარებულიყო არც სიცოცხლე, როგორც ეაკ მონოდს პგონია. თუმცა მამინ, შესაძლოა, არ *უნდა* მომხდარიყო არც სამყაროს ეეოლუცია.“

შექმნის მომდევნო მომენტიდანვე ჩვენს სამყაროს ოდნავაც რომ მეეცვალა აგებულება, წამის მემილიონედში განადგურდებოდა. თვით მიკროსკოპული ცვლილებებიც კი იმაში, რასაც ეაკ მონოდ „პირველ პრინციპებს“ უწოდებს, ვარდაუელად გააცამტვერებდა სამყაროს. აი, ორიოდე მაგალითი. თუკი, გაჩენის მომენტში, სამყაროს არ ექნებოდა ერთი იოგათი უფრო მეტი დადებითი მასა, ვიდრე უარყოფითი, ყველაფერი დიდი აფეთქებიდან მეორე წამშივე მოისპობოდა. დიადი ატომური ძალები სულ *ოდნავ სუსტი* რომ აღმოჩენილიყო, მთელი სამყარო მხოლოდ წყალბადისგან იქნებოდა შემდგარი, *ოდნავ ძლიერის* შემთხვევაში კი საერთოდ

არაეითარი წყალბადი არ იარსებებდა. ნუსხა გაცილებით გრძელია. როგორც სტეპენ პაეკინგმა თქვა: „უზარმაზარია ალბათობა იმისა, რომ სამყარო *არ* შექმნას ისეთმა რამემ, როგორიც, ჩვენს შემთხვევაში, დიდი აფეთქება იყო,"

ის ფაქტი, რომ საერთოდ წარმოიშვა *სიცოცხლისუნარიანი* სამყარო, ისევე „შემთხვევითია", როგორც სიცოცხლისა და ცნობიერების გაჩენა. ამ მხრივ, მონოდის „პირველი პრინციპებიც" ისევე ალალბედზე შეიქმნა, როგორც კაზინოში ამოვიდოდა რომელიღაც ნომერი. თუმცა, გვაქვს კი უფლება, ვიმსჯელოთ იმაზე, შეიძლებოდა თუ არა ეარსება „რაღაცას" სწორედ დიდი აფეთქების შედეგად შექმნილი დროისა და სივრცის „უკან" თუ „მიღმა"? არ არსებობს ისეთი მეცნიერული მტკიცებულება, რომელიც მთლიანად აღკვეთს „რაღაცას", რამიც, შესაძლოა, თავის დაბადებამდე „ფუთფუთებდა" თვით ეს სამყაროც.

რათა სამყარომ გააცნობიეროს თავისი თავი, თავისი სილამაზე და წესრიგი, ამისთვის კრიტერიუმების გრძელი ნუსხა უნდა შესრულდეს, — შესრულდეს დიდი აფეთქებიდან თვით რამდენიმე პირველი მიკროწამის გასელამდე. ასეთი სამყარო ერთადერთი არსებობს. ნუ გაეუშვებთ ამ ფაქტს მხედველობიდან.

ასე მიპყვებოდნენ ერთმანეთს ჩემი ამრები. ბევრი ჩემი პროფესიული კოლეგა მათ ერთგვარ ერესად მონათლავდა. რაღა თქმა უნდა, ასეთი ამროვნება დიდად სცდებოდა მეცნიერების ფარგლებს. მაგრამ სწორედ ამას ეგულისხმობდი *ინტუიციაში.*

გზა მდინარის მარცხენა სანაპიროს მიუყვებოდა. ერთხანს დამუშავებულ მიწებს, მდელოებსა და ხეების მცირე შეჯგუფებებს მორის მივქროდით, მერე კი ისევ მდინარესთან გავედით და მიობერგისკენ მიმავალ გზას ავუყვეით. შეენიმნე მდინარეზე გაბედულად დაკიდებული ხიდი. ამჯერად ზღვის დონიდან, დაახლოებით, 700 მეტრზე ვიმყოფებოდით. მდინარის ორივე მხარეს არყის ხის ხშირი ტევრები ამოყრილიყო.

ბურუსი ისევ სქლად იწვა, თუმცა ჩემგან მარცხნივ მაინც ვამჩნევდი თოვლიან მთის ფერდს, მარჯვნივ კი — ქოხებს, ალბათ უკანასკნელებს, სანამ საბოლოოდ შევიდოდით მთიანეთში, სადაც შენება აკრძალული იყო.

მივუახლოვდით ტბა ელდრევატნეტს და წყალგამყოფს რეგიონის საზღვარზე. ოცდაათწლიანი ინტერვალის შემდეგ პირველად ვიყავი აქ, მაგრამ გული გავიმაგრე და კმაყოფილება ვიგრძენი იმითაც, რომ საკუთარი მანქანით არ მივდიოდი. როცა მის გასწვრივ მივქროდით, ტბისთვის არ გადამიხედავს. მაჯის საათზე დავიხედე: 14.20 სთ. შეგნებულად

არ ჩამიდვია, მაგრამ ჩემს ზურგჩანთაში ნახევარი ბოთლი არაყი აღმოჩნდა. უჩუმრად ამოვიღე, ხრახნიანი საცობი მოვხსენი და ერთი გვარიანი ყლუპი მოვსვი. არა მგონია, რომელიმე მგზავრს შევესიმნე.

ოცდაათ წელიწადზე მეტი ხნის წინ, მაგრამ მაინც სულ ახლახან!..

ის მისტერია იყო. მალმოსსმულ ქალს ეგულისხმობ.

შემდეგ აეტობუსი ქვეყნის დასავლეთისკენ დაეშვა. 14.29 სთ-ზე უფსკრულის კიდეზე გამავალ პირველ მკვეთრ მოსახვევს გავცდით. მე კიდევ ერთი ყლუპი ჩავარტყი. თითქოს ყველაფერი, რაზეც ვფიქრობდი, მაშინ მომხდარ ამბებს ებმოდა. გახსოვს, რევსნესში რამდენიმე საათით ჩაძინება რომ ეცადეთ? არადა, მსოლოდ თვალდახუჭული ვიწექით და ესაუბრობდით.

ერთხანს სწრაფად მიმქროლავ მდინარეს მივყვებოდით ლერდალისაკენ. ბორგუნდთან კი, შუა საუკუნეების დროინდელი ხის ეკლესიის შემდეგ, გზა გვირაბებით გაგრძელდა. ღრუბლის სქელი ფთილები უწონო ბაკენებივით ეკიდნენ ხეობის თავზე, – მხოლოდ ალაგ-ალაგ. შეეედით ლერდალის ცენტრში, სადაც მაშინ ღამის გათევა გადაეიფიქრეთ. ხო გახსოვს? აეტობუსში კიდევ რამდენიმე მგზავრი ამოვიდა და ყველამ ერთად ფოდნესისკენ მიმავალ გრძელ გვირაბში ჩაეყვინთეთ. მადლობელი ვიყავი ახალი გვირაბისთვის, მადლობელი ვიყავი იმისთვის, რომ ამცდა კიდევ ერთი ნერვებისდამწიწკნავი ვიზიტი რევსნესში.

იმ წუთებში, ბორნით რომ გადავდიოდით მანპელერისკენ, მე ვაჯამებდი იმას, რაც თითქმის მთელი გზა მიტრიალებდა თავში, ოსლოდან მოყოლებული.

უამრავი დეტალის ერთ მხარეს დალაგებით, თანამედროვე მეცნიერების წინამე დგას ორი ვეებერთელა გამოცანა: ა) რა მოხდა რეალურად სამყაროს არსებობის პირველ მიკროწამში; ბ) ცნობიერების ბუნება. შეიძლება არავითარი მიზეზი არ გვაქვს იმის დასაჯერებლად, რომ არსებობს რამენაირი კავშირი ადამიანისა და მეცნიერების ამ ორ გამორჩეულად დიად საიდუმლოს მორის. მაგრამ, მეორე მხრივ, არც ეს კავშირია გამოსარიცხი. თუ მთხოვდნენ, ფსონს ჩამოდიო, მე ამ კავშირის არსებობაზე ჩავიდოდი.

მჯერა, რომ არსებობს უფრო ღრმა ახსნა – ან *ფესვი* და *მიზეზი* – იმ ფიზიკური კანონების მიღმა, რომლებმაც გამოძერწეს ჩვენი სამყარო. და, აი, ჩემი ძირეული მრწამსი: თუკი არსებობს ამქვეყნად რაიმე „ღვთაებრივი", ის დიდი აფეთქების უკან დგას. ამის შემდეგ, ჩემი თვალთახედვით, ბუნების კანონებს – და მხოლოდ მათ – მიეცათ გასაქანი და აბსოლუტურად ყველაფერი, რაც ხდება, ბუნებრივი. მიზეზებით ხდება.

თუ „ღეთაებრივი მტკიცებულებების“ მოძიება გსურს, ამისთვის ყველაზე საიმედოა კოსმოსური კონსტანტები, ანუ ის, რასაც ათეისტმა ეაკ მონოდმა „პირველი პრინციპები“ უწოდა. რადგან, როგორც უკვე ვთქვი, ერთადერთი, რისიც არ მწამს, არის ზებუნებრივი ძალების „გამოცხადებები“.

აზრის ჩემეული ჯაჭვი დასრულდა. მალე ჩვენი ავტობუსი თავისი დანიშნულების წერტილს მიაღწევდა ქვეყნის მეორე ნაწილში. ზემოთქმულს მხოლოდ იმას დავამატებდი, რომ დიდი ხნის ძებნა მოგიწევს, სანამ იპოვი ფიზიკოსს, რომელიც ასე შორს წავიდა და აღნიშნა, რომ სიცოცხლე და ცნობიერება ნამდვილად შეიძლება იყოს ჩვენი სამყაროს უარსებითესი მახასიათებლები. და ეს ჩემი მსჯელობა რაიმე გამოცხადებას ან რწმენას კი არ ეყრდნობა, არამედ პირდაპირ გამომდინარეობს ბუნების ჩემეული წაკითხვიდან.

მანჰელერისკენ მიმავალ ახალ გვირაბში შევედით, მალე კი, ჩვენგან მარცხნივ, უკვე კაუპანგენს დავცქეროდით, ანუ იმ ადგილს, სადაც მე და მენ ბორნიდან გადმოვედით, ბურუსის ახალ ზღვაში შევცურეთ და, სონდალის გაველით, მომდევნო უღელტეხილზე ავედით.

როდესაც გრძელი გვირაბიდან გამოვედით მაღალი მთის ფერდობზე, ფიერლანდსფიორდის თავზე, ქვემოთ საერთოდ არაფერი ჩანდა, ბურუსის გარდა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ უწინ არასოდეს ეყოფილვარ ამ გზაზე, მშვენიერად ვიცოდი, რომ ნისლის ქვემოთ ძველი ლანდშაფტი მელოდა. შემდეგ მორიგ გვირაბში ჩავყვინთეთ, იქიდან გამოსელისას კი აღმოვაჩინე, რომ ღრუბლების ფენის ქვემ ვიყავი და უკვე ვხედავდი სუპჰელლედალს, ბოიადალს და მუნდალსდალს.

და მაშინ დამარტყა თავში: „აქ ხომ არ არის? ისიც ხომ არ მოდის?“ ეს წმინდა წყლის რეფლექსი იყო, ყოველად ირაციონალური იმპულსი.

მყინვართა მუზეუმთან ავტობუსიდან გადმოვედი, სასტუმრომი დავრეკე და რამდენიმე წუთში მანქანაც მოვიდა. ცოტაც და, ისევ იმ ძველ ხის შენობაში ვიყავი — ოცდაათ წელზე მეტი ხნის შემდეგ! ოთახი N235-იდან მშვენიერი ხედი იმლებოდა ფიორდზე, ქალაქის მაღაზიებზე და, ამავე დროს, მყინვარსა და მთებზეც. ნისლი ისევ ცალკეულ ფთილებად დაქუცმაცებულიყო და ფიორდს თავზე დასტიეტიებდა. ჩემი ნომრის ფანჯარა ამ ფთილებს ზემოდან დაპყურებდა.

სასადილო ოთახი ხალხს გადაეჭედა. საამური სანახავი იყო ეს ძველი ადგილი, ასე აერიამულებული. თუმცა ეს, ნაწილობრივ, ალბათ მეტეოროლოგიური გამოფენის ვახსნას უკავშირდებოდა. მეოთხედი გრაფინი წითელი ღვინო შეეუკვეთე 90 კრონად. ყურძნის ჯიში ან წარმოშობის

ქეეყანა ვერ გამოეიცანი, მაგრამ ნამდვილად კარგი ღვინო იყო, შესაძ-ლოა – კაბერნე სოვინგონიც. ოთხი თავი კერძით გამიმასპინძლდნენ: დასაველეთ სანაპიროს სალათა, ფერადი კომბოსტოს სუპი, ხბოს ფილე და კრემმოსხმული მარწყვი.

ნასადილევს ნომერში აეედი და ჩემი ნივთები ამოვალაგე. არყის ბოთლიდან ერთი დიდი ყლუპი მოვსვი და მაფხულის ღამეს გავხედე. გარეთ ისევ მძიმედ უშხაპუნებდა. ფიორდის თავზე თოლიები ჭყიოდნენ. ბოთლი კიდეე ერთხელ მოვიყუდე და დაეწექი.

მეორე დილით კი სასტუმროს აივანზე გადაგეყარე. თქვენ უმუალოდ საღილის შემდეგ ჩამოსულხართ, როცა მე უკვე ნომერში ვიყავი ჩემი არ-ყის ბოთლიანად. იქ, ბუნებრივია, ჩვენზე ეფიქრობდი, შენ კი, ამ დროს, უკვე სასტუმროში ყოფილხარ! თქვენ უფრო საფუძვლიანი საკვებით გაგი-მასპინძლდნენ გაცილებით გვიან მას შემდეგ, რაც მგორავი დახლი უკვე აღარ ფუნქციონირებდა და სასადილო ოთახშიც აღარავინ სადილობდა.

დიდხანს ვერ ჩავიძინე. ვიწექი და თოლიების ჭყივილს ვუსმენდი. რო-ცა თავი ბალიშზე დავდე და თვალები დავხუჭე, გაეიფიქრე: „აქ, შიგნით". როგორ თბილოდა, რა საყვარელი იყო *აქ, შიგნით.* რა კარგია და რა თბილი, რომ ეს მე ვარ.

მერე კი ჩემი საკვირველი სიზმარი მესიზმრა. ისეთი განცდა გამომყ-ვა, თითქოს მთელ ღამეს გრძელდებოდა, არა, გაცილებით უფრო დიდ-ხანს. ამწუთასაც კი ისე შევიგრძნობ, როგორც ნამდვილად განცდილ-გადატანილ რაღაცას.

ჰო, მე ეს ნამდვილად *განვიცადე.*

აქ შეეწყვეტ ჩემს პატარა ოდისეას. მთელ დღეს ვიჯექი და ეწერდი, თითქმის არაფერი მიჭამია. ყავას და ჩაის ესვამდი, ჩაის და ყავას. ორი-ოდეჯერ ჩაეირბინე ქვემოთ და ერთი-ორი ლუკმა ჩაეყლაპე.

შენ რას შერები? უკვე დაბრუნდი სკოლიდან, ანუ სასწაელო წლის დაგეგმვიდან?

ჰო, დავბრუნდი. თუმცა, მე მგონი, შორს უნდა დაიჭირო თავი მაგ შენი ბუფეტისგან. ჯერ ხუთი საათიც არ არის. ნუთუ არ შეგიძლია წე-სად გქონდეს, რომ ეგ ბუფეტი საღამოს რვა-ცხრა საათამდე არ გამოა-ღო? თუმცა ამაზე უნინაც გვილაპარაკია. ჯერ შებინდებულიც არ იყო, რომ ბარში ვიჭყიტებოდი, აბა, რას შერება-მეთქი, შენ კი უკვე იქ იჯექი და ლუდს ნრუპავდი!

უკვე მამინ ვეჭიდებოდი კოლოსალურ აზრებს, ხო გესმის. ნუთუ ოდნავ მაინც არ გეხვეეა თაებრუ იმის გაფიქრებაზე, რომ შენ *ამ სამყაროს ნაწილი ხარ?* გწერდი: შეეძელი, მომენიმნა გარკვეული დამოკიდებულება ჩემს საკუთარ ცნობიერებასა და 13.7 მილიარდი წლის წინ მომხდარ დიდ აფეთქებას მორის-მეთქი. შენ კი, ამის პასუხად, იმ აყროლებული ბუფეტიდან გამოღებულ რაღაც ორიოდე ყლუპზე მელაპარაკები! ისე, ცოტა არ იყოს, გულისამაჩუყებელიც არის, რომ დღემდე... ასე ვთქვათ... ბრუნავ ჩემზე.

ჰო, შეიძლება ეგრეა.

ახლა კი მიპასუხე, რას ფიქრობ ჩემს განამრებებზე ლისაკერიდან ფიერლანდამდე მოგზაურობისას?

არც კი ვიცი რა გითხრა... მთლიანობაში გეტყვი იმას, რასაც შენი გოგონა-სტუდენტი გეტყოდა: საინტერესოა, სტეინ! და ამჯერად სულაც არ გელაპარაკები სარკაზმით. მართლა ასე ვფიქრობ. სიამოვნებასაც განვიცდი ასეთი სენტენციების ნაკითხვით: „თუმცა, მოცემულ მომენტში, მაინც ვერ ვიტყვით სრული თავდაჯერებით, რომ სამყარო არ არის უმრავალფეროვანესი სახე-ფორმით წარმოდგენილი სულების გეიზერი". ესეც კარგია: „მჯერა, რომ არსებობს უფრო ღრმა ახსნა — ან *ფესვი* და *მიზეზი* — იმ ფიზიკური კანონების მიღმა, რომლებმაც გამოძერწეს ჩვენი სამყარო". ალბათ, ეს სიტყვები შეიცავს იმას, რასაც შენს ძირითად მრწამსს უწოდებ. ასე რომ, სულ ცოტა, შეეცადე მაინც პასუხი გაგეცა ჩემს შეკითხვაზე — რა *გწამს*-მეთქი.

მაგრამ, ამასთან ერთად, მე სხვა რამეც გკითხე. მსურდა, გამეგო რა დაგესიზმრა. თუმცა შენგან მაინც მატერიალისტური თეზისი მივიღე. ერთი ნამითაც არ მეპარება ეჭვი, რომ ამ პასუხში ვლინდება მეცნიერების ძალმოსილება ან, ვთქვათ, ასეთია შენი სამოგზაურო ჩანაწერები. მაგრამ, საბოლოოდ, შენ მხოლოდ ჩვენი სულიერი ბუნების ქერქზე თუ ნაჭუჭზე ლაპარაკობ. ჩემთვის, ეს უფრო ხამანწკის ნიჟარაზე ჯდომას ჰგავს, ვიდრე მის შიგნით რუდუნებით გამოზრდილი მარგალიტის ჩვენებას. რამდენიმე ათას ცარიელ ხამანწკაზე მხოლოდ ერთი მოდის მარგალიტიანი.

შენ მე დღემდე მაკვირვებ, სტეინ!

ახლა მე ეზიავარ კოსმოსურ კაფსულაში, რომელიც დედამიწის გარშემო ბრუნავს. უწონადო ვარ, თითქოსდა უსხეულო. ვარ მხოლოდ ცნობიერება.

მიწა ჩემ ქვემოთ მტვერს და ჭვარტლს დაუფარავს. პლანეტა მთლად ჩამაევებულია. ვერც ოკეანეებს ეხედავ, ვერც ხმელეთს. თვით ჰიმალაებიც კი ვერ არღვევენ ბნელ ატომურ ზამთარს კუნძულივით განცალკევებული თუნდაც ერთი მწვერვალით. „პიუსტონ! პიუსტონ!" – ვყვირი რაციაში, თუმცა ვიცი, რომ ამას აზრი არ აქვს. რადიო გათიშულია. ასტეროიდმა, რომელიც მე უნდა შემეჩერებინა, როგორც ჩანს, მთელი კაცობრიობაც ამოწყვიტა და, ეგებ, ყველა ხერხემლიანიც, ყოველ შემთხვევაში, ხმელეთის ბინადარი ხერხემლიანები მაინც.

განვაგრძობ ბრუნვას გადამწვარი პლანეტის ირგვლივ და მეხსიერებაში აღვიდგენ რა მოხდა. ასტეროიდმა კიდევ ერთხელ გაანადგურა თითქმის მთელი სიცოცხლე, სწორედ ისევე, როგორც ცარცულ და მესამეულ პერიოდებს ან პერმულ და ტრიასულ პერიოდებს შორის. ბოლო შეჯახებისას ყველა დინოზავრი ამოწყდა. ამჯერად შეიძლება ერთი ძუძუმწოვარაც აღარსად დარჩა. და ამაში ბრალი *მე* მიმიძღვის! სხვას ვერავის დაბრალდება ეს კატასტროფა.

მრავალკილომეტრიანი დიამეტრის ეებერთელა ასტეროიდი უკვე დიდი ხანია მოჰქროდა დედამიწისკენ. გაერომ შექმნა კრიზისის კომიტეტი და, პირველად კაცობრიობის ისტორიაში, ყველა ერი გაერთიანდა პლანეტის გადასარჩენად.

შეიქმნა დეტალური გეგმა: უნდა გაგზავნილიყო ადამიანების ხელით მართული ხომალდი, რომელიც წაიღებდა დიდ ატომურ ბომბს. ეს კამიკაძური მისია იყო. ჰასანთან და ჯეფთან ერთად, მეც მოხალისურად ვიკისრე იგი. როგორც კი ასტეროიდს მიეუახლოვდებოდით, ბომბი აფეთქდებოდა. ოღონდ არც ისე, რომ ასტეროიდი მთლად დაექუცმაცებინა. ჩვენი დანიშნულება იყო მისი კურსის შეცვლა ისე, რომ გვარიანად გამანძილებულს ჩაექროლა დედამიწისთვის.

ჩვენი გაფრენის წინ, უკანასკნელ ბრიფინგზე ითქვა, რომ ასტეროიდის დედამიწასთან შეჯახების შანსი 99% იყო. რა თქმა უნდა, ჩვენ თვითონ ხელის განძრევაც არ გვჭირდებოდა ბომბის ასაფეთქებლად. ამაზე საგანგებოდ დაპროგრამებული კომპიუტერები იზრუნებდნენ. ჩვენ მხოლოდ ის გვევალებოდა, რომ მხედველობიდან არ გაგვემვა მტრული ობიექტი და სწორ კურსს არ ავცდენოდით. ბომბი კი მაშინ ამოქმედდებოდა, როცა ასტეროიდს სათანადო მანძილზე მიეუახლოვდებოდით. იოლი მისია გექონდა!

რამდენიმე ასეული მოხალისე ასტრონავტიდან სამნი შეეკარჩიეს. ამას წინ უძღოდა ფიზიკური და ფსიქოლოგიური წერთნის ხანგრძლივი პროგრამა, საბოლოო არჩევანი კი ლატარიით გაკეთდა. ამან უზრუნველყო, რომ მერჩეული ადამიანებიდან თითოეულს თავის არიდების საუცხოო შანსი გაუჩნდა. ეს ყველაფერი მოხალისურად კეთდებოდა, მხოლოდ უკანასკნელი რაუნდი პგავდა რუსულ რულეტს. მაგრამ როგორც კი ჩვენ აგვირჩიეს (გამარჯვებულები ან დამარცხებულები: გააჩნია, რა თვალით შეხედავ), იმ წუთიდან გმირებად ვიქეცით. ჩვენ ხომ ისინი ვიყავით, ვინც კოსმოსში მიდიოდა იმისთვის, რომ საკუთარი პლანეტა განადგურებისგან ეხსნა. პიონერები ვიყავით და ძალიან ვამაყობდით, რომ სწორედ ჩვენ ამოგვირჩიეს.

ასტეროიდს მარსსა და იუპიტერს შორის უნდა შევხვედროდით. მთელი კაცობრიობა და, ეგების, მთელი ბიოსფერო ჩვენი მოქმედების სიზუსტესა და ჩვენს თვითფლობაზე ეკიდა.

ვერ გავქაჩე. სწორედ მე და არა იმ ორიდან რომელიმემ. უეცრად პანიკამ მომიცვა. ბომბის აფეთქებამდე ანუ ჩვენს სიკვდილამდე სულ რამდენიმე წუთიღა რჩებოდა. რადიოდან მოსული უკანასკნელი სიტყვები იყო: „აბა, მაგრად, ბიჭებო! რამე გადაპკარით ახლა. მადლობა!"

მაგრამ მე... არ მინდოდა სიკვდილი. ცოტა უფრო მეტ ხანს მინდოდა მეცოცხლა. პოდა, კრიტიკულ მომენტში ხომალდს რამდენიმე ვრადუსით გადავახვევინე კურსიდან, რითაც მეუძლებელი გავხადე მისიის მესრულება. მახსოვს, როგორ გააპროტესტეს ეს პასანმა და ჯეფმა. მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო. მე ან არასაკმარისი წრთობა გავიარე, ან არასაკმარისი ტეტსტირება.

მზის ნათებაში დავინახეთ, როგორ ჩაგვიქროლა ასტეროიდმა. უკანასკნელი პროგნოზით, დედამიწასთან შეჯახება უკვე გარდაუვალი იყო. ასეთ შემთხვევაში კი არსებობდა 99% შანსი, რომ მთელი კაცობრიობა ამოწყდებოდა.

ვეებერთელა ასტეროიდ იყო. უხამსი ფორმის. მაგრიგის ერთ სურათს წ

ახლა მახსენდება, რომ მემრცხეა. პასან და ჯეფ ისხდნენ და თვალებგაფართოებულები მომჩერებოდნენ. ჯეფმა ხელისგულები ისე შემართა, როგორც ყველაფრის ჩაფლავების შემთხვევამი ვმერებით ხოლმე, და გამოუვალობის დამორჩილების ნიშნად, სავარძლის საზურგეზე გადაწვა. აი, პასანმა კი ყვირილი მორთო. ჯეფისგან ზიზღი ვიგრძენი, პასანისგან – უსასრულო მწუხარება. ეს უკანასკნელი ერთგული მუსლიმი იყო და ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მისიის წარმატებით განხორციელების შემთხვევამი პირდაპირ ზეცაში მოხედებოდა. ჩემთვის ასეთი რწმენა ძნელი გასაგები იყო, რადგან პასანს, იმაედროულად, ისიც სწამდა, რომ სწორედ ღმერთს უნდა გადაეწყვიტა მისი წარმატება-წარუმატებლობის ამბავი. ასე რომ, ღმერთს ნამდვილად უკვე გამოხატული ჰქონდა თავისი ნება. რაც შემეხება მე, – მეტ სირცხვილს ველარ აეიტანდი. რამდენიმე მოხერხებული მანევრის მეშვეობით ორივეს გავუთიმე ყანგბადის მიწოდება, რაც, მათ სიკვდილთან ერთად, იმასაც ნიშნავდა, რომ საკუთარი სიცოცხლე გავიხანგრძლივე. ახლა სამჯერ მეტ ხანს ვიცოცხლებდი, ვიდრე აქამდე შემეძლო. ხომალდი დედამიწისკენ შემოვაბრუნე. უნდა მენახა რა მოხდა ჩემს პლანეტაზე. უარესი რომ ვერაფერი მოხდებოდა, ეს საესებით ნათელი იყო. საკმარისი საწვაი მქონდა იმისთვის, რომ ხომალდს დიდხანს ეტრიალა დედამიწის ორბიტაზე.

სიცოცხლის ბოლო საათები, მსურს, გამოვიყენო იმაზე საფიქრელად, რას ნიშნავს ეს ყველაფერი. ეს დრო – რეფლექსიის დროა. რა იყო სიცოცხლე? რა *იყო* ცნობიერება? ახლა ხომ სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ გონება და ინტელექტი სამყაროს სხვა არცერთ კუნჭულში არ ჩასახულა და არ განვითარებულა, ამ გადამწვარი პლანეტის გარდა, ახლა რომ ვუტრიალებ გარშემო. ამწუთას მე ვარ სამყაროს ერთადერთი დარჩენილი თვითცნობიერება.

უეცრად განვიცდი ყოველად უიმედო სევდას მთელი კოსმოსის სანაცვლოდ: ახლა ხომ სამყარო განწირულია შევიდეს ასეთ პირქუშ ფაზაში... სამყარო ცნობიერებით და სამყარო მის გარეშე – ორი ძირეულად განსხვავებული რამ არის. თუმცა მე ჩემი თავიც მედარდება: ძალიან ცოტა დრო დამრჩა ამ მეგდ სამყოფად. რომ არ მომეპარა ჯეფის და პასანის სასიცოცხლო დრო, ახლა სამივენი მკვდრები ვიქნებოდით და სამყაროს ცნობიერებაც მთლიანად ამოიწურებოდა. მნიმენელოვან ამბად მეჩვენება, რომ სამყაროს თვითცნობიერება გავახანგრძლივე...

ამჯერად ჩემს საკუთარ ცხოვრებას გადავხედე. ან, უფრო სწორედ, ისევ 70-იან წლებში დავბურნდი და, აი, შენც გხედავ კრინესოში... რა ლაღი და დაუმძიმებელი ხარ, სოლრუნ, რა ემმაკურად იღიმები... და, აი, ის-

ევ ეაკეთებთ იმ ყველაფერს, რასაც ერთად ეაკეთებდით: ეამზადებთ სადილს და ულეეოლსეტერის ტყემი მიესეირნობთ; ეელოსიპედებით მიედივართ უნიეერსიტეტამდე, იქაური დივანის საპირისპირო კიდეებზე ესხდებით და ჩვენ-ჩვენს მასალებს ეიმეორებთ; მანქანით ემოგზაურობთ ნორმანდიაში და გაედივართ პატარა კუნძულზე, სადაც შეგეიძლია ეიაროთ მხოლოდ ზღვის მიქცევის დროს და სადაც შენ ზღვის ეარსკვლავს იღებ დროებით გაშიშვლებული ფსკერიდან; ისევ ემოგზაურობთ ეელოსიპედებით, ამჯერად სტოკჰოლმამდე; აღმა-დაღმა დაეცურაეთ მოხუცი ტოტენელი ფერმერისაგან ნათხოვარი ძველი ნავით... ის მისდა, რომ გიქები ეართ, და იმიტომაც გეათხოვა ნავი. თანაგრძნობა გაუჩნდა ჩვენ მიმართ, რადგან ხედავდა, რომ გონებრივად მოეისუსტებდით.

გადახრუკულ პლანეტას ჩავხედე. ეს ჩემი აკვანია, ცნობიერების აკვანი. არადა, იმ პერიოდში, როცა იქ ეცხოვრობდი, შემეძლო გადამეწყვიტა და იქ წავსულიყავი, სადაც მსურდა და როცა მსურდა. როგორც, მაგალითად, იმ გზაზე, შვედეთში, სადაც ჩემი ველოსიპედის საბურავის გასკლომამ შეგვაჩერა. მე ძალიან გაებრაზდი, შენ კი ჩემს რისხვას საყვედურით შეხვდი. და ახლა, ამ ორბიტიდან, შენი და მთელი დანარჩენი ქვეყნიერების მოსპობის შემდეგ, მესმის, რომ იმ დილას შენ მართალი იყავი: „როგორ შეიძლება წყობიდან გამოსელა მხოლოდ იმიტომ, რომ საბურავი გაქეს დასაწებებელი! – მითხარი შენ, – ზაფხულია, სულელო, და ჩვენ ცოცხლები ეართ!“

ფიქრებით ისევ ქვემოთ ვარ და თავიდან ვაფასებ ყველაფერს. მენი მმობლების მანქანა ეითხოვეთ და ამჯერად ბერკენიდან რუტლედალისკენ გაგვიწევია. ბორნის გემბანზე ედგავართ და სონეფიორდს გავცქერით, შემდეგ კრაკპელასკენ მივცურავთ ლოსნასა და სულას მორის გამავალი ვიწრო სრუტით. ისევ მანქანით გავდივართ კუნძულებს, მერე კი პატარა ბორანს ნორაბე გადაეყავართ. სკულპტურული არქიპელაგი პვავს ცალკე სამყაროს თავისი პაწია ნავმისადგომებითა და კონცხებით, არხებითა და ტბებით. ბოლო კილომეტრებს კოლეროეამდე ისევ მანქანით გავდივართ, თუმცა მანამდე მთხოე, მანქანა გეაჩერო ერთ გამორჩეულ ადგილას, საიდანაც უნდა დამანახო საუკეთესო ხედი ზღვაზე. სიხარულს აუტანიხარ, რაკი შენი ბაეშეობის სამოთხეში მოგყავარ. სრულ ეიფორიაში იმყოფები. მანქანას ბებიაშენის სახლთან ეაჩერებთ და როდესაც რანდის ეხედავ, ეგრძნობ, რომ ამ ქალს დასაბამიდან ეიცნობ. ეს იმიტომ, რომ მასში ძალიან ბეერს ეხედავ შენსას. იქ ჩვენ ბავშვებივით ეართ: ეიდეს მაღაზიაში დავდივართ, კანფეტებს და ნაყინს ვყიდულობთ. ღამღამობით კი ჩვენს საწოლებში ვწეეართ ლურჯ ოთახში და ჩურჩუ-

ლით ვუყვებით ერთმანეთს, რა ენახეთ და რა გამოეიკვლიეთ ზაფხულის გრძელი დღის განმაელობაში.

ეს ყველაფერი ორი ისტორიის – ჩემი პირადი და სამყაროს ისტორიების – ირგვლივ ტრიალებს. თუმცა ეს ისტორიები ერთმანეთშია ჩაწნული, რადგან ჩემი ამბავი არ იარსებებდა სამყაროს ამბის გარეშე. ჩემი ცხოვრების ნახევარი ამ უკანასკნელის შესწავლას მოვანდომე და, თუ არა ჩემთვის, სამყარო თავისთავად ვერ გააცნობიერებდა თავის ღირსებებს. ახლა არაფითარი მეხსიერება აღარ არსებობს, ჩემი მეხსიერების გარდა.

ეზიარ ჩემს კაფსულამი და გაეცქერი დედამიწისა და სამყაროს ისტორიას, კოსმოსური მხედრების აღლუმივით რომ მიმდინარეობს ჩემ თვალწინ. სულ რამდენიმე საათში კი, მეხსიერებისა და ცნობიერების ეპოქა უკანმოუბრუნებლად დასრულდება. აი, ასე ვფიქრობ ჩემზე შეუდარებლად უფრო დიდი რაღაცის სანაცვლოდაც, თან მთელი ეს ხანი კაფსულამი ეზიარ, თითქოს სწორედ აქ მომეჩინა ადგილი და აქ *ვარსებობ.* ერთხელაც კი არ გამღვიძებია თუნდაც ნაწილობრივ, როგორც ხშირად მოგვდის ხოლმე ძილის დროს, როდესაც ვიცით, რომ სიზმარში ვართ, თუმცა სრულებით უზრუნველად განვაგრძობთ ძილს. მე იმ ხომალდში ვიმყოფები მას შემდეგ, რაც გიგანტური ასტეროიდი შეასკდა ჩემ ქვემოთ მბრუნავ პლანეტას. მახსოვს ხელსაწყოების პანელის დეტალები, ყველა ეკრანი და მონიტორი. ასე თვალნათლივ ვხედავ ჯეფს და პასანს, ასე კარგად ვიცნობ თითოეულ მათგანს, თითოეულის სახის ნაკვთებს, ამდენი საათი გაგვიგარებია ერთად ამ ვიწრო კაფსულამი... ახლა კი ორივე უსიცოცხლოდ ჩასვენებულა თავ-თავის სავარძელში.

თუმცა ამ ყველაფერს *ორნაირად* განვიცდი, რადგან შემიძლია ამ ხომალდიდან გავიდე და შენ გვერდით ვიყო ყველა იმ ადგილას, რომელიც ერთად მოგვინახულებია. თითქოს რაღაც სხეულისგარე გამოცდილებას გავდივარ. მთლიანობაში, ეს ყველაფერი სრულებით დანაწევრებული და არალოგიკურია, მაგრამ, გარკვეულწილად, შემიძლია ამოვირჩიო, სად და როდის მინდა ყოფნა დედამიწაზე (რომელიღაც შამანის სულიერი მოგზაურობებივით). როცა ერთად ვართ ნორმანდიამი, ნამდვილად იქ ვართ. როცა ორივენი ვსხედვართ პარდანგერვიდას პლაგოს ერთ-ერთ ლოდზე და შემწვარ კალმახს შევექცევით, ესეც ნამდვილად ხდება, რადგან ამწუთას შემწვარი თევზის სუნიც კი შემიძლია გამოვიხმო. ამ ეპიზოდებს შორის არაფითარი სიცოცხლე არ არის, არაფითარი ქრონოლოგიური დრო, მხოლოდ კონტინუუმი თუ მარადისობა, როგორც ვეებერთელა თეუში, რომლიდანაც შეგიძლია აიღო მოზაიკის პატარა

ნატეხები... არა, მოზაიკის ნატეხები გაკეთებულია ფერადი მუშისგან და მოთავსებულია კალეიდოსკოპში, რომელშიც მე ამ ხომალდიდან ვიყურები. შემიძლია ამოვირჩიო, ხსოვნის რომელი ნატეხის ცქერა და აღორძინება მსურს მოცემულ მომენტში.

უეცრად ამრად მომდის, რომ შენ ისევ ცოცხალი ხარ იქ, ქვემოთ, ჭვარტლის და ფერფლის სქელი ფენის ქვეშ. უცბად დამცეცხლაეს, რომ შეიძლება შენ ხარ ერთადერთი გადარჩენილი ადამიანი. ეს – სიზმრის ლოგიკაა, ანუ – უფრო აკურატულად თუ ვიტყვი – სიზმრის სრული ულოგიკობა. ვფიქრობ, რომ იქ, ქვემოთ, შენ დამეხმარები. იმან გადაგარჩინა, რომ შეჯახებამდე თავი შეაფარე ერთ-ერთ ღრმა გვირაბს ქვეყნის დასავლეთ ნაწილში. მხოლოდ შენ ძალგიძს ჩემი ჩაყვანა ქვემოთ. მალე ჩაეარდები ფიორდის ერთ-ერთ განშტოებაში იუსტედალსბრეენის მყინვარის ქვემოთ და სწორედ შენ გამიღებ წყალში მოტივტივე კაუსულის კარს. სიზმარში ეს ძალიან იოლი ჩანს: ნიჩბებიანი ნავით მოცურდები და წყლიდან ამომიყვან.

მესსიერებაში ვაღორძინებ როგორ გადავცურეთ ფიორდი ნიჩბებიანი ნავით. იქ, გაღმა ნაპირზე, ბალახზე დავწექით ძველ ბეღელთან და მზეს მივეფიცხეთ. შენ გრძნობდი, რომ სასტუმროს წინ გაშენებულ გაზონზე შიშველი მკერდით ვერ დაწვებოდი. ახლა კი იქ ეწვევართ. ცხელა, ოცი გრადუსი მაინც იქნება. თუმცა წყლისპირას ერთი ბოთლი შუშხუნა სასმელი გვაქვს დატოვებული. ცოტა ხნის შემდეგ უკან მოვცურავთ და გზად ვამჩნევთ ბალესტრანდიდან ფიორდში შემოცურებულ წყვილ ღელფინს. რამდენჯერმე შემოუვლიან ჩვენს ნავს, რის გამოც ჩვენ შემფოთება გვიპყრობს, თუმცა მალე გვშორდებიან და თავიანთ გზაზე მიცურავენ.

ვუელი და ვუელი შავ პლანეტას. რა გამოუთქმელად მტკივნეულია, რომ სულ რამდენიმე საათიღა რჩება იქამდე, როცა სამყარო საბოლოოდ განიძარცვება სულიერი ცხოვრებისგან! მე ხელებს ვაერთებ და ვეევედრები ღმერთს, რომელიც არ მწამს: *„ღმერთო, ღმერთო, უკან დაატრიალე საათი! კიდევ ერთი შანსი მომეცი, ღმერთო! ნუთუ ამხელა ქვეყნიერება კიდევ ერთ შანსს არ იმსახურებს?“*

ამ დროს რაღაც უცნაურობა ხდება. ფილმში ეს არ გაამართლებდა, მაგრამ ეს *სიზმარია*, ანუ სრულებით სხვა ჟანრი. უეცრად ჯეფ და პასან შეირხევიან და თვალებს ახელენ. შემდეგ? შემდეგ პლანეტას შემოკრული მთელი ფერფლი და ჭვარტლი ქრება და იქ, ჩემ ქვემოთ, მუქლურჯი ატლანტიკა ლიელივებს. ახლა ჩვენ აფრიკის დასავლეთ სანაპიროსკენ მიეფრინავთ...

აი, ამ დროს გამომეღვიძა. ვერ დავიჯერე, რომ ეს სიზმარი იყო. ყველაზე უცნაურად მაინც ჯეფის და პასანის მომენტი მეჩვენა, იმდენად ცოცხლები და რეალურები იყვნენ, იმდენად არ პგაედნენ არავის, ვინც ამ ცხოვრებამი ოდესმე შემხვედრია. მას შემდეგ აღარ მომშორებია მომაჯადოებელი ფიქრი, რომ უნდა არსებობდეს პარალელური რეალობები და რომ ასეთი სულიერი მოგზაურობები ნამდვილად მესაძლებელია.

გარეთ ნისლის ფთილები გუშინდელივით დაცურაედნენ მთების ფერდობებზე. თუმცა, ამჯერად, ხილვადობა კარგი იყო და ფიორდიც მშვენიერად მოჩანდა.

ქვემოთ ჩავედი და ვისაუზმე, ერთიანად დანთქმულმა ჩემს სიზმარში. მერე ყავით გავსებული ფინჯანი ავიღე და აივანზე გავედი.

იქ კი...

იქ *შენ* იდექი!!!

VI

ჰო, იქ მე ვიყავი. მაშინ კი, ალბათ, მიხვდი, რომ წინასწარმეტყველური სიზმარი გესიზმრა, არა?

ჰმმ...

ამწუთას რაიმე მნიშვნელოვანს ხომ არ აკეთებ?

არა. რაგომ მეკითხები?

მაინტერესებს, დაკავებული თუ ხარ ამ საღამოს.

პირიქით, ბერიგს თავისმა დამ გამოუარა და ახლახან წავიდნენ თეატრში.

ასეთ შემთხვევაში, მე მგონი, ჩვენი დიალოგი უნდა გაგრძელდეს. ნილს პეტტერ მეგობრებთან არის წასული ბრიჯის სათამაშოდ. მთელი საღამო ჩვენ ხელთაა. ისეთი კარგია აქ ჯდომა და ქალაქის ცქერა ფანჯრიდან. ოღონდ რაღაც ვერ ვისვენებ... შენ? შენ სად ხარ ამწუთას?

შინ ვარ, პატარა სამუშაო კაბინეტში პირველ სართულზე. ჩემი მაგიდაც ფანჯარასთან დგას და ქალაქს გადაჰყურებს. ღამე ახლახან ჩამოსულა ოსლოში და ქალაქის სინათლეებიც უფრო და უფრო ვაბრწყინდა. ეკებერგის და ნესოდენის სინათლეებსაც ეხედავ.

მე კი ქალაქის პორტს და კორსკირკენის ეკლესიას გადავყურებ, და კიდევ — უკანა ფონზე — იუჰანესკირკენის ეკლესიასაც. გარდა ამისა, ვხედავ სახანძრო დეპოს და ქალაქის საბჭოს შენობას ლილლე ლინგეგორდსვანის ტბორის პირდაპირ.

მაგრამ, როგორც გითხარი, იქნებ გააცნობიერე, რომ ნათელმხილველური სიზმარი გესიზმრა...

ძველ სასტუმროში ჩამოსულის წინა საღამოს ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ყოველ წამს შეიძლებოდა სადმე გადაგყროდი, პოლში თუ რესტორანში. ჩემი ნომრისკენ ამავალი თითოეული საფეხური, თითოეული სურათი თუ ნაქსოვი ფარდაგი შენს თავს მახსენებდა. ან ის ძველი ტელეფონის კიოსკი თუ გახსოვს? სრულებით განსხვავებულად თუ ეიტყეი, ყველაზე თვალმისაცემი ამ სასტუმროში შემოსელისას ის იყო, რომ შენ იქ არ ჩანდი. იქაურობა *უშენო* იყო. ამიტომაც არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ვოცნებობდი იმ დროზე, როცა ერთად ვცხოვრობდით. პოდა, ჟრუანტელისმომგვრელიც ის იყო, რომ შენ არც მეტი არც ნაკლები იმავე სასტუმროს აივანზე აღმოჩნდი. სწორედ ამას ვუწოდე არაჩვეულებრივად იღბლიანი დამთხვევა. მაგრამ შენი იქ ყოფნის ფაქტს *არ განუპირობებია* ის ამბავი, რომ სიზმარში ვნახე.

აჰ, არაა? მთელი იმ ღამის განმავლობაში, სანამ შენ შენი დანახშირებული პლანეტის ირგვლივ ტრიალებდი, მე იმავე სასტუმროს მეორე სანოლში ვიწექი და შენსავით მეძინა. ნუთუ არ ფიქრობ (გამომდინარე იმ ყველაფრიდან, რაც გესიზმრა), რომ ნამდვილად განხორციელდა ერთგვარი მენტალური კონტაქტი ჩვენ შორის? იცოდი თუ არა, რომ ძილის დროს და იმ მდგომარეობაშიც, რომელსაც *სწრაფი ძილი* ჰქვია, უფრო გახსნილი ხარ ტელეპატიისა და წინასწარჭვრეტის მიმართ? ამ ფენომენს ოფიციალურად ეწოდება *პარანორმალური სიზმრები*. ამ სფეროში გარკვეული ლაბორატორიული კვლევა ჩატარდა, თუმცა არსებობს ანთროპოლოგიური მასალაც, რომელიც ზუსტად იმავეს აჩვენებს. გუნნალუგ ორმსტუნგის ისლანდიური საგა თუ წაგიკითხავს? უფრო ცნობი-

ლია ბიბლიური იოსების სიზმრები. ეს ყველა ტიპურად ნათელმხილველური ან წინასწარმეტყველური სიზმრებია.

ბავშვობაში დედა მიკითხავდა პელგას, გუნნალუგისა და ჰრაფნის საგებს. ხომ არ დაგავიწყდა, რომ ისლანდიაში დავიბადე? საკითხავი ისაა, რამდენად ასახავს ეს ყველაფერი რეალურ სინამდვილეს. თუმცა გეთანხმები, რომ სიზმრების ინტერპრეტაცია თითქმის უნივერსალურია (ჯერარმომხდარი ანუ მომავალი ხდომილებების გამოხატვას ეგულისხმობ).

მაგამი გეთანხმები. ჯერ კიდევ იქ, მაღლა, მწყემსის ქოხში გითხარი, უჩვეულოდ ცოცხალი და ძალმოსილი სიზმარი მესიზმრა-მეთქი. და უცნაური იყო, რომ გაღვიძებიდან ცოტა ხნის შემდეგ უკვე შენ გვერდით მივაბიჯებდი. ან, ეგებ, „გაღვიძებიდან" კი არ უნდა მეთქვა, არამედ „მას შემდეგ, რაც კოსმოსიდან ჩამომიყვანე"? რაც შემეხება მე, სიზმარმა მამცნო, რაოდენ ცოცხლად ინახებოდა ჩემში და როგორ ზემოქმედებდა შენთან ერთად გატარებული მთელი ის წლები. გარდა ამისა, ისეთი შეგრძნებაც მაქვს, რომ მას შემდეგ, გარკვეულ ხანს, ისევ „ორბიტაზე" ვიყავი. არადა, მთელი დანარჩენი ცხოვრება ორბიტიდან ამოვარდნილმა გავატარე. სიზმრების უმრავლესობა, შესაძლოა, იმითაც არის ნაკვები, რაც წინა დღეს გადაგვხდება ხოლმე. მე ხომ დანისლულ ლანდშაფტებში ვიმგზავრე.

თუმცა, იმავდროულად, შენი სიზმარი კოშმარული და თავზარდამცემიც იყო. სამყაროს ერთადერთ ცნობიერებად ყოფნის იდეა უკუგდებას ითხოვს! ანუ, შენ თვითონ სთხოვ საკუთარ თავს — უარი თქვა ამ მცდარ ნარმოდგენაზე. ჩვენ უფრო ბევრნი ვართ, სტეინ, უფრო მეტი სული ვართ სამყაროში. მჯერა, რომ ჩვენ მირიადობით ვართ. ზუსტად ვერ ვიტყვი, რასაკვირველია, მაგრამ, ჩემი აზრით, უსასრულოდ ბევრნი ვართ, იმდენივე, რამდენიც მზის ანარეკლი — ზაფხულის ზღვის დატალღულ ზედაპირზე.

მაპაგიე, სოლრუნ, მაგნაირ რაღაცებში ვერ გამოგყვები. მომიტევებ თუ ვერა?

მოტევებაზე უფრო მეტს ვშვრები: მთელი გულით შემწყნარებლური ვარ შენ მიმართ. ეჭვი არაა, გჯერა, რომ მატერია სულზე უფრო დიდხანს იარსებებს. ესეც თვალნათლივ ჩანდა შენი სიზმრიდან. ერთხელაც მთელი ეს საზარელი სამყარო ყველას უკან ჩამოგვიტოვებს, როგორც

სხვა უამრავ ხარახურას. მე კი სრულებით საპირისპირო მწამს: თითქმის აშკარაა, რომ ჩვენი სულები საბოლოოდ ჩამოიხსნიან მთელ ამ მატერიალურ ჭუჭყს. იმაში ხომ ნამდვილად ერთი აზრის ვართ, რომ, ბოლოს და ბოლოს, ყველა ბუნებისეული საგანი განადგურდება.

პო, სამწუხაროდ. ეს თერმოდინამიკის მეორე კანონის გარდაუვალი შედეგია.

სამაგიეროდ, არ არსებობს ექვივალენტური პრინციპი, რომლის მიხედვითაც ყოვლისშემმუსრველ დროს ძალუძს რამენაირად ხელჰყოს ის, რაც სულიერია.

იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს თავისუფალი სული, რომელიც რჩება მამინაც, როცა სხეული კვდება. ეგონებ, ამას გულისხმობ.

წარმოიდგინე, ტყეში გასეირნებას აპირებ. მიჰყვები ბილიკს, რომელზეც უკვე რამდენიმე კვირაა არ ყოფილხარ, და უცებ აწყდები სრულებით ახალ ხის ქოხს, რომელიც უწინ არასოდეს გინახავს. საკმაოდ გეუცნაურება, რომ იმ ადგილას ქოხი ააგეს. მაგრამ სანამ დგახარ და უყურებ, კარი იღება და გამოდის მომღიმარი კაცი მანათობელი ლურჯი თვალებით და მარგალიტებივით ჩაწიკწიკებული კბილებით. თითქმის ინდივიდუალური შეკვეთით გამოძერწილს ჰგავს. თავს მდაბლად გიკრავს და — დილა მშვიდობის! დილა მშვიდობის! – გეუბნება. სურეალური და იდუმალი ვითარებაა.

იბადება კითხვა: რა მოხდა? ჯერ ქოხმა აიგო თავისი თავი, მერე კი შექმნა კაცი, რომელიც გამოაცოცხლებდა? თუ პირიქით: კაცმა ააგო ქოხი და შიგ შესახლდა?

მე გეკითხები, რა უფრო მართლმაგვარი გგონია: სულიერი იყო თუ მატერიალური ის, რაც პირველი გაჩნდა? შენი მოგზაურობის აღწერა იმ დასკვნით დაამთავრე, რომ თვალი შეავლე კავშირს ცნობიერებასა და „სამყაროს შექმნის პირველ მიკრონამს" შორის. ახლა გეკითხები: რომელი იყო, შენი აზრით, პირველი — ცნობიერება თუ გაუგონარი ენერგიის გამოთავისუფლება?

განა შენ თვითონ არ დაუშვი, რომ „რაღაც შეიძლებოდა მდგარიყო დიდი აფეთქების შედეგად შექმნილი დროისა და სივრცის მიღმა"? ეს შენი სიტყვებია. მაშ, იქნებ არასწორია დიდი აფეთქების წარმოდგენა, როგორც ყოველივეს *საწყისის*? ის, რაც სამყაროს უდიდესი საიდუმლო

გვგონია, შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ წინაღუდგომელი გადასვლა ერთი მდგომარეობიდან მეორეში.

არ ვიცი. არა, მეტი ნამდვილად აღარ ვიცი. ჩვენ არაფერი ვიცით.

იმ სიზმარში შენ სასოწარკვეთილი იყავი. იგრძენი კიდეც დიდი საჭიროება — გათავისუფლებულიყავი შენი მატერიალისტური მსოფლმხედველობიდან. იმდენად შორს წახვედი, რომ შეევედრე ღმერთს, რომელიც არ გწამდა. ჰო, ეს ნამდვილი უმწეობაა.

მაგრამ ნუთუ სულთა შეხვედრის არანაირ შესაძლებლობას არ უშვებ? თვით *ასეთი* სიზმრის შემდეგაც კი? სიზმრის, რომელიც ჰგავდა ერთ დიდ, ნათელ უწყებას, რომ, რეალურად, ძალიან ინტენსიურ სულიერ ცხოვრებას ეწევი. და არც შენი ლოცვა დარჩა უპასუხო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეჭვი გეპარება საკუთარ ათეიზმში, ქვეცნობიერად მაინც.

არავითარი *გამოცდილება* არა გაქვს, სტეინ? არასოდეს არაფერი განგიცდია ისეთი, რასაც სულიერის თუ ტრანსცენდენტულის სურნელი დაჰკრავს?

ჯერ ათი საათია, მე კი კარგა ხანს არ ვაპირებ დაწოლას.

ჰო, განმიცდია, უწინ, 70-იანებში. იელისში ეაპირებდი მეამბნა შენთვის, მწყემსის ქოხის ნანგრევებზე რომ დავსხედით. სწორედ მამინ მინდოდა იმ დაუვიწყარი სიზმრის გამოტანა სამზეოზე. ამ დროს გამოჩნდნენ ის ხბოები. ქვემოთ ჩასვლისას კი, თავადვე იცი, რაგომ ვლაპარაკობდით ცოგას. თითქმის მგკივნეულია ამის დამვება ჩვენს ასაკში, ისედაც ბევრი ვისაუბრეთ. მაგრამ, იცი, იყო კიდეე რაღაც, უეცრად რომ შეგვაცბუნა ერთიმეორის მიმართ. უცებ აღარაფერი დაგერჩა სათქმელი. ამიგომაც შემოგთავაზე, რომ იმეილები გვეგზავნა ერთმანეთისთვის. ეს, თუ გახსოვს, მამინ ეთქვი, როცა პოლიგონთან და წითელ ამბართან ჩაველით. და როგორც კი წიგნის მაღაზიამი შენს ქმარს გადავაწყდით, მთელი ჩვენი საუბარიც დასრულდა. ვიფიქრე, სამნი ყავას დაველევდით და ასე დავემშვიდობებოდით ერთმანეთს. მაგრამ ასე არ მოხდა.

ჩემგან წასვლიდან ერთი წლის შემდეგ შემეხმიანე და მთხოვე, ჩემი ნიეთები შეაგროვე და ბერგენში გამოგზავნეო. როგორც ამასწინანდელ იმეილში მანიშნებ, ეს იოლი საქმე არ იყო, რადგან ჩვენი ნიეთების დიდი ნაწილი ერთობლივად შევიძინეთ. ცხრამეტი წლის ასაკიდან ერთ ბინამი ვცხოვრობდით და, ამდენად, აღვილი არ აღმოჩნდა ხუთი წლის შემდეგ ზღვარის გაელება შენს და ჩემს საკუთრებას შორის. მაგრამ, მე მგონი,

საკმაოდ ხელგაშლილი ვიყავი და შენც არაფერი მოისაკლისე. სენტიმენტალურ ღირებულებას იმთავითვე მნიშვნელოვანი ადგილი მიეჩინა და მე კარგად ვიცოდი, რომელი ნივთები გეძვირფასებოდა ყველაზე მეტად. თუმცა არ არსებობს კანონი, რომელიც ამბობს: ის, რაც ერთი ადამიანისთვის საუნჯეა, აუცილებლად ნაკლებად ღირებული იქნება მეორისთვისო. ხშირად პირიქით ხდება. ის მინის ზარი ხომ გახსოვს, სმოლანდში რომ ვიყიდეთ სკონიდან წამოსულებმა? ის მეც ძალიან მიყვარდა, მაგრამ სათუთად შევახვიე ქსოვილში და გამოგიგზავნე. ეიმედოვნებ, კეთილად იმოგზაურა და ახლაც მრთელია და უვნებელი.

ერთხელ მოვისმინე ამბავი ერთ წყვილზე, რომელიც ერთმანეთს მორდებოდა. მეთანხმდნენ კიდეც – ეს საუკეთესო გამოსავალი იქნებაო და, ერთიმეორის აზრისა და განწყობის გათვალისწინებით, თავიანთი წიგნების გაყოფა დაიწყეს. მაგრამ სულ მალე გამოამკარავდა, რომ ყოველი მორიგი წიგნი, რომელიც ერთ-ერთ მათგანს თავისთვის უნდოდა, მეორისთვისაც არანაკლებ ძვირფასი იყო. ეს ამბავი განმეორდა წიგნიდან წიგნამდე. შემდეგ ისინი ამ წიგნთაგან ზოგიერთმი მიმდინარე ამბებზე ალაპარაკდნენ და, ბოლოს, ორიეს გონება გაუნათა აზრმა: მეტისმეტად ერთნაირები ვართ საიმისოდ, რომ დავშორდეთო. დღეს ისინი ისევ ერთად არიან, დაგეგმილ განშორებას კი თავიანთი ცხოვრების სრულებით უმნიშვნელო ეპიზოდად მიიჩნევენ.

ჩვენს შემთხვევაში, წიგნებმა არანაკლები როლი ითამაშე, ოღონდ – საპირისპირო აზრით. ვფიქრობ შენს ბიბლიოთეკაზე, განსაკუთრებით – ერთ წიგნზე, შენ იცი, რომელზეც. ზოგჯერ ერთ წიგნში უფრო მეტი დამანგრეველი ძალაა, ვიდრე უბრალო „ეპიზოდში“.

მას შემდეგ, რაც შენი ნივთები ჩავაწყვე და გამოვგზავნე, ვიგრძენი, რომ ჩვენი განშორება საბოლოოდ გაფორმდა. არც მაშინ დაგეჭირვებია რაიმე დოკუმენტი, როცა ერთად ვცხოვრობდით, და არც მერე, როცა დაშორდით.

მაგრამ იმ დილით, როცა ფოსტაში შეველი და სამი ყუთი გამოვგზავნე, შინ აღარ დაებრუნებულვარ. ფოლკსვაგენში ჩავჯექი, წრიულ გზაზე გაველი და ისე გავქანდი დრამმენსვაიენისკენ, როგორც ამას ერთად ვიზამდით. თუმცა მანამდე ვერ გავიაზრე სად მივდიოდი, სანამ სანდვიკას ჩავუქროლე სოლიჰოგდასა და ჰონეფოსისკენ გეზაღებულმა.

ხუთი საათის შემდეგ ჰაუგასტოლს გავცდი, ოღნავ სამხრეთისკენ გადაეუხვიე და ჰარდანგერეიდას პლაგომდე მივედი. იქ მანქანა გავაჩერე და ჩვენი ძველი ბანაკის გზა მოვძებნე. ჯერ ვიბოდიალე, მერე ჩამოვჯექი და კარგა ხანს ასე დავრჩი. იქაურობა ისე გამოიყურებოდა, თითქოს

წინა დღის წამოსულები ვიყავით. „გამოქვაბულში“ შეეძვერი, ჩვენი საწოლიც ვიპოვე და ის დაუმუშავებელი ბატკნის ტყავიც. მაშინ შენ თქვი: ვინმე რომ წააწყდეს ამ ტყავს ცხვრების მწყემსვისას, ფერმერი ალბათ ანაზღაურებას მოგვიხოვსო. არასოდეს იტოვებდი გაუსტუმრებელ ეალებს. თუმცა, ამჯერად, ტყავი ხელუხლებელი დამხვდა.

ვერ ვიტყვი, კერიას კვამლი ისევ სდიოდა-მეთქი, მაგრამ ღვიის ჩამავებული ნაკეერჩხალი ისევ იქ იყო და ჯუჯა არყის ხეც ისევე დამხვდა ქვებს შორის, როგორც წამოსვლისას დაეტოვეთ. ბევრ სხვა ნაკვალევსაც წავაწყდი. მეტ-ნაკლები სისტემატურობით შევუდექი ეროტიკულ არქეოლოგიას. გამოქვაბულის სიღრმეში ვიპოვე ერთი შენი მწვანე ხელთათმანი, ხუთკრონიანი მონეტა და მსუბუქი ლითონისგან დამზადებული თმის სამაგრი. მაგრამ ეს უკანასკნელი ხომ ქვის ხანაში ცხოვრების წესების დარღვევა იყო? არ მახსოვს, რომ გამოგეყენებინოს. იქნებ, უბრალოდ, ჯიბიდან ამოგივარდა. იქ დაბინადრებიდან ცოტა ხნის შემდეგ ორივეს თმა აგვებურძგნა, საპონი და შამპუნი კი გამორიცხული იყო. საპნის ნაცელად ჯუჯა არყის ხეს, ლიქენს და ხავსს ვიყენებდით. ვიპოვე ჩვენი ხელით დამზადებული ორიოდე საანკესე კაუჭიც. თითქმის სინდისმა გამკენწლა გამოქვაბულის გარეთ მიმოფანტული თევზის ძვლების დანახვაზე, თუმცა, დარწმუნებული ვარ, სახელგანთქმული კრო-მაგნონის გამოქვაბულის მკვიდრებიც ასე იქცეოდნენ. მე მგონი, ასეც ვუთხარით ერთმანეთს. „ჩვენ გარკვეული დაუდევრობის უფლება გვაქვს.“ მთავარი ის იყო, შეძლებისამებრ პირველყოფილად გვეცხოვრა. ჩვენ ადამიანები ვიყავით, ოღონდ – ახალთახლები, სულ ახლახან გადმოგველახა ცხოველებისგან გამყოფი მღვარი, რის გამოც ვერ ვიქნებოდით მეტისმეტად დახვეწილები, არამედ რამდენადმე ტლანქები და ყველაფერზე წამსველელები.

მერე კი, უცებ (ეს ნამდვილად მოულოდნელად მოხდა), თითქოსდა საკუთარი თავი ხელიდან გამისხლტა და ირგვლივეთში გაღლვა. ის, რომ ეს მოხდა იქ და იმ მომენტში, შემთხვევით ამბად აღიქმებოდა, რადგან არაფერი მიღონია ამის გამოსაწვევად. უბრალოდ, ერთიანად წამლეკა იმ განცდამ, რომ ყველაფერი, რაც მანამდე „მედ“ ან „ჩემად“ აღიქმებოდა, ახლა აღარაფრად ღირდა, ანუ მხოლოდ და მხოლოდ ილუზია ყოფილა.

დავნებდი ჩემს თავს და არც რამის დაკარგვის განცდა გამჩენია, მხოლოდ გათავისუფლების და გამდიდრების, რადგან, იმავდროულად, დამეუფლა იდეა, რომ წარმოვადგენდი რაღაც გაცილებით მეტს, ვიდრე ერთ საბრალო ეგოს, ასე ამაოდ რომ მენაღვლებოდა უწინ. მე მარტო მე კი აღარ ვიყავი, არამედ – სრულიად უბრალოდ – მთელი პლატო, მთელი

ქვეყანა, საერთოდ – ყოველივე არსებული, დაწყებული პაწაწკინტელა მცენარეული ტილიდან – გალაქტიკებით დამთავრებული. ყველაფერი „მე“ იყო, და მე *ვიყავი* ეს ყველაფერი.

ეს იყო ცნობიერების აუწერელი მდგომარეობა. ერთდროულად ვგრძნობდი და ვიცოდი, რომ მე *ვიყავი* ის ლოდიც, რომელზეც ვიჯექი, ისიც, რომელიც ჩემ ზემოთ იდო, ისიც, ისიც, და ის ბალახიც, და ის ეოდიანიკაც, ის ჯუჯა არყის ხეც. მერე მომესმა ოქროს წინტალას მელანქოლიური ძახილი, – ესეც მე ვიყავი. ვინც იძახდა და ვინც აყურადებდა, ორივე ჩემში ერთიანდებოდა.

გამეღიმა. გრძნობადი აღქმების, ნებისა და სურვილის მღელვარე ზედაპირის ქვეშ იმთავითვე მქონია უფრო ღრმა ზეობა, რაღაც მშვიდი, უდრტვინველი და ყოველივე არსებულთან დაკავშირებული. და ახლა, როდესაც ეს გამიცხადდა, ჩემი მღელვარე ზედაპირიც დამშვიდდა. მე აღმოვჩნდი მსხვერპლი მსოფლიოში უდიდესი სიცრუის, რომლის მიხედვითაც „მე“ ყოველივე დანარჩენისგან სრულებით მოწყვეტილი რამ არის. მაგრამ, რასაკვირველია, არაფერ ტრანსცენდენტულს მე არ განვიცდიდი. პირიქით: ეს რადიკალურად ამქვეყნიური რამ იყო.

დროის გარეშე ყოფნის ძლიერი შეგრძნება მქონდა. ვერ ვიტყვი, თავი დროისგან მოწყვეტილად ვიგრძენი-მეთქი. მოწყვეტილი კი არა, პირიქით, თითქოს ჩაწნული-ჩაქსოვილი ვიყავი დროში, – არა უბრალოდ ჩართული აწმყოს მიმქროლავ წამში, არამედ მთელ დროში, როგორც ასეთში. მხოლოდ ჩემი საკუთარი ცხოვრებით კი არ ვცხოვრობდი, მხოლოდ იქ და იმ მომენტში კი არ ვიმყოფებოდი, არამედ მანამდეც, ახლაც და შემდეგაც. ყველა მიმართულებით ვიზრდებოდი და სულ ასე ვიქნებოდი, რადგან ყველაფერი ერთი იყო, ერთი და ყველაფერი კი – მე.

შემდეგ ეს განცდა თანდათან უკუიქცა. ჩემ მიერ აღწერილი გამოცდილება წარმავალი აღმოჩნდა. ბედნიერად მოეკარი თვალი მარადისობას, – ყველაფერს, რაც იყო ჩემამდე და რაც იქნებოდა ჩემ შემდეგ. – მიუხედავად იმისა, რომ ეს მდგომარეობა სულ რამდენიმე წამს გაგრძელდა. თუმცა ამ ჩემი სხეულისგარე გამოცდილებამ სრულებით ახალი ხედვა გამიხსნა, – განზომილება, რომელიც მთელი ცხოვრება გამყვებოდა.

ეს, რაც შეეხება საკუთრივ ცნობიერების გამოცდილებას თუ მდგომარეობას. მართალია, ის, რაც ახლა გავიხსენე, საკმაოდ ეჭვმიუტანელი სინამდვილეა, მჯერა, რომ საგანთა ამგვარ აღქმამდე მისვლა, გარკვეულწილად, შესაძლებელია წმინდად აზრისმიერი გზითაც.

ხშირად ვამბობთ, ჩვენ ამ ქვეყანას ვეკუთვნით, ამ სამყაროში ვართ ან ამ პლანეტაზე ვცხოვრობთო. კეთილი. მაგრამ მაცდუნებელი თამამი

ხომ არ იქნებოდა (ან სულაც განმათავისუფლებელი სავარჯიშო), უარი გვეთქვა ამ ამაფორიაქებელ თვალსაზრისებზე? მე *ვარ* ქვეყნიერება, მე *ვარ* სამყარო.

იქ, პლატონზე, მე ცნობიერების თითქმის გამოუთქმელ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. მაგრამ ის, რაც განვიცადე, *სინამდვილე* იყო. ჰო, ეს წყალშეუვალი სინამდვილეა: მე ვარ ქვეყნიერება.

აბა, რას ფიქრობ? ხედავ თუ არა ამ სტრიქონებში იმედის ნაპერწკალს მერიგებისთვის? შეგიძლია თუ არა შეეხაროდე იმ ამრს, რომ ჰარდანგერვიდას პლატონზე ასი, ათასი ან მილიონი წლის განმავლობაში ირბენენ კურდღლები, მწყრები და ჩრდილოეთის ირმები? და შეგიძლია თუ არა, იმავდროულად, იგრძნო, რომ რაღაცნაირად შენ თვითონ *ხარ* მთელი ის სიუხვე, რაც შენ შემდეგ იქნება? ასეთი ცნობიერებაც თუ მოგანიჭებდა სულის მცირეოდენ სიმშვიდეს? და იქნებ არანაკლებს, ვიდრე არამიწიერი იდეა შენივე პატარა მე-სი, რომელმაც უკან უნდა ჩამოიტოვოს თავისი მიწიერი არსებობა, რათა უსასულოდ განაგრძოს ცხოვრება სულის სამოთხეში?

წარმოიდგინე დილემა: შენ წინ, მაგიდაზე, ორი ღილაკია, რომლებსაც შეგიძლია თითი დააჭირო. ერთზე დაჭერის შემთხვევაში მეყსეულად მოკვდები და ამ სიკვდილს არავითარი ინდივიდუალური სიცოცხლე აღარ მოჰყვება, თუმცა, იმავდროულად, უზრუნველყოფ იმას, რომ კაცობრიობაც და ამ პლანეტაზე არსებული ყველა სხვა სიცოცხლეც სამარადისოდ განაგრძობს არსებობას. პატარა გოგონების აურაცხელი თაობები ისევე ირბენენ ზღვის კლდოვან სანაპიროებზე, როგორც შენ დარბოდი ოდესღაც, იცი, ასეთებს გონებისთვალით ვხედავ. ვერძნობ ადამიანთა მასებს აქვე, სულ ერთი ხელისგაწვდენაზე.

მაგრამ იმავე მაგიდაზე არის მეორე ღილაკიც, რომლის დაჭერის შემთხვევაში კაეივით იცოცხლებ ას წელიწადზე მეტ ხანს, თუმცა — და ამაშია მთელი დილემა — მთელი კაცობრიობაცა და დედამიწის საყოველთაო სიცოცხლეც შენთან ერთად განადგურდება.

რომელ ღილაკს აირჩევდი?

მჯერა, რომ პირადად მე უყოყმანოდ ვამჯობინებდი პირველს. არანაირ ღვთისმოსაობას ან ალტრუიზმს არ ვიჩემებ. მაგრამ მე მხოლოდ მე არ ვარ და მხოლოდ ჩემი განკერძოებული ცხოვრებით არ ვცხოვრობ. უფრო სიღრმისეული ხედვით, მე კაცობრიობაც ვარ და, იმედია, ის ჩემი წასვლის შემდეგაც გაიხარებს. არსებითად, ეგოისტური სურვილი მაქვს, რომ ასე იყოს, რადგან დიდი ნაწილი იმისა, რასაც მე ვფიქრობ, რაღაც ჩემ გარეთ მყოფშია ფესვგადმული. ამ მომენტთან დაკავშირებით ჩვენ

გარკვეულ თანხმობას მივაღწიეთ. მე მხოლოდ ეს სხეული არ ეარ. ყველაფერი მასთან ერთად არ მგზავრობს და არ ცვივა.

ღღესდღეობით ჩვენ გამუდმებით ვიტყუებთ თავს იმის დაჯერებით, რომ ჩვენი ეგო სამყაროს ცენტრია. მაგრამ განა ასე ცხოვრება ქანცგამომცლელი არ არის? ვგულისხმობ ცხოვრებას იმ აზრით, რომ სამყაროს ცენტრს სულ რამდენიმე წელი თუ ათწლეულიღა დარჩენია სასიცოცხლოდ.

იქ, პლაგომე, მე სულის თავდახსნა განვიცადე, თითქოს ეგოცენტრულობის მონობისგან გავთავისუფლდი, შემბოჭავი არგახები – ეგოს თუ საკუთარი თავის ღვედები – მომეხსნა.

მაგრამ კიდევ რჩება სათქმელი.

მიუხედავად იმისა, რომ მანქანასთან დაბრუნებისას უკვე ნაშუადღევის ოთხი საათი იყო, ვიგრძენი: მაშინვე ოსლოში კი არ უნდა გავქანებულიყავი, არამედ ცოტა კიდევ განმეგრძო გზა დასავლეთისკენ. მალე გადავკვეთე პარდანგერვიდა, ჩავედი მობოდალშიც, ბორანზეც ავედი და ფიორდიც გადავცურე კინსარვიკიდან, გზა განვაგრძე ნორდპაიმსუნდამდე, იქიდან კი, კვამსკოგენის გავლით, არნამდე. იქ უკან წამოსვლა გადავწყვიტე, რადგან შებინდდა, მე კი 400 კილომეტრი უნდა გამომეველო კრინგსომდე.

არადა, ვერ დავბრუნდებოდი, რაკი ასე ახლოს ვიყავი შენთან. პოდა, ბერგენში მევედი, წითელი ფოლკსვაგენი ნორდნესში გავაჩერე და ქუჩებში გავისეირნე. აი, აბსურდი თუ გინდა! და ამას ჯერ კიდევ მაშინ მივხვდი, პარდანგერფიორდზე რომ გადმოვდიოდი: ფოსტით გამოგზავნის ნაცვლად, მე ხომ თვითონვე შემეძლო ჩამომეტანა შენი ნივთები. რა ბრიყვულად გამომივიდა! მანქანამი რომ მქონოდა ის ყველაფერი, მშვენიერი საბაბი მექნებოდა შენს სანახავად.

თუმცა ეჭვი არ მეპარებოდა, რომ – ამხელა მანძილის გამომვლელი – მალე ქუჩამი შეგხვდებოდი. ერთ ქუჩაზე შეეუხვივ და, რაკი იქ არ იყავი, მამინ უეჭველად მომდევნო ქუჩაზე დამხვდებოდი. საბოლოოდ, სკანსენამდე ავედი და ერთხანს იქ ვიარე აღმა-დაღმა. უწინ ორიოდეჯერ ვიყავი ნამყოფი შენი მშობლების სახლში სონდრე ბლეკეევაინზე, მაგრამ ახლა პირდაპირ სახლთან ხომ არ ავეყუდებოდი! მეტისმეტად მელოდრამატულად გამოვიდოდა. ზარსაც კი ვერ დავრეკავდი კარზე: ეაითუ, ჩემდა უნებურად შენი მშობლები ჩამერია ამ ყველაფერში.

ალბათ, მალე გაისეირნებს თავისი საღამოს გასეირნებით-მეთქი, ეფიქრობდი ჩემთვის. შენ ხომ პაერიდან გრძნობდი, სად ვიყავი და სად ამოვყოფდი თავს უეცრად. მეექვსე გრძნობით გამოდიოდი ხოლმე ჩემს მესა-

ხვედრად. მაგრამ არა, შენ *არ გქონია მეექვსე გრძნობა*, სოლრუნ, ყოველ შემთხვევაში — იმ საღამოს. ისიც საკითხავი იყო, საერთოდ შინ იყავი თუ არა, რადგან, შენი ამბავი რომ ვიცი, შეიძლებოდა იმ დროს სულაც რომში ან პარიზშიც ყოფილიყავი წასული. წვიმამ დაუშვა. სასტუმროს ფული არ მქონდა და, ამიტომაც, ნორდნესისკენ მოვბრუნდი ისევ იმ გრძნობით, რომ, სანამ მანქანამდე მივიდოდი, სადმე შეგეჩეხებოდი. ეს იმით დამთავრდა, რომ მარტოკა, სველი და აბურძგვნილი წითელ ფოლკსვაგენში მევძვერი. ახლა გასაღები უნდა ჩამერჭო სტარტერში და ძრავა ამემუშავებინა. მაგრამ ჯერ ბრძოლა წაგებული არ იყო, რადგან ქალაქიდან გასელის შემდეგაც გითვალთვალებდი გზაზე: იქნებ შეგობარს ესტუმრა და ახლა შინ ბრუნდება-მეთქი. თვით ნორდპაიმსუნდშიც კი მოვკარი თვალი ფიგურას, მორეულად რომ წაგაგავდა... ბოლოს და ბოლოს, ფიორდი გადმოვჭერი და მომდევნო დილასღა დავბრუნდი შინ, კრინგსომში. ოთახში ჩავიკეტე და აეტირდი. მერე დაველიე და დაეიძინე.

ჩვენი დამორება განხორციელდა ქირურგიული სკალპელით, უანესთეზიოდ.

ჰო, სტეინ...

იმ წერილის მოწერის შემდეგ ჩემში ციმციმებდა პატარა, მაგრამ მხურვალე სურვილი, რომ ჩემი ნივთების გამოგზავნის სანაცვლოდ, ყველაფერს მანქანაში ჩაანყობდი და მთებს გადმოივლიდი. ეს ჩვენი *უკანასკნელი* შანსი იყო. ბუნებრივია, იმ დღეებში ბევრს ვფიქრობდი შენზე და ერთ საღამოსაც აზრად მომივიდა, რომ ჯავრიანი დაიარებოდი ბერგენის ქუჩებში. თვალწინ დამიდგა, როგორ ჩაანყვე ჩემი ნივთები წითელ ფოლკსვაგენში, თუმცა გამბედაობა არ გეყო, მოსულიყავი და პირადად გადმოგეცა. ჰოდა, მეც ავდექი და ქუჩაში გამოვედი. წვიმა დაწყებულიყო და შინ შევბრუნდი ქოლგისთვის, თუმცა ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ სასწრაფოდ უნდა მეპოვნე. თევზის ბაზრისკენ დავეშვი, ტორგალმენინგენისკენ ავუხვიე, მერე ენგენისკენ წავედი, მერე ნოსტეტიც მოვინახულე და ნორდნესიც... მაგრამ შენ არსად ჩანდი. ამის შემდეგ, ისე დარწმუნებული ვეღარ ვიყავი, რომ საერთოდ ჩამოხვედი ბერგენში, თუმცა იმას მაინც ზედმიწევნით ვგრძნობდი, რომ იმ საღამოს ინტენსიურად ფიქრობდი ჩემზე.

ვიცოდი, რომ ჯერ კიდევ გვიყვარდა ერთმანეთი.

მერე კი, მერე წლებს წლები მიჰყვნენ. მე მგონი, ისე, თავაზიანობისთვის, მოგწერე რამდენიმე სტრიქონი იმის სათქმელად, ნილს პეტტერთან ერთად დავსახლდი-მეთქი. ცოტა ხნის შემდეგ კი ოსლოდან ხმები

მომწვდა შენი და ბერიტის შესახებ. უცნაურია, მაგრამ არ მეამა ამის გაგონება. ვეჭვიანობდი...

ყველაზე მეტად ის მეუცნაურა, ჩვენი გამოქვაბული რომ მოგინახულებია. ნამდვილად არ მიხმარია არავითარი თმის სამაგრი იქ ყოფნის დღეებში. ჩემი ანორაკის რომელიმე ჯიბიდან გადმოვარდებოდა. რაც შეეხება ხუთკრონიან მონეტას, ადვილი შესაძლებელია შენი ყოფილიყო.

შენ ის მითხარი, სიგარეტის ნამწვებს ხომ არსად წანყდომიხარ? გახსოვს ეს თუ არ გახსოვს? რასაკვირველია, ქვის ხანაში *სიგარეტი* არ იგულისხებოდა. ამიტომ იმ პერიოდში არც უნდა მოგვენია ან, სულ ცოტა, ცდუნებას მაინც შევბრძოლებოდით. მაგრამ ერთხელ, თევზაობიდან დაბრუნებულს, აშკარად აგდიოდა სიგარეტის სუნი. აბა, ისე ხომ არ მოხვიდოდი, ჩემთვის რომ არ გეკოცნა! მაშინვე აღიარე რაც მოხდა. თავს საშინლად დამნაშავედ გრძნობდი. როგორი ნირწამხდარი იყავი, სტეინ! სიგარეტის კოლოფი, რომელიც მე გადმომეცი, იმ საღამოსვე ჩაიფერფლა ჩვენი ბანაკის კოცონში.

შენ ის მითხარი, რას ფიქრობ იმ ეანცდაზე, პლაგოზე რომ მეწვია?

ჰო, მე მგონი, მესმის რასაც მიამბობ და, შესაძლოა, ეგ გამოცდილება არც ისე შეუთავსებელი იყოს ჩემს რწმენასთან. მატერიალური აზრით, ყველაფერი აშკარად ერთია და მტკიცედ უკავშირდება შენს *დიდ აფეთქებას*. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, განა ჩვენ განუმეორებელი ინდივიდები არ ვართ, ერთადერთნი და უნიკალურნი? უწინ სწორედ ამას ვამბობდით ხოლმე. დღეს კი დავამატებ, რომ ჩვენ *სულიერი არსებები* ვართ.

რა თქმა უნდა, ფრიად სალაღობო გასააზრებელია, რომ ატომებად და მოლეკულებად დაშლილი ჩემი სხეული მოგვიანებით კურდღლის ან მთის მელიის სხეულის შემადგენლობაში შევა. მაგრამ ეს ჩემთვის, მართლაცდა, მხოლოდ თავშესაქცევია და მეტი არაფერი. რადგან, ასეთ შემთხვევაში, მე მკვდარი უნდა ვიყო, სტეინ! ნუთუ არ გესმის? სწორედ ეს ფიქრი ვერ ამეტანა გარდასულ დღეებში, ანუ ის, რომ მხოლოდ ცოტა ხნით უნდა ყოფილიყავი ის, ვინც ვარ. მე კიდევ მსურდა, რომ ეს გაგრძელებულიყო! დღეს კი, დღეს მე უფრო სასწაულებრივი იმედი მაქვს, ვიდრე შენ, უფრო სასწაულებრივი რწმენა.

სულაც არ ვაპირებ დავამცრო იმ საოცარი გამოცდილების მნიშვნელობა, ჩემი წასვლის მეორე ნელს რომ მიგიღია ჰარდანგერვიდას პლატოზე. მაგრამ ვეჭვობ, რამდენად რეალურად ხარ შეგუებული მაგ პან-

თეისტურ პერსპექტივას. და ბოლომდე არც შენი კეთილსინდისიერებისა მწამს ორი ღილაკიდან ერთ-ერთის ამორჩევის საკითხში. სხვათა შორის, შენს სიზმარში ზუსტად საპირისპირო ჩაიდინე. კაცობრიობის მთელი მომავალი განირე იმისთვის, რომ რამდენიმე საბრალო წამს კიდევ გეცოცხლა. ყველაფრის მწვერვალი კი ის იყო, ორ კომპანიონს რომ მოუსწრაფე სიცოცხლე მათი ჟანგბადის მისათვისებლად, რათა მჯდარიყავი იმ შენს კოსმოსურ ხომალდში და ცოტა ხანს კიდევ გეცქირა საკუთარი ცნობიერებისთვის.

ეგ ხომ სიზმარი იყო! რა, არასოდეს ჩაგიდენია სიზმარში ისეთი რამ, რასაც არასოდეს იზამდი სინამდვილეში?

ჰო, რა თქმა უნდა, და ისიც ვიცი, რომ ტაქტიანი ხარ და დელიკატური. გულისამაჩუყებელი სანახავი იყო, როგორ სათუთად შეგეფუთა ჩემი ნივთები, ფოსტით რომ გამომიგზავნე. ამაში სრული გულუხვობა გამოამჟღავნე და არა სულმდაბლობა. თავს იმით ვინუგეშებდი, სხვა რომ არაფერი, ფოლკსვაგენი მაინც დაიტოვა-მეთქი. მანქანის საკითხი არც არასოდეს დამდგარა: მე ხომ მართვის უფლება არ მქონდა. პარპრიზის შეკეთების ხარჯიც შენ გაიღე და ახალი ფარებიც შენ შეიძინე.

რაც შეეხება ძველ მინის ზარს, ამწუთას ჩემ პირდაპირ დევს ფანჯრის რაფაზე.

დიახ! და არც სმოლანდს ვივიწყებ, იცოდე. იქ, იმ პატარა ლერწმიან ტბაზე, ორი გედი უჩუმრად მისრიალებდა გვერდიგვერდ. შენ დამანახე და თქვი, ეს მე და შენ ვართ, ეგ ჩვენი სულებია, მოსარკულ წყალზე რომ ეხედავთო. გახსოვს? მე კი ხელი მოგხვიე და სხვა აზრი გამოვთქვი, არანაკლებ მძაფრი და მგზნებარე: ეგ გედები მსოფლიოს სულია, თვითონ ეს არ იციან, მაგრამ მაგ ტბაზე სწორედ მსოფლიოს სული დაცურაეს-მეთქი.

ბუნებასთან მიმართებაში იმთავითვე რომანტიკოსი ვიყავი. ასევე შენც. თუმცა შენ ბუნება გამინებდა კიდეც.

ბერიტს სძინავს. კიდევ აპირებ წერას ამაღამ?

მახსოვს ის გედები. ისიც მახსოვს, რომ ვერ შევთანხმდით იმაში, რას შეიძლება განასახიერებდნენ ისინი. ამაღამ დიახაც წერას და გზავნას ვაპირებ, შენ კი ნუ გაუძალიანდები ძილის მოწოლას. დაწექი, სტეინ, წაკითხვით ხვალ წაიკითხავ.

არასდიდებით. მეგვიძლია ერთად ეიცუროო ღამის ტალღებში.

რაო?! იმედია, არ ზიხარ მანდ და სასმელს არ ყლურნავ!

ღაწყნარდი. ხომ არაფერი მიუხეშია? ჰოდა, განაგრძე წერა. მე არ დამეძინება.

შევეცდები მოკლედ გადმოვცე ყველაფერი. აქედან ბევრი რამ შენ უკვე იცი.

ეს მოხდა დიდი ხნის წინ, როცა ათი თუ თერთმეტი წლის ვიყავი და ზაფხულის არდადეგებს იტრე სულაზე ვატარებდი. ერთხელ ბებიას სახლის სასტუმრო ოთახის ფანჯარას მერცხალი დაეჯახა. მისი აზრით, ცოტა ხანს უნდა მოგვეცადა, სანამ რამეს ვიზამდით: ასეთი შენარცხება ზოგჯერ ჩიტს მხოლოდ არეტიანებს, თხუთმეტ წუთში ან ნახევარ საათში კი ისევ გონს მოდის და მიფრინავსო. ბებიამ ისიც თქვა: ზოგიერთი ჩიტი ახალ სიცოცხლეს იწყებს სიკვდილის შემდეგ, რადგან ხომ ვნახეთ, რომ მკვდარი იყო, მერე კი ისევ გაფრინდაო...

დღეც გავიდა და ღამეც, მაგრამ მერცხალს არ გაულვიძია, მეორე დილასაც იქვე ეგდო ნამუსრევივით, რომელიც მე უნდა დამემარხა. ჰო, ეს მე თვითონ უნდა მექნა, რადგან მშობლები ბერგენში მყავდა, ბებიამ კი, რომლის დახმარების იმედიც მქონდა, თქვა: მკვდარი ჩიტების დამარხვა ბავშვების საქმეაო. ამ გამოცდილებაზე მე და შენ რამდენჯერმე ვისაუბრეთ იმ ჩემი აფეთქებების დროს.

ჰოდა, ათი-თერთმეტი წლის ასაკიდან მოყოლებული, იმის გამძაფრებული განცდით ვიზრდებოდი, რომ მეც სხვა არაფერი ვარ, ერთი დასვრილ-დამტვერილი ფრინველის მეტი; რომ მე *ბუნება* ვარ. უკვე ბავშვი აღარ ვიყავი. უმანკოების უზრუნველი ასაკი წარსულს ჩაბარდა.

ჰო, სტეინ, ნამდვილად შესანიშნავია იმის გაფიქრება, რომ ბავშვები იბადებიან და დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ წუთიდან წუთამდე ცხოვრობენ, არც სიკვდილის შიში იციან, არც სევდა, არც მღელვარება. რაც შემეხება მე, ჩემი ცხოვრების ერთი ნაწილი მაშინ დასრულდა, როცა ათის თუ თერთმეტისა ვიყავი. მას შემდეგ ცხოვრებამ სრულიად ახალი მიმართულება მიიღო. გაცილებით ადრე ჩემს სქესობრივ მომწიფებამდე, უკვე თავზარდაცემული და, გარკვეული აზრით, რამდენადმე მოწყვეტილი ვიყავი ქვეყნიერებას, ყოველ შემთხვევაში, სადღაც მისგან მოშორებით ვმოგზაურობდი.

შემდეგ ჩამოვედი ოსლოში და შენ შეგხვდი. მანამდე, შუალედურ დროში ბავშვობასა და ამ შეხვედრას შორის, ბევრი არაფერი მომხდარა იმ პერიოდს ვიხსენებ, როგორც ფორტეპიანოს გაკვეთილების, ჩოგბურთზე სიარულისა და საშინაო დავალებების უსასრულო მონაცვლეობას, ბოლო ხანებში კი — ცოტაოდენ ფლირტაობას და ალკოჰოლის ყლურწვას. შენ თვით ჩემს ტკივილში შემეზიარე, რადგან შენც რაღაც ჭრილობა გქონდა შიგნით ან, ეგებ, ეს ერთგვარი ფიქრიანობაც იყო. ჩემი არ იყოს, შენც გესმოდა, რომ ჩვენნაირებისთვის არავითარი იმედი არ არსებობს, უშუალოდ გარემომცველი ქვეყნიერების გარდა. როგორი გაშიშვლებულები ვიყავით! როგორ დაუცველად მივნებდით ერთმანეთს და ყველა იმ ბუნებრივ და აღტყინებისმომგვრელ საგნებს, რომლებშიც გადაჭარბებულ სტიმულს ვპოულობდით! თუმცა ეს ყველაფერი გარკვეული ხნით მაინც აყოვნებდა იმაზე ფიქრს, საითკენ მივაბიჯებდით საბოლოოდ.

ბებიასთან გატარებული იმ ზაფხულის შემდეგ ცხოვრების დუალისტური ხედვა ჩამომიყალიბდა. ვიგრძენი, რომ, უწინარეს ყოვლისა, ჩვენ სულები ვართ და რომ გამუდმებით თავწამოყოფილი სხეულებრივი სურვილები — თუნდაც ადვილად დაკმაყოფილებულნი — რაღაც სრულებით განსხვავებული რამ იყო, ნიშნეული ჩვენ-ჩვენი სქესისთვის, და სიხარულსაც გვანიჭებდა მხურვალე მომენტებში, თუმცა, სილრმისეული აზრით, მაინც ისე ვუყურებდით, როგორც რამ ცვალებადსა და ზედაპირულს. შენც ხომ ასე ფიქრობდი?

ულრმეს ოკეანეზე კიდევ უფრო ღრმა აღმაფრენას განვიცდიდი, როცა ხანგამოშვებით უკნიდან მიახლოვდებოდი, ხელისგულს შუბლზე მადებდი, კისერზე შენს სუნთქვას მაგრძნობინებდი, რბილად ამიწევდი თმას და ყურში ჩამჩურჩულებდი: „გამარჯობა, სულო!“ ეს ის შემთხვევები იყო, — არცთუ ძალიან იშვიათი, — როდესაც რაღაც სხვა გწადდა, რაღაც სექსისაგან განსხვავებული. იცი, ასეთ დროს შენ ჩემს ნამდვილ სულს მიმართავდი, სრულებით სხვა საცავის კარს აღებდი, სულის კარს, და ისმენდი კიდეც ჩემი სულის პასუხს. ჩვეულებრივ, ვამბობდი ერთადერთ სიტყვას: *შენ*... ეს საკმარისი იყო.

სხვა რა შეიძლება ვუთხრათ ერთმანეთს სულიდან სულში?

ვერასოდეს მოგიახლოვდებოდი ამაზე უფრო მეტად.

წინათგრძნობებიც მქონია შენთან დაკავშირებით, სტეინ. ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია შეგახსენო ეს მოცემულ მომენტში. ხშირად ნახევარი საათით ადრე ვიგებდი შენს სვლას შინისკენ, ვიდრე ფიზიკურად შემოდიოდი სახლში. პირველ რამდენიმე ჯერზე ნაბიჯების ხმა მო-

მესმა და იმდენად დარწმუნებული ვიყავი, რომ მოხვედი, სადარბაზო კართანაც კი მოვირბინე შენს შესაგებებლად, ერთი-ორჯერ კი — პირდაპირ საძინებელში შესათრევად. ზოგჯერ ყველაფერი წინდანინ მქონდა დაგეგმილი. მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ ეს მხოლოდ *წინათგრძნობა* იყო, რომ შენ ჯერ კიდევ გზაში იყავი. ამგვარად, ამ წინათგრძნობებს თავისი გამოყენება მოეძებნა: საკმარისი დრო მქონდა, რომ სუფრის გამეწყო და რამე გემრიელი მომემზადებინა, ან კიდევ, თავი მომენესრიგებინა, სანამ შენს შეცდენას დავაპირებდი. ყოველთვის ვახერხებდი ამას, თუკი სერიოზულად შევეცდებოდი. ეჭვი არ მეპარება, არ დაგვიწყებია სანთლებით განათებული ბინა და გამთბარი საძინებელი ზამთრის ზოგიერთ საღამოს. იცოდი, რა გელოდებოდა: ამას სიყვარულის საუნას უწოდებდი და მოლოდინის სიცილით იცინოდი. მაგრამ ამაზე ახლაღა ვწერ, სტეინ, რათა შეგახსენო ჩემი მგრძნობიარობა იმის მიმართ, რასაც შენ ამჟამად *ოკულტურს* უწოდებ. ჩემთვის ეს ცოცხალი სინამდვილე იყო, სულ ცოტა — მას შემდეგ, რაც ერთმანეთს ვიცნობთ.

ჯერ ყველაფერი არ მითქვამს. ორივეს გაგვეღვიძა 1976 წლის მაისის ერთ დილას, იუსტედალსბრეენის მყინვარზე განხორციელებულ ჩვენს ექსკურსიამდე არცთუ დიდი ხნით ადრე. რაღაც მესიზმრა და მოჯადოებული მოგიბრუნდი. ისე თვალმოუშორებლად მოგაჩერდი, რომ მაშინვე შიშმა აგიტანა: მორიგი აფეთქება ხომ არ გველისო?

— რა ხდება? — მკითხე შენ.

— დამესიზმრა, რომ ბიორნებო გარდაიცვალა.

— უაზრობაა, — მითხარი შენ. ყოველთვის უაზრობად მიიჩნევდი მსგავს წინათგრძნობებს.

— არა, მე ვიცი, რომ იენს ბიორნებო მოკვდა, — გავიმეორე ჯიუტად, — ეეღარ გაუძლო, სტეინ.

მერე ავტირდი. ახლახან დავამთავრეთ „სიზმარი და ბორბალი", რომელიც ეძღვნებოდა მწერალ რანჰილდ იოლსენს. ბიორნებოს თითქმის ყველა რომანი წაკითხული გვქონდა. გაბრაზებული ადექი, სამზარეულოში გახვედი და რადიო ჩართე. თითქმის მაშინვე დაიწყო ახალი ამბების გადმოცემა. მათ შორის უმთავრესი იენს ბიორნებოს გარდაცვალება იყო. შეშფოთებული დაბრუნდი და ახლოს მომიწექი გვერდით.

— რას შვრები, სოლრუნ? შეწყვიტე ეგ! მაშინებ.

ჰო, მქონდა „ნათელმხილველური" მიგნებები, — მაშინ უფრო ხშირად, ვიდრე ახლა. მაგრამ რამდენადაც შენი სული თუ „შიკრიკი" მუდამ ნახევარი საათით გასწრებდა მოსვლას და რამდენადაც დროდადრო მესიზმრებოდა პროფეტული სიზმრები, რომლის ახდენა-დადასტურებას

მეორე დილასვე ვესნრებოდით, მე ნელ-ნელა დავუშვი აზრი, რომ ჩვენ, ადამიანები, ნამდვილად ვფლობთ თავისუფალ სულს, ანუ დამოუკიდებელს იმ სხეულისგან, რომელშიც მოცემულ მომენტშია შესახლებული.

თავისთავად, ეს მაინც არ კმაროდა იმისთვის, რომ შევრიგებოდი ჩემს — რეალობაში სტუმრად მოსული არსების — სვე-ბედს. მე ვქვითინებდი, შენ კი ასე ყოჩაღად ითმენდი ამას. სექტემბრის ერთ დღეს შეტევა დამემართა. თუ გახსოვს: სოფუს ბუგგე აუდიტორიუმთან უნდა შეგხვედროდი ედვარდ ბეიერის ლექციის შემდეგ? იქ შენ შეძლებისდაგვარად მანუგეშე. მხოლოდ ეს მითხარი: „ამ საღამოს შენ თეატრალური კაფეს მზეთუნახავი იქნები".

თეატრალური კაფე ჩვენთვის ძვირი სიამოვნება იყო, მაგრამ სტუდენტური სესხები ახალი აღებული გვქონდა და ჩვენც საღამო მოვინყვეთ. მე *ორი* ჩაროზი მივირთვი! შენ კი ძალიან საყვარელი იყავი. თუმცა თანდათან სკეპტიკოსი გახდი. ეგრძნობდი, როგორ გაციედი. ცუდად არასოდეს მომპყრობიხარ, მაგრამ შენ თვითონ ცინიკოსად იქეცი (შემეცნებითი აზრით). შენმა შინაგანმა სიმწარემ ეს გზა აირჩია, ჩემი კი სხვა გზით წავიდა, იმედის გზით.

ტელეპატია, ექსტრასენსორული აღქმა თუ ნათელმხილველობა ჭეშმარიტად არსებული მოვლენები იყო ჩემთვის მას შემდეგ, რაც შენი წინათგრძნობა გამიჩნდა. გავიგონე, რომ მოდიოდი. არადა, არ ჩანდი. მერე კი მოხვედი!

როცა საქმე იმ ნიგნზე მიდგა, საძირკველი უკვე ჩაყრილი იყო. ამდენად, მთლად მოუმზადებელი არ აღმოვჩნდი, როცა — სულ რამდენიმე საათის შემდეგ — უორტლბერიელ ქალს გადავეყარეთ. მე მოგზაურობას ვამთავრებდი. სადღაც ხომ უნდა ეარსება პასუხს, გამოსავალს...

რა არის ადამიანი, სტეინ? რამდენად ხშირად გახსენდება, რომ შენი ბარძაყის ან მკლავის მგრძნობიარე კანის თხელი ქსოვილის ქვეშ *სისხლი* და *ხორცია*? ოდესმე თუ გიცდია წარმოგედგინა, როგორი შესახედავია შენი შიგნეული და ნაწლავები — შიგნიდან და არა გარედან? მაგრამ ნუთუ ის, რასაც იქ დაინახავ, *შენ* ხარ? სად მოათავსებდი შენს ცენტრს, ანუ იმ ყველაფერს, რასაც ამბობს, ფიქრობს და ოცნებობს შენი *მე*? შენს ნაღვლის ბუშტში თუ ელენთაში? გულში თუ ნერვებში? იქნებ თორმეტგოჯა ნაწლავში? ან, ეგებ, ეს არსება *სულში* უნდა ვეძებოთ, იმაში, რაც *არის*, რადგან სხვა დანარჩენი არაფერია, თუ არა საათის წიკწიკი და ქვიშის მარცვლების ცვენა მინის კოლბაში. მეტისმეტად ბევრი ხარახურა და ნვრილმანია, მე თუ მკითხავ!

ახლა კი დავუბრუნდები ჩვენს ბოლოსწინა საღამოს ძველ სასტუმროში. მომდევნო დილას სასტუმროს მეპატრონის ქალიშვილმა გვთხოვა, ნახევარი საათით სამ პატარა გოგონას მიმიხედეთ, სანამ ბანკიდან დავბრუნდებიო. იმ საღამოს ვაშლის ბრენდი ვყლურწეთ და უკვე ნომერში ასვლას ვაპირებდით. თუმცა მანამდე საბილიარდო ოთახისკენ გადავუხვიეთ და ერთი პარტია ვითამაშეთ. უცნაური წარმოსადგენია, რომ ზუსტად იგივე სამი სპილოსძვლის ბურთი იმავე მწვანე მაუდგადაკრულ მაგიდაზე დაგორავს ახლაც. ნეტავ რამდენჯერ მიეჯახნენ ერთმანეთს ამ ხნის განმავლობაში?

საბილიარდო, იმავდროულად, სასტუმროს ბიბლიოთეკაც იყო და ბარიც. მას შემდეგ, რაც მე ათი ბურთულა ჩავაგდე, შენ კი — მხოლოდ რვა, წიგნის თაროებთან მივედით, როგორც ყველა სხვა ნაშუადღევს ან საღამოს გვჩვეოდა. მთლად მოცუცქნული ბიბლიოთეკა ჰქონდათ და იქაც ყველა წიგნი საკმაოდ ბუკინისტური სიძველისა ჩანდა. წიგნების უდიდესი ნაწილი განეკუთვნებოდა გეოგრაფიის, გეოლოგიისა და გლასიოლოგიის სფეროს. მაგრამ უეცრად — ერთგვარი არამიწიერი კონტრაპუნქტის სახით — წავაწყდი ერთ ეგზემპლარს სათაურით „სულების წიგნი", გამოცემულს ქრისტიანიაში 1893 წელს, იმ ძველი სასტუმროს აშენებიდან სულ ორიოდე წლის შემდეგ. ფრანგულიდან ეთარგმნათ. დედანი სათაურით "Le Livre des Esprits" დაიბეჭდა პარიზში, 1857 წელს.

ეს იყო საღამო, რომლის მომდევნო დღეს უორტლბერიელ ქალს გადავეყარეთ. წიგნი საბილიარდოდან გასვლამდე გადავფურცლეთ და, სანამ ოთახში ავიდოდით, სხაპასხუპით ამოგიკითხე რამდენიმე ფრაზა. იქ კი, ორივეს თავშესაქცევად, ხმამაღლა დავუწყეთ კითხვა ერთმანეთს. მართალია, წიგნი ერთ ადამიანს შეედგინა, არსებითად, წარმოადგენდა სპირიტუალური სამყაროს გამოცხადებათა გრძელ მანიფესტს. ეს იყო კრებული სიტყვებისა, რომლითაც მიცვალებულთა სულები მიმართავდნენ ცოცხლებს სპირიტუალისტური სეანსების დროს. მახსოვს, როგორ გადადე წიგნი საწოლთან მდგარ ტუმბოზე სწორედ იმ საღამოს ბოლოს, მომიბრუნდი და მითხარი: „ბუჩქში დამალულ ათ სულს მკლავებში მოქცეული ერთი ცოცხალი ქალი მირჩევნია". და მეც დავნებდი, გაუძალიანებლად დავყაბულდი ამ ქათინაურს. ღამე იყო, ბოლოს და ბოლოს.

მაგრამ, იმ მომენტიდან მოყოლებული, რაღაც მარცვალი ჩავარდა ჩემში. სულ რამდენიმე კვირაში სპირიტუალისტად ვიქეცი, უფრო სწორედ — ქრისტიან სპირიტუალისტად. ეს გახდა ჩემი მრწამსი, ჩემი ნუგეში და სულისმოთქმა.

მომდევნო ნაშუადღევს უორტლბერიელი ქალი შემოგვხვდა. უცნაური გასაფიქრია, მაგრამ იქნებ იმ მომენტიდან, როცა გახსნას იწყებ რაღაცის მიმართ, თვით ეს უკანასკნელიც იღება შენთვის?

ასეა თუ ისე, ვერანაირი ფრინველი ვერ შემოგიფრინდება ოთახში, სანამ ფანჯრები დაკეტილი გაქვს. მინას თუ შეასკდება მხოლოდ.

მას შემდეგ, რაც დასცდი ნინათგრძნობებს, ტელეპატიას, ნათელხილვას ან წინასწარმეტყველურ სიზმრებს, შენთვის უკვე აშკარა ხდება, რომ ამ სხეულების — ჩვენი დროებითი საბინადროების — მიღმა ჩვენ ვართ *სულებიც*, ანუ ის, რაც მატერიალურისგან სრულებით განსხვავებულ *წესრიგს* განეკუთვნება. პირადად ჩემთვის, ძალიან მოკლე აღმოჩნდა გადასასვლელი ამ რწმენიდან სულის უკვდავების რწმენამდე.

მაგრამ შენ ის თქვი, ოსლოში რა ხდება ამწუთას? გძინავს?

არა, ვკითხულობდი. უკვე 2 ხდება. ისევ კომპიუტერთან ხარ?

ჰო.

თითქმის დაუჯერებელია. მენ ნამდვილად *იპოლე* ხსნა, იპოლე განთავისუფლება შენი დაზაფრული სულისთვის. ლამისაა შემშურდეს. — მე ხომ მაგ მენი ახალი რწმენის გარეთ ვრჩები და სუსხისგან მაკანკალებს.

მაგრამ მე ჯერ ბოლომდე არ დამიყრია ფარ-ხმალი, რომ ერთხელაც *შიგნით* შემოგიყვან. მე შენ რაღაცას *მოგცემ*, სტეინ. გპირდები. ერთ მშვენიერ დღესაც მე შენ დაგარწმუნებ.

არ დაგაბრკოლებ მაგ მცდელობაში. ვინ იცის, იქნებ თვით ჩემი პანთეიზმიც არ მწამს ბოლომდე. ახლა კი, ალბათ, ჯობია დავიძინოთ...

ჰო, ალბათ, ჯობია მოვრჩეთ. ხო აზრზე ხარ: პირველად დამასწარი ამის თქმა!

ღამე ნებისა!

ღამე ნებისა!.. და ერთიც: მთელი ხვალინდელი დღე იმისთვის გადავდე, რომ კიდევ ერთხელ გადმოვცე ოცდაათი წლის წინანდელი ეპიზოდი. ჯერ დავიძინებ, მერე კი შეძლებისდაგვარად ადრიანად მოვკიდებ ხელს ამ საქმეს. ვეცდები, დღის განმავლობაში რამდენჯერმე გამოვგზავნო

რასაც დავწერ. თუკი შენ მთელი სამყაროს ისტორია ამოალაგე, ვიღაცამ იქნებ წარსულის ერთობლივი გამოცდილება გაიხსენოს? ახლა მაინც თუ ვართ მზად იმისთვის, რომ სიტყვებში მოვაქციოთ ის ამბები?

შეეცდებით მაინც. ერთხელ ერთმანეთს აღთქმა მიეეცით, რომ ამას აღარასოდეს დაეუბრუნდებოდით. შაგრამ იქნებ ახლა მაინც გავითავისუფლოთ თავი ამ აკრძალვისგან.

აბა, გამოიცანი, რას ეწრუპაედი მთელი საღამო?

რას და, „კალვადოსს"! აქ მცემს მაგისი სუნი. ვაშლის სპირტი...

უჰ, ბრავო! ეერაფერს იტყვი კაცი: ნამდვილად გაგაჩნია მეექვსე გრძნობა. ახლა კი, ძილი ნებისა. დილით მოგაკითხავ.

ძილი ნებისა!

VII

1976 წლის მაისის მიწურულის ერთ ნაშუადღევს ჩვენი საძინებლის ფანჯარასთან ვიდექი, კრინგსოში. ფანჯარა ღია იყო, ამინდი — რბილი და მეც გაზაფხულის სურნელს ვისუნთქავდი. არ ვიცოდი, ახალი წლის სურნელებას ვყლაპავდი თუ შარშანდელი ობის ტკბილ-მწარე სუნს, მაგრამ ეს ნამდვილად ვერ იქნებოდა ხეებზე გამოსული ახალი კვირტების ფშვინვა. ამიტომ გადავწყვიტე, ნოტიო მიწის ოხშივარი იქნება-მეთქი, წინა წლის პოხიერი, ახალი ფესვ-ყლორტის მკვებავი მიწის. ტყის ნორჩ ამონაყარში მოფაფხურე კაჭკაჭი შევნიშნე, იქვე კი — კატა, რომელიც მის დაფრთხობას ცდილობდა. კაჭკაჭმა სოლუნდში დამარხული ჩიტი გამახსენა და კიდევ ერთხელ მომიცვა ჩემი წარმავლობის განცდამ. ისევ იწყებოდა! იწყებოდა მორიგი შეტევა. ჯერ ცრემლები მომადგა თვალებზე, მერე კი, უეცრად, სასტიკად ამტკივდა თავი. ბოლოს ავტირდი, თავდაპირველად კი, რამდენადაც მახსოვს, ჯერ თავზარდაცემული გმინვა აღმომხდა. შენ მიხვდი რა ხდებოდა, რაკი ოთახში შემოხვედი. გვერდით ჩაუარე „ციხე-კოშკს პირენეებში", თუმცა მანამდე მოახერხე და შემეხე, მე კი სწრაფად შემოვბრუნდი და შეგხვედე. „ერთხელაც ჩვენ აღარ ვიქნებით!", ამოვიქვითინე მე, უფრო სწორედ — ამოვიყმუვლე. შემდეგ ქვითინი გავაგრძელე, თუმცა საშუალება მოგეცი, დაგემშვიდებინე. სავა-

რაუდოა, რომ გამალებული ფიქრობდი და, ალბათ, იმასაც მიხვდი, რომ ამჯერად არ იკმარებდა ორიოდე საბრალო წრის შემოვლა სონსვანის ტბის ირგვლივ. მე მგონი, ზუსტად მახსოვს რა სიტყვები მითხარი მას შემდეგ, რაც მკლავები მომხვიე. ერთი ხელით თმა დამიგორგლე, მეორე კი წელზე მომხვიე. ქალი ბევრნაირად შეიძლება ჩაიკრა, შენ შენი სტილი გქონდა.

„ახლა ცრემლები მოიწმინდე, — მითხარი მაშინ, — სათხილამუროდ მივდივართ იუსტედალსბრეენზე."

ნახევარი საათის შემდეგ მანქანაში ვისხედით. სახურავზე ორი ნყვილი თხილამური ეკრა, საბარგულში — ორი ზურგჩანთა. უკანასკნელი სიგიჟე, რომელიც მანამდე ჩაგვედინა, იყო გამოქვაბულში ცხოვრება ჰარდანგერვიდას პლატოზე გასულ ზაფხულს. ახლა მზე ისევ მაღლა ასულიყო ცაში და გიჟმაჟობების ახალი სეზონიც დამდგარიყო. ო, როგორ მიყვარდა ჩვენი სიგიჟეები!

განწყობილება აშკარად შემეცვალა. ჯერ ოსლოს არ გავცდენოდით, რომ უკვე ეიფორიაში ვიყავი. შენც, სტეინ. ჩვენ ისეთი *ბედნიერები* ვიყავით, ისეთი! მე გითხარი, მთელი დედამინის ზურგზე არცერთი ნყვილი არ იცნობს ერთმანეთს ჩვენზე უკეთ-მეთქი. ცხრამეტი ნლის ასაკიდან ერთად ვცხოვრობდით, მთელი ხუთი წელიწადი, ანუ თითქმის სამუდამოდ. ისიც კი ვუთხარით ერთმანეთს, უკვე ვბერდებითო. ახლა მტკივნეულია ამაზე ფიქრი: ჩვენ ხომ ჯერ ასეთი ახალგაზრდები ვიყავით და მთელი ცხოვრება წინ გვქონდა. ეს მივქროდით და როცა სუნდვოლენისკენ დავეშვით, ესეც გავიხუმრეთ: გარდა იმისა, რომ კაცი და ქალი ვართ, ვართ კიდევ ორი მერცხალი, ნაძვის კენწეროებს ზემოთ რომ მისრიალებენ და წითელი ხოჭოდან[ბ] ფრინველის თვალით მოსახელთებელ სივრცეს დასცქერიან. თუ გახსოვს ეს? ასე წარმოვიდგინეთ ჩვენი თავი, როგორ მივარღვევდით სივრცეს მანქანის სახურავზე დამაგრებული თხილამურებით, ივნისის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე. ეს იყო ოცდათერთმეტი ნლის წინ.

წითელი ფოლკსვაგენით სახურავზე დამაგრებული თხილამურებით, ივნისის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე. ვიცოდით, რომ იმწუთას მსოფლი-ოს უწმინდესი ჰარმონია ამ ჩვენს წითელ ფოლკსვაგენში იყო. ორი ზაფ-ხული ვიშრომეთ მის მოსაპოვებლად.

კროდერენის ტბის გასწვრივ და ჰალინგდალის აყოლებაზე გული ვიჯერეთ საუბრით. ჩვენ ხომ ყველაფერზე ვლაპარაკობდით, აბსოლუტურად ყველაფერზე! ბრომმას რომ გავცდით, ერთ-ორ წუთს ხმა აღარ

ამოგვიღია. ორივენი ერთსა და იმავე საგნებს გავცქეროდით და რაღა საჭირო იყო ამ ყველაფრის კომენტირება. მთელი ოთხი თუ ხუთი წუთის დუმილის შემდეგ ერთ-ერთ ჩვენგანს სიცილი აუტყდა და მეორეც აჰყვა. ამან ისევ აგვალაპარაკა.

სულ წინ და წინ მივდიოდით, მაგრამ ჰემსედალიც და მთელი დასავლეთ ნორვეგიაც ისევ წინ გვედო. ჰემსედალის სულ ზედა წერტილში დავინახეთ რამდენიმენაწილიანი და უცხოურაბრებიანი დიდი სატვირთო მანქანა, რომელიც გზისპირა სადგომზე იდგა ტრასის მარჯვენა მხარეს. ეს ამბავი ბევრჯერ გავიხსენეთ მომდევნო კვირაში. რამდენიმე კილომეტრი კიდევ გავიარეთ და შევნიშნეთ ქალი, გზის ახლოს რომ მიაბიჯებდა მთების მიმართულებით, ანუ იქითკენ, საითკენაც ჩვენ. „შეხედე! — თქვი შენ, — ხედავ?"

საკმაოდ შებინდებულიყო და უცნაურად გვეჩვენა მარტოდ მოსეირნე ქალის დანახვა გზაზე ასეთ დროს. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც არ გავჩერდით და წაყვანა არ შევთავაზეთ, ის იყო, რომ ქალი უშუალოდ გზაზე კი არ მიაბიჯებდა, არამედ ბილიკს მიჰყვებოდა ტრასიდან რამდენადმე მარჯვნივ. თანაც, მიდიოდა სავსებით მიზანსწრაფულად, ტორფნარის გავლით — პირდაპირ მთებისკენ. მონაცრისფრო სამოსი ეცვა, მხრებზე კი ვარდისფერი თავშალი მოესხა. ფერწერული სანახავი იყო, რის გამოც ვარდისფერთავშლიანი ქალის სახება ზაფხულის ლურჯ ღამეში პატარა ვიდეოკლიპივით ჩამრჩა გონებაში. თითქოს ვიღაცის დავალებით ადგამდა მთებისკენ იმ თავის სწრაფ, უყოყმანო ნაბიჯებს. არათუ მხოლოდ მთებისკენ, არამედ მთების *გადასავლელად*, სტეინ! და, თანაც, დასავლეთის მიმართულებით. როდესაც გავცდით, შენ სვლას უნელე და ორივემ გამოვხედეთ. მომდევნო დღეებში იმაზეც შევთანხმდით, თუ როგორ გამოიყურებოდა ის ქალბატონი: საშუალო ასაკის, ასე, ორმოცდათხუმეტ წლამდე, მხრებზე — ვარდისფერ თავშალმოსხმული.

გლვიძავს, სტეინ? შენც ადრე ხომ არ ადექი? ამ საათებში, როცა ჩემს ყვითელ ოთახში ვარ და გწერ ამ ყველაფერს, შენ ახლოს უნდა მყავდე. მთელი ერთი თაობის ნინ ჩვენ პირობა დავდეთ, რომ აღარასოდეს გვეხსენებინა მთაში მომხდარი ამბავი. მაგრამ ამ პაქტისგან ახლა ორივე თავისუფლები ვართ.

მე აქ ვარ. ახლაღა თენდება, თუმცა უკვე სამზარეულოში ვზიავარ და წინ ორმაგი ესპრესო მიდევს. მიღებისთანავე ვკითხულობ შენს წერილებს და მთელი დანარჩენი დღეც ასე ვიქნები. რაღაც მომენტში ლეპ-

ტოპს ოუისში წაეიღებ. მგონი, პირველად სდება, რომ დილის ამ პერიოდში ანუ მთლად გამთენიისას გაედივარ სახლიდან. ბერიტს სძინავს, მე კი ჩანაწერს ვუტოვებ: „ადრე გამეღვიძა და ვეღარ დავიძინე, თანაც, ბევრი სამუშაო მაქვს“.

განაგრძე, განაგრძე, ეკლებზე ვზივარ და ვეღარ ვითმენ. შენ ჩემზე უკეთ გახსოვს ყველაფერი.

ჰემსედალის წვერზე შენ უკვე გულმოსული იყავი, რადგან, როგორც ჩანდა, იმ ღამეს უთავშესაფროდ ვრჩებოდით. არადა, მას შემდეგ, რაც შალმოსხმულ ქალს ჩავუარეთ, შენ გადაწყვიტე, რომ *გინდოდი*. თავიდან ეს ჯერ სახუმარო კომენტარივით ითქვა, ისე, სასხვათაშორისოდ. აგრამ თანდათან შენი ქცევა უფრო და უფრო კადნიერი გახდა, მეტად და მეტად ჩამაცივდი. მე ისევ სიცილი ამიტყდა, შენ კი ამ დროს სატყეო გზა იპოვე და რამდენიმე მეტრზე გადაუხვიე მდინარისკენ. მშრალი ამინდი იყო და მეც ვიფიქრე, სადმე ხეებს შორის აპირებს ჩემს შეტყუებას-მეთქი. თუმცა ციოდა და სხვა რაღაც მოგვივიდა თავში. ოი, საბრალოვ! რაღაც გაურკვეველი მიზეზითა და ფანტაზიით, თვით ნითელ ხოჭოში დააპირე აკრობატული ილეთების ჩატარება. შენივე თქმით, ვერ თავისუფლდებოდი ნარმოსახვაში აციმციმებული ამ ხატებისგან. ბოლოს და ბოლოს, ადამიანი ვარო, — ასე თქვი. მე ალმაცერად გადმოგხედე, შენ კი მზერა მომაშორე და — მხოლოდ მამაკაცო — დაამატე.

მთელი ეს ხანი მხოლოდ შენ მართავდი მანქანას, მაშინ მე მართვის უფლება არ მქონდა. იქნებ უკვე შუაღამეც იყო, მაგრამ წლის იმ დროს მთლიანად მაინც არ ბნელდებოდა. ცხელ დღეს გრილი და ნისლიანი საღამო მოჰყვა, მით უმეტეს, რომ მთაში ვიყავით. შემოდგომის ბნელი ღამე რომ ყოფილიყო, საგნებს უფრო მკვეთრი მოხაზულობა ექნებოდა და ჩვენც უკეთ გავარჩევდით ყველაფერს მანქანის წინა ფარების სინათლეში. ახლა კი გარშემო რაღაც რბილი სილურჯე და ყრუ უძილობა გამეფებულიყო. ერთადერთ გამონაკლისს ნარმოადგენდა შორეულ ჰორიზონტზე მოკიაფე სინათლე. მგონი, ამაზე უკვე ვთქვი: ამ შორეულ ციალს ჩვენ მომდევნო დღეებშიც ვახსენებდით.

ელდრევატნეტის ტბასთან, წყალგამყოფისა და რეგიონის საზღვარზე, უეცრად რაღაც ნითელი და მოფარფატე შევნიშნეთ მწუხრში. ვიგრძენით: მანქანა რაღაცას დაეჯახა, უსაფრთხოების ღვედები კი უფრო მტკიცედ შემოგვესალტა სხეულებზე. შენ სვლას უნელე, ყოველ შემთხვევაში — მანქანის სიჩქარემ იკლო. რამდენიმე წამში ისევ მოუმატე სისწრაფეს, ოთხი-ხუთი წუთის განმავლობაში კი არცერთს ხმა არ ამოგვი-

ღია. და ეს ნამდვილად უდიდესი საიდუმლო იყო, რადგან რაზე ფიქრობდი იმ დროს *შენ*, სტეინ, და რაზე ვფიქრობდი *მე*? ან, ეგებ, საერთოდ არაფერზე ვფიქრობდით, ეგებ შოკში ვიყავით და ეგ იყო.

გრძელ ტბას რომ გავცდით, შემოგვხვდა თეთრი ფურგონი, რომელიც მთების გავლით აღმოსავლეთისკენ მოდიოდა. აი, მაშინ კი აღელვებულმა წარმოთქვი: „მგონი, ვიღაც გავიტანეთ!"

თითქოს ორივენი ერთი გონებით ვფიქრობდით, რადგან იმ ნამს მეც ზუსტად იგივე გავიფიქრე. შენ უცბად მომიბრუნდი, მე კი თავი ძლიერად დაგიქნიე:

— ვიცი, — გითხარი, — ვარდისფერთავშლიან ქალს დავეჯახეთ.

ამასობაში ბრეისტოლენის სამთო ტურბაზა უკვე გავლილი გვქონდა და მალე დაღმართის პირველ მკვეთრ მოსახვევამდეც მივედით. იქ შენ მონყვეტით დაამუხრუჭე და მანქანა ღრჭიალით მოატრიალე. თქმით არაფერი გითქვამს, მაგრამ შენი მხრების და დაძაბული მზერის შემხედვარეს, შემეძლო გამომეცნო რაზე ფიქრობდი: იქნებ იმ ქალს დახმარება სჭირდება, იქნებ სერიოზულად დაშავდა, იქნებ ვინმეს სიცოცხლე მოვუსწრაფეთ...

რამდენიმე წუთში ისევ იმ ადგილას ვიყავით, სადაც რაღაცას შეეჯახეთ ბინდბუნდში. შენ მანქანა გააჩერე და ორივე გარეთ გადმოვხტით. ციოდა, მსუბუქი ნიავიც უბერავდა. მაგრამ იქ არავინ ჩანდა. შენ შენიშნე, რომ მანქანას მარცხენა ფარი გატეხილი ჰქონდა. წამოკრიფე კიდეც მინის რამდენიმე ნამსხვრევი გზიდან და არხიდან. ირგვლივ მიმოვიხედეთ და უცებ შენ მიმითითე ვარდისფერ თავშალზე, მსუბუქად რომ გადაჰფენოდა ტბისკენ ჩამავალ ფერდობზე ამოყრილ ბუჩქებს, სულ ორიოდე მეტრზე მანქანიდან და ტრასიდან. თავშალი სრულებით სუფთა და ახალთახალი ჩანდა, თითქოს ერთი წუთის წინ ჩამოცურდა ქალის მხრებიდან და ნაზად გალივლივდა სივრცეში რომელიღაც ცოცხალი არსებასავით. ვერცერთმა ვერ გავბედეთ თავშლის შეხება, მხოლოდ ირგვლივ მოვატარეთ მზერა, მაგრამ, ზაფხულის ნათელი ღამის მიუხედავად, ვერსად შევნიშნეთ ადამიანის ფიგურა. ხელთ არაფერი გვქონდა, ამ ვარდისფერი შალის გარდა. შენ კიდევ ორიოდე ნამსხვრევი იპოვე, რის შემდეგაც ისევ მანქანაში ჩავხტით და სასწრაფოდ გავეცალეთ იქაურობას.

ისევ შოკში ვიყავით. შენ გაზის პედალს აჭერდი ფეხს, საჭე ჩაგებღუჯა და ცახცახებდი. არა მგონია, რომელიმე ჩვენგანს რამე ეთქვას იმ წუთებში, მაგრამ ჩვენი სულები იმდენად იყვნენ ერთმანეთში ჩაწნული, რომ ადვილად ვკითხულობდით ერთმანეთის აზრებს და გრძნობებს.

მომდევნო საათებში და დღეებში ყველანაირად გავარჩიეთ ეს ამბავი. მაგრამ იმთავითვე, წითელ ხოჭოში ჯდომისას, უკვე ვიცოდით, რომ დავეჯახეთ იდუმალ ქალს, რომელიც ტორფნარში შეგვხვდა ცოტა ხნით ადრე, სანამ მდინარის პირას ნავიცელქებდით.

ამჟამად მისგან მხოლოდ ვარდისფერი თავშალიღა დარჩენილიყო. ამიტომაც ვიფიქრეთ, დაზარალებული ან სულაც გარდაცვლილი ქალი, როგორც ჩანს, აქეთკენ მომავალმა თეთრმა ფურგონმა აიყვანაო. აი, ჩვენი გადაწყვეტით, მისი გაუჩინარების ერთადერთი შესაძლებელი ახსნა. მობილური ტელეფონების გაჩენამდე კიდევ რამდენიმე წელი რჩებოდა, ჩვენს გონებაში კი ერთმანეთს ენაცვლებოდა სურათები თეთრი ფურგონის მძღოლისა, რომელიც ან ჰემსედალის პირველივე ფერმასთან გაჩერდა დახმარების სათხოვნად და, რაღა თქმა უნდა, პოლიციაში და სასწრაფო დახმარებაში დასარეკად, ან კიდევ, გადაწყვიტა, რომ ჩვენი მეტისმეტი თავდაჯერებულობის მსხვერპლი პირდაპირ გოლის საავადმყოფოში მიეყვანა. თუმცა ისიც მოგვივიდა აზრად, რომ იმ მძღოლს, შესაძლოა, არავითარი მიზეზი არ ჰქონდა გიჟივით საქროლად და, ვინ იცის, იქნებ ამწუთას მშვიდად და ფიქრიანად მიჰყავდა თავისი მანქანა ჰემსედალის პოლიციის სადგურისკენ, სადაც 52-ე მაგისტრალზე ნაპოვნ დაღუპულ ქალს ჩააბარებდა. იქვე შეეძლო ეხსენებინა შემხვედრი მიმართულებით მსვლელი ფოლკსვაგენიც.

გზა დასავლეთისკენ ეშვებოდა. როცა მეორედ გავიარეთ ბრეისტოლენის ტურბაზა და მკვეთრ მოსახვევამდე მივედით, შენ მოწყვეტით შეჩერდი და, მანქანიდან გადადიო, მიბრძანე. „გადადი! — იყვირე მხოლოდ ეს, — გა-და-დი!"

როგორც იტყვიან, ჭკუაზე არ იყავი. ვაითუ, გაბოროტებულია და არაფერი მავნოს-მეთქი, ვიფიქრე. ასე იყო თუ ისე, შეწინააღმდეგება ვერ გავბედე, უსაფრთხოების ღვედი მოვიხსენი და მანქანიდან გადავედი. „სტეინ, — ავქვითინდი იმ წამს, — ახლა რას აპირებ, სტეინ? აქ უნდა დამტოვო?" იმდენად შერყეული ვიყავი, ისიც კი ვიფიქრე, მოკვლას ხომ არ მიპირებს-მეთქი. ერთადერთი მოწმის თავიდან მოშორების მიზნით... იქნებ უწინაც მოუკლავს ვინმე?.. ამ დროს შენ ისევ ააგუგუნე ძრავა და მანქანა უფსკრულისკენ დასძარი. ნუთუ ასე აპირებდი ყველაფრისთვის წერტილის დასმას? „სტეინ! სტეინ!" — ვიკივლე ისევ. შენ კი მხოლოდ ის ჰქენი, რომ მანქანა უფსკრულის პირას დაგდებულ ლოდს მიანარცხე და ახლა მარჯვენა ფარი ჩაუმსხვრიე. ბამპერიც გაილუნა.

— რატომ ჰქენი ეს? — გკითხე მე.

შენ არც გამოგიხედავს, მხოლოდ ეს თქვი:

— აქ ჩვენ პატარა ავარია შეგვემთხეა.

მანქანიდან გამოიღე მთაში აკრეფილი მარცხენა ფარის ნამსხერევები და ახალ ნამსხერევებს მიუნყვე გვერდით. თითქოს ასანყობი სურათ-გამოცანის ბოლო ნაჭრებს ალაგებდი თავ-თავის ადგილზე!

შუაღამე იყო და ციოდა. ვიფიქრე, ვაითუ, მანქანა აღარ დაიძრასმეთქი. საბედნიეროდ, ისევ ფორმაში იყო. ოდნავ ხრიალებდა, სხვა არაფერი. დავიღალეთ, ყურადღება მოგვიდუნდა და ლოდს შევეჯახეთ, რომელიც, ალბათ, იმისთვის დადეს მოსახვევში, რომ მანქანები უფსკრულში გადავარდნისგან დაეცვათ.

ბორგუნდამდე ჩასულები, ცოტა არ იყოს, შეგვაკრთო დილის ნისლში თითქოსდა სასიკვდილო ძეგლივით ამოცურებულმა ძველმა ხის ეკლესიამ. ირგვლივ შემორტყმოდა ხავსმოდებული საფლავის ქვები, რომელთაგან ერთ-ერთის წინ სანთელი ენთო, ვარდისფერი სანთელი ზაფხულის უჩუმარ ღამეში.

თენებისას მდინარის გასწვრივ მივქროდით. პარადოქსია, მაგრამ რაც უფრო იზრდებოდა სინათლე, მით მეტი წრიალი გვიტანდა. როცა ლერდალამდე მივედით, თითქმის უკვე მოდღეებულიყო. თუმცა ორივე ერთი აზრისა ვიყავით იმასთან დაკავშირებით, რომ დასაძინებლად უკვე მეტისმეტად დაგვიანებულიც იყო და მეტისმეტად ნაადრევიც. ახლა დაძინება ეჭვსაც აღძრავდა და არც დაზიანებული მანქანის საყოველთაო დემონსტრირებას ვაპირებდით. ამიტომ რევსნესის ბორნამდე დარჩენილი ბოლო ათი კილომეტრიც გავიარეთ. იქ კი, რადგან პირველი ბორნის გასვლამდე კიდევ რამდენიმე საათი იყო დარჩენილი და ნავმისადგომთან სხვა არავინ ჩანდა, გადავწყვიტეთ, მანქანის სავარძლები უკან გადაგვეწია — იქნებ ცოტა ხანს წავთვლიმოთო. სინამდვილეში კი, სიტუაციას მივნებდით. ვთქვით კიდეც: პოლიცია ნამდვილად მანამდე მოგვადგება, სანამ ფიორდზე გადავალთო. ბორნის მოსვლამდე ხომ ველარსად წავიდოდით. თვით მაშინაც კი, თუ ქალი გარდაიცვალა და ვერავის ვერაფერს აუხსნიდა, თეთრი ფურგონის მძღოლს ხომ შემოხვდა სახურავზე თხილამურებდამაგრებული ნითელი ფოლკსვაგენი ვარდისფერთავშლიანი ქალის ნახვამდე სულ რამდენიმე წუთით ადრე. რასაკვირველია, პოლიცია წუთი წუთზე მოგვაკითხავდა.

რატომ მიაბიჯებდა ის ქალი მაღალ მთიანეთში შუაღამისას? იქ არც საცხოვრებელი შენობა იყო, არც სათევზაო ქოხი ან მონადირის კოტეჯი. ქალს არც მაინცდამაინც თბილი ტანსაცმელი ეცვა და არც სამოგზაურო სამოსი.

ვინ *იყო* ის ქალი? ნამდვილად სხვა არავინ ახლდა? იქნებ ახლომახლოს კომპანიონებიც მოჰყვებოდნენ? ალბათ, რაღაც პროცესში მონაწილეობდა. მანამდე ხომ გრძელი დიდი სატვირთო მანქანაც დავინახეთ ჰემსედალის წვერზე. შეიძლება რაღაც მზადდებოდა...

მეტისმეტად აგზნებულები ვიყავით და ვერასდიდებით ვერ ჩავთვლემდით. არადა, სინათლე გვაშინებდა. ვიწექით თვალდახუჭულები და ერთი ღამით სტუმრად დარჩენილი ბავშვებივით ვჩურჩულებდით. მე ვთქვი, სულ ორიოდე გრადუსით წავინაცვლეთ მზის ირგვლივ მოტრიალე პატარა პლანეტაზე-მეთქი, შენ კი სასწრაფოდ დაამატე: მზის, რომელიც მხოლოდ ერთია ირმის ნახტომის ასი მილიარდი სხვა მზიდან. ჩვენი აქამომდელი გამოცდილებაც სულ ერთი ჭავლი იყო დიადი ოკეანის ზედაპირზე. უნდა გაგვეფართოვებინა პერსპექტივა: ფოკუსი ჩვენგან მოგვეშორებინა და სხვა საგანზე გადაგვეტანა. ამჯერად თვალები აღარ გამვსებია ცრემლებით და აღარ მიზლუქუნია, რომ ერთ დღესაც ამქვეყნად აღარ ვიქნებოდით. ახლა ეს შეუფერებელი იყო. ამჟამინდელი კლიმატი არ შეესატყვისებოდა მწუხარებას, რადგან, შესაძლოა, ჩვენ მავანი ადამიანის სიკვდილის მიზეზი გავხდით. იმდენად შემაძრწუნებლი იყო ამაზე ფიქრი, რომ ხმამაღლა ჩამოყალიბებაც კი ვერ გამებედა. თუმცა გამუდმებით მიტრიალებდა თავში. სიცოცხლე მოვუსწრაფე ადამიანს! — მე, რომელსაც ისიც კი ვერ მომეხერხებინა, რომ ერთი დღით მაინც დამეშვა ამ პლანეტის და, მასთან ერთად, მთელი ამ ვეებერთელა სამყაროს არსებობა *უჩემოდ*. თვით შენი არსებობაც, სტეინ, თვით შენიც.

ბორნის მისადგომზე გატარებული იმ მოცახცახე დილის შემდეგ, ვგონებ, ისე ჩაიარა რამდენიმე დღემ, რომ ერთხელაც აღარ გვიხსენებია „ქალი, რომელიც გავიტანეთ" ან რაიმე ისეთი, რაც უშუალოდ ეხმიანებოდა ამ ამბავს. ვამბობდით *ის*, ან — თუ მაინცდამაინც ეს თემა უნდა გვეხსენებინა — ვამბობდით *რაც მოხდა*. მაგრამ იქ, პლატოზე, შენ ძალიან სწრაფად მიგყავდა მანქანა. მერე ოდნავ დავეშვით და შენც ყველაფერს აკეთებინებდი პატარა ხოჭოს, რისი უნარიც შესწევდა. ალბათ, სწორედ იქ გავიტანეთ უცნობი ქალი. მოგვიანებით ამაზე ხმას ვეღარ ვიღებდით. ოსლოში დაბრუნების შემდეგ ჩვენი მოგზაურობის ეს ნაწილი სამუდამოდ ჩაიხშო და დაიმარხა. როგორღა გავაგრძელეთ ერთად ცხოვრება? ერთობლივი ყოფნა ხომ, სხვა ყველაფერთან ერთად, მუდმივ სიტყვიერ გაცვლა-გამოცვლასაც გულისხმობს, ერთობლივად გახმოვანებულ ფიქრს, სიცილს და გიჟმაჟობებს, ერთად ძილს და ყოველგვარ სიახლოვეს.

მეორე მხრივ, სრულებით ღიად ვახსენებდით უორტლბერიელ ქალს. ის ხომ ამდენი ნლის შემდეგაც კი საშუალებას მაძლევს თითქმის სირცხვილის ყოველგვარი განცდის გარეშე გავიმეორო, როგორ გავიტანეთ ვიღაც იმ მთაში. ნუ იღელვებ: იმ საკვირველ ქალს კიდევ დავუბრუნდები. მაგრამ ამჯერად, მსურს, ყველაფერს თანმიმდევრულად მივყვე.

შენ რას შვრები? სამსახურამდე თუ მიაღწიე?

კი, მივაღწიე, და არცთუ ბევრმა წუთმა განელო მას შემდეგ, რაც პირველი იმეილი მივიღე შენგან. წავიკითხე და წაეშალე.

მენ უფრო მეტი დეტალები გახსოვს, ვიდრე მე. ერთადერთი, რამეც ვფიქრობ, ხომ არ აზვიადებს-მეთქი, ეს არის შენი ხმგასმა, თუ რაოდენ ეჭვმიუტანლად ეიცოდით უკვე მამინვე, რომ ის ქალი არათუ მხოლოდ დაზიანდა, არამედ გარდაიცვალა. შეიძლებოდა ხელი მოსტეხოდა ან სხვა დაზიანება მიეღო და პემსედალამდე იმ თეთრ ფურგონს ჩაეყვანა.

ნებისმიერ შემთხვევაში, საკმაოდ დრამატული ამბავი მოხდა. ვზივარ ახლა ჩემს სამსახურში და ყველაფერი თვალწინ მიცოცხლდება.

გეთანხმები, რომ ერთხანს მოცდა მოგიწევს, სანამ უორტლბერიელ ქალზე ილაპარაკებ. ალბათ, მე რაღაც განსხვავებული მოსაზრებები მექნება. ისედაც იცი.

განსხვავებული მოსაზრებები! ლამისაა აქ მეცეს შენი სამეცნიერო ინსტიტუტის სუნი. ჰო, სხვათა შორის, როგორ გამოიყურება? შენს სამუშაო კაბინეტს ვგულისხმობ...

ვზივარ კელელში გამოჭრილ, ტიპურად უნივერსიტეტულ ნიშაში. ეს ოთხკუთხა ოთახი მათემატიკის კორპუსშია, რომელიც აგრეთვე ნილს პენრიკ აბელის შენობად არის ცნობილი. კარადებში, მაგიდაზე და იატაკზე სვეტებად აწყვია სამეცნიერო ანგარიშები, სახელმძღვანელოები და ჟურნალები. თუმცა, დღესდღეობით, არავითარ ყურადღებას არ ვაქცევ ამ რუტინას. როცა მონიტორზე შენს ნაწერს ეკითხულობ, თითქოს ერთ ოთახში ან სულაც ერთ მანქანაში ესხედვართ და ცოცხლად ეუსმენ შენს მონათხრობს. ჰოდა, განაგრძე. ბორნის მისადგომთან გავჩერდით, სონეფიორდის სამხრეთ ნაპირზე...

დილის ოთხ საათზე უკვე დღესავით სინათლე იდგა. ცოტა ხნის შემდეგ მზეც ამოიწვერა. ჩვენ კი ისევ ვჩურჩულებდით იმედიანად დახუჭული თვალებით. ერთმანეთს გავახსენეთ, რაოდენ უსაფრთხო იყო ცხოვ-

რება ქვის ხანაში, — როგორც რამდენიმე ათასი წლის წინ, ისე ჰარდანგერვიდას პლატოზე შარშან. თუმცა ეს უკანასკნელი წარმოუდგენლად შორეული მოჩანდა წუხელ მომხდარი ამბის შემდეგ. ოცნებით დავუბრუნდით ერთ-ერთ იმ ღამეს, როცა შეგვეძლო გამოქვაბულის გარეთ ვწოლილიყავით და სამყაროს ღამე გვეჭვრიტა. მაშინ ვფიქრობდით, რომ შეგვეძლო მზერით ასეთ უზარმაზარ მანძილებს გავწვდენოდით და პირდაპირ კოსმოსის სასწაულში ვიმზირებოდით. თითქმის მტკივნეული იყო ესოდენ ახლო კონტაქტში ყოფნა სინათლის წლებით დაშორებულ ამდენ ცეცხლოვან ნაჩხვლეტთან. ამ ეგზოტიკურ სინათლეებს — ჩვენს ოპტიკურ მეზობლებს, ყოველივეს მიუხედავად — ათასობით წლის განმავლობაში ეფრინათ კოსმიურ სიცარიელეში, სანამ ჩვენს გონებამდე მოაღწევდნენ და იქ დადუმდებოდნენ. იმ ციური სხეულებიდან გამოტყორცნილმა სხივებმა განუზომელი მანძილები გამოიარეს, სანამ შეეხნენ ჩვენს თვალის ბადურას, საიდანაც უკვე განაგრძეს სვლა სხვა განზომილებაში და სხვა ზღაპარში: ჩვენი მგრძნობელობითი აპარატის გავლით თვით ჩვენი სულის სიღრმეებამდე. შემდეგ, ერთ ღამეს, მთვარე გამოჩნდა: ჯერ ალესილი ნამგლის მსგავსი, შემდეგ — ყოველ ჩავლილ ღამესთან ერთად — უფრო და უფრო სავსე, სანამ ჰარდანგერვიდას ზეგანიც და მთელი ცის კამარაც თავისი ვერცხლისფერი ელვარებით დატბორა. ისე მოვიდა, როგორც შვება. არა მხოლოდ იმიტომ, რომ მე და შენ ღამითაც კარგად ჩაგვეხედა ერთმანეთის თვალებში, არამედ იმ მიზეზითაც, რომ სული მოგვათქმევინა და ჩვენი თვალებიც დაასვენა ამდენი ცქერისგან უსასრულობაში.

სანამ წითელ ხოჭოში ვისხედით და ვჩურჩულებდით ქვის საუკუნეზე, სამყაროზე და ჩვენს შორეულ ნარსულზე, თვალები ისევ დახუჭული გვქონდა და ღამე იყო. გადავწყვიტეთ კიდეც, შეძლებისდაგვარად დიდხანს გაგრძლებულიყო ეს ჩვენი ღამეული სიფხიზლე, — მანამდე, სანამ პოლიცია ან ბორნის რომელიმე მუშაკი გაგვაღვიძებდა. მაგრამ როგორც კი ფიორდის სიღრმიდან ბორნის შორეული გუგუნი გავიგონეთ, მივხვდით, რომ ეს ღამე მალე დასრულდებოდა და ამიტომაც ერთ-ერთ ჩვენგანს სასწრაფოდ უნდა გაეხსენებინა მოწყვეტილ ვარსკვლავთა გაუგონარი სიმრავლე იმ ღამეს, ბატკანი რომ დავკალით. იმდენად შთამბეჭდავი სანახავი იყო, რომ კრინტიც არ დაგვიძრავს არცერთს. სულ რაღაც ორიოდე წუთის განმავლობაში ოცდაცამეტი მოწყვეტილი ვარსკვლავი დავთვალეთ. იმდენად ენაჩავარდნილები შევყურებდით ამ სანახაობას, რომ გონება ვეღარ მოვიკრიბეთ ოთხმოცდაცხრამეტი სურვილის ჩასაფიქრებლად. სამაგიეროდ, კარგი საჭმელი გვქონდა. უკვე ვი-

გემეთ შემწვარი ბატკნის ხორცი, კიდევ უფრო მეტი კი მომდევნო დღეებისთვის გადავდეთ. რაც შეეხება სურვილებს? ჩვენ -ერთმანეთი გვყავდა და ერთად ვიყავით.

ბორანმა ფიორდზე გადაგვიყვანა. მისმა მუშაკებმა კრიტიკული თვალით შეათვალიერეს ჩვენი მანქანის დაჟეჟილი ცხვირ-პირი, თვით ჩვენ კი თანაგრძნობით შემოგვხედეს. როგორც შემთხვევითი ზიანის, ისე ფიზიკური ტრამვის შემთხვევაში შეგიძლია დაასკვნა, რომ ეს დიდი ხნის წინ არ მომხდარა. „მოწმეები", გაგვიელვა მე და შენ. მგონი, გადავუჩურჩულეთ კიდეც ერთმანეთს რაღაც ამდაგვარი. იმ პერიოდში ნორვეგიის რადიოსამაუწყებლო კორპორაციას უკვე დაწყებული ჰქონდა ახალი ამბების მოკლე გადმოცემა ყოველ საათში ერთხელ. ჩვენ ეს ვიცოდით. მხოლოდ ის არ ვიცოდით, რას უსმენდნენ სნორედ იმ წამს ბორნის სამართავ განყოფილებაში.

საბოლოოდ, კაუპანგერში ჩამოგვსხეს და ჩვენც გზა გავაგრძელეთ ჰელლასკენ. იქ ავედით გემზე, რომელიც ჩაგვიყვანდა ფიერლანდში — მყინვარზე დაგეგმილი ჩვენი მოგზაურობის საწყის წერტილში. ეს ხდებოდა ინტერნეტის გაჩენამდე დიდი ხნით ადრე, თუმცა თან გვქონდა „ნორვეგიის საგანრიგო მეგზური" და ვიცოდით, რომ ზედ სულზე ვუსწრებდით ფიერლანდისკენ მიმავალ პირველ ბორანს. თუ ვერ მივუსწრებდით, მთელი ნახევარი დღე ჰელლაში უნდა გვეყურყუტა. მაგრამ აქ თამაში შეწყდა: პოლიციამ დაგვაკავა ჰერმანსვერკსა და ლეიკანგერს შორის. ბოლოს და ბოლოს, გვიყელეს.

იქ პოლიციის ორი მანქანა იდგა, ერთ მათგანს ზემოთ ლურჯი სინათლეები უტრიალებდა. რა იდიოტობა იყო იმის წარმოდგენა, რომ ასე იოლად დავუსხლტებოდით ხელიდან! ჩვენი მანქანის მთელი წინა ნაწილი ცოცხალი სამხილი იყო იმისა, რაც თავს გადაგეხდა. ახლა დღის სინათლე კაშკაშებდა და თვით მობილური ტელეფონების გარეშეც კი პოლიცია უკვე რამდენიმე საათის წინ იქნებოდა ინფორმირებული მომხდარი ინციდენტის შესახებ. მართალია, გულმოდგინედ იზრუნე ალიბისთვის იმ უფსკრულის პირას, მაინც სწორედ შენ წარმოთქვი ნათლად და ხმამაღლა, როცა პოლიციელმა გვანიშნა, გააჩერეთო: „ვნებდებით და არაფრის დამალვას არ ვაპირებთ".

მე თავი დაგიკანტურე, არა ერთხელ და ორჯერ. მაგრამ შენ მაინც განაგრძე: ჩვენ პანიკაში ვართ, გესმის, პანიკაში, და მეტი არაფერი. მე ისევ დაგიქნიე თავი. ძალიან დაღლილი და გასაცოდავებული ვიყავი. ყველაფერი დაიმსხვრა. ყველაფერი, რაც მიყვარდა და რისიც მჯეროდა,

ფეხქვეშ გაითელა. იმის შემდეგ, რაც მთაში მოხდა, მე მხოლოდ შენი ნების ამარა დავრჩი.

მაგრამ ეს გაჩერება მხოლოდ ჩვეულებრივი საგზაო შემოწმება აღმოჩნდა. მანქანიდან გადმოსვლაც კი არ დაგვჭირდა, ჩემდა საბედნიეროდ! რადგან აშკარად ვეღარ ეჩერდებოდი ფეხზე. ადრიანი ორშაბათი დილა იყო, თუმცა ინსპექტორებს არც ალკოჰოლის გამზომი მოწყობილობა არ აღმოაჩნდათ. მხოლოდ ქვითარი გამოწერეს. ათი დღის განმავლობაში ფარები შეაკეთეთ, ამასობაში უკვე ოსლოში იქნებითო, გვითხრეს. თავაზიანად და ტაქტიანად მოგვმართავდნენ. მართალია, ზაფხულის ნათელი ღამეები იდგა, მაგრამ ქვითარი შეიცავდა პირობას, რომ ღამით არ გვევლო, სანამ ფარებს არ შევაკეთებდით.

მითითება, რომ ღამღამობით მანქანით არ ვიაროთ, სტეინ! სულ ეს იყო. ამ გადაწყვეტილებას ნამდვილად ვერ გავაპროტესტებდით...

ჰელლაში კარგ დროს აღმოვჩნდით, ანუ — ბორნის გასვლის წინ. რევსნესის არ იყოს, ჰელლაც ტიპური უდაბურება იყო, მხოლოდ ბორნის მისადგომი და სხვა არაფერი, კიოსკიც კი არ იდგა. ჩემმა ამოუწყავმა ლტოლვამ შოკოლადისადმი ისევ გაიღვიძა და უკვე ვიტანჯებოდი.

ასე რომ, თხილამურების გარდა, არაფერზე გვისაუბრია იმ ნახევარი საათის განმავლობაში, სანამ ვანგსნესიდან ბორანი შემოვიდა. ფოლკსვაგენს იქ გავაჩერებდით, — ამაზე შევთანხმდით. აზრი არ ჰქონდა მის წაყვანას ფიორდის სოფელში, სადაც, პრაქტიკულად, არავითარი გზა არ არსებობდა. მაგრამ თხილამურებისთვის რა გვექნა?

დარწმუნებული ვარ, შენც ჩემსავით გახსოვს ეს ამბები. მაგრამ ყველაფერი ერთხელ მაინც უნდა გადმოიცეს თანმიმდევრულად.

შემდეგ ყველაფერზე დაწვრილებით და გამოზომილად ვიმსჯელეთ. ხომ არ დავბრუნდეთო? მაგრამ იქ, გრანიტის კონცხზე, შევთანხმდით, რომ მყინვარზე უნდა წავსულიყავით. სწორედ იქ მივდიოდით. ეს ჩვენ ერთმანეთს შევპირდით და, იმის მიუხედავად, რა მოხდა შემდეგ, უნდა მოგვეძებნა ადგილი, სადაც დავიძინებდით. ერთი სიტყვით, გვჭირდებოდა საბანი, რომლის ქვეშაც ერთად შევიყუჟებოდით. არადა, ერთი, ორი თუ სამი დღე რჩებოდა ჩვენს აყვანამდე, ამაზე წარმოდგენაც არ გვქონდა. მხოლოდ ის ვიცოდით, რომ ეს დროის საკითხი იყო, უკეთეს შემთხვევაში — რამდენიმე დღის. ვნახეთ, როგორ შეამჩნია ბორნის პერსონალმა შეჯახების ნიშნები ჩვენს მანქანას. აგრეთვე მუდმივმოქმედმა საგზაო კონტროლმაც გაგვაჩერა, შეგვამოწმა და ჩაგვწერა. დანარჩენი კი, ორივეს აზრით, მხოლოდ კოორდინაციის და გამოძიების, ანუ დროის საკითხი იყო. ჰელლაში გატარებულ იმ ნახევარ საათში კი

მიეხვდით, რომ არ შედგებოდა არაკითარი სათხილამურო სვლა მყინვარზე. არც იმდენად ციესისხლიანები ვიყავით, რომ მყინვარზე გვესეირნა იმის შემდეგ, რაც მოხდა. გაზეთები უნდა გვეკითხა და რადიოსთვის გვესმინა. გაფაციცებულები ვიყავით, სხვა რა გზა გექონდა. გესმენოდა იმ ლეგენდარულ სასტუმროზეც, სადაც შეიძლებოდა გავჩერებულიყავით. ასეთ შემთხვევაში, თხილამურები ჰელლაში დარჩებოდა. მაგრამ არა: ნითელი ფოლკსვაგენი სახურავზე დამაგრებული ორი წყვილი თხილამურით, მაისის მინურულს! — ასეთი იყო აღწერილობა. როგორ გამოვაღწევედით იქიდან? ყველაზე უმტკივნეულო და ბუნებრივი მაინც მყინვარის მოგზაურების როლში ყოფნა იქნებოდა.

თუმცა, რაღაც ჩვენი არსების შიგნით ამასაც აფიქსირებდა: სულერთია, როგორ დამთავრდება ყველაფერი პოლიციის თუ გამოძიების თვალსაზრისით, მთავარი ის იყო, რომ ჩვენ — მე და შენ — უმძიმესი დარტყმა გადავიტანეთ. თუ არ ჩავთვლიდით ჩემი პანიკის შეტევებს და შენს პერიოდულ გადაჭარბებებს სასმელთან ურთიერთობაში, ჩვენ თითქმის სრული თანხმობით ვიცხოვრეთ იმ მომენტამდე, როცა ვარდისფერთავშლიანი ქალი გავიტანეთ ტბა ელდრეკვატნეტთან. ახლა კი პირველად აღმოვჩნდით კრიზისში. მაგრამ ერთმანეთს მაინც ვერ შეველეოდით. ხვალ ან ზეგ — შეიძლება, მაგრამ არა იმ დღეს და იმწუთას.

კიდევ რამდენიმე საათი ან დღე უნდა დაგვეყო ერთად, სანამ ყველაფერს ექსპრესიული წერტილი დაესმებოდა.

აი, ასე მოხდა, რომ ფიორდის ვინრო განშტოებაში თითქმის გულმხიარულად შევცურეთ ჩრდილოეთით მდებარე ვეებერთელა მყინვარის მიმართულებით. ხედი იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ რაღაც მოხდა ჩვენ შორის: ეს ჰგავდა განთავისუფლებას ან კაშხალს, რომელიც უეცრად გაირღვა. ჩვენ ისევ ანცობამ აგვიტანა, ისევ უწინდებურად ავხარხარდით. ხო გახსოვს? ისე ვთამაშობდით ჩვენს როლებს, როგორც თავისუფალი და უღრუბლო ადამიანები. განსაცვიფრებელი მსახიობები ვიყავით. წინა ღამეს არ გვძინებია და ეს უთუოდ ნაგვადგა ორივეს. მაგრამ ამაზე უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ჩვენ ისევ ავინყვიტეთ და შეიძლებოდა ასე გაგვეგრძელებინა მომდევნო თორმეტი, ოცდაოთხი ან სულაც ორმოცდარვა საათის განმავლობაშიც. უეცრად ბონნიდ და კლაიდად[6] ვიქეცით. შეჩვეულები ვიყავით განცალკევებულ არსებობას, ყოფნას „შორეულ დასახლებად", როგორც თვითონვე ეუწოდებდით. ახლა კი კანონგარეშეც აღმოვჩნდით. ჩვენ როლები ვიკისრეთ (ეს შეგვიძლია ვაღიაროთ ოცდაათი წლის შემდეგაც), ცინიკოსების როლებში შეეედით.

სასტუმროში უბრალოდ ვთქვით, რომ რამდენიმე დღეს დავრჩებოდით, თუმცა არ ვიცოდით — მაინც რამდენს. რაკი თხილამურები დაინახეს, ვუთხარით, რომ მყინვარის მონახულება გვინდოდა. ვიცრუეთ: სამყინვარო კურსი გავლილი გვაქვს და ნამყოფიც ვართ მყინვარზეო. მგონი, სვარტისენის მყინვარი ვუხსენეთ...

არადა, მხოლოდ რამდენიმე დღის გატარება გვსურდა ერთად: შენ და მე. ვიფიქრეთ, რომ ეს, შესაძლოა, ჩვენი უკანასკნელი გიჟობა იყო. ხომ ვამბობდით, ახალდაქორწინებულები ვართო? ეს ხდებოდა „ქორწინების გარეშე თანაცხოვრების" აკრძალვის გაუქმებიდან სულ რაღაც ოთხიოდე წლის შემდეგ. ერთად ცხოვრების პირველ წელს ჩვენი უქორწინო სტატუსი ჯერ კიდევ შეიძლებოდა წარედგინათ პოლიციაში, როგორც „შეურაცხმყოფელი და დანაშაულებრივი" ურთიერთობა.

ასე იყო თუ ისე, საუკეთესო ნომერი მოვითხოვეთ. ვუთხარით, რომ რაღაც განსაკუთრებული მოვლენა უნდა აღგვენიშნა. მგონი, რაღაც ვთქვით გამოცდების ჩაბარებასთან დაკავშირებით. ასეც იყო: მე სულ ახალი დამთავრებული მქონდა რელიგიის ისტორიის მეორადი კურსი, შენ კი ჩათვლა მიგეღო ფიზიკაში.

სასტუმროს საუკეთესო ნომრის აღება პრობლემას არ წარმოადგენდა: ჯერ „სეზონი" არ იდგა. ჰოდა, ჩვენც ავდექით და კოშკის ოთახი ავიღეთ. თუმცა... სტეინ... გითხრა თუ არა ისიც, რომ... ზუსტად იგივე ნომერი მოგვცეს ზაფხულის იმ ღამეს ჩასულ მე და ნილს პეტტერსაც?! უცნაური იყო ისევ იქ ყოფნა *მასთან* ერთად. ვერ ვიტყვი, აბსოლუტურად შემთხვევითი იყო თუ არა ისევ იქ მოხვედრა (ახლა არაფერ ოკულტურს არ ვგულისხმობ), მაგრამ ნომერი ნილს პეტტერმა შეუკვეთა, — უდავოდ დიდსულოვანმა და ყურადღებიანმა კაცმა, რომელსაც მე მივთხოვდი. წყობიდან გამოიყვანა იმ ამბავმა, რომ შენ თითქმის მთლიანად ჩაგვიშალე ვიზიტი წიგნის ქალაქში. ვაპირებდით წიგნის მაღაზიებში სიარულს და ყველა იმ წიგნის მოძიებას, რომელთა წაკითხვა ვერ მოვასწარით ახალგაზრდობაში... თუმცა, მგონი გითხარი, რომ შინისკენ გზაზე ნილს პეტტერ ისევ გახალისდა და გამხიარულდა.

იმ დილას, მისაღებთან მდგომებმა, მე და შენ კიდევ ერთი რამ ვითხოვეთ. ალბათ, ცოტა არ იყოს თავხედურად გამოგვდიოდა, მაგრამ სხვა გზა არ გვქონდა. ვიკითხეთ, იყო თუ არა ნომერში რადიო, და უარყოფითი პასუხის შემდეგ მეორე კითხვა დავუსვით: ტრანზისტორს ხომ ვერავინ გვათხოვებსო? იქნებ ეს სარისკოც იყო, მაგრამ მეტისმეტად მოწყვეტილები ვიყავით ინფორმაციის ყოველგვარ წყაროს. ვთქვით, რომ შენ

იურისტი ხარ და აუცილებლად უნდა ადევნო თვალყური მიმდინარე ამბებს. დასავლეთ გერმანია და ბაადერ-მეინჰოფის ბანდაც ვუხსენე.

სულ რამდენიმე დღით ადრე ულრიკე მაინჰოფ მკვდარი იპოვეს სტამჰაიმის ციხეში. არ ვიცი, რატომ ვთქვი ის, რაც ვთქვი, მაგრამ უეცრად ისეთი განცდა გამიჩნდა, თითქოს მე და შენ რაღაცით ჩამოვგავდით ანდრეას ბაადერს და ულრიკე მაინჰოფს. იმ ნამს შენ უკმაყოფილოდ გამომხედე.

საბოლოოდ, ოთახიც მივიღეთ და რადიოც. ამიერიდან გვქონდა ნახევრად წრიული აივანი, საიდანაც ფანტასტიკურად მოჩანდა მყინვარიცა და ფიორდიც, ქვემოთ კი — ძველ ნავმისადგომთან მდებარე ორი მაღაზია. მაგრამ როდესაც დაეწექით, არ დაგვეძინა. ვინექით და რადიოს ვუსმენდით. არც შეგვიხედავს რა დრო იყო: ეჭვიც არ შეგვპარვია, რომ ყველაფერი, რასაც იმ პანია ტრანზისტორში იტყოდნენ, ჩვენთან იქნებოდა დაკავშირებული. სანამ ძილი მოგვერია, გავარკვიეთ როდის გადმოსცემდნენ ახალ ამბებს, როგორც ჩვენი ქვეყნისას, ისე საზღვარგარეთულს. პარლამენტს ხმა მიუცია კანონპროექტისთვის, რომელიც ეხება სამხედრო ნეევამდელების ასაკის შემცირებას ოციდან ცხრამეტ წლამდე. იყო შეტყობინება გერმანელი ფილოსოფოსის, მარტინ ჰაიდეგერის, გარდაცვალების თაობაზეც. მაგრამ არაფერი უთქვამთ მთებში მომხდარი ამბის შესახებ.

ინფორმაციის ეს დეფიციტი უკვე გვაფორიაქებდა. ჩვენი ორმაგი საწოლიდან და შამპანურის სემინარებიდან ცინცხლად შემონახულ დოსტოევსკის რასკოლნიკოვს იმით დავემსგავსეთ, რომ მასავით გაგვიჩნდა სურვილი აღმოვეჩინეთ ან, სულ ცოტა, ფრთხილად გამოვეკითხეთ. მერე კი ჩაგვეძინა. მგონი, რადიოც კი არ გამოგვირთავს. გაღვიძებით მხოლოდ გვიან ნაშუადღევსლა გაგვეღვიძა.

შენმა ტირილმა გამაღვიძა. ამჯერად სნორედ *შენ* ტიროდი. ვცადე დამემშვიდებინე: მკლავი მკერდზე დაგადე, კისერში გაკოცე და შეძლებისდაგვარად დაგარწიე.

ცოტა ხნის შემდეგ სანოლში ნამომსხდრები ისევ რადიოს ვუსმენდით, ნახევარსაათიანი რადიოუწყების თითოეულ სიტყვას ვაყურადებდით. არა, არაფერს ამბობდნენ. საღამოს შვიდი საათი იდგა და, ამ დროისთვის, უკვე ნახევარი დღე იყო გასული მთაში მომხდარი ინციდენტიდან, რომელიც ძალიან ჰგავდა მხეცურ „მოჰკალ-და-გაიქეცი" მკვლელობას, რომლის შემდეგაც უგულო ბოროტმოქმედმა ისე დატოვა დანაშაულის ადგილი (და, მასთან ერთად, დასახიჩრებული ან გარდაცვლილი მსხვერპლი), რომ არც სასწრაფო დახმარებისთვის დაურეკავს და არც

პოლიციისთვის შეუტყობინებია. „დღეს მობილიზებულ იქნა დიდი პოლიციური ძალები...“ არა, მსგავსი არაფერი ისმოდა. თუმცა ჩვენ — სონეფიორდის ერთ-ერთი განშტოების ზედა ბოლოში მდგარ სასტუმროში შეყუჟულებმა — მშვენივრად ვიცოდით, როგორ გამოვიქეცით და როგორ მივატოვეთ ბედის ანაბარა ვარდისფერთავშლიანი ქალი. მთლიანად ატანილებმა საკუთარი ბედნიერების განცდით, ჩვენ ის მოვცელეთ და თვალისდაუხამხამებლად გავაგრძელეთ გზა. მისი თავშალი ვიპოვეთ, დანარჩენი კი, ალბათ, ჩვენ შემდეგ მისულმა თეთრი ფურგონის მძღოლმა აკრიფა...

მაგრამ... ნუთუ ამის შემდეგ პოლიციაში არ დარეკა?

რა ხდებოდა საერთოდ? რატომ არაფერს გადმოსცემდნენ მომხდარი ამბის შესახებ? რატომ აჩუმათებდნენ? რალაც მიზეზს უნდა ეარსება ამისთვის. რითი *შეიძლებოდა* ახსნილიყო ეს? რატომ არ უნდა ეთქვა მთავრობას რაც იცოდა? რა ესაქმებოდა იმ შუაღამისას მთაში ნაცრისფერსამოსიან და ვარდისფერთავშლიან ქალბატონს? რა მიზნით იმყოფებოდა იქ? რაიმე სამხედრო ან საიდუმლო სამსახურებთან დაკავშირებული ამბავი ხომ არ იყო? რამე ისეთში ხომ არ გავერიეთ, რაც სახელმწიფო უშიშროებას უკავშირდებოდა?

ჩვენ ორში მე უფრო ცოცხალი წარმოსახვა მქონდა. უნდა გვჯეროდეს თუ არა, რომ ჩვენი მანქანის ქვეშ მოხვედრილი ქალი ნამდვილად ჩვეულებრივი ადამიანია-მეთქი, ვიკითხე ერთ მომენტში. რადიოში არაფერი ისმოდა დაკარგული პიროვნების შესახებ. პოლიცია არ მოუხმობდა მოწმეებს. იქნებ ის ქალი კოსმოსიდან მოსული უცხოპლანეტელი იყო? იმ ღამეს მთების ზემოთ ხომ უცნაური სინათლეც ციმციმებდა. ჩვენ ხომ ნამდვილად დავინახეთ ღამის ცაში ბრწყინვალე სინათლე... ერთი სიტყვით, არ გეშვებოდი, იქნებ რამე მეთქმევინებინა შენთვის.

ეს ყველაფერი ძალიან თავგზისამბნევი ჩანდა. მაინც *ვინ* გვემსხვერპლა იმ ღამეს? თუ არც უცხოპლანეტელი იყო და არც არანაირი აჩრდილი, მაშინ სადღაც მაინც უნდა დასმულიყო კითხვა ბოროტმოქმედის ვინაობის შესახებ. ვცადეთ, მოგვეხაზა ზოგადი შტრიხები: ეჭვი არაა, კაცს დაუწყებდნენ ძებნას, ქალი ხომ არასოდეს იზამდა იმას, რომ ასეთი ფათერაკის შემდეგ უბრალოდ მიმალულიყო. იქნებ პოლიციას ან უშიშროების სამსახურს სურდა მანამდე დაედგინა დამნაშავის ვინაობა, სანამ ამ ტრაგედიას საზოგადოებას გაუმხელდა?

მანქანა ჰელლაში გავაჩერეთ. იქნებ ავმდგარიყავით და ჩვენ თვითონ დაგვესმინა საკუთარი თავი? შეგვეძლო ანონიმური ზარი გაგვეშვა ბორნის მისადგომთან დატოვებული ფარებჩამსხვრეული მანქანის შესა-

ხებ. მერე კი ჩვენი მოუთმენელი ქცევა, საბოლოოდ, თავისას იზამდა. „წითელი ხოჭო" ხომ უკვე საეჭვო მანქანად დარეგისტრირდა პოლიციის ჩანაწერებში.

მაგრამ კითხვებისა და წინასწარი პასუხების მთელი ქაოსიდან ახალი, ცივად გათვლილი ამბიცია იშვა. ის მე ნარმოვთქვი პირველმა. ძვირფასო სტეინ, ვთქვი მაშინ, ჩვენ უკვე ხუთი წელია ერთად ვართ. უეცრად დიდ უიღბლობაში ჩავცვივდით და, რაკი ასეთი სისულელე შეგვემთხვა, ნამდვილად არ იქნებოდა გონივრული ჩვეულებრივად გაგვეგრძელებინა გზა ამ ავარიის შემდეგ. მაგრამ რაც უნდა დამართნოდა იმ საბრალო ქალს, ახლა ვეღარაფერს ვუშველით. მაშ, იქნებ შეძლებისდაგვარად გაგველამაზებინა ეს ბოლო დღეები?

„სირიუსი! — შეგვეედრე მე, — ანდრომედა, სტეინ!"

და შენც მაშინვე მიხვდი ჩემს ასოციაციას. ვგულისხმობ იმას, რაზეც მანამდე რევსნესში ვილაპარაკეთ.

მე ორივესთვის ვითხოვდი და არც შენ აღმოჩნდი ძნელი დასაყოლიებელი. ასე დაიწყო ჩვენი ერთად ყოფნის ის საოცარი დამაგვირგვინებელი დღეები. ჯერ შხაპი მივიღეთ, ნახევარი საათის შემდეგ კი ქვემოთ, მუზეუმის მსგავს ჰოლში ვისხედით და უკვე აპერიტივს ვწრუპავდით. იქ „ოქროს ძალა" არ ჰქონდათ, სამაგიეროდ ჰქონდათ არაყი „სმირნოვ" და მისი თანმხლები ლაიმის წვენი.

სადილის შემდეგ, ჩვენ-ჩვენი ყავით ხელში, ბუხართან მოვკალათდით იმავე ჰოლში. იქიდან მოყოლებული კვირის ბოლომდე თავიდან არ გვშორდებოდა რადიოგადაცემების განრიგი. ამიტომ ათი საათისთვის ნომერში ავედით და ახალ ამბებს მივაყურადეთ.

ისევ არაფერი ისმოდა.

აღარ გადმოვცემ იქ ერთად გატარებული კვირის დეტალებს, ისედაც გემახსოვრება. ეს ჩვენი ბოლო შეხვედრის დროსაც გავიხსენეთ. ხანგრძლივ სეირნობებს ვაწყობდით. პირველ დღეს სუპჰელედალზე ავფორთხდით თვით მყინვარის ენამდე. ყველაფერი თუ გახსოვს იმ დღის ამბებიდან, სტეინ? მაგალითად, ის, რა ვიპოვეთ ხავსში, მდინარის პირას, მას შემდეგ, რაც შოკოლადი შევსანსლეთ და შინაურულად მოქსოვილი ხელთათმანები შევიძინეთ სუვენირების მაღაზიაში უშუალოდ სუპჰელებრეენის მყინვართან? ალბათ, ეს ჩვენს საერთო საიდუმლოდ უნდა დარჩეს, არა? მეორე დღეს ველოსიპედები ვითხოვეთ და ჰორპედალიც მოვინახულეთ და ბოიადალიც. ამ უკანასკნელში რამდენიმე საათი დავყავით პატარა გამყინვარებიდან შემორჩენილ მორენზე.

ყველგან თან დაგვქონდა პანია რადიო-ტრანზისტორი. ერთხელ, მისაღებში გავლისას, ერთმა ქალმა, სახელად ლაილამ, მასზე მიგვითითა და სარკაზმნარევი ტონით გვკითხა: „ბაადერ-მეინჰოფ"?

ჩვენ ვითომ ვერ გავიგონეთ. ახალი ამბავი არა და არ ისმოდა. არავინ ინუხებდა თავს იმით, რა ჩაიდინეს ბონიმ და კლაიდმა თავიანთი გიჟური სეირნობისას. ჰოდა, ჩვენც შევხაროდით ამ ვითარებას, რომელიც კიდევ ერთ დღეს გვჩუქნიდა, მერე კიდევ ერთს. დიდი დრო მაინც აღარ დაგვრჩენოდა და თითოეულ ნაჩუქარ საათს ვაგემოვნებდით.

ვმსჯელობდით და ერთავად სპეკულაციებში ვიყავით.

იქნებ იმ ქალს მანქანით გადავლილ-მოკლულის *შთაბეჭდილება* უნდა შეექმნა? ეს რამდენადმე გაგვინელებდა დანაშაულის განცდას. თუმცა მსგავსი მოსაზრება ქანცსაც გვაცლიდა. იქნებ სწორედ მაშინ გადმოაგდეს გზაზე, როცა ჩვენ გავიარეთ. თუმცა არაფერი დაგვინახავს, სანამ უეცრად რაღაც წითელმა გაიელვა კაპოტთან. არც მაშინ დაგვინახავს ბუჩქებში ვინმე, უკან რომ დავბრუნდით ინციდენტის ადგილზე. ან, ეგებ, უკვე მანქანის დაჯახებამდე იყო მკვდარი? რატომაც არა? დიახ, *რატომაც არა?* ჩვენ სხვა არაფერი შეგვიმჩნევია, მხოლოდ „რაღაც წითელი გაელვება" კაპოტთან. ეს ფრაზა მრავალგზის გავიმეორეთ. მაგრამ თვით ქალი არ გვინახავს და, ალბათ, მხოლოდ მისი თავშალი ენახეთ იმ ნათელ ღამეში და ქარში. ვიღაცამ ის უფრო ადრე მოკლა და შემდეგ მხოლოდ გაითამაშა საბედისწერო დაჯახება თავისი დანაშაულის შესანიღბად. შეიძლება ქალი უკვე ინვა გზისპირას, ოლონდ იოლი შესამჩნევი არ იყო მხრებზე მოხვეული ვარდისფერი თავშლის გარეშე. თუმცა მწოლიარესთან შეჯახებაც კი საკმარისი აღმოჩნდა ფარის ჩასამსხვრევად...

ის უცხოელი იყო! აი, რა აზრამდე მივედით ცოტა ხნის შემდეგ. ამიტომაც არავინ მოიკითხა გაქრობის შემდეგ. უცხოური მარკის სატვირთო მანქანაც ხომ დავინახეთ (მის *გერმანულ* წარმოშობაზეც შევთანხმდით) ჰემსედალის სულ ზედა წერტილის ოდნავ ქვემოთ... ჰო, ზუსტად მანამდე, შენ რომ სატყეო გზაზე გადასვლა განიზრახე, სტეინ.

შეიძლება სატვირთო მანქანის მძღოლმა ის ქალი აიყვანა. ან, შესაძლოა, არსებობდა კავშირი ამ მანქანასა და იმ თეთრ ფურგონს შორის. ეს ყველაფერი შუაღამისას მოხდა და ზოგიერთი შეხვედრა ხომ სწორედ ღამის სიბნელეში უნდა ხდებოდეს.

ამჯერად გონებაში დავატრიალეთ გერმანული მარკის მანქანა, რომელმაც ქვეყნის საზღვარი გადმოკვეთა, და ორმოცდათხუთმეტამდე

ნლის ქალი, შესაძლოა — შიკრიკი, რომელსაც მთა უნდა გადაევლო და მეორე მხარეს თეთრ ფურგონს შეხვედროდა.

მაგრამ ჩვენი ინტენსიური სპეკულაციური უნარის მიუხედავად, უფრო შორს ვეღარ ნავედით.

მანდ ხარ?

პო, აქ ვარ. და, მე მგონი, საკმარისი დრო გქონდა საწერად. დღეს ბევრი არაფერი გამიკეთებია, გარდა ერთ ადგილზე ყოფნის და შენი იმეილების ლოდინის. გალიაში დამწყვდეული მხეცივით მიედ-მოედიოდი შენი ნაწერის მოლოდინში. მერე ნელ-ნელა დავმშვიდდი და რაღაც პრაქტიკული საქმით დავეკავდი. ფურცლების და დისერტაციების მთელი გროვა მოვაწესრიგე, ანუ ჩაეგარე რუტინული საქმე, ხუთ წელიწადში ერთხელ რომ აგარებს ადამიანი. რაღაც მომენტიდან სხვანაირი მოუსვენრობა დამეწყო. მაგრამ განაგრძე თხრობა. ჩემი მოუთმენლობა კი ნურც რამეს შეგამოკლებინებს და ნურც აგაჩქარებს.

ეს „ბოლო დღეები" დაუსრულებელი ჩანდა. გამორჩეულად რომანტიკული კვირა გვქონდა, რადგან ასეთ დაძაბულობაში ვცხოვრობდით და არ ვიცოდით, სადამდე გაგრძელდებოდა ჩვენი ბედნიერება. თუმცა მუდმივად ვერც გაურკვევლობაში დავრჩებოდით. მადლიერებით აღვსილნი „წყალობის კვირის" მიმართ (ასე მონათლა ერთ-ერთმა ჩვენგანმა ის პერიოდი სულ ბოლო დღეს), ერთგვარი მოლოდინით ავლაპარაკდით იმაზე, როგორი იქნებოდა დასავლეთ ნორვეგიის პასუხი ბონისა და კლაიდის ამბავზე. წარმოვიდგინეთ გაზეთებში დაწერილი ისტორიები, მათი სათაურები... და აზრადაც არ მოგვსვლია, რომ შეიძლებოდა დაუსჯელები დავრჩენილიყავით და რომ ჩვენი ცოდვა ვერასოდეს წამოგვეწეოდა და ვერ წაგვწვდებოდა ქეჩოში. არ გამიკვირდებოდა, თუ თავზარს დაგვცემდა ის პერსპექტივა, რომ მთაში გადახდენილი ამბავი სამუდამოდ აუხსნელ მისტერიად გაგვყვებოდა მთელი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე. რადგან ყველაზე აუტანელი ხომ გამუდმებული არცოდნის მდგომარეობაა. ისე ჩაიარა თითქმის მთელმა კვირამ, არაფერი გესმენია ღამით გატანილ და იქვე უგულოდ დაგდებულ ქალზე.

ვინ იყო ის ადამიანი, სტეინ?!!

პატარა პრობლემა შეგვექმნა ჩვენი საამური სასტუმროს მასპინძლებთან ურთიერთობაში. რა გვეთქვა — რატომ არ მივდიოდით მყინვარზე, როგორც თავდაპირველად განვაცხადეთ? შენ თქვი, სოლრუნ საუკეთესო ფორმაში არ არისო. მოკრძალებით დავაქნიე თავი, როცა

იცრუე ჩემს „შაკიკთან“ დაკავშირებით. ადვილია ცრუპენტელობა საგზაო ტრაგედიის, გარდაცვლილი თუ მძიმედ დაზიანებული ქალისგან გაქცევის შემდეგ. ცოტა ხანს დავიცდითო, ავუხსენით ჩვენ. ვითომ ჩემი ქალური ციკლის დღეებიც დაემთხვა. არა, არ დამთხვევია. ალბათ, უცნაურად გეჩვენება, ახლა რომ ვიხსენებ ამას. ჩვენ არასოდეს გვქონია ნორმაზე ნაკლები დღე და არც შაკიკს შევუნუხებივარ, რაც თავი მახსოვს. როგორც წყვილი, იმდენს ვურთიერთობდით, რომ ნამდვილად საძაგლობას ჩაიდენდი, თუ კიდევ შარს მომდებდი.

ერთ დღესაც ჩვენმა სანდომიანმა მასპინძელმა ხუმრობით თუ ნახევრად ხუმრობით გვკითხა: რამეს ხომ არ გაურბიხართ ან ხომ არ იმალებითო? გახსოვს, რა ვუპასუხეთ? ორივენი ტყუილებს ვროშავდით და ვთვალთმაქცობდით. ყველაფერს გამოვექეცით, რასაც პასუხისმგებლობის სუნი ასდისო, — ვთქვით, — ყოველგვარ ორომტრიალს და აურზაურს ვემალებითო. მან იჭვნეულად და გამომცდელად შემოგვხედა. ამან ცოტათი შეგვაქანა. შენც ადექი და პირდაპირ აჯახე: ეს თქვენი სასტუმრო ხომ დასასვენებელი ადგილიაო?

ეს მაშინ მოხდა, საუზმისთვის რომ დავბრუნდით სასტუმროში. ჭამის დროს კი შევთანხმდით: უკვე დაჰკრა საათმა, აქედან გუდა-ნაბადი ავიკრათო. არცთუ მხოლოდ ჩვენთვის დასმული უადგილო კითხვების გამო. ყველაზე მეტად გვექაჩებოდა იმპულსი — კიდევ ერთხელ მოგვენახულებინა უბედური შემთხვევის ადგილი. ამბობენ, დამნაშავე ყოველთვის აკითხავს დანაშაულის ჩადენის ადგილსო და ჩვენც კარგი მიზეზი გვქონდა: უნდა გვენახა, ხომ არ გამოგვრჩა რამე ისეთი, რაც გასაღებს მოგვცემდა ამ გამოცანის ამოსახსნელად. განსაკუთრებით ის გვაინტრიგებდა, იქვე დაგვხვდებოდა თუ არა ვარდისფერი თაეშალი.

იყო კიდევ სხვა რამეც. იმ დილით შენზე ადრე გამეღვიძა. მერე შენც ადექი, დამინახე შეზლონგში გაწოლილი და ღრმად ჩაფლული იმ წიგნის კითხვაში, წინა საღამოს რომ ვუკითხავდით ერთმანეთს. ვგულისხმობ „სულების წიგნს“, რომელიც შენ „გამოცხადებათა სპირიტუალისტურ წიგნად“ მონათლე. ახლა კი, ჩემი შემხედვარე, ისე წამოენთე, თითქმის გაშმაგდი. ვერ მივხვდი, რატომ. თუმცა ვეჭვობდი: იმიტომ ხომ არ სურს, ამ დილით დავტოვოთ აქაურობა, რომ ჩემს ახლადაღმოჩენილ საკითხავს მომწყვიტოს-მეთქი? წიგნი სასტუმროდან წასვლის წინ უნდა დაგვებრუნებინა. არადა, შენთვის არ მითქვამს, რომ ჩანთაში ჩავიდე და აღარც ამომიღია ოსლოში ჩამოსვლამდე.

ჰოლში გავლისას, გზად ჩვენი აივნისკენ, საიდანაც უკანასკნელად გესურდა დაგვენახა ფიორდი და სპილენძისფერ-მონითალო წიფლები,

სასტუმროს მეპატრონის ქალიშვილმა და ამჟამინდელმა პატრონმა გვთხოვა, ნახევარი საათით დაგვეტოვებინა მისი სამი გოგონა, სანამ ბანკიდან დაბრუნდებოდა. სხვა ყველაფერთან ერთად, ფიორდის მცირერიცხოვან საზოგადოებას ბანკის ფილიალიც ჰქონდა. მეყსეულად გამოვუცხადეთ ჩვენი მზადყოფნა. საყვარელი ბავშვები იყვნენ. მათ უკვე ვიცნობდით. უმცროსი ორ წელზე მეტი ხნის არ იქნებოდა. ბოლო ორი თვის მანძილზე მეც ხომ სერიოზულად ავლაპარაკდი კონტრაცეპციული აბების ყლაპვის შენყვეტაზე. მადლიერები ვიყავით ამ ნდობისთვის ბავშვების დედის მხრიდან. მაგრამ ვინ მიანდობდა *ბონის* და *კლაიდს* საკუთარ ბავშვებს? აღარ მახსოვს, რა მიზეზით, მაგრამ გოგონები მთელი დილა ჩვენ შეგვრჩნენ. ბოლოს ისიც ვთქვით, რომ ეს იყო უმცირესი რამ, რითიც აეუნაზღაურებდით ტრანზისტორითა და ველოსიპედებით სარგებლობას. რეალურად, ამის თქმა არ დაგვჭირვებია. ფაქტი ის იყო, რომ ჩვენი მცირეოდენი ფინანსები სასტუმროში დავხარჯეთ. კარგი კლიენტები ვიყავით, არც ღვინოზე ვმომჭირნეობდით საუზმე-სადილის დროს და არც ყავაზე და სხვა ამდაგვარზე ყუათიანი კერძების შემდეგ. მეხსიერება არ გატყუებს, სტეინ: მათ „კალვადოს" ჰქონდათ! იმხანად ეს იშვიათობა იყო, ყოველ შემთხვევაში — პატარა ქალაქების მოკრძალებულ სასტუმროებში მაინც. ეს სასმელი ხომ მაშინ შეგვიყვარდა, ნორმანდიაში რომ ვიმოგზაურეთ ჩვენი მანქანით. ახლა ველარ ვიხსენებ, ჰქონდა თუ არა 70-იანებში „კალვადოსს" სახელმწიფოსგან მიღებული ოფიციალური პატენტი. ასე იყო თუ ისე, ნორმალურ გარემოებებში ჩვენი ჯიბით მას ვერ გავწვდებოდით. იქ კი, რამდენიმე გამყინვარებისგან დარჩენილ ღრმა ნაპრალს შორის დასკუპებულ ძველ სასტუმროში, ყოველი სადილის შემდეგ ვისხედით და „კალვადოსს" ვწრუპავდით.

ასე გავატარეთ სასტუმროში კიდევ ერთი დღე. შუადღისთვის, როცა ბავშვებისგან გავთავისუფლდით, აღმოვაჩინეთ, რომ ბოლო ნაშუადღევიღა დაგვრჩენოდა. მანამდე უკვე მოვასნარით ფიორდის პანია დასახლების ყველა კუთხე-კუნჭულის ნახვა. ორიოდე ახლომახლო მწვერვალიც დავიპყარით (რასაც ჩვენი მუხლები გვარიანად ეხმიანებოდნენ ხოლმე მეორე დილით). მაშ, როგორ მოხდა, რომ უშუალოდ სასტუმროს უკან, ხეობის აყოლებაზე შეყუჟული მწყემსის ქოხი არ მოვინახულეთ? იმ იმედით, რომ მანქანა ისევ ჰელლაში იდგა და პოლიციას ჯერ არ ნაეყვანა გამოსაძიებლად, მეორე დილით უკვე შინისკენ მიმავალ გზაზე ვიქნებოდით, ყოველ შემთხვევაში — ამ მყინვარებიდან შეძლებისდაგვარად აღმოსავლეთით. არაფერს ვიღებდით, როგორც თავისთავად მოცემულს, მაგრამ კიდევ ერთი გასეირნება ნამდვილად გველოდა. დანიშნუ-

ლების ადგილი — მწყემსის ქოხი. ჩინებული დარი დაგვიდგა. მთელი იმ კვირის განმავლობაში, მგონი, ერთხელაც არ უწვიმია.

სულ მალე უკვე მუნდალსდალის აღმართს მივუყვებოდით შეფუთული საუზმითა და თერმოსში ჩასხმული ჩაით, — სწორედ იმ აღმართს, სულ რამდენიმე კვირის წინ რომ ავიარეთ კიდევ ერთხელ. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი უკლებლივ გახსოვს როგორც ძველი, ისე ახალი ეპიზოდიდან. მაგრამ ახლა გაგიზიარებ იმას, რაც მე დამახსომდა, რათა კიდევ ერთხელ დეტალურად მიჰყვე ყველაფერს.

მარცხენა მხარეს ჩამოვიტოვეთ უკანასკნელი ფერმა და მისი წითელი ბეღელი, მარჯვნივ — სასროლი პოლიგონი. გარკვეულ მანძილზე გზა მარჯვნიდან მისდევდა მხიარულად მჩქეფარ მდინარე მუნდალსელვენს, ბოლოს კი ჰეიმსტოლენის საზაფხულო ფერმამდე მივიდა. ზოგან ხრეშიან გზაზე მოფენილ ცხვრისა და ძროხის ნაკელზე გადახტომაც გვიწევდა. შინაური საქონელი ახლახან გამოეყვანათ ზაფხულის საძოვარზე.

საკუთარ თავს შევხაროდით. კვირამ ჩაიარა, ჩვენ კი არ ვიცოდით, წინ რა გველოდა. თუნდაც არავითარი გართულება არ მოჰყოლოდა ჰემსედალის მთაში მომხდარ ამბავს, სასიცოცხლო ნაიარევს მაინც დაგვიტოვებდა. ჩვენ ეს გვესმოდა და არ ვიცოდით, როგორ გვეცხოვრა ერთად ამ ხსოვნით. მაინც ვხუმრობდით და ვიცინოდით, მაინც იგივე ადამიანები ვიყავით და გარკვეული მელანქოლიით ვაცნობიერებდით, რომ ეს იყო ჩვენი უკანასკნელი დღე სამოთხეში, „ეროტიკულ ყურეში" (ჩვენივე სახელდებით). არადა, თვით ყურე კი არ იყო ეროტიკული, არამედ მე და შენ, მასში რომ ვდგაფუნობდით და ყირამალა გადავდიოდით მთელი ის კვირა.

სიარულის დროს სულ ჩემი მოფერება გინდოდა. ერთგან კი უფრო მეტიც მოითხოვე, — რეალურად და არა მხოლოდ სიტყვის მასალად. მთელი ხეობა ჩვენს განკარგულებაშიაო, — არ მეშვებოდი, — თბილა და მურყნის ტევრიც უპრობლემოდ შეგვიფარებსო... მაგრამ მე არ გავტყდი და, ჯერ მწყემსის ქოხამდე ავიდეთ-მეთქი, გითხარი. „იქ კი გამოჩნდება, რა მამაკაციც ხარ", დავამატე რბილად. ეს ფრაზა იმიტომ მახსოვს, რომ ლამის ნაპერწკლები გაგაყრევინა ბრაზისგან. მერე კი მოხდა რაღაც, მთლიანად რომ ჩამოგართვა კაცობა არათუ მომდევნო დღეების, არამედ მთელი კვირების მანძილზე. მას შემდეგ ჩვენ აღარასოდეს ვყოფილვართ ერთად, აღარასოდეს გაგვიყვია სარეცელი.

გზის მარცხენა მხარეს, თხრილში, ჰეიმსტოლენიდან ორასიოდე მეტრის მოშორებით, უხვად ამოზრდილიყვნენ ფუტკარები. *Digitalis*

purpurea. ისეთი მაღლები იყვნენ და ისეთი ვარდისფრები! ვიცოდი, რომ ამ მცენარის ნაყოფის მჭამელი შეიძლება მოკვდეს, თუმცა ისიც ვიცოდი, რომ იმავე მცენარის ფოთლებს მისი ნაყოფით მოწამლული ადამიანის ხსნაც შეუძლია. ზარის მოყვანილობის ყვავილებს აშკარად ჰქონდათ რაღაც მაცდუნებელი. მე გამოგეცალე და მათკენ გავიქეცი. წამოდი-მეთქი, მოგაძახე.

ცოტა ხანს ფუტკარებს ველოლიავეთ, თუმცა შემდეგ ჩვენი ყურადღება მიიპყრო არყის ხეების ხშირმა შეჯგუფებამ ჩვენგან მარჯვნივ, საამურად რომ ეშვებოდა გზის კიდემდე. ხეების შავ და თეთრ ღეროებს შორის მოჩანდა პაწია მოღიავებული ადგილი, ხასხასა მწვანე ხავსის მდელო, იქ კი... იქ, ყოვლად მოულოდნელად, დავინახეთ ნაცრისფერკაბიანი ქალი მხრებზე მოსხმული ვარდისფერი თავშლით. ეს უკანასკნელი ზუსტად ფუტკარების ფერის იყო. ამაზე მე ძალიან ბევრი ვიფიქრე მომდევნო წლებში.

თვალმოუშორებლად მოგვჩერებოდა და გვიღიმოდა. ზუსტად ის ქალი იყო, ჰემსედალში რომ დავეჯახეთ, სტეინ! ისეთი განცდა გაგვიჩნდა, თითქოს ვიღაც აღმატებულმა არსებამ სწორედ ჩვენს პატივსაცემად ჩამოსვა შუა ლანდშაფტში. სადღეისოდ, ვფიქრობ, მეტი ვიცი იმის თაობაზე, თუ ვინ იყო და საიდან მოვიდა. თუმცა, მოთმინება!

მოგვიანებით ჩვენ სრულებით ერთნაირად აღვწერდით იმას, რაც ვნახეთ. შევთანხმდით, რომ სწორედ ის ქალი იყო, ჰემსედალის ნვერზე გზიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით მოსიარულეს რომ გადავეყარეთ ერთი კვირის წინ. იგივე ადამიანი იყო და იგივე თავშალი მოესხა. ასე რომ, სრული ერთსულოვნება გვქონდა ყველაფერში, რაც ვნახეთ. უცნაური ის იყო, რომ იმაში ვერ შევთანხმდით, რა *წარმოთქვა* მან ცოტა ხნის შემდეგ. ეს, მართლაცდა, უცნაურიც იყო და სრულებით უჩვეულოც, მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით მე ამის გონივრული ახსნა მომეპოვება.

მაშ, რა სიტყვები წარმოთქვა? სრული სიცხადით მახსოვს, როგორ მომიბრუნდა და მითხრა: „შენ ხარ ის, ვინც მე ვიყავი, მე — ის, ვინც შენ გახდები“. შენ კი აგიჩემებია, სულ სხვა რამე თქვაო. განა ეს უჩვეულო არ არის მას შემდეგ, რაც არაერთგზის შევთანხმდით, რომ ნახვით უდავოდ ერთი და იგივე რამ ვნახეთ? ჯიუტად იმეორებდი, მან მე შემხედა და ასე თქვაო: „ბედნიერი ბილეთი შეგხვედრია, ჩემო ბიჭუნა“.

რაც უნდა თქვა, ეს ფრაზები ერთნაირად არ ჟღერს. არც შინაარსით აქვს რამე საერთო. შენ სიტყვების ერთი მწკრივი მოგესმა, მე — მეორე.

მაინც რას გულისხმობდა ეს ორმაგობა? ან როგორ ჩაიდინა ასეთი ხრიკი? იმხანად ეს უდიდესი საიდუმლო იყო. მაგრამ მოიცადე...

დღეს ჩემთვის ნათელია, რომ „ვარდისფერთავშლიანი ასაკოვანი ქალი" იგივე პიროვნებაა, ვინც ჩვენ მანქანით გავიტანეთ და რომელიც ახლა საიქიოდან მოვიდა ჩვენს სანუგეშებლად! მან გაილიმა. და თუმცა იმ ღიმილს *თბილს* ვერ ვუწოდებ (სიტყვებს „თბილი" ან „ცივი" ხომ, უნინარეს ყოვლისა, *ადამიანური* დატვირთვა აქვთ), მაგრამ არც *უსიამოვნო* იყო ნამდვილად. ეს იყო ეშმაკური, ცელქი და ონავრული ღიმილი. არა, ეს მაცდუნებელი ღიმილი იყო, სტეინ! „მოდი, მოდი, მოდი! — გეუბნებოდა ის, — სიკვდილი არ არსებობს. ჰოდა, წამოდი, წამოდი, წამოდი!" მერე კი, უბრალოდ, თვალსადახელშუა გაქრა.

შენ ბილიკზე ჩაიჩოქე, ხელები თვალებზე აიფარე და ატირდი. არ გსურდა, თვალებში შეგეხედა ჩემთვის, თუმცა მე მაინც დავიხარე და მოგეალერსე. „სტეინ! — გითხარი, — უკვე ნავიდა."

შენ კი მაინც ქვითინებდი. მეც თავზარდაცემული ვიყავი, იმხანად ხომ დიდი არაფერი მწამდა. მაგრამ იმან მიშველა ცოტათი, რომ, შენი სახით, ჩემი კაცი მყავდა მისახედი.

უცებ წამოვარდი და სირბილით აუყევი ხეობას. თავქუდმოგლეჯილი გარბოდი. ვცადე, არ ჩამოგრჩენოდი. შორს ვერსად გაგიშვებდი. მალე ისევ გვერდიგვერდ მივაბიჯებდით, მერე კი ჩვენს თავს გადამხდარ ამბავზე ავლაპარაკდით. ორივე ერთნაირად აღელვებულები ვიყავით.

ჩვენ-ჩვენი პოზიციები ჯერ არ გამოგვეკვეთა. ვმსჯელობდით, ერთმანეთს კითხვებს ვუსვამდით, ურთიერთსანინააღმდეგო მოსაზრებებს ვნონიდით. თუმცა იმთავითვე შევთანხმდით, რომ არყის ხეების ტევრში და ჰემსედალში შეხვედრილი ქალი ერთი და იგივე პიროვნება იყო, ანუ ის, ვისაც ჩვენი მანქანით დავეჯახეთ და, ჩემი აზრით, მოვკალით. ახლა ეს ფაქტი არავითარ ეჭვს აღარ იწვევდა, მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით შენ უფრო შეუპოვრად გაიძახოდი: ის ქალი არათუ გადარჩენილა, არამედ ჩინებულადაც გადაუტანია ტრამვაო.

როგორ გამოგვყვა აქამდე? — იკითხე მაშინ თავზარდაცემულმა. გეშინოდა, იქნებ ისევ ფეხდაფეხ მოგვდევსო. „იქნებ ჩვენს სასტუმროში გაჩერდეს და სადილობის დროს ისევ შევხვდეთ?" ამ შიშებმა უფრო და უფრო მატერიალისტური სარჩული შეიძინა. აი, მე კი ნელ-ნელა რადიკალურად განსხვავებული თვალსაზრისი ჩამომიყალიბდა. მეეჭვებოდა, ის ქალი სასტუმროში გაჩერებულიყო ან კიდევ სადილობისას გვენახა. „ის მოკვდა, სტეინ", გითხარი მე. შენ ისე შემომხედე, თითქოს მწონიდი, მე კი განვაგრძე: „შეიძლება კი არ გამოგვყვა, არამედ სწორედ *ჩვენთან* მო-

ვიდა. იმქვეყნიდან მოვიდა, სტეინ". შენ მომაჩერდი. თუმცა ამ მზერაში არავითარი ძალა არ იგრძნობოდა, მხოლოდ უმწეობა.

პო, უმწეობა. ვიცოდი, რომ ჩვენი დაშორება კარგე იყო მომდგარი. მაშინ ვერ დავიჯერებდი და არც ახლა მჯერა, რომ მიცვალებულებს შეუძლიათ გვესტუმრონ ხოლმე ან რომ, საერთოდ, სადმე შეიძლება მათი მოძებნა. შენ შესძელი გერწმუნა ეს (ამჟამად მე ვაფასებ შენს მეხედულებებს). მიუხედავად ყველაფრისა, წლების მანძილზე რაღაც შეიცვალა. თუმცა, მართალი ხარ: მამინ ასეთს ვერაფერს დაეჯერებდი.

მაგრამ განაგრძე, თუ შეიძლება. მგონი, კეთილსინდისიერად გადმოსცემ ჩვენს ისტორიას.

რაც უფრო მეტ ბოლთას ვცემდი ჩემს პაწია კაბინეტში ამ დილით, მით მეტი მოუსვენრობა და ფორიაქი მიპყრობდა. ვგრძნობ, რაღაც უნდა მოვიმოქმედო. ახლა შუადღეა და მეც გადაწყვეტილება მივიღე.

ახლა კი შენი სათქმელის ბოლო თავებიც მომწერე. ვგრძნობ, რითიც დამთავრდება ეგ ყველაფერი: ჩვენ ხომ ბევრი ვილაპარაკეთ, სანამ ყველა ძაფს გადაჭრილი და ბერგენს გაემგზავრებოდი შენებთან. დღის დასრულებამდე გიპასუხებ. გპირდები!

მნყემსის ქოხამდე ასულები შევთანხმდით, რომ შეძლებისდაგვარად დიდხანს გადავდებდით ყოველგვარი ინტერპრეტაციის მცდელობას. მეორე დღეს ხანგრძლივი მგზავრობა გველოდა სახლამდე, გზად კი მთებიც უნდა გადაგვეველო და რეგიონის საზღვარიც გადაგვეკვეთა. ნუთუ მაშინ, როდესაც ყველაფერი ჯერ კიდევ ცინცხლად ციმციმებდა ჩვენს გონებაში, დროებით მაინც არ უნდა შევთანხმებულიყავით იმაში, რაც ორივემ რეალურად ვნახეთ და განვიცადეთ?

შევთანხმდით, რომ მე ჩავიმუხლე და ვარდისფერ ყვავილებს შევეხე. შენ ზურგიდან მომიახლოვდი, ჯერ თმაზე გადამისვი ხელი, მერე ჩემსავით ჩაიმუხლე და შენც შეეხე ფუტკრებს. ზუსტად ვერ ვიხსენებ, *მოგვესმა* თუ არა რამე ხმაური გზის მეორე მხრიდან, მაგრამ უცებ რაღაცამ ნამდვილად მიგვაბრუნა იქითკენ. იმ ნამში არყის ხეებს შორის ქალის ფიგურა განსხვეულდა. მხრებზე ვარდისფერი თავშალი მოესხა და ისე იდგა ხავსზე, როგორც „უორტლბერიელი ქალი ზღაპარში". ეს მე ვთქვი პირველად, ანუ პირველმა შემოვიტანე სახელი, რომელიც დაგვეხმარა ჩვენი სათქმელის გამოთქმაში და იქცა სიტყვიერ ხატად, რომელსაც ორი შეჭირვებული სული მიმართავდა. მრავალი დღე ვილაპარაკეთ უორტლბერიელ ქალზე და, როგორც ჩანს, ახლაც — ოცდაათი ნლის

შემდეგაც -- შეგვიძლია განეაგრძოთ ეს საუბარი. მაშინ ისე ადვილად ვერ ვილაპარაკებდით აჩრდილთან, მოჩვენებასთან თუ სულთან შეხვედრაზე. ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს შუა 70-იანებში მოხდა. სულ რამდენიმე დღის წინ ულრიკე მაინჰოფ მკვდარი იპოვეს სტამჰაიმის ციხეში. იმავე წელს ნორვეგიაში გამოიცა ამ თემისადმი მიძღვნილი არაერთი რომანი. რასაკვირველია, რამდენიმე ეული ხმა აცხადებდა: სრულებით ახალ ერაში შევდივართო; ეს შემობრუნების მომენტია და ჩვენ „მერწყულის ეპოქის" ზღურბლზე ვიმყოფებითო.

ჩემი სპირიტუალიზმის საპირისპიროდ, შენმა მატერიალისტურმა თვალსაზრისმა მიგიყვანა თავშესაქცევ თეორიამდე, რომლითაც დაგვირგვინდა ციებ-ცხელებით ატანილი შენი ძიება. უკვე შეთანხმებული ვიყავით იმაში, რომ უორტლბერიელი ქალი და ჰემსედალის მთაზე ნანახი ქალბატონი ერთი და იგივე არსება იყო. უეცრად შენ მითხარი: „სცადე, ფილმივით დაინახო ეს ყველაფერი, ან ისე წაიკითხო, როგორც კრიმინალური თრილერი!" ძალიან მაინტერესებდა, ამის შემდეგ რას მოაყოლებდი. „იქნებ არყის ხეების ტევრში ნანახი ქალი ტყუპისცალია იმისა, ვინც ჰემსედალში იყო..."

ეგებ იესომაც იმიტომ გაიარა წყალზე, რომ გალილეის ზღვას ყინული ჰქონდა გადაკრული?!.

როცა სასტუმროსკენ დაშვებულებმა ისევ ჩავუარეთ იმ ადგილს, ხელიხელჩაკიდებულები მივაბიჯებდით აჩქარებული ტემპით. თუმცა შევთანხმდით: არავითარი პანიკა! ორივეს ერთნაირად გვეშინოდა. შენ გეყო სიმამაცე, არ გაქცეულიყავი, მაგრამ ამის საფასური მე გადავიხადე, რადგან არყის ტევრის გასწვრივ ისე მომიჭირე ხელი, რომ მომდევნო რამდენიმე დღე თითები მტკიოდა. მახსოვს ის ღვინო, იმდღევანდელ საღილს რომ ვაყოლებდით. ჩვენ გვჭირდებოდა ეს სასმელი და ამიტომაც აღარაფერი დავტოვეთ ბოთლში. ის კი არა, ნახევარი ბოთლი კიდევ მოვითხოვეთ. თუმცა ისიც მახსოვს, როგორ მიმძიმდა ჭიქის აწევა ნატკენი ხელით.

მახსოვს ის ღამეც, სტეინ. ახლა ჩემი ჯერი დადგა, რომ მეცდუნებინე. ძალიან დაუხვენავად ვიქცეოდი. უეცრად აზრად მომივიდა, რომ მხოლოდ ეს შანსი დამრჩენოდა. თუ ახლა ვერაფერს გავხდებოდი, მაშინ ველარასოდეს ვიპოვიდით ერთმანეთს. ჩემთვის ნაცნობი ყველა ხრიკი ვცადე. ეს რომ რამდენიმე საათით ადრე მომხდარიყო, თავბრუს დაგახვევდი და ჭკუიდან გადაგიყვანდი. მაგრამ ამჯერად აღარაფერი ჭრიდა. რაკი მომხდარმა ამბებმა გულ-მუცელი გადაგიტრიალა და, ჩემი არ იყოს, შენც წინდაწინ ფიქრობდი მომავალზე, ამიტომაც, ბოლოს და ბო-

ლოს, გვარიანად გამოიბრუჟე. სადილისა და კალვადოსის შემდეგ ერთი ბოთლი თეთრი ღვინო ავიღეთ და ნომერში ავედით, თუმცა მე ერთი ყლუპიც არ დამილევია. თუ გახსოვს, რითი დამთავრდა ეს ყველაფერი? შენ დასაძინებლად პირდაპირ იატაკზე დაწექი და თავი სანოლის ფეხს მიაბჯინე ზედ ჩემს კანჭებთან. ერთადერთხელ მოგითათუნე ნიკაპზე ფეხის თითები, მაგრამ შენ იმწამსვე უკუმაგდე, — არა მტრულად ან უხეშად, მაგრამ მტკიცედ და არაორაზროვნად. თავიდან არცერთს არ ჩაგვეძინა. ვიწექით და ვიცოდით, რომ მეორესაც ეღვიძა, თუმცა ორივე თავს ვიმძინარებდით. ბოლოს ჩაგვეძინა კიდეც, ყოველ შემთხვევაში — შენ მაინც. იმდენი ალკოჰოლით გაჭყეპილი, რაღა თქმა უნდა, დიდხანს ვერ იფხიზლებდი.

მწარედ ვნანობდი, თავი რომ არ დაგითმე იმ მურყნიანში, სანამ ვარდისფერთავშლიან ქალს გადავეყრებოდით. ვიცოდი, რომ ახლა ნამდვილად შეიძლებოდა დავშორებულიყავით... და უკვე მენატრებოდი.

წყვილის ურთიერთლტოლვა ერთ სანოლში უფრო მძაფრი და ინტენსიური შეიძლება იყოს, ვიდრე სხვადასხვა კონტინენტზე მყოფი ორი ადამიანის ურთიერთსწრაფვა.

თავგდასავალი დამთავრდა. მეგობრულად ვსაუბრობდით გემზე, რომლითაც ფიორდი გადმოვცურეთ. დავლიეთ ყავა და დასავლეთნორვეგიული ბლინებიც მივაყოლეთ. გემმა ჰელლაში ჩაგვიყვანა ჩვენი ჩანთებიან-თხილამურებიანად. მანქანა იქვე იდგა, სადაც დავტოვეთ. ისე გამოიყურებოდა, თითქოს თავს მიტოვებულად გრძნობდა და მძაფრად ვენატრებოდით. „საბრალო ფარები და წინა ბამპერი!", გავიფიქრე ჩემთვის და, მგონი, ხმამაღლაც ნარმოვთქვი. შენს პასუხს აშკარად სახრჩობელას სუნი უდიოდა: „ეს მანქანა ჩვენ გვგავს". სხვა რა დაგვრჩენოდა: ჩავსხედით და წამოვედით.

რას ვიპოვიდით იქ, მთაში? რა დაგვაკლდა უკანასკნელად, როცა იქიდან წამოვედით? გულდასმით თუ ვეძებეთ სისხლის ლაქები, კანის ან თმის ნარჩენები?

თუმცა, რეალურად, მხოლოდ ამაზე არ ვსაუბრობდით. თუ გარემოებებს გავითვალისწინებთ, საკმაოდ სასიამოვნო მგზავრობა გვქონდა. იქნებ ვხვდებოდით, რომ ეს ჩვენი უკანასკნელი ერთობლივი მოგზაურობა იყო? ერთმანეთს უკვე რაღაცნაირად პოსტ-სიმბიოზურად ვეპყრობოდით. ნებისმიერი იმპროვიზირებულ-პულსისამჩქარებელი გადახვევა მორიგი სიყვარულის ბუდისკენ ახლა გამორიცხული იყო. თუმცა ერთმანეთს მეგობრულად ვექცეოდით. არც თავაზიანობა გვაკლდა და არც ტაქტი.

ჯერ ფიორდი გადმოვცურეთ და ლერდალში შევედით. იქვე იყო მდინარე და ხის ეკლესია. გული ამიჩქროლდა იმ უფსკრულთან, სადაც ერთი კვირის წინ ისიც კი ვიფიქრე შენზე, ჩემს მოკვლას ან თავის გადაჩეხვას ხომ არ აპირებს-მეთქი. ახლა კი მარჯვენა ხელი საჭეს მოაცილე და მხრებზე მომხვიე. აშკარად მანუგეშებელი ჟესტი იყო. ერთხელ კიდევ აღმოვჩნდით ჰემსედალის წვერზე.

მე კი საპირისპირო მიმართულებით მივქრიეარ. ახლა გოლში ვარ და უკაბელო საინტერნეტო ზონამიც შევაღწიე პერის სასტუმროში. წაეიკითხე შენი უკანასკნელი ნაწერი და ახლა იქიდან გპასუხობ. თუმცა ვგრძნობ, ეიღაც-ვიღაცები მითვალთვალებენ, რადგან მე სასტუმროში გაჩერებული სტუმარი კი არ ვარ, არამედ მხოლოდ გამვლელი მოგზაური. მომენტებში თითქოს დალაპარაკებასაც აპირებენ. ძველ დროში ადამიანი იმისთვის შეიპარებოდა ხოლმე სასტუმროში, რომ ტუალეტით ესარგებლა. ახლა იგივე ითქმის ინტერნეტზე.

კიდევ ერთხელ მომიწია იმ მთის გადავლა. თუმცა ახლა უნდა შევწყვიტო წერა. ინტერნეტთან ოთხი-ხუთი საათის მერეღა მოვალ, ანუ მთელი ეს დრო შენს განკარგულებამია. იმ მომენტისთვის უკვე სასტუმროში ვიქნები. დავურეკე კიდეც, მოვდივარ-მეთქი. თუმცა ახლა სეზონის ბოლოა და მითხრეს, ამაღამ თქვენ შეიძლება ჩვენი ერთადერთი სტუმარი აღმოჩნდეთო.

ფიერლანდში გაგიწევია, სტეინ? მაშინ შეგვეძლება ხელიც კი დავუქნიოთ ერთმანეთს ჰემსედალში. სადღაც იქ ჩავუქროლებთ ერთმანეთს. იქ კი, კიდევ ერთი მეტრიც და — მთელი თაობა გაგვიჯნავს ერთმანეთისგან, მთელი ოცდაათი წელი...

ჰოდა, იმას გეუბნებოდი, რომ უკან დაბრუნებულებმა დავინახეთ ტბა ელდრევატნეტის ცივი, მოელვარე ზედაპირი. შენ ხელები ისევ აგიცახცახდა საჭეზე და ფეხსაც თითქოს გაუბედავად აჭერდი გაზის პედალს. ამასობაში მივედით კიდეც. მანქანა გზისპირას გააჩერე და ჩვენ წითელი ხოჭოდან გადმოვძვერით. ჯერ კიდევ დიდი გულდასმით ვზრუნავდით ერთმანეთზე, თუმცა მომხდარით გამოწვეულმა მნუხარებამ, სინანულმა და სიმნარემ ეროტიკული ძაფი გადაგვიჭრა. შენ ილანძღებოდი, ძალიან უხეშად იქცეოდი. მანამდე არასოდეს გამეგონა შენგან ასეთი სიტყვები და ახლა ვტიროდი.

ვარდისფერი თავშალი აღარ დაგვხვდა. გვარიანი ტერიტორია გადა-ვქექეთ და ვერსად ვიპოვეთ. ვინმე ხომ არ წააწყდა შემთხვევით და თან გაიყოლა? ქარმა ხომ არ გააფრიალა სადმე?

ველარ ვიხსენებ, გულზე მომეშვა თუ იმედი გამიცრუვდა, როცა მანქანის წინა ფარის კიდევ რამდენიმე ნამსხვრევი ვიპოვეთ. ამას ხომ ვერანაირად ვერ წარმოვიდგენდით: მაღალი სიჩქარით მოვდიოდით და ადამიანი გავიტანეთ! ავარიის სხვა კვალი არ გვინახავს: არც სისხლის არავითარი ნიშანი, არც დიდი ქვა ან მინის ბელტი, რომელსაც მანქანა ნამოედო.

წითელ ხოჭოში დავბრუნდით და გზა განვაგრძეთ. შენ ოთხკუთხა ფორმის უცნაური მინაყრილი დამანახე ტბის მოპირდაპირე ბოლოში, თითქოს ამას რაიმე საერთო ჰქონდა მთელ დანარჩენ საიდუმლოსთან.

ჰემსედალიდან დაშვებისას მხოლოდ იმაზე ვისაუბრეთ, რა მოხდა იმ ღამეს, აქ რომ ამოვდიოდით. მგონი, ეს საუბარი შენ წამოიწყე, როცა სატყეო გზას გავცდით, — იმას, რომელზეც ჩემს გადაყვანას და დაყოლიებასაც შენისთანა გამოუსწორებელი მუსუსი მიპირებდი! ახლა ხომ წარმოუდგენელი იყო, რომელიმე ჩვენგანს მსგავსი რამ განეზრახა.

შევთანხმდით, რომ შინ დაბრუნებამდე შეგვეძლო გვემსჯელა საბედისწერო შეჯახებაზე, აი, კრინგსოში მისვლის შემდეგ კი აღარასოდეს ვახსენებდით იმას, რაც მთის გზაზე ვიწვნიეთ, — არც ერთმანეთთან და არც ვინმე სხვასთან. და ასეც მოხდა, როცა ოსლოში დავბრუნდით. იქიდან მოყოლებული, არსად არასოდეს თქმულა ის, რაც ტბა ელდრევატნეტთან გადაგვხდა. ეს ჩემი იმეილები არღვევენ ძველ შეთანხმებას, მაგრამ არ მჯერა, რომ ამან კიდევ რაიმე უბედურება დაგვატეხოს მომავალში. იმედი მაქვს, პირიქით, და ამიტომაც გწერ ამ ყველაფერს.

იმ მთაზე ვარდისფერი თავშალი აღარ იყო. ალბათ, მალევე გაქრა იქიდან, თუმცა ახლა ეს ფაქტი საკუთარი თვალით ვნახეთ. სადღაც სიღრმეში, ცოტა არ იყოს, გულაცრუებული ვიყავი: ისევ რომ გვეპოვა, თუნდაც გახეული ან დასვრილი, ეს, სხვა რომ არაფერი, იმაზე მაინც მიგვანიშნებდა, რომ არყის ტევრში ნანახი ქალი სისხლისა და ხორცისგან შემდგარი არსება კი არ იყო, არამედ სული, რომელიც მხოლოდ ჩვენ დაგვენახა. ასეთ შემთხვევაში, საქმე გვექნებოდა ორ თავშალთან: ერთი, რომელიც ეკუთვნოდა ავარიის მსხვერპლს, და მეორე, რომელიც ისევ მხრებზე ეხვია უორტლბერიელ ქალს.

რაკი რადიოში არაფერი უთქვამთ ავარიის შესახებ, ჩვენც დავასკვენით, რომ დაზარალებული ქალი თეთრი ფურგონის მძღოლმა წაიყვანა. თუმცა იმაზე ვერ ვთანხმდებოდით, სახელდობრ რა მდგომარეობაში

ჩავარდა ქალი ავარიის შემდეგ. შენი თვალთახედვით, ქალთან შეხვედრამ არყის ხეების ტევრში ცხადყო, რომ ავარიის შედეგად მას ბევრი არაფერი მოსვლია. ჩემი ხედვის ნერტილიდან კი სრულიად საპირისპირო რამ მოხდა: ის ნამდვილად ემსხვერპლა ჩვენს მანქანას, ხოლო იქ, სტეინ, სიკვდილის მილმა, ნამდვილად არსებობს რაღაც! შენი აზრით, ის მაშინვე წამოდგა და თავისი ფეხით აბრძანდა თეთრ ფურგონში. ეჭვიც არ გეპარება, რომ ისევ ჰემსედალში აპირებდა ჩასვლას და რაღაცნაირად დაკავშირებული იყო იმ უცხოურ სატვირთო მანქანასთან. ასეთი გამოსავალი არანაკლებ ახსნიდა, რატომ არ ახსენეს ახალ ამბებში საგზაო შემთხვევა. ჩემი აზრით კი, ვარდისფერთავშლიანი ქალი ან ძალიან დაშავდა ან საერთოდ გარდაიცვალა და შემდეგ თეთრმა ფურგონმა აიყვანა. პარადოქსია, მაგრამ ერთ რამეში სრული ერთსულოვნება გვქონდა: ინციდენტიდან ერთი კვირის შემდეგ ქალი მშვენივრად გამოიყურებოდა. ოღონდ, შენი აზრით, ეს ამ ნუთისოფელში ხდებოდა, ჩემთვის კი — იქ, სადაც ის ახლაც ბინადრობს.

დღის იმ კონკრეტულ მონაკვეთზეც ვიმსჯელეთ.

— თუ ის ქალი მხოლოდ გავკაბრეთ, იქნებ ცოტათი ნაადრევია მისი დაკავშირება რამდენიმე წუთის შემდეგ ჩავლილ თეთრ ფურგონთანო, — თქვი შენ, — შეიძლება მან ისევ განაგრძო გზა. რატომ შეატყობინებდა, ამ შემთხვევაში, ფურგონის მძღოლი პოლიციას მხოლოდ იმას, მთის გზაზე მარტოდ მოსიარულე საშუალო ასაკის ქალი დავინახეო?

— მაგრამ ჩვენ მისი არაფერი გვინახავს, — შეგეპასუხე მე, — ოდნავადაც რომ გავხახუნებოდით, ისე გაგვიწყრებოდა, რომ როგორც კი ისევ ცივილიზებულ ადგილას მოხვდებოდა, უპირველეს ყოვლისა, პოლიციაში დარეკავდა და ამცნობდა, წითელმა ფოლკსვაგენმა კინაღამ ზედ გადამიარაო.

შენ მისმენდი და საჭე ჩვეულებრივზე უფრო მაგრად ჩაგებლუჯა. შემდეგ თავი გაიქნიე და თქვი:

— რაღაც მიზეზით ვერ ნავიდოდა პოლიციაში. ბოლოს და ბოლოს, რას აკეთებდა მთაში შუაღამისას? დღის ამ მონაკვეთში მთაში არავინ სეირნობს და ვერც სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად გახვალ უახლოესი შენი სახლიდან თუ სოფლიდან ამხელა მანძილზე. რასაკვირველია, მთები შეგიძლია ღამითაც გადაიარო, წლის ამ პერიოდში ხომ არც ყიამეთი ღამეები იცის და არც დიდი სუსხი. მაგრამ უმიზეზოდ მაინც არ ივლი: ან განსაკუთრებული დავალება უნდა გქონდეს, ან რამეს უნდა გაურბოდე.

გისმენდი დისკუსიის სახელით. ამჯერად შენს დასკვნებს ვარჩევდით.

— მაინც რას შეიძლებოდა გამოჰქცეოდა? — გკითხე მე.

ოთხი თუ ხუთი წუთის განმავლობაში ხოჭო ხმისამოუღებლად მიგყავდა. ჩვენ უკვე სრულიად ახლებურად და უცნაურად ელაპარაკობდით. ამ მომენტისთვის უკვე წყვილი აღარ ვიყავით. აღარ ვყბედობდით და აღარ ვხარხარებდით. თუმცა უდავოდ მეგობრულად და მოთმინებით ვეპყრობოდით ერთმანეთს. გვსურდა, დავხმარებოდით ერთმანეთს, თუმცა თვით ურთიერთობისთვის ვეღარაფერს ვიზამდით.

— ვის და რატომ გაურბოდა? — გაგიმეორე შეკითხვა.

— უფრო ქვემოთ მდგარი სატვირთო მანქანის მძღოლს, — თქვი შენ, — რაღაც მოხდა და იმ ქალმაც ფეხით გაუტია მთებში. ორი ხეობა — დასავლეთის და აღმოსავლეთის — ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან, თითქმის გვერდიგვერდ, მათ მხოლოდ ელდრევატნეტის ტბა ჰყოფს.

ისე შემომხედე, თითქოს დახმარებას მთხოვდი მსჯელობის გასაგრძელებლად.

— შესაძლოა, ქალი თვითონ გაურბოდა ჩადენილ დანაშაულს, მაგალითად, მხეცურ მკვლელობას მავანი მამაკაცის, რომელიც მას წლების მანძილზე შეურაცხყოფდა და რომელიც იმწუთას უსულოდ ეგდო უცხოური სატვირთო მანქანის კაბინაში. ამ დროს პოლიციას არავინ მიაკითხავს.

ისე გამაოგნა შენმა გამომგონებლობამ, რომ ხელიც კი ავიფარე პირზე სიცილის დასაფარად. მაგრამ თვითონ̣ვე მიხვდი ყველაფერს:

— დაივიწყე, რაც ახლა გითხარი! ის ქალი *თვითონ* იყო სატვირთო მანქანის მძღოლი. ამ უკანასკნელს რომ ჩავუარეთ, კაბინაში არავინ იჯდა, რამდენიმე წუთის შემდეგ კი ფეხით მოსიარულე ქალ-მძღოლს წამოვეწიეთ. გრილოდა და მხრებზე თავშალი მოესხა. ისე მიიბრუნა პირი, თითქოს არ სურდა, რომ ამოგვეცნო. ეს იმიტომ, რომ დანიშნული ჰქონდა შეხვედრა თეთრი ფურგონის მძღოლთან მთავარი გზიდან მოშორებით, სადმე წყალგამყოფთან. რაღაც ძვირადღირებული უნდა გადაეცათ ერთმანეთისთვის. ვთქვათ, რამდენიმე კილოგრამი ნარკოტიკი, ან სულაც გარკვეული თანხა, ან ისევ ნარკოტიკი, რომელშიც ფულს მისცემდნენ... რატომაც არა? ან იქნებ რაღაც უფრო დიდი უნდა ჩამოეგდოთ თვითმფრინავიდან? ასეთ შემთხვევებში, არასოდეს უკაკუნებ კარზე ადგილობრივ ფერმერს ან პოლიციას. მაგრამ წითელ ფოლკსვაგენთან შეჯახების შემდეგ შეიძლებოდა შურისძიების სურვილს აეტანა და, თუ აღმა-დაღმა მიჰყვებოდა მთის გზებს, რაღა გასაკვირია, რომ ერთი კვირის შემდეგ ჩვენს ხოჭოს გადაჰყროდა ჰელლაში. აჰ, ესე იგი, მყინვარამდე მივსულვართ და იქ დავმალულვართ, სადაც სატვირთო მანქანე-

ბი ვერ ივლიან! მაშინ ისიც ფეხდაფეხ მოგვყვა, რათა დავესაჯეთ. ოლონდ ჯერ ოინი მოგვინყო. ყველგან ოინი და ეშმაკობაა, — წარმოთქვი ემფატურად, — მრავალი გზა არსებობს იმისთვის, რომ ადამიანებს ცხოვრება დაუნგრიო. თუ გამომგონებლობა არ გაკლია, ბევრ საშუალებას იპოვი, რომ მავანი სამუდამოდ გამოამწყვდიო ციხეში.

ამასწინათ რაღაც მსგავსი ახსენე ერთ იმეილში, სადაც ლაპარაკობდი მაეან ახლოაღმოსავლელ ჯადოქარზე: თავისი მაგია ცოლ-ქმრის დასაშორებლად გამოიყენაო...

ამ ყველაფრის შემდეგ აღარ ვმალავდი, რომ შენი გამომგონებლობა უკვე კომედიაში გადადიოდა. ხელი დაგადე მუხლზე (მგონი, გეამა ეს ჟესტი. თან, რამდენადაც მახსოვს, ეს იყო ჩვენი ფიზიკური სიახლოვის ერთ-ერთი უკანასკნელი გამოვლინება) და გითხარი: „თავშალი, სტეინ? თუკი სერიოზულად არ დაშავებულა, მაშ, რატომ ჩამოუვარდა ან რატომ დაეკარგა ვარდისფერი თავშალი იმ ცივ ღამეში?"

დარწმუნებული არ ვარ, რომ დიდად გჯერა საკუთარი თეორიების. თვითონაც ხომ თქვი, მხოლოდ იმას ვცდილობდი, რაციონალურად მეაზროვნაო. არაფერია ამაში ცუდი. მაგრამ უორტლბერიელი ქალის განსაკუთრებულობა მხოლოდ იმით კი არ გამოიხატა, რომ ჩვენ მიერ გატანილი ქალის ზუსტი ასლი აღმოჩნდა, არამედ იმითაც, რომ სწორედ იმ მომენტში გამოჩნდა არყის ხეების ტევრში, როცა მე და შენ ფუტკარებს — ამ მძიმე და სიცოცხლით სავსე ყვავილებს — ვეფერებოდით, და კიდევ იმით, თუ როგორ სიზმარივით გაუჩინარდა. მე უკვე დაწყებული მქონდა საგანთა სპირიტუალისტური ხედვა, შენ კი შინისკენ მიმავალ მთელ გზაზე უყურადღებოდ არ დაგიტოვებივარ. და სულაც არა, უბრალოდ, პოსტ-სიმბიოზური თავაზიანობის სახელით. ყველაფერი ახალი მომხდარი იყო და შენც ნამდვილად თავგზააბნეული იყავი. მე არაფერი მითქვამს წიგნზე, საბილიარდო ოთახიდან რომ აეწაპნე და მთელი საათი ვიკითხე იმ დილით, სანამ შენ გაიღვიძებდი. განა უცნაური არ არის, რომ ეს წიგნი იდუმალ ქალთან შეხვედრამდე სულ რამდენიმე საათით ადრე ჩაგვივარდა ხელში? ნელ-ნელა გონება გამინათა აზრმა, რომ ამ შეხვედრაში კეთილსაიმედო ნიშანი დამენახა. ჩვენ, რომლებიც მუდამ ერთნაირი ინტენსივობით ვგრძნობდით სიცოცხლეს და, იმავდროულად, ერთნაირ სასოწარკვეთას განვიცდიდით, რომ ერთ დღესაც ეს სიცოცხლე სამუდამოდ დასრულდებოდა, — უეცრად სწორედ *ჩვენ* მოგვეცა ნიშანი, რომ ეს ყველაფერი წარმავალია და რომ ჩვენი სულები ამ ცხოვრების შემდეგაც ჰპოვებენ არსებობას. ის ქალი მონა ლიზას ეშმაკურ-გამჭოლი ღიმილით იღიმებოდა: „წამოდი! ჩვენ დიდ საჩუქარს გავიყოფთ". თვით

ამნუთასაც, როცა ვნერ, რაოდენ ვისურვებდი, შენთან ერთად ვზიარებოდი ამ ტრიუმფს! და, სხვათა შორის, არც ახლა მგონია უიმედოდ დაგვიანებული.

თუმცა იყო სხვა მანუგეშებელი მომენტიც. ვარდისფერთავშლიანი ქალი სრულებითაც არ გამოიყურებოდა მძიმედ დაშავებულად. განა ეს ოდნავ არ გვიმსუბუქებდა დანაშაულის განცდას? რასაკვირველია, ჩვენ შევამოკლეთ მისი ამქვეყნიური არსებობა, რადგან სასიკვდილოდ დავაზიანეთ ან მაშინვე, ან მომდევნო კვირაში მაინც. და ეს საზარელი გასაფიქრებელია. მაგრამ უორტლბერიელმა ქალმა გაგვანდო, რომ ამიერიდან სხვა განზომილებაში გადავიდა. განა ამის სათქმელად არ მოგვევლინა? მოვიდა, რათა ეპატიებინა და გავემხნევებინეთ! მე მითხრა: „შენ ხარ ის, ვინც მე ვიყავი, მე — ის, ვინც შენ გახდები", რაც ნიშნავს: ნუ იდარდებ, შენც ჩემნაირი იქნები, არასოდეს მოკვდებიო... შენთვისაც ჰქონდა მანუგეშებელი სიტყვა: „ბედნიერი ბილეთი შეგხვედრია, ჩემო ბიჭუნა". *მისი* თვალთახედვით, შენ სხვა არაფერში მიგიძღოდა ბრალი, გარდა საგზაო ინციდენტისა, რომელიც ნებისმიერ ჩვენგანს შეიძლება შეემთხვეს, სანამ ამ თავაწყვეტილ მოძრაობაში ვართ ჩართული. უფრო სერიოზული არაფერი მომხდარა, რადგან ჩვენი სხეული მყიფეა და სწრაფწარმავალი, რის შემდეგაც უფრო წმინდა და უფრო მდგრადი არსებობა მიგველის.

არსებითად, ვარდისფერთავშლიანმა ქალმაც იგივე გვითხრა.

შემდეგ დავბრუნდით შინ და აღარ გვქონდა მთის ინციდენტზე ლაპარაკის უფლება. თუმცა სულიერი ტრამვა დარჩა, სირცხვილისა და დანაშაულის გრძნობა კი ერთმანეთის ყოველ შეხედვაზე გვიახლდებოდა, კვერცხის ყოველ შეწვაზე თუ ყავა-ჩაის ყოველ დასხმაზე.

თუმცა, საბოლოოდ, მაინც დავასკვენი, რომ სირცხვილი არ იყო ის, რამაც შეუძლებელი გახადა ჩვენი თანაცხოვრება. ერთობლივი ძალისხმევით, ბოლოს და ბოლოს, შევძლებდით ამ დამცირების დატოვებას წარსულში. მივიდოდით პოლიციაში და ყველაფერს ვაღიარებდით. უბრალოდ და მარტივად! ერთმანეთის შემწეობით გადავიტანდით ჩვენს წილხვედრ სასჯელს და თავისმოჭრას.

უეჭველად გემახსოვრება რა მოვიმოქმედეთ, სანამ ყველაფერს წარსულს ჩავაბარებდით. ბოლოს და ბოლოს, პოლიციაში ანონიმური ზარი გავუშვით და ვკითხეთ: ხომ არაფერი მომხდარა ან ხომ არავინ გაუტანია მანქანას ამა და ამ ადგილას ამა და ამ ღამესო. ვუთხარით, რომ შევეხმიანებოდით, რადგან, შესაძლოა, რაღაცის თვითმხილველები ვართ. მათ ჩაიწერეს დრო და ადგილი და, რაკი ფეხს არ ვიცვლიდით ჩვენი ანონი-

მურობიდან, მოგვიანებით დაგვირეკეთო, გვითხრეს. ორი-სამი დღის შემდეგ ისევ შევეხმიანეთ. პოლიციამ გვითხრა, მსგავსი ინციდენტი არ დაფიქსირებულა არც მაშინ და არც სხვა დროს გზის იმ გამორჩეულად სწორ და კარგად დაგებულ მონაკვეთზეო.

უეცრად აღმოვაჩინეთ, რომ მომხდარი ამბის არავითარი ნაკვალევი არ დარჩენილა. ამან კიდევ უფრო იდუმალი გახადა ყველაფერი და ეს დღემდე გამოცანად რჩება. ბოლოს და ბოლოს, ორნი ვიყავით და ვიცით, რომ ქალი გავიტანეთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მის სხეულს დაეპატრონა ვიღაც სხვა და არა პოლიცია ან ხელისუფლება. თანდათანობით დავრწმუნდი იმაშიც, რომ ქალის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ მის სულს დავეკონტაქტეთ.

აი, სად გაჩნდა ღრმა ნაპრალი მე და შენ შორის. დასკვნები, რომლებიც გავაკეთე ამ ინციდენტიდან, დიამეტრალურად განსხვავდებოდა შენი დასკვნებისგან. ამიტომაც ვეღარ გავჩერდით ერთად. დაუყოვნებლივ შევუდექი სპირიტუალისტური ფილოსოფიის კითხვას. საბილიარდოდან ნამოღებული ის წიგნიც თან მქონდა. ისევ ჩემს ხელში რომ დაინახე, ისეთი სახე გაგიხდა, შეშინებულმა გავიფიქრე: ვაითუ, ახლა გამომტაცოს და შიგ სახეში მთხლიშოს-მეთქი. მაგრამ იმავე პერიოდში დავიწყე ბიბლიის კითხვაც და ახლა თავს ქრისტიანად მივიჩევ.

მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე თავის მოწაფეებს ეჩვენა და, მჯერა, რომ ეს იმავე ტიპის გამოცხადება იყო, როგორც იმ ქალის მოვლინება არყის ხეების ტევრში. ჩვენ ვილაპარაკეთ ამაზე. პირადად ჩემთვის, ის რწმენა, რომ იესო ჯერ მოკვდა, მერე კი მისი მკვდარი სხეული ისევ გაცოცხლდა, მეტისმეტად დაუხვეწავია. ანუ, მე არ ვიღებ საეკლესიო დოგმას „სხეულის აღდგომის" შესახებ ან კიდევ, ისეთ არქაულ შეხედულებებს, როგორიცაა საფლავების გახსნა განკითხვის დღეს. მე *სულის* აღდგომისა მწამს. წმინდა პავლესთან ერთად, მჯერა, რომ სხეულებრივი სიკვდილის შემდეგ ჩვენ აღვდგებით როგორც „სულიერი სხეული" ამ ფიზიკური სამყაროსგან სრულებით განსხვავებულ განზომილებაში.

მე მივაგენი სინთეზს ქრისტიანობასა და იმას შორის, რაც ჩემი გონებისთვის იყო რაციონალური რწმენა ადამიანური სულის უკვდავებაში. თუმცა, ჩემს შემთხვევაში, ეს მხოლოდ და მხოლოდ რწმენის საკითხი არ ყოფილა. მე ვიხილე ქალი, რომელიც ჩვენ უნებლიეთ შემოგვაკვდა, ისევე როგორც იესოს მონაფეებმა იხილეს იგი „მკვდრეთით აღდგომის შემდეგ". რას ფიქრობ, იქნებ იესოც იმიტომ მოევლინა თავის მონაფეებს, რომ *მიტევება* ეჩვენებინა მათთვის, ანუ — იმედი და რწმენა? ან, იმავე წმინდა პავლეს სიტყვებით: „ხოლო თუ ქრისტეზე იქადაგება, რომ ის

აღდგა მკვდრეთით, როგორღა ამბობს ზოგიერთი თქვენგანი, რომ არ არის მკვდრეთით აღდგომა? მკვდრეთით აღდგომა თუ არ არის, ქრისტეც არ აღმდგარა. ხოლო თუ ქრისტე არ აღმდგარა, ჩვენი ქადაგებაც ფუჭია და ფუჭია თქვენი რწმენაც".

მე, ვინც უნინ ასე გამნარებული დავტიროდი ჩვენს მოკვდავობას და ნითელ ხოჭოში მიეძვრებოდი ხოლმე ცოტაოდენი ნუგეშის მოსაპოვებლად სადმე იუსტედალსბრეენის მყინვართან; მე, რომელიც მუდამ განუზომლად ვნანობდი, რომ ვერასოდეს ვიმყოფინებდი ცხოვრებას, — უეცრად აღმოვაჩინე შემრიგებლური რწმენა მარადიულ არსებობაში მიწიერი ცხოვრების შემდეგ.

სულ რაღაც ორ-სამ დღეში ჩვენი პატარა ბინა გადაივსო წიგნებით, ნაყიდითა თუ ნათხოვარით, რომლებიც ეხებოდა იმ ფენომენებს, შენ რომ „ზებუნებრივს" უწოდებ. მგონი, არ შეგიმჩნევია, რომ ამ ყველაფერთან ერთად მე ბიბლიასაც ვკითხულობდი. შენ ვერ დაუშვი ის, რომ არ გაგაჩნდა რწმენა, რომელიც ღირსეულ მეტოქეობას გაუწევდა ჩემს ახალ ორიენტაციას. ამაში შენ ღალატი დაინახე. თითოეულმა ჩვენგანმა თავისი საკუთარი სექტა გახსნა. ამჟამად ჩემ მიერ მიტოვებული ჯგუფი ერთი წევრისგან შედგებოდა.

სხვა გზა არ იყო. ვერ იტყვი, რომ მე ვერ მოვახერხე შენთან თანაცხოვრება მაგ შენი ათეიზმის მიზეზით. სინამდვილეში, ასე არ ყოფილა. მაგრამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მე ვერ ავიტანდი იმას, რომ შენ არ იღებდი ჩემს ახალ მრწამსს. აღარ დამიტოვე არჩევანი თავისუფალი მოქმედებისთვის. არავითარი ტოლერანტობა. არავითარი შებრალება. ო, რა გულმოსაკლავი იყო ბერგენისკენ მიმავალ მატარებელში ჩაჯდომა იმ ნაშუადღევს...

სამი ათწლეულის შემდეგ ამ ისტორიას ახალი თავი დაემატა. აივანზე გამოხვედი ყავის ფინჯნით ხელში და იქ მე აღმომაჩინე. სწორედ მაშინ მოხდა, რომ, სულ ერთი წამით, ჩემს თავს შენი პერსპექტივიდან შევხედე. ამან საკმაოდ დამამძიმა.

ნება მომეცი, უკანასკნელ ექსპერიმენტზე მოგიხმო. პრინციპში, ეს *ჩემთვის* უფრო მნიშვნელოვანია, რადგან მენტალური ექსპერიმენტი გამოხატავს გულისმღრღნელ ეჭვსაც, მოგვიანებით რომ შემიპყრო. ჰო, სტეინ, თვით მეც შეიძლება ეჭვმა შემიპყროს.

დაბრუნდი იმ მომენტში, მანქანით რომ მივდივართ მთაში, და შეეცადე წარმოიდგინო, რომ ჩვენს კაპოტზე კინოკამერაა დამაგრებული. ჰოდა, ამ კამერას რომ გადაეღო ჩვენკენ მომქროლავი გზა ზუსტად შე-

ჯახების ნინ, ნუთუ ამჟამად ეჭვიც არ გეპარება იმაში, რომ გადაღებულ ლენტზე ნამდვილად გამოჩნდებოდა თავშალმოსხმული ქალი?

დარწმუნებული ვარ, ფიქრობ, რომ ძალიან უცნაურად გამოვხატავ ჩემს თავს. არადა, ნამდვილად უჩვეულო რამეზე გწერ.

ის, რასაც ჩვენ „უორტლბერიელი ქალი" შევარქვით, იყო გამოცხადება იმქვეყნიდან. მაგრამ, როგორც გითხარი, დარწმუნებული არ ვარ, რომ შევძლებდით სურათი გადაგვეღო მისთვის ან, თუნდაც, ჩაგვეწერა მის მიერ წარმოთქმული სიტყვები. ის იყო სული, რომელიც ადამიანებს ესტუმრა. ამდენად, სწორი არ იქნებოდა გვეთქვა, რომ მან „მატერიალიზება" განიცადა. თვით მისი ნათქვამიც კი სხვადასხვანაირად გავიგონეთ. მან ერთი აზრი შენ მოგიტანა, მეორე — მე. ეს ორი ფრაზა დიდად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, თუმცა მთლიანობაში, ორივეში ერთი საზრისი იდო.

ვფიქრობ, გარკვეული მასალების წაკითხვამ მსგავსი გამოცდილების მიმღებ ადამიანებზე ჩინებულად წარმომადგენინა, რა გადაგვხდა მაშინ. მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან მომენტს გამოვყოფ. რასაკვირველია, სულები არ არიან დასაზღვრული იმ დროითა და სივრცით, რაშიც მოქცეულია ჩვენი ოთხგაზომილებიანი არსებობა (რომ აღარაფერი ვთქვა მექანიკურზე). საერთოდ, რას შეუძლია მათი დასაზღვრა? ამდენად, გაურკვეველია, უკვე საბოლოოდ წავიდა უორტლბერიელი ქალი თუ ეს მომავალში მოხდება. ვგულისხმობ ჩვენი პოზიციებიდან, ამ მისტერიის ჩვენეულ-დროებითი ხედვის წერტილიდან. ის შეიძლებოდა ყოფილიყო *ნიშანი*, რაც ნიშნავს შესაძლებლობას, რომ ჯერ კიდევ ჩვენ გვერდით იმყოფება.

„მაგრამ ჩვენ მას დავეჯახეთ, — ფიქრობ ახლა, — შენ კი სულ იმას გაიძახოდი: ქალი ან მაშინვე მოკვდა, ან მომდევნო დღეებშიო." მეც სწორედ ამ კითხვას ვსვამ, სტეინ, სწორედ ამან ჩააგდო ჩემში ეჭვის პატარა თესლი. შესაძლოა, ის, რაც თავს გადაგვხდა იმ ტბასთან, იყო შიკრიკი სხვა რამის, რაც მოგვიანებით *უნდა* მომხდარიყო.

მაგრამ ჩამსხვრეული ფარი? უსაფრთხოების ღვედების უეცარი დაჭიმვა და მანქანის შეჯანჯღარება? ჰო, ნამდვილად შეჯანჯღარდით, ოღონდ — არც ისე ძლიერად, ანუ რაღაცას დავეჯახეთ. ამაში იოტისოდენა ეჭვიც არ შემაქვს. თუმცა ის, რასაც დავეჯახეთ, თავისუფლად შეიძლებოდა ყოფილიყო *სული*. უკვე მაშინვე ვიფიქრე, რომ, გარემოებებიდან გამომდინარე, დიდი არაფერი გვიზარალია. შენ ხომ გაუჩერებლად გააგრძელე გზა. ნუთუ მაშინაც ასე მოიქცეოდი, ჩრდილოეთის ირემს ან ლოსს რომ დასჯახებოდი? ცოტა ხნის შემდეგ დავბრუნდით

და, სხვა თუ არაფერი, ბუჩქზე გადაფენილი თავშალი მაინც ვიპოვეთ. ეს ნამდვილად ასეა, თუმცა ახლა, შენი არ იყოს, მეც ვამბობ, რომ ეს დიდი ხნის წინ მოხდა და დღეს მე მთლად დარწმუნებული აღარ ვარ. პოლიციამ კი მაშინ თქვა: იმ წერტილში არავითარი ავარია არ მომხდარაო.

თუნდაც იმაში დასარწმუნებლად, რომ ყველა შესაძლებლობა მოვსინჯეთ, ვამბობ, რომ უორტლბერიელი ქალი *სამ* შემთხვევაში მოგვეველინა: ჯერ ბილიკზე მიმავალი ჰემსედალის სულ ზედა წერტილში, შემდეგ უკვე ტბასთან და, ბოლოს, არყის ხეების ტევრში ძველი სასტუმროს უკან. რას ფიქრობ ამაზე, სტეინ?

მას შემდეგ ის აღარ დაგვნახვებია არც შენ და არც მე. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი პირველი კითხვა, ერთმანეთს რომ დავუსვით, როცა ისევ მარტონი დავრჩით ოცდაანლიანი ინტერვალის შემდეგ. ის დანამდვილებით *ჩვენ ორთან* მოვიდა. შეიძლება არც არავის უნახავს ოდესმე, ჩვენ ორის გარდა.

ვიმედოვნებ, ამ შეჯამებამ მეტისმეტად არ დაგტანჯა. ზოგჯერ შიში წამომიელის ხოლმე: შენ ისევ შეიძლება გაწყვიტო ეს ურთიერთობა ჩვენი განმასხვავებელი თვალსაზრისების გამო. მაგრამ ვიცი, რომ არის შენში ადგილი, სადაც უფრო ღია ინტერპრეტაცია მიეცემოდა ამ გამოცანას, რომელსაც ერთად შევენარცხეთ, თუმცა რომელმაც, დროთა განმავლობაში, სრულებით განსხვავებულ დასკვნებამდე მიგვიყვანა.

მაგრამ, დე, ეს ნუ იქნება უკანასკნელი სიტყვა ჩვენ შორის. ნუ დავიწყებთ, რომ ერთად გვიცხოვრია გამოქვაბულში, ანუ ერთად ვყოფილვართ *Homo erectus*, *Homo habilis* და *Australophitecus africanus* სიცოცხლით აფუთფუთებულ პლანეტაზე, იდუმალებით აღსავსე სამყაროში. არაფერს უარვყოფ ამ ყველაფრიდან.

იმ დიდ საიდუმლოს, რომლის ნაწილიც ჩვენ ვართ, მხოლოდ სხეულებრივი თუ მატერიალური პასუხი ვერ ექნება. იქნებ ჩვენ უკვდავი სულებიც ვართ და, შესაძლოა, სწორედ ეს შეადგენს ჩვენი არსების გულისგულს. სხვა დანარჩენი — ვარსკვლავები და დინოზავრები — მხოლოდ გარეგანი ნამსხვრევებია. თვით მზემაც არ იცის უფრო მეტი, ვიდრე გომბეშომ, და თვით გალაქტიკასაც არ ესმის უფრო მეტი, ვიდრე ტილს. მათ სხვა არაფერი ძალუძთ, მათთვის გამოყოფილ დროში ნვისა და ტრიალის გარდა.

ყოველთვის სასწრაფოდ შემახსენებდი ხოლმე, ჩვენი სხეულები ქვეწარმავლებიდან და ბაყაყებიდან მოდისო. მაგრამ პრიმიტიულ ხერხემლიანებსა და *Homo sapiens*-ს შორის გენეტიკური კავშირის მიუხედავად, ადამიანი არსობრივად განსხვავდება გომბეშოსგან. ჩვენ შეგვიძლია

დავდგეთ სარკესთან და საკუთარ თვალებს ჩავხედოთ, თვალებს, რომლებიც სულის სარკეა. ასე წარვდგებით საკუთარი ენიგმას წინაშე. ერთი ინდოელი პანდიტის სიტყვებით: „ათეიზმი ნიშნავს საკუთარი სულის სიდიადის იგნორირებას".

აქ, დედამინაზე, ჩვენ ერთდროულად სულიც ვართ და სხეულიც. მაგრამ, საბოლოოდ, უკან ჩამოვიტოვებთ ყველაფერს, რაც ჩვენს არსებაში ბაყაყისეულია. უორტლბერიელ ქალს აღარ ჰქონდა სისხლისა და ხორცისგან შემდგარი სხეული, ის ამ ქვეყნიერების მიღმა არსებული სასნაული იყო. ვისურვებდი, რომ ერთხელაც თვალები აგხელოდა ღვთაებრივ საიდუმლოზე, საიდანაც ის გვეწვია და სადაური ამბებიც მოგვიტანა.

დაბოლოს, სევდიანი ღიმილით მახსენდება ის დრო, გამუდმებით რომ ვნებდებოდით ერთმანეთს, კიდევ და კიდევ, თითქმის გაუმაძღრად. განსაკუთრებით ჩარჩენილი მაქვს — გონებაში მიმდინარე ფილმის კადრებივით — ჩვენი უკანასკნელი კვირა ფიერლანდში. ეს სათუთი მოგონებებია. მე არ მრცხვენია ჩემი სენსუალური ბუნების, ოდნავადაც არასოდეს დავურცხვენივარ ამას. მაგრამ, სადღეისოდ, მე რაღაც გაცილებით უფრო დიად — უფრო *პერმანენტულ* — ყოფნას მოველი.

ახლა კი შენი პასუხს ველოდები.

VIII

ფუტკარები! შენ გენიოსი ხარ, სოლრუნ! მესაძლოა, ისე ამოხსენი ძველი გამოცანა, რომ არც კი იცი ეს. მაგრამ მე მაინც სხვა რამით უნდა დავიწყო.

ისევ აქ ვზივარ, იმავე *კომკის ოთახში*, ჩვენ რომ ეცხოერობდით. აქვე მივიღე შენი იმეილი ცოგა ხნის წინ. შენი შეჯამების მეორე ნაწილი ძველ შეზლონგზე მჯდარმა წავიკითხე. უცნაური ნაწერი იყო, მტკიენეული. დროდადრო აივანზე გავდიოდი, მთებს და მყინვარს ეუყურებდი, ანუ — რაღაც ნორმალურს, რაღაც ზედროულს. კითხვა რომ დავამთავრე, ძველ ნაემისადგომთან ჩავედი. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ყოველ წამს შეიძლებოდა გადავყროდი იქ მოსეირნე სტეინს და სოლრუნს. რა არის *დრო?* ყველაფერი ორმაგად გამეღავნებულ ფირს ჰგავს. სანამ წავიშლიდი, ორჯერ წავიკითხე შენი წერილი. ახლა კი პატარა მაგიდას მიეუჯექი პასუხის მოსაწერად.

დღეს დილაადრიანად დავტოვე ჩემი ინსტიტუტი და სულ სხვა მიმართულებით გავეშურე (როგორც ოცდაათი წლის წინ მჩვეოდა). ცოგწერე კიდეც, მოუსვენრად ვარ და რაღაც გადაწყვეტილება მიეიღე-მეთქი. გოლის სასტუმროდან დაგეკონტაქტე.

ბერიტსაც დაეურეკე და ეუთხარი, მანქანით გაუემგზავრე მთებისკენ, უქმეები აქ უნდა გავატარო და სათანადო კონცენტრირება მოვახდინო ორიოდე სამეცნიერო წერილზე-მეთქი. ეს წერილები, ჩემი თქმით, ესებოდა მყინვარებს და მყინვართა მუზეუმს, სინამდვილეში კი, მხოლოდ საბაბი იყო: მე სრულებით სხვა რამემ წამომიყვანა აქეთ, ანუ, რასაკვირველია, შენმა წერილებმა. აქ უნდა მოვსულიყავი, მორჩა და გათავდა. სწორედ სადილობის დროს შემოვედი, ჭამის შემდეგ კი ოთახში ამოვქანდი და შენი ბოლო წერილიც წავიკითხე (გამოგმავნიდან ნახევარი საათის შემდეგ). თან ამოვიყოლე ღვინით სავსე გრაფინი, რომელიც ახლა უკვე ცარიელი დგას მაგიდაზე.

მარგო ჩამოვედი და არა მგონია, ამჯერად შენც ჩამოხვიდე. თუმცა, მაღალ საღგურს რომ ჩაეუარე, მაინც გავიფიქრე, იქნებ საღამოს საიღანღაც ამოხტეს-მეთქი. თვალწინ დამიდგა, როგორ ესხედვართ ძველ როტონდაში ჩვენ-ჩვენი ყავითა და ლიქიორით. ისე კი, პირველად მოხდა, რომ აქ მარგო მოვედი. იქნებ სამომავლოდ ეს ტრადიციადაც ვაქციო, რაკი აგანილი ვარ აქაურობით: ამ სოფლითაც და ამ ძველი ხის სასტუმროთიც.

გარდა ამისა, პირველად გადმოვიარე მთები სხვა მანქანით და არა ჩვენი წითელი ფოლკსვაგენით. უცნაური შეგრძნება იყო! მე ხომ, გარკვეული აზრით, მთელი ჩემი ცხოვრება მიმოვქროდი მთის გზებზე. ღვედაღამ საჭეს ვატრიალებდი ტბის ნაპირებთან, სანამ ძველ ნავმისადგომთან დაეაყენებდით და სივრცეში გავიჭრებოდით. სანამ პოლიცია გაგვაჩერებდა ლეიკანგერმი. როცა დავრწმუნდი, რომ თეთრი ფურგონის მძღოლმა ჩვენი ფოლკსვაგენი შენიშნა და პოლიცია გააფრთხილა.

შეიძლებოდა გვემსჯელა და გაგვერჩია შენი ნაწერის ზოვიერთი მომენტი, მაგრამ ძირითად მიმართულებებში ვეთანხმები შენს შეჯამებას. საკმაოდ მოწესრიგებული სახე აქვს. საამკარაოზე გამოგაქვს ერთობლივად განცდილი ამბების განსხვავებული ხედვის დეტალები.

მიექროდი ჩემი პიბრიდული მოდელის მანქანით და მთელ გზაზე ოსლოდან გოლამდე, იქიდან კი – პემსედალამდე, შენზე და სამყაროს შენეულ-სპირიტუალისტურ ხედვაზე ვფიქრობდი. მთლიანობაში, გამაოცა შენი ფილოსოფიის სინათლემ და სიმწყობრემ. კვალიც არ უჩანს რაიმე მეცნიერულის. ამდენად (სწორად ვამიგე!), აზრად მომიეიდა, რომ მეცნიე-

რება ვერასოდეს დაამტკიცებს იმას, რომ ადამიანის სულის უკვდავი არ არის. რა არის ჩვენი ცნობიერება? უბრალოდ, ტვინში მიმდინარე ქიმიური პროცესების და ამ ორგანოს ირგვლივ არსებული სტიმულატორებისა და მისი უშუალო გარემოს ერთობლივი პროდუქტი (რომელიც ჩვენ მიერ „მეხსიერებად" წოდებულ ფენომენსაც მოიცავს), თუ – როგორც შენ დამაჯერებლად ასაბუთებ – მეტ-ნაკლებად თვითმყოფადი სული თუ სამშვინველი, რომელიც ტვინს მხოლოდ ამქვეყნიურ არსებობამი იყენებს, როგორც ბმას სულიერ განზომილებასა და მიწიერი ცხოვრების მატერიალურ რეალიებს შორის? ეს ძველი პრობლემაა და არა მგონია ოდესმე გადაწყდეს. სპირიტუალისტური მიმართება ადამიანურ სტატუსთან და ონტოლოგიასთან ჩვენთვის, ალბათ, მეტისმეტად სასწაულებრივი ხილვაა და ვერასოდეს ვიქნებით მზად საიმისოდ, რომ სხვა ყველაფერი უკუვაგდოთ. განსჯა და დისკურსი მუდამ იარსებებს.

ჩვენ სულები ვართ, სტვინ!

სიკვდილი არ არსებობს და არც მკვდრები არსებობენ.

თვითონ მე ვერასოდეს ვირწმუნებ ასეთ სასწაულს. მაგრამ თუ საგანთა წყობა ასეთი არ არის, მამინ *უნდა იყოს.* ჩვენ ვართ ის, რაც შეადგენს მსოფლიოს თვითცნობიერებას. რამდენადაც ვიცით, ჩვენ შესაძლოა ყველაზე წმინდა და ყველა მოჯადოებული არსებები ყართ ამ სამყაროში. ამიტომაც, იქნებ მოსაბოდიშებელი არაფერი გვაქვს იმის გამო, რომ რამდენიმე ოპტიმისტურ ოცნებას ვაგარებთ სხეულისშემდგომი არსებობის შესახებ.

კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ, მენი დუალიზმის მიუხედავად, არანაირად არ უარყოფ ჩვენს მიწიერ ცხოვრებას. წარმოიდგინე, გეთქვა, ჩვენი თანაცხოვრება წარსულში გაუგებრობა იყოო. ისტორია სავსეა რელიგიური ფანატიზმის მაგალითებით, რომლებიც ადამიანს ყოველივე სენსუალურისა და დროებითის უარყოფისკენ უბიძგებს, რომ აღარაფერი ვთქვა ისეთ საგნებზე, რომელთაც ჩვენი უმრავლესობა ერთადერთ რეალობად მიიჩნევს.

ეს აზრები მიტრიალებდა თავში მთელ გზაზე ოსლოდან აქამდე. პემსედალის წვერზე მანქანა სატყეო გზაზე გადავიყვანე, ტრასიდან მარცხნივ. იქ შეეჩერდი და, მცირედი მედიტაციის შემდეგ, გზა განვაგრძე.

ავედი პლატოზე, სადაც ვიარე და ვიარე ოცდაათ წელიწადზე მეტი ხნის წინ, როგორც მავანი მფრინავმა პოლანდიელმა, რომელსაც მისჯილი ჰქონდა ერთსა და იმავე შეგანზე სიარული, – ყოველდღე თუ არა, ყოველღამე მაინც.

გემახსოვრება ის უჩვეულო ყორღანი, რომელსაც ზუსტად მანამდე გავცდით, სანამ იმ ქალს დავეჯახებოდით. მენ ის „შაქარნაგეხა ყორღანად" მონათლე. სხვათა მორის, კარგი შედარებაა, რადგან ნამდვილად თვალშისაცემი ბორცვია. მანქანაშივე ვნახე, GPS-ის რუკაზე, რომ მას სახელი ჰქონია და ეს სახელი საკმაოდ ბუნებრივად ეღერს – *ელდრეპაუგენ* – ძველი ხალხის ყორღანი.

გავცდი თუ არა ამ უცნაურ მიწაყრილს, გზის მარჯვენა მხარეს აღმოვაჩინე პატარა გადასახვევი, სადაც ამჟამად აღმართულია რამდენიმე დაფა, ზედ წარწერილი ადგილობრივი და ისტორიული ინფორმაციით ტურისტებისთვის. ერთ-ერთ დაფაზე წერია:

ელდრეპაუგენ არის თვალსაჩინო მრგვალი ყორღანი თქვენგან აღმოსავლეთით. ელდრეპაუგენში ბინადრობდა ოსგარდსრეიიდ თუ იულესკრეიიდ წოდებული უხილავი ბორცვის ტროლების ბანდა. ყოველი მობის მუაღამეს ისინი იქიდან გამოცვივდებოდნენ და ჰალინგდალისკენ ჩარბოდნენ. იქ ფერმებში შედიოდნენ და სამობაო ნუშლითა და ლუდით მარაგდებოდნენ. ის ხალხი, ვინც ტროლებისთვის გულუხვად იმეტებდა სასმელ-საჭმელს, ბედნიერი და კმაყოფილი განაგრძობდა ცხოვრებას. თუკი საჭმელზე გამოსასული იქნებოდა ჯვარი, ტროლები თავს შეურაცხყოფილად იგრძნობდნენ და ამას მეიძლებოდა მოეტანა უბედურება ადამიანთათვის, მათი ქონებისა და მინაური პირუტყვისთვის. ჰემსედალელებმა იცოდნენ ოსგარდსრეიის ბანდის რამდენიმე წევრის სახელი: ტიდნე რანაკამ, ჰელგე ჰოფოტ, ტრონდ ჰოისინინგენ, მასნე ტროსტ და სპენნინგ ჰელლე. ოსგარდსრეიიები დრამმენის ირგელივ გამენებულ სოფლებს აკითხავდნენ, ღრიალით იკლებდნენ იქაურობას მობის დასრულებამდე და მხოლოდ მეთორმეტე ღამესღა ბრუნდებოდნენ ელდრეპაუგენში.

მასნე ტროსტ! ტიდნე რანაკამ!

მე თავი გავიქნიე და გამახსენდა, რა დაწერე მენ იმ ადამიანზე, ჩვენ რომ გაეიტანეთ: – აუცილებელი არ არის ჩვეულებრივი ადამიანი იყოს, იქნებ უბრალოდ სულიაო. დიდხანს ვიდექი იქ ჩაფიქრებული.

ფუტკარები და „უორტლბერიელი ქალი"! ამ მხრივ, მესაძლოა, პირდაპირ ათიანში მოარტყი.

მენი თქმით, ჩვენ ერთი და იგივე რამ ენახეთ, ოღონდ გავიგონეთ ან მივიღეთ სხვადასხვა სიტყვები.

ჩვენ მოღალანე ფუტკარებმა მივვიზიდა. მენ ისე მოიხიბლე, რომ ხელით შეხება ისურვე. ანუ, როგორ ჩანს, ფიქრით ორივე ეროსა და იმაეს

ეფიქრობდით. მართალია, სულ ამაზე არ ელაპარაკობდით, მაგრამ თითქმის გამუდმებით ვფიქრობდით ქალზე, რომელსაც მთამი დაეჯახეთ. ფუტკარებს კი ზუსტად იმ თავშლის ფერი ჰქონდა, ჯერ ქალის მხრებზე მოსხმული რომ ენახეთ, მერე – ბუჩქებზე გადაფენილი. არათუ მხოლოდ იგივე ფერი, არამედ ზუსტად იგივე ვარდისფერი ტონი. ალბათ, სწორედ ამიტომ მიგვიზიდა ასე წინაღუდგომლად.

როგორ მართებულად აღნიშნავ, უცებ რაღაცამ შემოგვაბრუნა. იქნებ ყარყუმის ან კაჭკაჭის ძახილმა? შემოებრუნდით და ორივემ გავიფიქრეთ, რომ სწორედ ჩვენ მიერ დაბარალებული ქალი დავინახეთ: არყის ხეებს შორის იდგა და მხრებზეც იგივე თავშალი ეხვია.

მაგრამ, ალბათ, დიდად გასაკვირი არ უნდა იყოს ერთი და იმავე პალუცინაციის ნახვა იმ გონებრივ მდგომარეობაში, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებოდით და, თანაც, ვარდისფრად მოღაღანე ფუტკარებითა და მათი მაცდუნებელი ფერით მოხიბლის შემდეგ. რატომ მიემთხვიე ასე მაინცდამაინც *ფუტკრებს*? იქვე, გვერდით, ხომ მაჩიტებიც ყვაოდა?

აკადემიური საკითხია ის, რომ არსებობს ასობით, ათასობით ან ასი ათასობით სხვადასხვა ფერი. მაგრამ იმ ფუტკრების ფერ-ჩრდილი შედმიწევნით იმეორებდა თავშლის ფერს. ზურგსუკან, ტევრში, რაღაც გაჩქამდა, ჩვენ შემოებრუნდით და ორივემ ვიფიქრეთ, რომ დავინახეთ ვარდისფერთავშლიანი ქალი, რომელიც იქ იდგა. ჩემი აზრით, მან ესა და ეს სიტყვები წარმოთქვა, შენი აზრით – სხვა სიტყვები. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ მე იმაზე ვფიქრობდი, რაოდენ სწრაფად მიმყავდა მანქანა ჰემსედალის პლატომე, შენ კი თავში ის გქონდა, რაც თერთმეტი წლის ასაკიდან არ გასვენებდა: აღრე თუ გვიან ამქვეყნიდან წასვლის აბსოლუტური გარდაუვალობა.

შენ ის წიგნი აღმოაჩინე. რაღაცები შენც ამოიკითხე იქიდან და მეც. ერთადერთი, რაც გვაკლდა, იყო ფუტკრები.

ჩვენი საძირკველი ისე შეირყა, რომ პალუცინაციები დაგვეწყო. შენც მყიფე და დაუცველი იყავი და მეც. ამიტომაც ორივე ჭკუაზე გადაველით და გაებრუვდით.

ხვალ გზას განვაგრძობ, თუმცა ოსლოში იგივე მთით არ დავებრუნდები. ალბათ, აურლანდსდალის გავლით ჩავალ პოლში. ისიც კი ვიფიქრე, რომ ბერგენში შემოვიელიდი და გნახავდი.

შეიძლება?

შემეძლო ბორნით გადავსულიყავი ლავიკიდან ოპპედალში. თუ ბორნის გასვლის დროები კარგად გადაებმება ერთმანეთს, ფიორდს გამოეყვებოდი რუტლედალამდე და სოლუნდშიც გადმოვიდოდი. ის კუნძულები

მენატრება. თუმცა შენ, რაღა თქმა უნდა, ვერ შემომიერთდები. რუტლეჯალში რომ შემხვედროდი ან – ეს უფრო იოლი იქნებოდა შენთვის – ავტობუსს რომ გამოპყოლოდი ოპპედალამდე (რა აზრი აქვს ორი ტრანსპორტის გამოცვლას!), ეს იქნებოდა საბოლოო გმირობა, რასაც შენ დღემდე „ცელქობას" უწოდებ. ბევრი სალაპარაკო დაგვიგროვდა. ძალიან მინდა გატარო კუნძულიდან კუნძულზე ფიორდის შესართავთან, ანუ კოლგროვისკენ მიმავალ იმ გზაზე. ვიდეს მაღაზიამიც შეეიდოდით და ნაყინს ვიყიდდით, მამინდელიეით. მაგრამ, რასაკვირველია, მესმის, რომ შეიძლება საკმაოდ გაგირთულდეს სახლიდან გამოსვლა. პო, მართლა: შენს მეუღლეს – ჩემი საუკეთესო სურვილები!

ყოველი შემთხვევისთვის, სასტუმროში ოთახები დავჯავშნე. ახლა აქ უკანასკნელი სტუმარი ვარ, სანამ საზამთროდ დაიკეტებიან. უკვე დაიწყეს გუდა-ნაბადის აკრეფა: ზეწრებში ფუთავენ ავეჯს.

ბერგენში ხვალ ნაშუადღევს ან საღამოს ვიქნები. მეგვეძლო საკვირაო გასეირნება მოგვეწყო, თუ შენები გამოგიმეებენ.

უცნაური იქნება იმ კლდეების და ყურეების მონახულება. ამ პერიოდში მთელი კუნძული მეწამული ბალახით იფარება. ზუსტად წლის ამ დროს გავედით მამინაც. პო, ეგრე იყო: თითქმის ყოველ საღამოს ვსხდებოდით იმ წერტილში და ვესწრებოდით, როგორ ჩადიოდა მზე ზღვაში.

თითქმის შეეიგრძნობ, რომ ამჟამად ჩვენ სწორედ ასეთ ლანდშაფტს ვეკუთვნით.

შეიძლება. ოდესმე კი, მჯერა, ჩვენი სულები სავსებით განსხვავებულ და კიდევ უფრო დიად ჰორიზონტზე ამოცურდებიან.

მაგრამ ბერგენში თუ შემიძლია ჩამოსვლა?

ჩამოდი, რაღას უცდი!

მართლა ასე ფიქრობ?

ჰო, სტეინ! უკვე აქ მინდა იყო. წამოდი!

სულაც არ მჭირდება იმის დამალვა, რომ მთელი ეს წლები მიყვარდი. ყოველ ცისმარე დღე ვფიქრობდი შენზე და არასოდეს გამიწყვეტია თავისებური დიალოგი შენთან. ასე რომ, გარკვეული აზრით, მთელი ცხოვრე-

ბა მენ ეკერლით გაეატარე. უცნაურია! ეს იყო უცნაურად გაზიარებული არსებობა. მაგრამ ჩაელილი ოცდაათი წლისთვისაც მადლობელი ვარ.

უკვე გითხარი, რომ მთელი ეს ხანი ორქმრიანი ქალივით ვიცხოვრე. მეც სულ ახლომახლოს მყავდი. ამას ემატებოდა კიდევ ჩემი ზემგრძნობელობა, რომელიც მეუბნებოდა: „ის შენზე ფიქრობს... ის ფიქრობს შენზე..."

მაგრამ, სტეინ...

პო, რა იყო? ჩვენ ვმლით ყველაფერს, რასაც ეწერთ. ყველაფერი ჩვენ მორის რჩება.

ჩვენ ხომ, უწინარეს ყოვლისა, ვიყავით ორი სული, რომლებიც ერთმანეთს ეკუთვნიან? ანუ იმ ორი ფოტონივით გადაბმულები, ერთმანეთზე რომ ზემოქმედებენ მრავალი სინათლის წლით დაშორებულები...

იქნებ სხეულსა და სულს შორის არსებული სხვაობის შეგრძნება ჩვენს ასაკში უფრო იოლია, ვიდრე ახალგაზრდობაში.

ამ თემაზე კიდევ ბევრი გვაქვს სალაპარაკო. სოლუნდში წავიდეთ ერთ-ერთ მომდევნო დღეს, კარგი?

ახლა, რაკი გრაფინი გამოვცალე, წავალ და დავწვები. ოთხასი კილომეტრი მაქვს გამოელილი და, ალბათ, შეყსეულად ჩამეძინება. ეპ, რა მყიფე მდგომარეობაა ძილი! ვერავითარ გარანტიას ვერ ვიძლევი, რანაირ სიზმრებში შეიძლება გაგხვიო ამაღამ. კოსმიური სიზმრები უკვე ამოვწურე, ამიტომ ახლა, შესაძლოა, ერთობ მოსაწყენები მესიზმროს. შეიძლება აუჩქარებელ გასეირნებაში წაგიყოლო სონსვანის ტბის გარშემო. საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით!

ღამე ნებისა!

IX

დილა მშვიდობის!

ნილს პეტტერს ვუთხარი, რომ ბერგენისკენ მოდიხარ. სხვა რომ არაფერი, ეს უკვე ითქვა და ეს — შვებაა. ახლა კი, მთელი დანარჩენი დღით შინიდან გავდივარ. ძალიან ბევრი საფიქრალი გამიჩნდა. ხვალ ხომ ნებისმიერ შემთხვევაში შევხვდებით, თუ მანამდე არა!

როგორც კი ინტერნეტის შესაძლებლობა მომეცემა სასტუმრომი, მაშინვე მოგწერ და მეგვიძლია რაღაც-რაღაცები უფრო დეტალურად დავგეგმოთ. ახლა კი, მზიან დღეს ვისურვებ. და კეთილ მგზაურობასაც! მალე ქვემოთ ჩავალ, ვისაუზმებ, სასტუმროს ანგარიშებს გავასწორებ და წამოვალ. გუშინ საღამოს სასადილო ოთახი მთლიანად ჩემს განკარგულებაში იყო. თავს ცოტა ეულად ვგრძნობდი, მაგრამ ამის საკომპენსაციოდ ღვინო შევუკვეთე დიდი გრაფინით და (ეს წრეგადასულად მოგეჩვენება!) მენს ჭიქებსაც მე ვცლიდი. საბოლოოდ, წარმოვიდგინე, რომ ნამდვილად ზიხარ მაგიდის მეორე მხარეს. ამის შემდეგ, თითქოსდა, ორნაირად წარმოგიდგენდი: როგორიც ახლა ხარ და როგორიც იყავი მთელი ამ წლების წინ. ისე, დიდ სხვაობას ვერ ვხედავ.

—

გამარჯობა, კიდევ ერთხელ. ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ უკვე ბერგენში ვარ. სასტუმროს ოთახში ვზიავარ და ტბორს გადავცქერი ულრიკენის მთის მიმართულებით. საღამოვდება. სინათლეები უფრო გაკამკამდა. ამ ზაფხულში პირველად შევიგრძნობ, რომ სეზონი იცელება.

სამინელ ავარიას შევესწარი სონეფიორდის სამხრეთით. ამან ეკვარიანად შემაფუცხუნა. ამიტომაც ახლა მინიბარს დავაცარიელებ, გაზეთში ჩავიჭყიტები და დაეწვები. საბოლოოდ თუ შეეთანხმდით იმაზე, რომ დილის 9 საათზე მისაღებში მიკითხავ? შემდეგ შეგეეძლო ტურლედალში ავსულიყავით და სოლუნდს მიმავალ ბორანს გავყოლოდით.

ველოდები, რომ განახავ. იმასაც ველოდები, რომ გულში ჩაგიკრავ.

—

საუზმის შემდეგ მისაღების ახლომახლო ვიყავი. უკვე ათის თხუთმეტი წუთია. მართალია, ჩემს იმეილებზე არ გიპასუხია, მაგრამ ვგულისხმობ, რომ ყველა წაიკითხე და უკვე გზაში ხარ. თუ არადა, იქნებ დამირეკო? აქედან მოყოლებული, სულ ჩემს ოთახში ვიქნები და ინტერნეტიც ჩართული მექნება.

—

მუადღეა, შენგან კი ისევ არაფერი ისმის. ეცადე, მობილურმე დაგლაპარაკებოდი, მაგრამ მთელი დილა გათიშული იყო. რამდენიმე საათს კიდევ მოვიცდი და სახლის ნომერზე დაგირეკავ. სტეინ.

სტეინ,

მხოლოდ იქ ჰქენით, რომ მეხსიერების ბლოკი თქვენს კომპიუტერში შეაერთეთ. როცა ეს მოხდა, სოლრუნს ეგ ბლოკი ყელზე ეკიდა. თუმცა, გარწმუნებთ, მე მხოლოდ აუცილებელი ინფორმაცია წავიკითხე და გავიგე, რომ იქ ჩაწერილი იყო თქვენ ორს შორის მიმდინარე მრავლისმომცველი კორესპონდენცია. ახლა ეს ელექტრონული ნაშთები მხოლოდ და მხოლოდ თქვენ გეკუთვნით. არა მგონია, სადმე რაიმე ასლიც არსებობდეს, რადგან ის წაკითხვისთანავე შლიდა ყველაფერს. ამჯერად იმავე მეხსიერების ბლოკით მე ჩემს საბოლოო სიტყვასაც გიგზავნით. გიგზავნით ასევე თქვენს უკანასკნელ წერილებს, რომლებსაც წერდით სოლრუნს იმ საშინელი დღის განმავლობაში. ახლა, როცა ამას კითხულობთ, ყველაფერი უკვე მეხსიერების ბლოკზეა ჩაწერილი.

არ ვიცი, უნდა ვთქვა თუ არა, რომ „სასიამოვნო იყო კიდევ ერთხელ შეხვედრა თქვენთან". ამიტომ, უსაფრთხოების მიზნით, არ ვიტყვი ამას. არც დაკრძალვას დავახასიათებ, როგორც „სოლრუნის ღირსსა და შესაფერისს". თავდაპირველად მსურდა, რომ ანონიმური დარჩენილიყავით. მართალია, ჩვენ — ტბის სანაპიროს გასწვრივ მსელელმა მგლოვიარეებმა — რამდენიმე სიტყვა გავცვალეთ, არ მსურდა, რომ ინგრიდს, იუნასს ან ნებისმიერ სხვას სცოდნოდა, ვინ იყავით. ვიმედოვნებდი, აღმოგაჩნდებოდათ საკმარისი გონიერება (მე ვიტყოდი, საკმარისი *ჰატივისცემა*), რომ, სულ ცოტა, პანაშვიდს მაინც მორიდებოდით. დაკრძალვა, არსებითად, საჯარო ცერემონიაა, მაგრამ ოჯახში გამართული პანაშვიდი პირადული ღონისძიებაა, რომელიც არაოფიციალურია და განკუთვნილია იმათთვის, ვისაც მე ახლობლებს ვუწოდებ. მაგრამ, როგორც თავად თქვით, გსურდათ სოლრუნთან ყოფნა მთელ სამგლოვიარო გზაზე, თვით სასტუმრო „ტერმინუსში" წარმოთქმულ უკანასკნელ სიტყვამდე. ამის თაობაზე არაფრის გაგონება არ ისურვეთ და, საბოლოოდ, არც მე დამრჩა სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ მიმეღეთ და ბავშვებთან სოლრუნის სტუდენტობის მეგობრად წარმედგინეთ. დაარქვით ამას ორმაგი ბურჟუაზიული სტანდარტი, დაარქვით ყველაფერი, რაც გნებავთ, მაგრამ არის სიტუაციები, რომლებიც ადამიანს არ გამოუვლია და წინდაწინ ვერაფერს განსაზღვრავს. თქვენ არ გაქვთ იმის გამოცდილება, რას ნიშნავს დაქვრივება ერთ წამისყოფაში.

რომ არ დავწვრილმანებულიყავი, ყველაფერთან ერთად იმის უფლებაც მოგეცით, რომ პანაშვიდის ბოლოს ინგრიდთან მჯდარიყავით და გეოხუნჯათ. ისე აინთეთ, თითქოს თქვენს სოციალურ ინსტინქტებს ახლაღა მიეცა სადინარი. არათუ მხოლოდ შემოიჭერით პანაშვიდზე, არამედ ყურადღებასაც ითხოვდით, მსმენელი გსურდათ. და ერთი იშოვეთ კიდეც. მტკიენეული იყო ინგრიდის სიცილის გაგონება ასეთ დროს.

ვუშვებ, რომ სოლრუნს თქვენთან აკავშირებდა რაღაც ისეთი, რაც არ ჰქონდა ჩემთან. გაგონილი მქონდა თქვენ შესახებ, ანუ თქვენ ორის — განუყრელი მეგობრების 70-იანი წლებიდან. და როცა ვამბობ, „გაგონილი", ეს უაღრესად თავშეკავებული გამოთქმაა.

მეხსიერების ბლოკის გამოგზავნა და ამ რამდენიმე სტრიქონის მოწერა უნდა გაეიგოთ, როგორც მოვალეობის შესრულება, ანუ ის, რასაც მე მივაგებ სოლრუნის ხსოვნას. თითქოს ქონებას გადმოგცემთ, რადგან თქვენ მიერ ერთმანეთისთვის გაგზავნილი სიტყვები მე არ მეხება. წარმოდგენა არ მაქვს, რას წერდით ერთმანეთს, მხოლოდ ის ვიცი, რომ ეს მიმოწერა მიმდინარეობდა. საერთოდ კი, სოლრუნს არასოდეს არაფერი დაუმალავს ჩემთვის.

ჰოდა, ვფიქრობდი: როგორ იქნებოდა დღეს ყველაფერი, თქვენ რომ განმეორებით არ შეხვედროდით ერთმანეთს წიგნის ქალაქში? ისევ ცოცხალი თუ იქნებოდა? ამ კითხვის დასმა ჩემი უსიამოვნო მოვალეობაა. ის უკვე ველარ ჰკითხავს თავის თავს. საკმაოდ მტკიენეულია მარტოდმარტო დგომა ამხელა კითხვის წინაშე.

როცა ბიძებთან, დეიდებთან და ძმისშვილებთან ერთად *იმედის ეკლესიიდან* გამოვედით და სასტუმრო „ტერმინუსისკენ" წავედით, მე შეგპირდით, რომ ერთ დღესაც დაგიკავშირდებოდით და რამდენადმე უფრო დეტალურად მოგიყვებოდით რა მოხდა აქ. მეხსიერების ბლოკზეც ვფიქრობდი. ნუთუ ვერ მიხვდით, რომ გვარიანად დაბნეული ვიყავი ბავშვების და, საერთოდ, მთელი ოჯახის გამო? თქვენ ვინ იყავით, ამ დროს?

ის წავიდა და მე დავრჩი. ამიერიდან მისი როლიც მე უნდა შევასრულო. ჰოდა, თქვენი თავშეკავების იმედი მაქვს, როცა გეუბნებით, რომ ამ ყველაფრის შემდეგ აღარ მსურს თქვენთან ურთიერთობა.

უკანასკნელად სოლრუნ შაბათს ვიხილე, სრულებით ჯანმრთელი და უვნებელი. განსაკუთრებულ ფერზეც კი იყო იმ დილით, სანამ ჩვენ-ჩვენს გზას გავუყვებოდით. უკვე ნათქვამი ჰქონდა, რომ თქვენ ბერგენისკენ მოდიოდით. ამიტომ ხომ არ იყო ასე აგზნებული? გადავწყვიტე, არ ვყოფილყავი მეტისმეტად მესაკუთრე და სოლრუნს თქვენი მოპატიჟება შევთავაზე. დაუყოვნებლივ უარყო ეს იდეა. ნურც იფიქრებ ამაზეო, მითხრა თითქოს ჩემს დასანდობად. ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე ვიფიქრე. მაგრამ არის კიდევ რაღაც.

დეკემბრის ერთ დღეს, ათი თუ თხუთმეტი წლის წინ, სოლრუნს ლამაზი თაშალი ვაჩუქე. ეს იყო საშობაო საჩუქარი, რომელსაც ვარდისფერი ბეგონიაც დაემატა. გამორჩეულად იმიტომ მახსოვს, რომ თაშალიცა და ბეგონიაც ერთნაირად ვარდისფერი იყო. ჯერ ბეგონია ვიყიდე, მერე კი სუნდტის ვიტრინაში გამოფენილმა თაშალმა მოშხიბლა.

მას არასოდეს მოუსხამს ის თაშალი. დანახვისთანავე, როდესაც საჩუქრის ფუთა გახსნა, რაღაცამ შებოჭა. რა მოხდა-მეთქი, ეკითხე, მან კი — ეს რომ ვატარო, თავს მოხუცად ვიგრძნობო — რაღაც ასეთი მითხრა. ამას მხოლოდ იმიტომ ვიხსენებ, რომ ივლისში, წიგნის ქალაქიდან ჩამოსვლის შემდეგ, მან ის თაშალი ისევ გამოჩხრიკა. ეს მოხდა იმ დღეს, როცა ტბა იოლსტრავატნეტის გასწვრივ მივდიოდით ჩვენი მანქანით. მოკლე კომენტარი გავუკეთე ამინდს (ნისლიანი დღე იდგა, მაგრამ ნისლი უკვე გაფანტვას იწყებდა), ის კი, უეცრად, თავშალზე და ბეგონიაზე ალაპარაკდა. ამას მოაყოლა რაღაც, რაც ოცდაათი წლის წინ მომხდარა. არ გაუმხელია რას ნიშნავდა ეს „მისტიკური" ნივთი და მეც უკომენტაროდ ვუსმენდი. რაღაცები მანამდეც უხსენებია. „სტეინზეც" ულაპარაკია. ჰო, ასეა. შეეთავაზე, შეგვევლო სოლუნდში, ჩვენს საზაფხულო აგარაკზე. ასე გავფანტავთ ზოგიერთ ძველ მოგონებას-შეთქი, ვიფიქრე (რომ ალარაფერი ვთქვა წარსულის აჩრდილებზე). მან ჩემი ხელი აიღო და დამეთანხმა, ეს ნამდვილად სიკეთეს გვიზამსო.

ასე ჩაიარა ამ ამბავმა, ან ეგებ უნდა მეთქვა: ასე დაჩქარდა ყველაფერი. რაც კი ძალმიძს, მხოლოდ მისი სახელით ვაკეთებ, რათა ამ ტრაგედიის ყველა თავისუფალი ბოლო გამოვნასკვო.

გთხოვთ, გაიგოთ, რომ პასუხი არ მჭირდება. ვაკეთებ მხოლოდ იმას, რასაც, ჩემს ადგილზე, ყველა მეუღლე მიიჩნევდა თავის მოვალეობად. უბრალოდ, ოთახს ვალაგებ მისი წასვლის შემდეგ.

იმ ბოლო დილას ისევ გამოიღო თაშალი რაღაც გაუგებარი მიზნით. საავადმყოფოდან დაბრუნებამდე თვალი არ მომიკრავს ამ ნივთისთვის, მერელა ენახე მის მაგიდაზე: უწინდებურად კოხტად დაკეცილ-ჩადებული საჩუქრის ყუთში, სადაც ამდენი წელი ინახებოდა. რატომ, რა მიზნით გამოიღო ის თაშალი ამჯერად?

მეხსიერების ბლოკიც, რომელსაც ამწუთას იყენებთ, იმავე საჩუქრის ყუთში ჩავდე, რადგან მჯერა, რომ თაშალიც და ეს ბლოკიც უფრო თქვენ გეკუთვნით, ვიდრე ჩვენ. არაორაზროვნად მსურს, რომ, ყოველივეს შემდეგ, არაფერი თქვენეული არ დარჩეს ამ სახლში. არ მინდა, იუნასმა ცხვირი ჩაყოს თქვენი და სოლრუნის კორესპონდენციაში. არც ის მსურს, რომ ეს თაშალი მემკვიდრეობად დარჩეს ინგრიდს. მე კი, ჩემთავად, რაღაცნაირად უნდა განვაგრძო გზა. ადამიანის სიკვდილის შემდეგ ბევრი რამ რჩება ხოლმე მოსაგვარებელი: ანგა-

რიშების ლიკვიდაცია, ხელმოწერების გაუქმება და, უბრალოდ, მთელი დაეთრეების დახურვა. სიაში თქვენც ფიგურირებდით.

იმ დილით ჩემს კაბინეტში ვაპირებდი წასვლას, მან კი მითხრა, მეგობარ ქალთან მივდივარო. გარკვევით თქვა, შინ არ ვისადილებ და დღეს გვიან მოვალო. „ძალიან გვიან". არ უთქვამს, ვინ იყო და სად ცხოვრობდა ეს „მეგობარი ქალი" და ჩემთვის დღემდე საიდუმლოდ რჩება, რატომ გაემგზავრა იმ დილით სონის ჩრდილოეთით. მანამდე არასოდეს უხსენებია, რომ იქ მეგობარი ჰყავდა, თუმცა ხაზგასმით თქვა, მთელი დღით მივდივარო.

სოლუნდში ხომ არ აპირებდა ჩასვლას, ანუ იქ, სადაც ამდენი შვებულება გაგვიტარებია? და თუ იქითკენ აიღო გეზი, რატომ არ მითხრა? რატომ მანქანით არ წავიდა და მაინცდამაინც *ფეხით* რატომ გაუყვა მოძრაობით დატვირთულ ტრასას?

რადგან სწორედ ოპედალის სამხრეთით, უფრო ზუსტად – იქ, სადაც ბრეკკეს და რუტლედალის გზები იყოფა, მას დაეჯახნენ. ავტობუსის მძღოლმა დაადასტურა, ის ქალი ბერგენში ამოვიდაო. ისიც ახსოვს, როგორ ჩავიდა ინსტეფიორდთან, რომელიც, სატრანსპორტო გზების მხრივ, ფაქტობრივი ჩიხია, და ისიც, რომ ავტობუსის უკან წამოსვლის მომენტში „ის ქალი" კვლავ იქ იდგა და რაღაცას ელოდებოდა.

სოლრუნ ხანდახან არაპროგნოზირებადი იყო. თუმცა ამას ახლა მნიშვნელობა აღარ აქვს. ვფიქრობ, თქვენ არ მოდიოდით ჩრდილოეთის მხრიდან ბერგენში. მატარებლით ჩამოხვედით, არა?

მას მუხლუხოსავით გრძელი სატვირთო მანქანა დაეჯახა სონეფიორდიდან რამდენიმე კილომეტრით სამხრეთით. იმ ადგილას სიჩქარის შეზღუდვა ოთხმოცი კილომეტრია საათში, სატვირთო მანქანა კი თითქმის ორჯერ უფრო სწრაფად მოქროდა ინსტეფიორდიდან ჩამომავალ დალმართზე. ცუდი ხილვადობა იყო, მძღოლს კი, რომელიც ჩქარობდა, რათა ბორნისთვის მიესწრო ოპედალში, ამჟამად გასამართლება და ხანგრძლივი ციხე ელოდება. თვით *ისიც* დაესწრო სამგლოვიარო პროცესიას, თუმცა ეყო გონიერება, რომ პანაშვიდზე არ მოსულიყო. მოვიდოდა და სახლიდან გავაგდებდი. პოლიციას დავუძახებდი.

იმ შაბათს მცირე დამატებით სამუშაოს ვასრულებდი ჩემს კაბინეტში, როცა საავადმყოფოდან დარეკეს და მითხრეს რა მოხდა. სანიტარულმა ვერტმფრენმა მოიყვანა და ამჟამად მისი მდგომარეობა კრიტიკულია. გარეთ გავვარდი და ტაქსიდან ბავშვებს დავურეკე. მათ მოსვლამდე სულ რამდენიმე წუთი დავყავი სოლრუნთან. ცუდ დღეში იყო, თითქოს სრულებით გათიშული. თუმცა შემდეგ თვალები გაახილა და სრულებით ნათლად წამოთქვა: „მერე რა, რომ ვცდებოდი. შეიძლება სტეინ მართალი იყო!"

ჭეშმარიტება მხოლოდ ბავშვებისგან და მთვრალებისგან არ გვესმის, სიბრძნის სიტყვები მომაკვდავსაც შეიძლება წამოცდეს.

სოლრუნისადმი მოვალეობის გრძნობამ მიკარნახა, გადმოგცეთ მისი უკანასკნელი სალამი. ან იქნებ *შენიშნა* უნდა მეთქვა? წარმოდგენა არ მაქვს, რა იგულისხმებოდა მის ბოლო სიტყვებში. იქნებ თქვენ იცით? უნდა ვაღიარო, რომ დამძიმებული ვარ და ეჭვიც შემომეპარა.

საბოლოო ჯამში, არ მშორდება ფიქრი, რომ თქვენი შეხვედრა იმ სასტუმროში ერთობ საბედისწერო გამოდგა. მას შემდეგ სოლრუნ თვალშისაცემად შეიცვალა.

მე ვიცი და, ალბათ, თქვენც გეცოდინებათ, რომ ის ძალიან რელიგიური ადამიანი იყო. ვერაფერი ურყევდა რწმენას სიკვდილის შემდგომ სიცოცხლეში. იქნებ გამერისკა და მეფიქრა, რომ თქვენ უფრო რაციონალისტი ჩანხართ? სხვა რომ არაფერი, როგორც კლიმატოლოგი, თქვენ მეცნიერი ხართ. გავბედავ და ვიტყვი, რომ, როდესაც საქმე ცხოვრების ფილოსოფიაზე მიდგებოდა, თქვენ და ის სხვადასხვა პოლუსებზე იდექით.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩემი თავისთვის მიკითხავს: უკეთესს ხომ არ ვიზამდით, თუკი სოლრუნის შეხედულებებს თავს დავანებებთ-მეთქი. ის შუქურა იყო, კაშკაშა ალი, თითქმის ნათელმხილველი.

შეიძლება სტეინ მართალი იყო?

ივი შიშჩამდგარი თვალებით ამომყურებდა საავადმყოფოს საწოლიდან. ამ თვალებში უნუგეში მწუხარება, ღრმა მღელვარება და აუტანელი სასოწარკვეთა მოჩანდა. მერე ისევ დაკარგა გონება, სანამ უკანასკნელად გაახელდა თვალს, დაცარიელებული და უმწეო. აღარაფერი იყო სათქმელი. იქნებ შეეძლო კიდეც დამშვიდობება, მაგრამ არა, არაფერი უთქვამს.

მან რწმენა დაკარგა, სტეინ. მთელი მისი იერი სიმარტოვეს და სიცარიელეს ასხივებდა.

რა იგულისხმა, როცა თქვა, რომ შეიძლება თქვენ მართალი იყავით? ნუთუ ასე მნიშვნელოვანია, *იყო მართალი*? ან გქონდეს ნება თუ უნარი — ჩააბნიო ეჭვის მარცვლები მეორე ადამიანის რწმენაში? არა, როგორც ვთქვი, მე პასუხს არ ველოდები. ეს უკვე წარსულია.

ზუსტად არ ვიცი, რატომ, მაგრამ აზრად მომივიდა, რომ თქვენ იბსენის რომელიღაც ახირებული და ძველმოდური პერსონაჟივით შემოიჭერით სოლრუნის და ჩემს ცხოვრებაში. თითქმის ზღვიდან მოსული კაციკით. ან, ეგებ, ჭეშმარიტებით დაავადებული ვინმე გრეგერს ვერლესავით? ასეთ შემთხვევაში, მე ხალისით ვიკისრებ რელინგის — თავის მოტყუების პატივისმცემლის — როლს.

ერთხელ, არცთუ დიდი ხნის წინ, სოლრუნმა რაღაც თქვა იმის თაობაზე, სოლუნდში უნდა წავიდე და, სანამ დაზამთრდებოდეს, ზღვას დავემშვიდობოო.

ასეთი ეული გასეირნებები მის სტილში არ იყო. იქნებ ორნი ერთად აპირებ-დით ზღვასთან დამშვიდობებას? თქვენ ორნი, ასე რომ გაეშურეთ მთებისკენ ივლისის იმ დღეს?

არ ვიცი რას გეკითხებით. მე ხომ პასუხს არ ველი და არც რაიმე არსებითი მნიშვნელობა აქვს ამას ამჟამად.

თქვენ ბერგენში ჩამოხვედით. კეთილი! მაგრამ ძალიან დაგაგვიანდათ. კეირა ნაშუადღევს, როცა მას დაურეკეთ, ყველაფერი უკვე დამთავრებული იყო. სულ ახალი დაბრუნებული ვიყავით საავადმყოფოდან. ტელეფონზე ინგრიდმა გიპასუხათ, მაგრამ მხოლოდ ის გითხრათ, არ ვიცი ვინ ხართ და ახლა ვერ დაგელაპარაკებითო. მე თავჩახრილი ვიჯექი სამზარეულოს მაგიდასთან და ინგრიდს ვუთხარი, რომ ვიცოდი ვინ იყავით და რომ არც მე შემეძლო თქვენთან საუბარი. ბოლოს ყურმილი იუნასმა აიღო და გითხრათ რა მოხდა. მივეცი ამის უფლება.

რა მოიმოქმედეთ მაშინ? ბერგენში დარჩით დაკრძალვამდე? თუ გახვედით და ზღვას მიაცქერდით?

ეს როტორიკული კითხვებია.

აქედან მოყოლებული, ვისურვებდი, რომ ჩვენ შორის ყოველგვარი კონტაქტი შეწყდეს. ვიმედოვნებ, პატივისცემით მოეკიდებით ამ სურვილს. ამიერიდან კიდევ დიდხანს მოგვიწევს მე და ბავშვებს ერთმანეთის მიხედვა.

ის წავიდა და სიცარიელე დაგვიტოვა. არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც ჩვენკენ — მთების აქეთაც — ზრუნავდნენ სოლრუნზე.

აი, ყველაფერი.

ნილს პეტტერ

შენიშვნები

[1] **déjà vu**: „უკვე ნანახი" (ფრან.).

[2] **In vino veritas**: „ღვინოშია ჭეშმარიტება" (ლათ.).

[3] **რუტერი**: პროგრამული მონყობილობა, რომელიც ფიზიკურად აერთებს ერთმანეთთან ორ ან მეტ კომპიუტერულ ქსელს.

[4] **GPS**: ნავიგაციისა და ადგილმდებარეობის განსაზღვრის გლობალური სისტემა.

[5] **ნითელი ხოჭო**: პატარა ფოლკსვაგენის მოფერებითი სახელი.

[6] **ბონნი და კლაიდ**: ამავე სახელნოდების ფილმის გმირები (1967). ამ ფილმის სიუჟეტი ეყრდნობა ჭაბუკის და ქალიშვილის ნამდვილ ისტორიას. ისინი 30-იან ნლებში ოთხი ნლის განმავლობაში ძარცვაედნენ ბანკებს ტექსასის შტატში და, თავისებურად, „კეთილშობილი ყაჩაღებისა" და ღარიბ-ღატაკთა ქომაგის როლში გამოდიოდნენ. მათი სიყვარულის რომანტიკულმა ისტორიამ, მათმა თავგადასავლებმა და, საბოლოოდ, ჩაცხრილვამ პოლიციელთა ტყვიებით ბონნი და კლაიდ პოპულარულ გმირებად აქცია.